

ს ვ ე ტ ი ც ხ ე მ ა ლ ი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientific Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№2, 2019



საქართველოს საპატიონარებოს,
საქართველოს საინიციატივო აკადემიისა და
საქართველოს ფინანსური უნივერსიტეტის
თაობობის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის
სამეცნიერო საინიციატივო უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯავარიძე

მთავარი რედაქტორის

მოადგილები: დეკანოზი ლევან მათეშვილი
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ზურაბ გასიტაშვილი
ივანე გორგიძე
დავით გურგენიძე
ვახტანგ გურული
ალექსანდრე გრიგოლიშვილი
გიორგი კოკოშაშვილი
თამარ ლომინაძე
შალვა ნაჭყებია
გივი ღამბაშიძე
არჩილ ფრანგიშვილი
ტარიელ ფუტკარაძე
მაკა ხართიშვილი
თემურ ჯაგოდნიშვილი
გურამ ჯავახაძე

კასუსისმმართვის მდიგარი:

ქეთევან მახაშვილი



4

სამეცნიერო-სოცილოგიკური ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სვეტიცხოველი


SVETITSKHOVELI



**ეძღვნება
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
თეოლოგიის სახწავლო-სამეცნიერო ცენტრის
ხელმძღვანელის პროფესორ, მიტროპოლიტ
ანანია ჯაფარიძის
დაბადებიდან 70-ე წლისთავს**



მაღალყოვლადუსამღვდელობის ანანია მანგლისისა და თეთრივზაროს მიტროკოლიტი



მიტროკოლიტი ანანია (ერისკაცობაში თენგიზ ჯაფარიძე). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი 1981 წლიდან, საქართველოს საპატრიარქოს მანგლისისა და თეთრივზაროს ეპარქიის მმართველი, ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, რეალური ისტორიის დამდგენი საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, ქართული უნივერსიტეტის ობიექტური ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, 40-ზე მეტი წლის ავტორი.

დაიბადა 1949 წ. 20 აგვისტოს, ქ. ტყიბულში. 1966 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა, 1974 წ. – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი.

მცხოვრის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში 1979 წლის აპრილში, ბერად აღიკვეცა და ეწოდა ანანია, 1979 წ. 4 აპრილს ხელდასხმულ იქნა დიაკონად, ხოლო იმავე წლის 27 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზონად. 1979 წ. დაინიშნა თბილისის წმინდა სამების ძველი გამრის წინამდღვრად. 1980 წლის ივნისში მღვდელ-მონაზონი ანანია დაინიშნა აღავერდის მონასტრის წინამდღვრად. 1980 წ. 27 სექტემბერს მიენიჭა იღუმენის წოდება, ხოლო 1981 წ. 8 მარტს – არქიმანდრიტის წოდება.

1981 წ. დასაწყისში წმინდა სინოდის მიერ არქიმან დრიტი ანანია გამორჩეულ იქნა საეპისკოპოსო კანდიდატად, 1981 წ. 15 მარტს უწმინდესმა პატრიარქმა სვეტიცხოვლის ტაძარში აკურთხა ეპისკოპოსად და დაადგინა ნიკორწმინდის ეპარქიის მმართველად.



მიტროკოლიტ ანანიას ეპისკოპოსად კურთხევა.
1981 წლის 15 მარტი



6

სამეცნიერო-სოციულური ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სევიტისხეველი

SVETITSKHOVELI



ეპისკოპოსმა ანანიამ 1990 წელს დააარსა ახალციხის სასულიერო სასწავლებელი (სემინარია), რომელიც ამავე დროს იყო საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. მის პურსდამთაგრებულს დიპლომი უფლებას ანიჭებდა ეღვაწა საშუალო სკოლებში საღვთო სჯულის მასწავლებლად.

1992 წლის 25 დეკემბერს, მეუფე ანანიას მიენიჭა მთავარეპისკოპოსის წოდება და დაინიშნა მანგლისის ეპარქიის მმართველად, რომელიც იმ დროს მხოლოდ თეთრიწყაროს რაიონს მოიცავდა. მალევე მისმა უწმინდესობამ გააფართოვა ეპარქია და მას მიუერთა წალკის რაიონი. 1995 წლის 17 ივნისს ჩამოყალიბდა მანგლისისა და წალკის ეპარქია, რომლის მმართველადაც დაინიშნა მეუფე ანანია. 2001 წლის 15 ნოემბერს მთავარეპისკოპოსი ანანია აუგანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

2001 წლის 19 ოქტომბერს, მეუფე ანანიამ შეძლო საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს უმაღლეს სასწავლებელში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის დაარსება.



ზ. გასიტაშვილი, დეკ. ბიძინა გუნია, გ. ჯავახაძე,
მიტროპოლიტი ანანია ჯავარიძე, ი. ფრანგიშვილი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II,
გ. ფროლოვი, შ. ნაჭეუბია, ი. გორგიძე, რ. ჩიქოვანი.

2005 წელს მიტროპოლიტი ანანია გახდა რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი.


2007 წლის 25 დეკემბერს, მისმა უწმინდესობამ მიტროპოლიტი ანანია (ჯავარიძე) „ქართველი ერისა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის” დააჯილდოვა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი წმ. გიორგის ოქროს ორდენით.

1992 წლიდან, მეუფე ანანიას დაევალა ლექციების წაკითხვა თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტებისათვის ეროვნულ-საეკლესიო სულისპგთების ამაღლების მიზნით.

2013 წელს, წმიდა სინოდმა მეუფე ანანიას სამდგდელმოძღვრო ეპარქიას უწოდა „მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქია”.



მეუფე ანანია დაჯილდოებულია ალექსანდრიის საპატრიარქოს წმინდა მარკოზის ორდენით, აგრეთვე კლესიის ჯილდოებით.



2009 წლის 18 აგვისტოს მიტროპოლიტი ანანია დაჯილდოვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის მედლით.



მონოგრაფია №36

CERTIFICATE №36

*გიორგი ნიკოლაძის
გედაღი*


ქადაგი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მოწყვეტილის სამსახურის სამსახურის მდგრადი
წევმდგრადის, პროფესიონალური მატერიალური

ანანია ჯაფარიძის

თეატრალური სასულიერო, საგანმანათლებლო და
სამეცნიერო მოღვაწეობისათვის

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დეკანი,
პროფესიონალური სამსახურის დამამართებელი
ა. ჭავჭავაძე



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
კულტურული სამსახურის დამამართებელი №144,
2009 წლის 18 აგვისტი

*Giorgi Nikoladze
Medal*

is awarded to

the head of the Technical University of Georgia
Scientific and Training Center, professor,
metropolitan

ANANIA JAPARIDZE

FOR HIS OUTSTANDING SPIRITUAL,
EDUCATIONAL AND SCIENTIFIC
CONTRIBUTION

Rector of the Technical University
of Georgia, Professor A. Prangishvili

Resolution #144 of the Academic
Council of the Technical University of Georgia,
18 August, 2009




2013 წლის ივნისში საქართველოს პრეზიდენტი მიტროპოლიტი ლიოსების ორდენით დაჯილდოვა.

2013 წლის 14 ივნისს ტექნიკურ უნივერსიტეტი თეოლოგიის კათედრის დაარსების მე-12 წლისთავთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეკრებილების წინაშე მადლობა გადაუხადა ცენტრის ხელმძღვანელს, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს, ცენტრის შექმნისა და გაწეული ღვაწლის გამო („საქართველოს რესპუბლიკა“, 2013, 15. VI).

მეუფე ანანია მრავალი წიგნის, გამოკვლევისა და პუბლიცისტური წერილის ავტორია.

1996–2012 წლებში გამომცემლობებმა – „მერანმა“, „ალილომ“ და „გუმბათმა“ გამოსცეს მეუფე ანანიას ნაშრომი ოთხომეული „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“.





ურნალ
„სვეტიცხოველის“, 1917 წლის დეკემბრის,
ყდის ფრაგმენტი

სვეტიცხოველი მუდივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო ურნალ „სვეტიცხოველი“-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გავებულ ოკეანეში და წინამდებარე ურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი“ ამგვარი მისის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით ურნალი „სვეტიცხოველი“ განაგრძობს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

ურნალ სვეტიცხოველის რედაქცია



10

სამეცნიერო-სოცილოგიკური ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სვეტიცხოველი

SVETITSKHOVELI





"მოწყალების საქმე ბაზარზე სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღე 1 ივნისი დაწესდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოოდენ საკუთარი თავით, ევოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომელებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძლვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმბიმე იტვირთეთ და ესრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვიროთ სხვისი სიმბიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან საქართველოს საინიციატივო აკადემიისა და კომპანია "მედინსერვის" წარმომადგენლები, რომლებმაც შემოვთავაზეს, დაწესდეს "თანადგომის დღე". თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. თანადგომის დღე 1 ივნისი დაწესდა. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შევეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან
სულთმოვენობის დღესასწაულზე

ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი
ივნისი 2008 წელი



12

სამეცნიერო-სოცილო გაფრთხოების

Scientific-Historical Journal

სევიტსხოველი

SVETITSKHOVELI



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

380005, თბილისი, მეტე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14



CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.
Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივნისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

- I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის, დამდგრი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოების, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ჩელმძღვანელობით;
- II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესიონალური ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



სარკმები

მაღალყოვლადუსამღვდელოში ანანია მაგდლისისა და ომირიზაროს მიტროპოლიტი	5
მილოცვები	16
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II	17
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი	18
მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკ ხაჩიძე	18
არჩილ ფრანგიშვილი	19
რამაზ ხუროძე	19
დავით გურგენიძე	19
პროტოპრესკიტერი გიორგი ზვიადაძე	20
სერგო გარდოსანიძე	21
დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე	22
დეკანოზი ლევან მათეშვილი	23
დეკანოზი თეოდორე გიგნაძე	23
ივანე გორგიძე, ოთარ წეროძე	24
დეკანოზი ლვილისო სესნიაშვილი	24
დეკანოზი გიორგი ჯიბუტი	25
შალვა ნაჭყებია	26
ჯუმბერ პატიაშვილი	26
ჯუმბერ იოსებიძე, გიორგი აბრამიშვილი ოთარ გელაშვილი, თორნიკე აფაქიძე	26
ზურაბ გასიტაშვილი	27
მანანა ტაბიძე	28
ტარიელ ფუტკარაძე	30
ვაჟა ნადირაშვილი	33



ნუგზარ იაშვილი.....	33
თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი	34
მამუკა გიორგაძე.....	35
გაუა ოთარაშვილი.....	36
ალექსანდრე გრიგოლიშვილი.....	37
გიორგი სალუქვაძე.....	38
ზურაბ გამეზარდაშვილი	38
ლევან გოგიჩაშვილი.....	38
მიტორაოლიტი ანანია ჯავარიძე საქართველოს ეპლუსის იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში (გაგრძელება, დასაწყისი 2017, №2, 2018 №1 და №2).....	39
ზელენჯუპარხიშვის, სენტისა და შუანას ტაძრები	39
რუსული მონასტრები ზელენჯუპ-სენტ-შოანას (შუანას) ეკლესიებთან	42
არხიშ-ზელენჯუპ-სენ-შოანას ტაზრები რუსულ საინტერნეტო სივრცეში.....	48
ალან მეფეთა მიერ ბიზანტიელ სასულიეროთა განდევნა.....	54
არხიშის ქართული ჯვრები მოსკოვის მუზეუმში	57
სენტის ტაძარი.....	57
სენტის ტაძრის გოლგოთიანი ჯვრები და მისი მრავალფეროვანი მოხატულობა.....	58
ბერძნული საქტიტორო წარწერა სენტის ტაძარში	64
შოანას ეკლესიის ქართული ნაკვალევის განადგურება მე-20 ს-ში.....	68
თავის დასკვნა.....	69
ქართლის საპათალიკოსოს იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში (ოსეთი, დურმუკეთი, ქისტეთი)	72
ჩრდილოპაგპასიის ეთნიკური სახე ვახშშტის მიხედვით	72
ვახშშტი „ახალი ოსეთის“ შესახებ	76
თემურ-ლევის ლაშქრობა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ვახშშტის მიხედვით	79



ლიტერატურა

გ. დამბაშიძის ნაშრომი – „ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში“ (საბჭოთა ხელოვნება, 1976, 3, გვ.72-78).....	84
ლოგარდ ტუხაშვილის ნაშრომი „ცხოვრება დავით-სოსლან ეფრემის ძე-ბაგრატოვანისა“.....	87
ვ. დოლიძის ნაშრომი „ხოზიტა-მაირამი – საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, №2, 1954)	90
ა. ვოლსკიას ნაშრომი „პედლის მხატვრობის ფრაგმენტები „ხოზიტა-მაირამის“ ქართულ ტაბარში“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, №6, 1954).....	90
ვ. გამრეკელის ნაშრომი „ისტორიული მასალები დვალეთიდან“ (სჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV-3, 1963, გვ. 91-103).....	90
ვ. დოლიძის ნაშრომი – თლის ხუროთმოძღვრული ძეგლი (მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.XXI, №6, 1958)	94
ნუზალის სამლოცველო ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ისტორიულ დვალეთში.....	95
ზრუგის ეპლესია	96
„სრაგლულთა აღიარება“ აკადემიკოსი ნანა ხაზაძე.....	98
საქართველო და მართლმადიდებელი ეპლესია 1918-2018 წწ. პროფესორი, დეკანოზი ლევან მათეშვილი დოქტორი, ივანე ეპიტაშვილი	101
ნათლობისა და მიროცხების საიდუმლოს ისტორიულ-დილისმატებელი ასაეჩება პროფესორი, დეკანოზი ქახაბერ შურდაია	105
რატომ ინარჩუნებს დღესაც აქტუალობას იოანე ზოსიმეს-ძებაი და დიდებაი ქართულისა მნისა იღუმენი ლუკა ფალაგანდიშვილი	129
პრისტიანული პოზიცია პრობრძის მიმართ ელიადე (ია) ლათიბაშვილი	131
ონის სინაბობა ი. გორგიძე, მ. იაშვილი, ნ. იაშვილი, ქ. მახაშვილი.....	135



სამეცნიერო-სოცილური გუნდი

Scientific-Historical Journal

სვეტიცხოველი

SVETITSKHOVELI



მიმღებელი



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

0114, თბილისი, მეტევ ერეკლე II-ის მოედანი 1
ტელ.: (995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114



CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.: (995 32)2990378, 2989540; Fax:2987114

მის მაღალუფლებების და დამადასტურებულობის, მის მიერ ანანიას (ჯაფარი), გულიაშვილ ერეკლე მარიამის 70 წლისთავს.

მან ეპლესური ცხოვრება მაშინ დაწყო, როდესაც მთაწმინდის ჩატენი მუტად მუზე იყო და იმურავებული ათეისტური აზროვნების ტელეკომაში მცირებულა.

უკერძო იყო, რომ სულიერი მოლენის გამდა, მუჭვე ანანია თავიდან გვიმოარეოდა საქართველოს ისტორიის, ზემო წარსულის ძიების აუკანონობის სურველით და ამ მიმართულებით აზაურთი წარწერა დატვირთდა.

შეიძლება თქვას, იწო და ბარებულობაშია, რომ კონტაკუ კომუნისტური ჩეკების მიერ და აქანონებულ მიმართულებებს პიონერები გამოიცინებია და ნამდებული ისტორიის ჯდრებისათვის უდღეს ნაბიჯები გვაძლევს.

სა თქმა უხდა, ზოგიერთი ბორიგია შეიძლება ანთა სხედასხვაობას წერეს, მარტო მთავარია, რომ მის მიერ გამოიცინება უსაბოძობრივი მიმდან და ჩაყრილია ღრმა ფუნდაციები მომავალ შეკვეპთათვის; ამასთან, მისი ნამინიჭები განხმილებულია ქმედის სიცარისულთა და წარსულის დეპლურით სურათის ჯდრების დღი სურველით.

ღმერთია დალოცას მეუფე ანანია და მთავალე მეტა და აუდილურ ამონების და და ქვეყნის სამსახურია.

[Handwritten signature]

სოლიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობაგ, ძვირფასო მეუფე ანანია!

გულითადად გილოცავთ 70 წლის იუბილეს!

თქვენ თითქმის ორმოცი წელია მღვდელმთავრის ხარისხში მსახურობთ და ამ წლების განმავლობაში დიდი ღვაწლი დასდევთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ჩამოთვლაც კი რთულია ყველა იმ ღირსშესანიშნავი მოვლენისა, რომელიც ჩვენი ეპლასიის ცხოვრების აღმავლობის პერიოდში უშუალოდ თქვენს სახელს უავშირდება.

ადსანიშნავია თქვენი სამღვდელმთავრო მსახურების განსაკუთრებული ნაყოფიერება ეპარქიებში, რომლებიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მხარდამხარ, ფაქტიურად არაფრიდან აღადგინეთ.

ისტორიაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს თქვენი მოღვაწეობა ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიაში; მიტოვებულ ტაძრებსა თუ მონასტრებში აღდგენილი მსახურებები, ასევე თქვენი დაუღალავი შრომის შედეგად თეორიწყაროს, მანგლისისა და წალკის რაიონებში ამოქმედებული მრავალი ეკლესია, ხელდასხმული სამღვდელოება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თქვენი მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა, როგორც სასულიერო აკადემიაში, ასევე, კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევითა და თქვენი დიდი შრომით, ტექნიკურ უნივერსიტეტში გახსნილ თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში. საგანმანათლებლო საქმიანობისადმი თქვენს ერთგულებაზე მეტყველებს ასევე 1990 წელს ახალციხის სასულიერო სასწავლებლის ამოქმედების ფაქტი, რაც იმ დროისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი და რთული საქმე იყო.

თქვენი მოღვაწეობის განსაკუთრებულ მსარეს კი, უდაფოდ, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა წარმოადგენს, რომელსაც საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევაში ძალზედ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

როგორც სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ის ფაქტი, რომ თქვენი სულიერი მოღვარი იყო XX საუკუნის ქართული მონაზვნობის შესანიშნავი წარმომადგენელი, ქ. სენაკში, თეკლათის დედათა მონასტრებში მოღვაწე არქიმანდრიტი კონსტანტინე (ქვარაია), რომელმაც დიდი გავლენა იქონია თქვენს სულიერ ჩამოყალიბებაზე.

გისურვებთ მრავალუამიერ ღვთის შეწევნასა და სულიერ სიმტკიცეს!

*ქრისტებმიერი სიყვარულით
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრე
ხენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი
შიო მუჯარი*

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრს, უწმინდესის შემდეგ ქიორბონიით უხუცეს მდვდელმთავარს, რომელიც გამოირჩევა სამეცნიერო მოღვაწეობით ისტორიის მიმართულებით, გულოცავ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს. მასენდება 90-იანი წლები, როდესაც მიტროპოლიტი ანანია მიკითხავდა ლექციებს სასულიერო აკადემიაში, ეს იყო გამორჩეული და პატრიოტიზმით საჭე წუთები.

ვუსურვებ მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას წელთა სიმრავლეს და კიდევ მრავალი ნაშრომის აგზორობას, ეკლესიისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

*პატივისცემით
მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი ხაჩიძე*



თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობაგ,

გილოცავთ თქვენი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. 2001 წლიდან მოყოლებული ხელმძღვანელობთ თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს, რომელმაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ხარისხობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა. მსოფლიოს წამყვანი საუნივერსიტეტო პრაქტიკიდან გამომდინარე, არავის უკვირს პუმანიტარულ უნივერსიტეტებში თეოლოგიის ფაკულტეტების, ცენტრების, მიმართულებების არსებობა, ასევე არახალია ტექნიკური უნივერსიტეტების კოლაბორაცია სადვითისმეტყველო სამეცნიერო დარგთან. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ამ მხრივაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პირველია საქართველოში და მთლიანად ჩვენს რეგიონში, სადაც მსოფლიოს მოწინავე ქაყანების ტექნიკური უნივერსიტეტების ანალოგით დაფუძნდა თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თქვენი პროფესიონალიზმის და სამეცნიერო ხედვების გარეშე, რა თქმა უნდა, ამ კარგ წარმოშებას განვითარება არ ექნებოდა, რისთვისაც უნივერსიტეტის სახელით დიდ მადლობას გიხდით. გისურვებთ ამ ცენტრის კიდევ უფრო მეტ წარმატებას, რაც თქვენ სამღვდელმთავრო და სამეცნიერო მოღვაწეობას უკავშირდება, მრავალუმიერ თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ ამ ორივე ასპარეზზე!

პატივისცემით არჩილ ფრანგიშვილი

მეუფე ანანია,

გილოცავთ თქვენს 70 წლის იუბილეს, უფალმა წელთა სიმრავლე და ჯანის სიმრთელე მოგმადლოთ! მე მოხარული ვარ, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაურმა მისმა უწმინდესობამ ჩვენმა პატრიარქმა თქვენ შეგარჩიათ ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის ხელმძღვანელად, რომელსაც თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით უძლვებით.

გისურვებთ წარმატებას როგორც საეკლესიო, ასევე სამეცნიერო მოღვაწეობაშიც

პატივისცემით რამაზ ხუროძე

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო,

გულითადად გილოცავთ თქვენს იუბილეს, ღმერთმა დიდხანს გამსახუროთ ეკლესიის და მეცნიერების სამსახურში. ჩვენ ვამაყობთ, რომ თქვენი მოღვაწეობა ტექნიკურ უნივერსიტეტში ნაყოფიერი და წარმატებულია.

მრავალუმიერ თქვენს მეუფებას!

პატივისცემით დავით გურგენიძე



20

სამეცნიერო-სოციალური ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სევიტისხეველი

SVETITSKHOVELI



მაღალყოვლადუსამდგდელოესობას, პროფესორ, მანგლელ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტი ანანია იმ დროს დაადგა მდგდელმსახურების როულ და მძიმე გზას, როდესაც ათეისტურ სახელმწიფოში ეს ერთეული ოქროული ადამიანების დიდი გამბედაობისა და თავდადების მაგალითი იყო. სადაც არ უნდა ეღვაწა მიტროპოლიტ ანანიას, სამცხე-ჯავახეთის თუ მანგლის-თეორიწყაროს ეპარქიებში, ყველგან ერთგულად ემსახურებოდა დმერთს, სამშობლოს, დედაქლებისას.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე მთელი ცხოვრების მანძილზე ღრმად და სრულყოფილად სწავლობს ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას. საქართველოს ეკლესიის მრავალი აქტუალური პრობლემა მის ოთხეტომეტულში სწორედ ეკლესიის ისტორიისა და კანონიკური სამართლის, ასევე ეკლესიური მსოფლმხედველობისა და სწავლების გათვალისწინებით არის ასახული. მეუფე ანანიას წიგნებში არგუმენტირებული პასუხი არის გაცემული ყველა იმ ცრუ ისტორიოგრაფიულ თბესზე, რომელსაც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ავრცელებენ საქართველოს ისტორიის გამყალბებლები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შექმნილი რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მეუფე ანანიას ხელმძღვანელობით ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს მიჩქმალული ისტორიული ფაქტები გაცხადდეს და ჩვენი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს. მის მიერვე დაარსებული რამდენიმე სერიის ფარგლებში მიტროპოლიტი სწავლობს საქართველოს ეკლესიის კონკრეტულ წყაროებს და თვალნათლივ აჩვენებს, რომ ქვეყნის ისტორია ყოველთვის დიდწილად იყო დამოკიდებული ეკლესიის სიძლიერებზე. თითქმის არ დარჩენილა საკითხი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კუთხით, რომლის შესახებაც მეუფე ანანიას თავისი კომპეტენტური სიტყვა არ ეთქვას.

ორ ათეულ წელზე მეტია მეუფე ანანია თბილისის სასულიერო აკადემიაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა – სტუდენტებს გადასცემს ცოდნას საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით. მიტროპოლიტი ანანია არაერთხელ გამოსულა საჯაროდ ეკლესიისა და სასულიერო აკადემიის ავტორიტეტის დასაცავად.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სახელით, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ მანგლელ მიტროპოლიტს, მეუფე ანანია ჯაფარიძეს, საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ სანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ წარმატებებს თავის სამდგდელომთავრო საქმიანობაში.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი,
თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი, პროტოპრეზიტერი გიორგი ზგიადაძე



საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეპლესიის წმიდა სინოდის წევრს, პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, მანგლელ მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) 70 წელი შეუსრულდა

მიტროპოლიტი ანანია, საქართველოს მართლმადიდებელი ეპლესიის მდგდელმთავართა შორის, უხუცესია (ქიროგონიო), იგი 39 წელია, რაც მდგდელმთავარია და მონაწილეობდა სინოდის ყველა მოქმედი მდგდელმთავრის კურთხევაში. ყველგან, სადაც არ უნდა ეღვაწა მას, მრავალტანჯულ ისტორიულ მესხეთსა თუ მანგლის-თეთრიწყაროს ეპარქიაში, ემსახურებოდა ჭეშმარიტი რწმენის, ქართული ეროვნული ცნობიერების, ეპლესიური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის ინტერესებს. მიტროპოლიტ ანანიას საისტორიო შრომები არის პირველი სერიოზული ნაბიჯი იმ როტულ წინააღმდეგობრივ გზაზე, რასაც ჰქვია ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის განთავისუფლება როგორც რუსული იმპერიული ასევე საბჭოთა ათეისტური კლიშეებისგან.

მიტროპოლიტი ანანია სამ ათეულ წელზე მეტია ლექციებს კითხულობს თბილისის სასულიერო აკადემიაში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს საპატ-რიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სახელით გულითადად გულოცავთ საიუბილეო თარიღს. მრავალუამიერ მეუფება.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო გარდოსანიძე



* * *

2019 წელი საიუბილეო თარიღია მანგლელი მიტროპოლიტის, მისი მაღალყოვლადუსამდველოების, მეუფე ანანია ჯაფარიძისა. იგი 2019 წლის 20 აგვისტოს 70 წლის ხდება. ამავე წელს 40 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც იგი ბერად აღიკვეცა (1979 წ.). მეუფე ანანია დღევანდელ მოქმედ ეპისკოპოსებს შორის უხუცესი მდვრელმთავარია, 38 წლის წინ, 1981 წ. ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად. დიდია დამსახურება მეუფე ანანიასი დედა-ეკლესიის წინაშე. მან სხვადასხვა გაარქივიში მდვრელმთავრობის დროს ხელი შეუწყო ეკლესია-მონასტრების ადორდინებას და ქრისტიანული რწმენის განმტკიცებას. მისი უშუალო ძალისხმევით გაიხსნა რამდენიმე სასულიერო სასწავლებელი და დაარსდა თეოლოგიის კათედრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს.

ცალკე აღნიშვნის დირსია მეუფის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა. იგი ავტორია რამდენიმე ათეული სქელტანიანი მონოგრაფიისა, რომელთა შორის გამორჩეულია მისი განმაზოგადებელი ნაშრომი „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია“ 4 წიგნად. იგი პირველი მდვრელმთავარია, რომელმაც იგ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 1999 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მეუფის ნაშრომები ქართული ენის გარდა გამოქვეყნებულია რამდენიმე უცხო ენაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პოლემიკური ნაშრომები აზერბაიჯანელი, სომები, რუსი და სხვა ფალისიფიკატორების წინააღმდეგ. მის სამეცნიერო დირსებაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი წმ. სინოდის გადაწყვეტილებით დანიშნულია რეალური ისტორიის დამდგენი საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ და საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის ობიექტური ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელად.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად მეუფე თავის ცოდნა-გამოცდილებას გადასცემს სტუდენტ-ახალგაზრდობას და მომავალ სასულიერო პირებს. იგი რამდენიმე ათეული წელია ლექციებს კითხულობს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში და არის ამავე სასწავლებლის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების წევრი, პროფესორი და აქტიურად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში. მის დამსახურებაზე მეტყველებს ისიც, რომ მეუფე 2013 წლის 14 იანვარს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის თავმჯდომარებით შემდგარ ერთჯერადი სადისერტაციო საბჭოს მდივნის მოვალეობას ასრულებდა, საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელშიც მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეცნიერო ხარისხის მქონე მდვრელმთავრები მონაწილეობდნენ, სასულიერო აკადემიის 10 პედაგოგს თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა.

მის მაღალყოვლადუსამდველოების მეუფე ანანიას ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მოღვაწეობას ვუსურვებთ ეკლესიისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროექტორი,
დეკანზი ბესარიონ ცინცაძე**



თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობაგ,

გულითადად გილოცავთ იუბილეს. თქვენ ბრძანდებით არა მხოლოდ მისი უწმინდესობის შემდგომ ქიროტონიით ყველაზე უხუცესი მღვდელმთავარი, არამედ სინოდის წევრებს შორის პირველი მეცნიერი მღვდელმთავარიც, რომელსაც სამეცნიერო ხარისხები და უამრავი ნაშრომი გაქვთ, რომელიც საქართველოსთვის და მისი ეკლესიისთვის ეგზისტენციალურ მნიშვნელობას წარმოადგენს. თქვენ არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ისტორია გახადეთ საგანმანათლებლო დისციპლინად, არამედ სისტემატიზაცია მოახდინეთ არსებული ტენდენციურად შეფასებული ფაქტების, მოიძიეთ ახალი და საშვილიშვილოდ სახელმძღვანელოდ დაგვიდეთ მომავალ თაობებს. ეს არ იყო ადვილი, რადგან ოფიციალური ისტორიოგრაფიისთვის წინააღმდეგობების გაწევა მოგიხდათ, იმ ისტორიოგრაფიისთვის, რომელიც დღესაც ვერ ჩამოყალიბებულა ვერც საქართველოს განვითარების ისტორიაზე და ვერც მისი ეკლესიის ვრცელ გზაზე, რაც უდიდეს საფრთხეს უქმნის ჩვენი არაკეთილმოსურნების მხრიდან, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისე ეკლესიას. ეს მძიმე ჯვარი თქვენ დირსებით ზიდეთ და ამის შედეგებს მომავალი თაობა კიდევ უფრო დააფასებს, ვიდრე ამჟამინ დელი. გისურვებთ კიდევ უფრო ნაყოფიერ სამღვდელ მთავრო და სამეცნიერო მოღვაწეობას მრავალ წელს!

პატივისცემით,
პროფესორი, დეკანოზი ლევან მათეშვილი

მეუფეო, დაგვლოცეთ

გილოცავთ 70 წლის იუბილეს. ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ სულიერი სიმზკიცე და ჯანმრთელობა მოგცეთ თქმებ მიერ წამოწყებული იმ დიდი საქმის გასაგრძელებლად, რასაც საჯარო სივრცეში, საერო სასწავლებელში დგთის სიტყვის გავრცელება, მისიონერული საქმიანობა პქვია, რომელიც ასე ესაჭიროება ჩვენს ახალგაზრდობას და მთლიანად ერს.

დაგვლოცეთ მეუფეო ამ კეთილ საქმეში თქვენთან ერთად თანამონაწილეობისათვის და მრავალეამიერ...

დეკანოზი თეოდორე გიგნაძე



მეუფე ანანია, ლირსეულო მდვდელმთავარო

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სინოდის უხუცესო წევრო, გამოჩენილო მეცნიერო, გილოცავთ მუხთალ წელთა მატების შესანიშნავ შედეგს 70 წლის იუბილეს. თქვენი მნიშვნელობა ამ შეიდი ათეული წლის თვის კიდევ უფრო საჭიროა და დიდია, როგორც დედა ეკლესიისათვის და მისი მრევლისთვის, ისე სამეცნიერო საზოგადოების-თვის. საქართველოს ეკლესიის უძველესი კათედრის ხელმძღვანელო, თქვენი რუდულებით დაცული და განსრულებულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილებედრის ისტორია, რომელსაც მტრები ყველა მხრიდან უტევენ. თქვენი ლოცვით და სამეცნიერო კვლევებით ჩვენ გვაქვს წინააღმდეგობის მძლავრი იარაღი. ნუ მოუშალოს თქვენი თავი მრავალსა წელსა ჩვენს სამშობლოს და საქართველოს ეკლესიას.

იხარეთ ორთავე სოფელსა შინა!

წარმატებებს გისურვებოთ როგორც საეკლესიო, ასევე სამეცნიერო ასპარეზზე!

პატივისცემით ივანე გორგიძე, ოთარ წეროძე

* * *

უდიდესი ქრისტესმიერი სიყვარულითა და პატივისცემით, ვუდოცავ 70 წლის იუბილეს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვალსაჩინო მოღვაწეს, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს.

მადლობა მრავალმოწყალე უფალს, რომ წილად მხედა, გამეცნო მისი მაღალ-ყოვლადუსამღვდელოებობა. რომელმაც თვისი ჩვეული ქრისტიანული სითბოთი და თანადგომით წარმართა ჩემი სწავლა „ოეოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაზე.

არიან ადამიანები, რომელთაც უფლისებან განსაკუთრებული ტვირთის ზიდვა უწევთ, რათა მოიპოვონ, შეინარჩუნონ და გადასცენ მომავალ თაობებს, უფლის მიერ ბოძებული ტალანტები, რომელთა გამრავლებაც, უფლის, სამშობლოს და ადამიანთა სიყვარულში მსახურებაა.

როგორც ისტორია გვასწავლის, ყოველთვის იყვნენ, დღესაც არიან და მომავალშიც იქნებიან, ისეთი ადამიანები, რომლებიც, ქვეყნის იდენტობის სადარაჯოზე დგანან.

დვოის მსახურება, ხომ მრავალწახნაგოვანია და მასში გაერთიანებულია, წარსული, აწყმო და მომავალი. წარსული ისტორიაა, რომელიც გვაუწყებს დიდებული წინაპრების ქველ საქმეებს და მათი სწორად მოტანა აწყმოში, ესაა კავშირი მათთან და გაერთიანება ქველ საქმეებში. ესაა ერთსულოვნება ქრისტეში.

ისეთ დიდ საქმეს ემსახურება მეუფე ანანია, რომელმაც მრავალი თაობა გაზარდა, ჭეშმარიტების მაღიდებლად.

უფალმა მიმადლოს მრავალი წელი, სულიერი და ხორციელი სიძლიერე, რათა კვლავაც ქრისტიანულ-პატრიოტული სიმტკიცით განაგრძოს, უფლის მიერ ბოძებული ტალანტების გამრავლება.

დეკანოზი დვოისო სეხნიაშვილი



რწმენითა და მეცნიერებით საქართველოსათვის თავდადებული

2002 წ. მეუფე ანანიამ მიმიწვია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრაზე დათისმეტყველების კურსის წასაკითხად. ამ კათედრაზე რამდენიმე წლიანი ჩემი საქმიანობა დაუვიწყარია მეუფესთან ურთიერთობის დრო. მისი ბრძნული სიტყვა, დარიგება და რჩევა ყოველთვის გამოსადეგია ჩემთვის.

ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის ჩამოყალიბება დიდი მოვლენა იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უახლოეს ისტორიაში, რადგანაც ეს არის ერთადერთი კათედრა საქართველოს სახურავლო დაწესებულებებში, რომლის ხელმძღვანელია მღვდელმთავარი. კათედრის ლექტორთა უმრავლესობა სასულიერო პირია. ამ კათედრის არსებობა და მისი წარმატებული საქმიანობა მეუფე ანანიას დამსახურებაა.

მეუფე ანანია არა მარტო საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უძველეს – მანგლისის ეპარქიას უძვება, არამედ მართლმადიდებელი დათისმეტყველებისა და საქართველოს ისტორიაზე მომუშავე მეცნიერიცაა. მის ნაშრომებში ღრმად და საფუძვლიანადაა გამოკვლეული საქართველოს ისტორიის ესა თუ ის ნაკლებად ცნობილი მოვლენებიც კი. მის ნაშრომში ახლებურადად დანახული ბევრი ისტორიული ფაქტი. იგი გვაძლევს ამ ფაქტების მიუკერძოებელ და ნათელ განმარტებას.

ჩემი სტუდენტობის დროს, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როცა სადვოს-მეტყველო და ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი წიგნები ჯერ კიდევ იშვიათობას წარმოადგენდა, მეუფე ანანიას „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ I ტომი, ქსეროქსზე გადაღებული, ჩვენთვის იყო ეკლესიის ისტორიის ერთადერთი სახელმძღვანელო. ქსეროქსზე გადაღებული, რადგანაც საეკლესიო, საღვთის მეტყველო წიგნების ბეჭდვას მაშინდელი ათეისტური რეჟიმი ძლიერ აბრკოლებდა. ეს ნაშრომი დღესაც ჩემი სამაგიდო წიგნია.

მეუფე ანანია 70 წლისაა. ეს მეცნიერული კპლევის გაფურჩქვნის ასაკია, როცა მკვლევარი მთელ თავის დაგროვილ ცოდნას ქაღალდის ფურცლებზე გადმოიტანს და ერს მიუძღვნის.

ჩვენ ყველა მოუთმენლად ველოდებით მეუფე ანანიას ნაშრომებს დათისმეტყველებასა და საქართველოს ეკლესიის ისტორიაში.

მრავალუმიერ მეუფე!
დეკანოზი გორგი ჯიბუტი



მაღალყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო ანანია,

ქრისტესმიერი სიყვარულით და უდრმესი პატივისცემით მოგესალმებით მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ჭეშმარიტ თანამებრძოლს, წმინდა სინოდის წევრს, მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქიის მმართველს ჩვენი ერის გაერთიანებისათვის უშიშარ მებრძოლს, მშობლიური დედაეკლესიის თავდადებულ მკვლევარს და მოწიწებით გილოცავთ დაბადებიდან 70-ე წლისთვის, გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს დედასამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლასა და შრომაში.

მაღლობას მოგახსენებთ იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც თქვენ იჩენთ ჩვენი ახალგაზრდობისადმი მეცნიერების მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე.

ძვირფასო მეუფეო, არ მოკლებოდეს საქართველოს თქვენი სიბრძნე, რათა ასე მუხლჩაუხრელად დიდხანს გედგაწოთ ჩვენი ეკლესიისა და სამშობლოს სადიდებლად.

პატივისცემით შალვა ნაჭყებია

მეუფე ანანიას,

მიტროპოლიტს, მეცნიერს, ისტორიკოსს, მართლმადიდებელი ეკლესიის მემატიანეს საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დღეგრძელობას.

მაღლიურებით და პატივისცემით ჯუმბერ პატიაშვილი

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობაზ, მეუფეო ანანია!

დიდი მაღლობა თქვენ, რომელიც ყოველდღიური დაუდალავი შრომით ეწევით საქართველოსა და მისი მართლმადიდებლური ეკლესიის ჭეშმარიტი ისტორიის დადგენის უმძიმეს და ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეს, ხელს უწყობთ ამ დიდებული ეკლესიის გაძლიერებას და ეკლესიისაკენ ადამიანების შემობრუნებას, მათვის ღმერთთან მიმავალი გზის სწავლებას, სულის განმტკიცებასა და გასპერაკებას.

განუზომელია თქვენი დავწლი ჩვენი ახალგაზრდების სულიერი აღზრდის საქმეში მათვის საღვთისმეტყველო სასწავლო კურსების, სახელმძღვანელოებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებით, ჯგუფური და საჯარო ლექციებით თუ ინდივიდუალური საუბრებით, მათი სამეცნიერო მუშაობაში ჩაბმით.

გილოცავთ სახელოვან იუბილეს, რასაც თქვენ, მაღალი სულიერებით გაცისროვნებული, ტიტანური შრომით ხელდამშვენებული და ქრისტესმიერი თავმდაბლობით ხვდებით.

უფალს ვთხოვთ თქვენს დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას, რათა მეტი ნათელი მოპფინოთ ჭეშმარიტებას, გაისაროთ ჩვენი თანამემამულეების სულიერი ამაღლებით.

ჯუმბერ იოსებიძე, გორგი აბრამიშვილი,
ოთარ გელაშვილი, თორნიკე აფაქიძე



* * *

ბიბლიია ამბობს: მოვედით და შემომიღებით მე, და გუვნე თქვენ მესათხევლე კაცთა, ეს მადლი, რომელიც უფლიდან მოციქულებზე და მოციქულებიდან სასულიერო მოღვაწებზე გადმოვიდა თაობიდან თაობაზე უწყვეტლივ სრულდება და ამ მადლის მასობრივი გავრცელების მექანიზმი სწორედ რომ განათლების სისტემა გახდავთ, რომელიც პირველად ჩვენს უნივერსიტეტში, მსგავსად ევროპის უმრავლესი მოწინავე უნივერსიტეტისა, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ნებითა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით განხორციელდა.

უწყველივე ამის შედეგად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსდა რელიგიის ისტორიისა და ოეოლოგიის სახწავლო-სამეცნიერო ცენტრი, ხელმძღვანელად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ბრძნული გადაწყვეტილებით მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე დაინიშნა.

მეუფე ანანიას, მისი ცენტრის მოღვაწეობამ წარუშლები კვალი დატოვა უნივერსიტეტსა და თითოეულ ჩვენთაგანზე. განხორციელდა მისია, რომელიც ჩვენმა უწმინდესმა ილია მეორემ ბრძანა სტუდენტებთან შეხვედრისას – „თქვენ, აქ უნივერსიტეტში მოხვედით არა მარტო იმისათვის, რათა ცოდნა მიიღოთ, არამედ უნდა განმტკიცდეს თქვენი ზნეობა, თქვენ უნდა დაინახოთ, თუ რა არის მთავარი. ეს არის ჩვენი სულიერი, აულტურული, ზნეობრივი ფასეულობანი. თქვენი ცხოვრებით სულიერი ჯვარი უნდა შექმნათ. ვერტიკალური ძელი ამ სულიერი ჯვრისა არის სწრაფვა დვოისაკენ, პორიზონგალური კი – სწრაფვა ადამიანები სა კენ. სულიერი ჯვრის გამოსახვა თავისი ცხოვრების წესით – ადამიანის ცხოვრების უმთავრესი მიზანია.

ტექნიკურ უნივერსიტეტში 70 ათასზე მეტმა სტუდენტმა გაიარა სალექციო კურსები რელიგიის ისტორიისა და ოეოლოგიის მიმართულებით. ამავე დროს, მოგეხსენებათ, მიტროპოლიტი გახდავთ საქართველოს ისტორიის უდიდესი მკაფიოებელი, ხმალამოღებული იბრძის საქართველოს ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ. მისი შემოქმედება უფრადდებოდ არ დარჩენია კათოლიკოს-პატრიარქს და მისი ბრძანებით (ბრძანება № 76, 10 ივნისი 2009 წელი) საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია.

მეუფე ანანიამ შეძლო კოლოსალური ინფორმაციის გადამუშავება და გამოსცა მაღალი ღირებულების ისტორიოგრაფიული მონოგრაფიები არაერთი მიმართულებით. ამ შემოქმედების არეალი ფართოა. იგი მოიცავს ყველა იმ მტკიცნეულ საკითხს, რაც აწუხებს ჩვენს ერს, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, თურქეთის ქართულ ტერიტორიებს, აზერბაიჯანის შემადგენლობაში შესულ ქართულ ტერიტორიებს, მან დაამტკიცა, რომ ისტორიულად საქართველოს კელებული არეალი გახდათ გაცილებით ფართო, იგი მოიცავდა არა მარტო საქართველოს ისტორიულ მიწებს, არამედ ჩრდილო კავკასიის რეგიონებსაც. მის კვლევას როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს თან ახლავს ლოგიკურ ფაქტებზე აგებული მტკიცებულებანი და არა პატრიოტიზმზე აგებული დადადი. მეუფემ გაანა დგურა ქართიზაციის მცდარი თეორია, რომელიც მეფის რუსეთის პერიოდში დაბადა ქერობე პატრიოტიზმა და რომლის გავლენაც კომუნისტური მმართველობის პერიოდშიც აღორძინდა, განსაკუთრებით, იოსებ ჯულაშვილის გარდაცვალების შემდეგ.

უნივერსიტეტში მეუფის ხელმძღვანელობით შეიქმნა თეოლოგიისა და რელიგიის მიმართულებით სადოქტორო სკოლა და მისი ხელმძღვანელობით არაერთი დისერტაციაა დაცული. მეუფემ შექმნა გუნდი, რომელმაც მეუფის ხელმძღვანელობით დაიცვა და მისი წევრები ახლა თვითონ გაემლინებიან სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებად.



მეუფის თავკაცობით პრაქტიკულად შეიქმნა გუნდი, რომელიც გამოსცემს მაღალი ღირებულების ისტორიულ და თეოლოგიურ მონოგრაფიებს არა მხოლოდ ქართულად, არამედ რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამას რა უდიდესი მნიშვნელობაც აქვს ჩვენი სახელმწიფო ებრაული დასაცავად მოგეხსენებათ.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ მეუფე ანანიამ მთლიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრება, უფრო საინტერესო გახადა თითოეული სტუდენტისა და თანამშრომლის მოღვაწეობა, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განათლებასთან ერთად თითოეული ჩვენთაგანი გავხდით შემადგენელი ნაწილი ქართული ისტორიოგრაფიის, ამაღლდა ჩვენი ეროვნული შემეცნება და უფრო დავახლოვდით დმერთთან.

დიდხანს სიცოცხლე მეუფე ანანიას და ჯანმრთელობა ჩვენი ქვეყნის სადიდებლად, უფლის კაცი ბრძანდება და დიდი ეროვნული მოღვაწე.

ზურაბ გასიმაშვილი

ოწმენა მახვილი ნების ყოფა

„ეს მე ვარ – რწმენა მახვილი ნების ყოფა და ძალ-ღონება, ბეჭრი ქარიშხლის მხახველი, ბეჭრი გრიგალის გამგონება.“
გალაქტიონი

ისტორია გვასწავლის, რომ მიუხედავად კალენდარული წესრიგისა, მნიშვნელობის მიხედვით მოვლენათა აღწერისას სულ სხვა კალენდარი იხატება: ზოგი წამი საუკუნეს უდრის, ზოგი საუკუნე კი წადში აირბენს. ამიტომ ასაკი, დაწლმოსილი ადამიანის საქმეთა შესაფასებლად, არაფერს ნიშნავს. ზოგის 70 წელიწადში არაფერი მნიშვნელოვანი არ ხდება, ხოლო ზოგის 70 წელი საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეთა რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით მრავალი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას გადაფარავს. ამიტომაცაა, რომ მანგლელი მიტროპოლიტის პროფესორ ანანია ჯაფარიძის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრის, ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის, რეალური ისტორიის დამდგენი საპატიორეტო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის, ქართული უნივერსიტეტის ობიექტური ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის საიუბილეოდ მის ღვაწლზე უნდა ვისაუბროთ და არა წლებზე...

განსაკუთრებულად საინტერესო დროში მოუხდა მოღვაწეობა მეუფე ანანიას, დროში, როდესაც რამდენიმე წელი წადში გრანდიოზული ცვლილებები მოხდა ჩვენი სამშობლოს ყოფაში, და ისტორიკოსებს წინ არაჩვეულებრივი სამოღვაწეო ასპარეზი გადაეშალათ. დამოუკიდებლობა მოიპოვა საქართველომ, დაიშალა საბჭოთა კავშირი, გათავისუფლდა ეკლესია, გაისხენა რკინის ფარდა, გამომზეურდა მიჩმალული ისტორიული მასალა, მოიხსენა იდეოლოგიური ცენტურა, გაჯანსაღდა მეთოდოლოგია... ამ ყოველივესთვის აღდოს აღგა იმათ შეძლეს, ვინც ამგვარი ცვლილებებისათვის შინაგანად იყო მზად, ვისაც სწამდა, რომ სიმართლე და სინათლე უეჭველად გაიმარჯვებდა. ახალი ისტორიოგრაფიის მეკვლეთა შორისაა მეუფე ანანია ჯაფარიძე.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ საბჭოთა პერიოდში ძალიან მძიმე გზა გაიარა; იდეოლოგიური წესი და რუსიფიკატორული პოლიტიკა განსაკუთრებული ძალით სწორედ პუმანიტარულ დარგებს შეეხო; ეს ის ეპოქა იყო, როდესაც საბჭოთა რუსეთს ცარიზმის რუსეთივით ხელადებით აღარ შეეძლო ნაციონალური სკოლების აკრძალვა და არც ნაციონალური თემატიკის ოფიციალურად ჩახშობა ხელგწიფებოდა, რადგან მის მიერ მორ-



გებული ფსევდოდემოკრატიული, ფსევდოინტერნაციონალისტური და ფსევდოლიბერალური მანტია ამის საშუალებას არ აძლევდა. რესპუბლიკის სტატუსი ნაციონალურ სახელმწიფოებს საკუთარი განათლების სისტემისა და მეცნიერების განვითარების უფლებას აძლევდა (ცხადია, მუშაობდა უმკაცრესი რეპრესიული მანქანა, რომელიც სათავეშივე ახშობდა ეროვნულობის ყველა გამოვლინებას), რასაც, მიუხედავად ფარული დევნა-შევიწროებებისა, მანც, შეძლებისძაგვარად, იყენებდნენ სიმართლისათვის თავდადებულნი.

„დაშვებული“ ოქმატიკაც უმკაცრესად კონტროლდებოდა. იყო საკითხები, რომელთა შესწავლას საგანგებოდ აბრკოლებდნენ. ხოლო არქივები და ე.წ. „სპეციალური ფონდები“ საერთოდ მიუწვდომელი გახლდათ... ცენზურა ყველაზე მყაცრი მეცხრამეტუ-მეოცე საუკუნის თვემატიკის მიმართ იყო, თუმცა არც უშორეს წარსულს სწავლობდა, რადგან ტერიტორიების, საზღვრების, ეთნოგრენეზისის, ენის წარმოშობის, ენა-დიალექტების მიმართების, აგზოქთონი მოსახლეობის კინაობის, კულტურული თვითშეოფადობის საკითხები, ერთი მხრივ, გამოააშკარავებდა თვითმპურობელობის მიერ ისტორიის გამრუდებისა და გაყალბების მთელ პროცესს, მეორე მხრივ კი, აღმოჩნდებოდა, რომ ე.წ. „უფროს ძმაზე“ ძველი და ბრწყინვალე ისტორია სხვას ჰქონია, ეს კი მიუდებელი იყო რუსეთისათვის.

ცხადია, ამ სქემაში საერთოდ ვერ თავსდებოდა ქართველთა გაქრისტიანების, უძველესი ქართული ეპიგრაფიკული დაწერილობითი ძეგლების ღირსებათა პროპაგანდა, ქართული ქრისტიანობის მხსნელი მისია რუსეთისა და ვეროპის გადასარჩენად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ეკლესიის როლი ქართული კულტურის, ისტორიის, პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ვერც საბჭოეთის დიდმპურობელური ამბიციები, ვერც მისი ასიმილაციული პოლიტიკა და ვერც ათეისტური იდეოლოგია ვერ იგუებ და საქართველოს წარსულს. ამიტომაც მოხდა, რომ მთელი რიგი საკითხებისა ქართულმა ისტორიოგრაფიამ დაამუშავა ამ როგორის კითარების გათვალისწინებით, ხოლო მოვლენათა შეფასებისას იდეოლოგიურ და სახიფათო საკითხებს ან თავი აარიდა ან გაცილებით შერბილებულად გააშუქა ისინი, და უკეთესი დროისათვის გადადო მათი შესწავლა.

ღვთის მადლით, ჩვენში ყოველთვის იყვნენ მაღალი დონის პროფესიონალები და პრინციპული ადამიანები, რომლებიც „სწორ“ ისტორიას ემსახურებოდნენ და ახერ ხებდენ მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით მანც მიუღწიათ სიმართლემდე. მაგრამ დასამუშავებელი რჩებოდა მთელი რიგი მასალებისა და საკითხებისა, რომელთა გარეშე ჩვენი ისტორია სრული ვერ იქნებოდა... ამიტომაცაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამდენი ახალი ინფორმაცია „ამოვიდა“ ოდესდაც ტაბუდადებულ თემებზე; როგორც იქნა, საქართველოს ისტორიაში შევიდა საქართველოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა ეკლესიის ისტორია, და საქართველოს ეკლესიის მიერ საუკუნეთა მანძილზე გააზრებული და შეფასებული საქართველოს ისტორია.

პროფესორ ანანია ჯაფარიძეს 1994 წლიდან დღემდე 70-მდე დიდ ტანიანი მონოგრაფია აქვს გამოცემული, რაც ავტორის მიერ გაწეულ ტიტანურ შრომაზე მიუთითებს, და ამასთან ცხადყოფს, რომ ამ პერიოდში განვითარებული პოლიტიკური გარდატეხების გარეშე ეს საკითხები დღის სიხათლეს ვერ ეღირსებოდა; აი, რა თემების დამუშავება შეძლო მეუფე ანანიამ ამ 30 წელიწადში, ჩამოვთვლით მხოლოდ ზოგიერთს: ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიიდან იესომდე, ქართული ეკლესია XVII–XVIII საუკუნეებში, წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი. წმიდა მეფე ლუარსაბ II. მეფე თეომურაზის ბრძოლა ქართველობისათვის, ტყვეთა სყიდვა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (4 ტომი), „ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური რედაქცია, ქართველი ერის წარმოშობის შესახებ, საინგილო (ქართველთა გალეკება), მესხეთი (ქართველთა გამაჟმადიანება), ქართლ-კახეთი (ქართველთა გასომხება), ლაზეთ-თრიალეთი (ქართველთა გაბერძნება), ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისადებად. რეგიონალიზმი შეაფერებს ეროვნულ კონსოლიდაციას, ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხი სათვის (იოანე ლაზი), პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკო-



პოსი, პოლემიკა კათოლიკებთან (კათოლიკური პროტესტიზმის შესახებ), საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები, პერიოდიზაცია და საეკლესიო ისტორიოგრაფია, საქართველოს საეკლესიო კრებები (3 ტომი), წმიდა ნინოს ცხოვრება, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, საქართველოს დედაქლები „საკითხები ყმაშვილთაოვის“, შიდა ქართლი (ქართველთა გაოსება), აფხაზეთი (ქართველთა „გააფხაზება“), კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია, ენა და სახელმწიფო, დიპტიხი და დიასპორა. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული. ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ, სტრაბონი კოლხეთის შესახებ, ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობები, საქართველოს წმიდა სამოციქულო და მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები, ქალდეა (საეპისკოპოსოები ლაზიკაში), ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია, საქართველოს ისტორია საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით, სამეგრელო ლამბერტისა და ბოროტედინის აღწერით და სხვ.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მადალი საეკლესიო იერარქის გარჯა, სულიერი დვაწლი და უშუალო საღვთისმსახურო მოვალეობები უდიდესია, და გასაოცრად მმიმე ხდება ისტორიკოსის საპასუხისმგებლო სამუშაოსთან ერთად; ამ ტიტოს განსაკუთრებით ამძიმებს გარემოც, კერძოდ, მოღვაწეობა საქართველოს იმ კუთხებში, სადაც მართლმადიდებელი მოსახლეობის გვერდით სხვადასხვა კონფესიის ადამიანები ცხოვრობენ; მეუფე ანანია დაუდალავი და შეუდრევებელია აღმშენებლობასა და საგანმანათლებლო საქმიანობაში, მერყევთა მოქცევასა და ტანჯულთა ნუგეშში, მტკიცნეულ საკითხთა კვლევასა და პრინციპულ შეფასებაში...

მინდა გუსურვი ჩვენს ძეირფას მოძღვარსა და მეცნიერს, კალაგაც რწმენა მახვილი ნებისყოფით ევლოს და ულევად პქონდეს ძალა და შემართება საქვეყნო საქმეთა საკეთებლად.

მანანა ტაბიძე

„ქართიზაციის“ ანტიქართული თეორია და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის კვლევები

XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის იდეოლოგიის უპირველეს კერაში – პეტერბურგის უნივერსიტეტში – იშვა და საბჭოთა პერიოდში გაბატონდა მოსაზრება, რომ თითქოსდა, უძველესი დროიდან დღემდე არსებობს მხოლოდ სამი ქართველური ტომი სამი განსხვავებული ენით: ქართები, ზანები (მეგრელ-ჭანები) და სვანები; რომ თითქოსდა, უფრო ძლიერისგან – „ქართებისგან“ – მოხდა სხვა ქართველურ ტომთა ასიმილაცია – ქართიზაცია (ქ. პატკანიანი). ამ იდეოლოგიის გაგრძელებაა საქართველოს ეკლესიისათვის პროზელიტურობის დაბრალება – ზოგი მეცნიერის მიერ დასავლეთ საქართველოს გამოცხადება ბერძნულ-ბიზანტიური ეკლესიის ტერიტორიად.

ე.წ. სამი თუ ოთხი ქართველური ენის არსებობა იმთავითვე გამორიცხეს დიდმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა თუ მეცნიერებმა (წმიდა ილია მართალი, ნიკო დადიანი, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ვაჟა-ფშაველა, ბესარიონ ნიუარაძე, ივანე მარგიანი, წმიდა ამბროსი ხელაია, სილოვან ხუნძაძე, პეტრე ჭარაია, ივანე ჯავახიშვილი, თედო სახოვანი, კონსტანტინე გამსახურდია...), ქ. პატკანიანის გზა კი გააგრძელა მისმა მოწაფემ ნიკო მარმა, რის გამოც ნ. მარი მწვავედ გააკრიტიკა იკ. ჯავახიშვილმა, რომელმაც დაწერა:

„1908 წელს ნ. მარი ამბობდა, რომ იაფეტურ ენათა შტოს საუკეთესო და დამასიათებელ წარმომადგენლად „ქართულსა და მასთან მშერად დაგავშირებულ ცოცხალ



კილოკავებს გარდა, ესე იგი ეგრეთწოდებულ ქართებისა და იბერთა ჯგუფის (უკეთ რომ ითქას, ქართებისა, იბერთა [იგულისხმება მეგრულ-ჭანური] და სვანთა ჯგუფებს) გარდა, მკვდარი ენებიც შედიან“-ო (ნ. მარი, 1908, გვ. 1). მაშასადამე, იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, ნ. მარისთვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის „მმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები“, დიალექტები იყო მხოლოდ... ნ. მარის ზემომოვანილი დებულების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად იქნება გაოცებული, რადგანაც მისსავე 1912 წ. საჯაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში: „კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები“ იმავე ავტორი ამგვარ მსჯელობას შეხვდება: „ქართველთ-მცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობილი, უგულებელაჲოფლინებ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ., სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულის „დამახინჯებულ“ თქმად ანუ დიალექტად სთვლილენებიც... აგვირს დაგიწყებია, რომ ამგარივე „ნაციონალისტური“ შეხედულება მასაც პქონდა და 1905 და 1908 წლებში „მეგრული, ჭანური და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კილოკავებად მიაჩნდა... 1915 წელს კი წერდა: ქართველებს, მეგრელ-ჭანებს და სვანებს ენობრივად და ტომობრივად იმგვარივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც რუსებს, პოლონელებსა და ჩეხებს...“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992, 53-54).

სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდის მეცნიერება ნიკო მარის გზით წავიდა. „ქართიზაციის“ თეორიის კონტექსტში გაჩნდა საოცრად არაადეკვატური ფრაზაც: ქართი – ტომი ყლაპია (ნ. ბერძენიშვილი). დღემდე რუსეთის იმპერია კვაზი მეცნიერები (ცრუ მეცნიერები) საფუძველით საინფორმაციო ომს აწარმოებს ქართველი ერის დასახაწევრებლად და მთელ მსოფლიოში აგრცელებული ანტიქართული ეთნოლინგვისტური რუსები, რომლებმც ქართველთა გავრცელების არეალი რუსი მეცნიერების მიერ „დადგენილი“ ეწ. „ენობრივი ანკლავების“ მიხედვითაა დანაწევრებული.

„ქართიზაციის“ ანტიქართული თეორიის კრიტიკა პირველად წარმოადგინა მიტროპოლიტმა, პროფესორმა ანანია ჯავარიძემ; გამოკვლევაში: „დედა ეკლესია“ ის წერს: „ნ. მარისგან მომდინარეობს იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, პერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაციისა“ ანუ გაქართველების შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივე; სინამდვილებში კი, ძველი წყაროების თანახმად, მთიანეთის, კახეთ-პერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას „ქართიზაცია“ არ ესაჭიროებოდა, რადგან ძელთაგანვე (და ფარნაგაზის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრები, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები (მესხებსა და პერ-კახელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ეს ასე ესმის „ქართლის ცხოვრებას“, ძველ ქრონიკებს და ძველ ავტორებს... დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქრისტიანობამდე ყველა ქართულ ტომთათვის (სამეგრელოსა და სვანეთშიც) კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა... შესაბამისად, ამ ტომებს ქართიზაცია არ სჭირდებოდათ...“ (ა. ჯავარიძე, 1996, გვ. 195–197, 213, 215–216; იხ., აგრეთვე, ა. ჯავარიძე, 1998, გვ. 261–263; ა. ჯავარიძე, 2003).

ისტორიის მეცნიერებათა დოკტორის, პროფ. ანანია ჯავარიძის თვალსაზრისს ამყარებს წყაროთმცოდნებითი და ლინგვისტური კვლევების შედეგებიც; კერძოდ:

1. არცერთი ისტორიული წყაროს მიხედვით არ ჩანს ქართის ტომის არსებობის კვალი. ძველ უცხოურ თუ ქართულ წყაროებში ოცამდე ქართველური ტომის სახელი დასტურდება; შედრ.: ხეთურ, ასირიულ, ურარტულ, ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ, სომხურ და სხვა უცხოურ წყაროთა ჩვენებით II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულში საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქართველურ ენა-კავებზე მოლაპარაკე და, შესაბამისად, ქართველურად მიჩნეული შემდეგი ტომები: მუშქები/მესხები, დიაუხები/ტაოხები, კოლაელები, ტიბარები, იბერები/სასპერები, კორაქსები, პალიძონე-



ბი/ხალიბები, ხალ დები/ქალდები, მოსინოკები, მაკრონები, ფასიანები, ეკრიკტიკეს მცხოვრები, პენიონები, სანები/ჭანები, ლაზები, აბაზები /ობეზები, სვანები, სუანო-კოლხები, ამარანტები, ტუსკები, კახები, კუხები, პერები, ჯავახები, ფხოველები... როგორც ვხედავთ, არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში ერთ ტომს სახელად არ უდასტურდება „ქართი“.

2. წყაროებში დადასტურებულ ოცამდე ტომს შეუძლებელია პქონდეს ოთხი ენა. რაც მთავარია, დიდი ალბათობით, ქართველთა ისტორიული სამწიგნობრო ენა – ხანმეტი ტექსტების ენა და ეფუძნება ზოგად ქართულ საერთო ქართველურ ენას და არა – ჩვენთვის დღეს ცნობილ რომელიმე ქართულ დიალექტს, მაგ., ქართლ-კახურს. შესაბამისად, მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ქართული ენა ყველა ქართველური თემის შემოქმედება და დედაენაა. უეჭველია ისიც, რომ მეგრულ-ლაზურიც, სვანურიც და სხვა ქართველური ზეპირი კილოებიც ძველი (ხანმეტი) ქართული ენის მეორეული სახესხვაობები არიან და არა – დამოუკიდებელი ენები. შესაბამისად, არალოგიკურია ქართველთა სამი თუ ოთხი დედაენის არსებობაზე ლაპარაკი. მრავალი საუკუნეა ქართველ ერს აერთიანებს საქართველოს ეკლესიის ენა – ქართული სამწიგნობრო ენა, რომელიც თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა საქართველოს ყველა კუთხეში.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ლოგიკურია დასკვნა, რომ არცერთ ქართველურ ტომსა თუ თემს თავისი კუთხეური ენა თუ კულტურა არ გაუგრცელებია სხვა ქართველურ ტომებსა თუ თემებზე ანუ, სრულიად უსაფუძლოა ე.წ. „ქართიზაციაზე“ ლაპარაკი.

სავსებით დამაჯერებელია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მსჯელობა საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებაც; კერძოდ, მისი აზრით, საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი საქართველოს ეკლესიის პროზელიტურობის შესახებ ეწინააღმდეგება როგორც უცხოური წყაროების, ასევე, ძველ ქართულ წყაროებისა და რუს-ურბნისის ძეგლისწერის ცნობებს. წყაროების მიხედვით, ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს წმინდა ეკლესია იმთავითვე მოიცავდა დასავლეთ საქართველოსაც; იხ., მაგ., რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერა: წმინდა ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ხოლო ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ (დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 545).

მიტროპოლიტ ანანიასა და სხვა თანამედროვე მეცნიერთა კვლევების გათვალისწინებით, დღეს, საქართველოს დეოკუპაციის პროცესში, არსებითია, რომ საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი ინსტიტუციის მიერ აკადემიურად და დროულად დაიგეგმოს მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარება; კერძოდ, აუცილებელია:

- ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისა და უდიდესი მემკვიდრეობის – ქართველთა კუთხეური მეტყველებების (მეგრულის, ლაზურის, ხევსურულის, სვანურის, ტაოურის, თუშურის...) – შენარჩუნებისათვის სტრატეგიის შემუშავება;

- ქართველოლოგიის მიმართულებით ობიექტური კვლევების განხორციელება და ყველა დონის სასწავლო დაწესებულებაში სწავლების დაგეგმვა აკადემიური ქართველო ლოგიკური კვლევების მიხედვით;

- ქართველთა ენობრივ-ეთნიკური და სახელმწიფო ერთიანობის შესახებ მსოფლიოში ფართოდ გაგრცელებული არასწორი ინფორმაციების დაბალანსება; თანამედროვე ქართველოლოგიური კვლევების შედეგების მიწოდება საერთაშორისო სამეცნიერო თუ საენცილოპედიო წრეებისთვის, ობიექტური ეთნოლინგვისტური და ისტორიოგრაფიული რუკების საზღვარგარეთ გავრცელება და სხვ.

კულოცავ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს 70 წლის იუბილეს და ვუსურვებ ხანგრძლივ მოღვაწეობას როგორც ეკლესიის წიაღში, ასევე, ქართველოლოგიის მიმართულებით.



მის მაღალყოვლადუსამდგდელოესობას,
მანგლისისა და თეორიწყაროს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს

მეუფეო,

ჩვენთვის, საგვარეულოთა კავშირისათვის, დიდი პატივია მოგესალმოთ და მოგილოცოთ თქვენი ცხოვრების ესოდენ მნიშვნელოვანი თარიღი.

დიდია თქვენი დვაწლი, როგორც საეკლესიო, ისე საქართველოს რეალური ისტორიის სფეროში.

საგვარეულო მოძრაობა საქართველოს ისტორიის მცირედი, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი გვაუწყებს გვაროვნული წყობილება ოდითგან ქართული სახელმწიფოებრიობის მოწყობისა და სიძლიერის საფუძველი იყო.

ქართველთა ამქვეყნიური სამებაა მამული, ენა, სარწმუნოება, რომელსაც გვარიშვილობა, მამულიშვილობა და სახლი შვილობა ასაზრდოებს. ქართველი კაცი უპირველესად გვარისა და სამშობლოს პატრიოტია, ის გვარს ამშვენებს, გვარი სამშობლოს, საქართველო ლირსეულ გვართა და პიროვნებათა ქვეყანაა. თქვენი პიროვნების დგომა საგვარეულო მოძრაობის გვერდით ფასდაუდებელი იქნება ჩვენთვის.

მეუფეო, გილოცავთ 70 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, რათა კიდევ დიდხანს გედვაწო ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ. ფეხბეჭდინიერად გაგევლოთ შემდგომი ათწლეულები ასწლეულისაკენ.

დმურთმა ამრავლოს ჯაფარიძეების გვარი.

გაუ ნადირაშვილი

მეუფე ანანია იუბილარია

ყველამ ვიციო, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ყოველთვის გამოიჩეოდა მის წინაშე მდგარი ამოცანებისადმი ინოვაციური მიდგომებით და მაიც ტექნიკურ უნივერსიტეტში წმინდა ჰუმანიტარული, მით უმეტეს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მიმართულების დაფუძნება ბევრისათვის მოულოდნელი იყო.

მაგრამ განვლილმა წლებმა დაგვანასას, რომ თითქმის ოცი წლის წინ სწორი და, რაც მთავარია, აუცილებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული: შეიქმნა ჯერ თეოლოგიის კათედრა და შემდეგ თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ასევე სწორი და წარმატებული აღმოჩნდა, რომ ამ საქმიანობას სათავეში ჩაუდგა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მიტროპოლიტი მეუფე ანანია ჯაფარიძე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი ცენტრის შექმნა არა მარტო რეგიონში, არამედ ზოგადად უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კედლებში უპრეცედენტო მოვლენა გახდა.

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ინჟინრისათვის გარდა ტექნიკური, პროფესიული განათლებისა, აუცილებელია ეროვნული ფენომენის, სულიერი კულტურისა და ქრისტიანული ფასეულობების შეთვისება. სწორედ ამას ემსახურება ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი.

ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ვთანამშრომლობ რა ჩვენი უნივერსიტეტის თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან, კმონაწილეობ მის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და ჟურნალ „სვეტიცხოველში“, ჩემთვის დიდი პატივია, პირადად



მივულოცო ჩვენს საყვარელ ადამიანს, მეუფე ანანია ჯაფარიძეს დაბადების სამოცდამეათე წლისთავი.

ძვირფასო მეუფე ანანია, თქვენ ოცდათხუთმებ წელზე მეტია ბრძანდებით მღვდელ-მთავარი ჩვენი ქვეყნის მეტად მნიშვნელოვან რეგიონში და ასე ერთგულად, დიდი სიყვარულითა და, მე ვიტყოდი, ძალიან ლამაზად ემსახურებით მანგლისისა და თეთრი-წყაროს ეპარქიას, ზოგადად ქართულ ეკლესიასა და უმაღლეს ტექნიკურ სახწავლებელში ამკვიდრებო დვთის რწმენას.

გილოცავთ საიუბილეო თარიღს და გისურვებოთ ჯანმრთელობას, რათა ძალიან დიდხანს წარმატებით გააგრძელოთ თქვენი მეტად ნაყოფიერი საქმიანობა ტექნიკური უნივერსიტეტის კედლებში.

ნუგზარ იაშვილი

მეუფე ანანიას...

თქვენო მაღალყოვლადუსამდვდელოესობაგ, მოწიწებითა და უღრმესი პატივისცემით მოგილოცავთ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს თქვენ, ჩვენი დედა ეკლესიის ლირსეულ წევრს, სულიერ მამას...

ქართულმა ეკლესიამ ჩაუყარა საფუძველი ჩვენს ეროვნულ სულიერ და მატერიალურ კულტურას – ღვთისმეტყველებას, მწერლობას, მუსიკას, მხატვრობას, მეცნიერებას და ლირსეულად დაუმკვიდრა ადგილი მსოფლიო ცივილიზებულ ერთა შორის.

ქართული ეკლესია ქმნის ქართული ენის აწმყოს და მეოხეობს მის სულიერებას, ზნეობრიობას და განათლებასა და მეცნიერებასთან ერთობლივი ძალისხმევით ქმნის ჩვენი ქვეყნის მომავალს. ამ პროცესში აუწონავია თქვენი ღვაწლი და წვლილი თქვენო მაღალყოვლადუსამდვდელოესობაგ, რაზეც მეტყველებს თქვენი შთამბეჭდავი პედაგოგიური და სამეცნიერო მოდგრეობა.

ღმერთმა დიდხანს ნუ მოუშალოს ჩვენს საზოგადოებას, უნივერსიტეტს, კოლეგებსა და სტუდენტებს თქვენი მაღალი, ჭეშმარიტად მისიონერული მოღვაწეობა.

კვლავაც იღვაწეთ მრავალ წელს ჩვენი ქვეყნის მეოხად.

პატივისცემით,
თემურ ჯაგოდნიშვილი
ივანე ჯაგოდნიშვილი



ამაგდარი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიტროპოლიტი

გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართული საზოგადოების ცხოვრებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის აღსაყდრებამ. გამოწნდა ლიდერი, რომელმაც ურთულესი გზა დაისახა – ათეისტური კერპთაყვანისცემის პირობებში მყოფი, სახელმწიფოცნობიერებადაკარგული ქართველი ხალხის საქართველოს სამთარ, მის თვის ბუნებრივ განვითარების კალაპოტში დაბრუნება. ერში გაშლილად, დიდი მასშტაბით დაიწყო აბსოლუტური ზენობრივი ღირებულებებისა და სტანდარტების დამკვიდრება.

ამ ეროვნული ამოცანის რეალიზების საქმეში, მისი უწმინდესობის გვერდით, თავიდანვე გამოიკვეთა მაღალი რწმენისა და ღრმა განათლების მქონე მაშინ ახალგაზრდა, დღეს, ყველასთვის საყვარელი მეუფე და დაფასებული მეცნიერი, მანგლისისა და თეორიული მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამდველოესი ანანია.

რწმენისა და ცოდნის, სასულიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარმონიული შერწყმა, უდევი სითბო და სიყვარული – მეუფე ანანიას გამორჩეული თვისებებია. სწორედ თვისებებმა განაპირობა მისი წარმატებული მოღვაწეობა, როგორც საეკლესიო, ასევე სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ სარბიელზე.

ხალხის ათეისტური განწყობებისა და მასობრივად დაცემული ზენობის პირობებში უხდებოდა მეუფე ანანიას ათწლეულების განმავლობაში უარყოფილი საღმრთო ჭეშმარიტების ხელახალი ქადაგება თბილისისა თუ ალავერდის ტაძრებში, რაჭის, მესხეთისა თუ ქვემო ქართლის ეპარქიებში. დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად ყველგან დაატყო თავისი მაშენებელი ხელი. დაცარიელებული და გაუქმებული ტაძრები გულანთებული ქრისტიანებისა და პატრიოტებად ჩამოყალიბების კერძებად აქცია და მივიწყებულ ეროვნულ ტრადიციებს ახალი სიცოცხლე შთაბერა. ხელი შეუწყო გარკვეულწილად ნიპილისტურად განწყობილი საზოგადოებისთვის ეროვნულ ფასეულობათა მიმართ ინტერესის გადვივებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს მეუფის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. მან დაარღვია იმპერიულ-საბჭოური ისტორიოგრაფიის სტერეოტიპები. მთელი სიდიადით დაგვანახა საქართველოსა და მისი სამოციქულო ეკლესიის მრავალათასწლოვანი რეალური ისტორია, დიდი მამულიშვილების ღვაწლი. გახდა ჩვენი აწმეოს სულიერი მექანიზმი წარსულთან. კიდევ უფრო ღრმად გაგვააზრებინა საქართველოს საკაცობრიო მნიშვნელობა.

მეუფე ანანიამ დაარსა სასულიერო სასწავლებელები და საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს უმაღლეს სასწავლებელში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრა. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ ის არის რეალური ისტორიის დამდგენი საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე. განსაკუთრებით გვინდა გამოყოფ მეუფე ანანიას საზოგადოებრივი აქტიურობა. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში იყო და არის. ფაქტიურად, არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მეუფე ანანიას თავისი კომპეტენტური აზრი არ გამოეთქვა. მან გამოსცა მრავალი წიგნი და გამოკვლევა. მრავალი შრომა მიუძღვნა ქართული ენის დაცვის, საქართველოს ისტორიული კუთხეების ჭეშმარიტი წარსულის, საქართველოს ისტორიის დამახინჯებისა და ქართველო ფონის პრობლემებს.

უნდა გამოიყოს მეუფე ანანიას პუბლიცისტური წერილები მიძღვნილი განათლების სისტემის, რელიგიისა და მეცნიერების, ქართველი ხალხის ჩამოყალიბების, მისი კულტურისა და ეროვნული მისიის, ქართლიზაციის თეორიისა და ქართველების დექართველიზაციის, შედა ეროვნული კონსოლიდაციის დაწეარებისა და რეგიონალიზმის, როგორც მისი შემაფერხებელი გარემოების შესახებ და სხვა. გააანალიზა ქართველი ხალხისა და საქართველოს მოსახლეობის ეროვნული ერთობის საფუძვლები. ნათლად



წარმოაჩინა საყოველთაო გლობალიზაციის პროცესით დაძრული საფრთხეების გასანეიტ-რაღებლად, ეროვნული იდენტობის კულტურული და ცნობიერი კავშირის აუცილებლობა ისტორიულ ფესვებთან, ერთიანი ეროვნული ცნობიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან.

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი მეუფე ანანია ჩვეული გულისხმიერებით და შემართებით კვლავაც აგრძელებს თავის ნაყოფიერ მოღვაწეობას, რომელიც პარმონიულადაა შეზავებული მის პიროვნულ თვისე-ბებთან.

თქვენი მეუფებაგ, გვინდა შეგადროთ უღრმესი მაღლობა თქვენი დვაწლის გამო.

ჯანმრთელობას, გამდლეობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებო დვთის სადი-დებლად, სამშობლოს გასაძლიერებლად და ადამიანთა საკეთილდღეოდ!

უღრმესი სიყვარულითა და პატივისცემით მამუკა გორგაძე

სულიერ სიმაღლეთა აკადემიკოსი

მაღალყოვლადუსამღვდელოეს მეუფეს, მიტოპოლიტ ანანია ჯაფარიძეს საოცრად ნათელი და თბილი აურა დაჰყვება მუდამ. იგი იმ წმინდა მოსაგრე დიდ ქართველ ბერთა კომორტის გამგრძელებელია, რომლებმაც საყდრისეულ მეუდროებით და დვთისმოსაობით წმინდა წერილთა წიგნები აქმდე მოგვიტანეს, გადაგვირჩინეს ქრისტიანული ეკლესიის და ივერიის უძველესი ერის ისტორია. პირველი წიგნი მეუფე ანანია ჯაფარიძისა, რომელიც წავიკითხე 1995 წელს, არის – „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიანი იესომდე“, ერთი კვირა მონუსხული გვითხულობით ამ წიგნს... მერე სიონში და ანხისხატში მაცხოვრის და დვთის მშობლის ხატების წინ, ანთებული სანთლებით ვევედ რებოდი უფალს გადაერჩინა ერი ივერთა, მაღლობას ვწირავდი ამ წიგნის ჩემთვის მაშინ უცნობ ავტორს... დღეს ბედნიერი ვარ, რომ გამოჩენილი და გამორჩეული საეკლესიო მოღვაწის და დიდი მეცნიერის მეუფე ანანიას კურთხევით ჩემი ორი წიგნი გამოიცა „ძველი ანხისხატის ტაძარი ტფილისში“ და „კასპის ისტორია“.

21-ე საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მემა-ტიანეთუხუცესი, 39 წელი უმაღლესი საეკლესიო კვერთხის ღირსეულად მატარებელია, ქართველი ერის სულიერების და ქრისტიანული ცნობიერების გადასარჩენად არაერთ ფრონტზე სააკადისეული შემართებით მებრძოლი. მეუფე ანანია, არა მარტო ეკლესია-მონასტრებში აღავლენს სიტყვით წირგა-ლოცვას, არამედ მისი ბრწყინვალე წიგნებიც „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, „ქალდეა“ – საეპისკოპოსოები ლაზი-კაში“, „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში“, „ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩა-მოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი)“, „თეორია საქართველოს ეკლესიის პროზე-ლიტიზმის შესახებ“, „ალბანეთისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები“, „არიან ქართლი“ და სხვ. საქართველოს ფიზიკური და სულიერი საზღვრების დასაცავად აგებული ტაძრებია, ციხე-გალავნებია მტერთაგან აუდებელი დვთიური შუქით გაცისკროვნებული – ქართული სიტყვებით აგებული ბალავარია ჩვენი ქვეყნისა. სიტყვა ხომ ხატია აზრისა, მეტყველებითი ხატი უფლის სადიდებლად აღვლენილი...

ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა ღირსეულ სასულიერო მაღალ იერარქს ჩაგაბარათ საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის დაგენის უაღრესად საპასუხისმგებლო საქმის მესა-ჭეობა. თქვენ ბრძანდებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სას-



წავლო-სამეცნიერო ცენტრის პირველი ხელმძღვანელი და ერთ-ერთი დამფუძნებელი. თქვენთვის ეკლესია დედა, უფალი იესო ქრისტე მამა, ჩვენ თქვენი ცოდვილი შვილები ვართ მეუფეო...

დვორის შეწევნით კიდევ 70 წელი გეტარებინოთ ჯვარი უფლისა, როგორც დვორის-მოსაობით და შეუდარებელი მეცნიერული განათლებით განათებულ მადალ იერარქს! ჩემთვის სულიერი სიმაღლით უკვე აკადემიკოსებს!

სიყვარულით ვაუ ოთარაშვილი

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობაგ!

გულიოთადად გილოცავთ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს. თქვენ ათწლეულების განმავლობაში, უფლის ნებით, მხრებით ზიდავთ ქრისტიანული მსახურების სიმძიმეს, რამაც უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოგიხვეჭათ და რაც სახელმწიფო და საეკლესიო ჯილდოებით აღინიშნა.

უდიდესია თქვენი ღვაწლი ქართველების ეროვნულ-საეკლესიო სულისკეთების ამაღლების საქმეში, ჩვენი ისტორიის რთულ, გადამწყვეტ ეტაზზე, სამოქალაქო დაპირის პირებისა და აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით 2007 წელს უწმინდესმა პატრიარქმა ილია II-მ თავის ქადაგებაში ბრძანა: „მეუფე ანანიას მრავალი წეარო აქვს მითითებული საიდან ვართ, ვინ ვართ და ბოლოს-დაბოლოს სად მივდივართ“.

გვეამჟება თქვენი მღვდელმთავრობისას გაწეული შრომა ქართველი ერისა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, ვინაიდან თქვენი ძალის სმენითა და შრომით ამოქმედდა და აშენდა უამრავი ეკლესია და მონასტერი. 2001 წელს უფლის ნებით თქვენ შეძელით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის დაარსება, რომელსაც თეოლოგიის სახავლო-სამეცნიერო ცენტრი ეწოდა და რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობთ პროფესორის წოდებით.

მთელი სულითა და გულით მინდა გადაგიხადოთ მაღლობა თქვენი უდიდესი ინტელექტუალური შრომისათვის, თქვენ მიერ გამოცემული უამრავი წიგნის, გამოკლევისა და პუბლიცისტური წერილისათვის, რომელთა გაცნობაც არავის დატოვებს გულგრილს და უდიდესი სიმოვნება.

უფალმა დაგლოცოთ, მეუფეო, გისურვებოთ დღეგრძელობას. გადაწყვეტილება, რომ საკუთარი თავი მიუძღვნა ღმერთს, მოითხოვს დიდ სულიერებას, ვაჟკაცობასა და თავდადებას. ბედნიერი ვარ, რომ თქვენი სახით გვყავს მეუფე, რომელიც სიყვარულისა და თავმდაბლობის მაგალითია, თქვენი მოღვაწეობა კი დასტურია დვორისა და მამულის სიყვარულისა.

კვლავაც უხვად მოჰმადლოს უფალმა თავისი ლოცვა-კურთხევა თქვენს მსახურებას. მრავალ წელს გემსახუროთ ჩვენს სანუგეშებლად. გისურვებთ სიძლიერეს და მრევლის სიმრავლეს.

აღექსანდრე გრიგოლიშვილი



მაღალყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო,

გულიოთადად გილოცავთ 70 წლის იუბილეს, გისურვებთ დღეგრძელობას და დიდხანს სიცოცხლეს საქართველოს ეკლესიის ვრცელ გზაზე.

განუზომელია თქვენი დგაწლი ჩვენი ერის წიგნიერების ამაღლების საქმეში. თქვენ, როგორც საქართველოს ეკლესიის მწიგნობართუხუცესმა, დაუდალავი შრომით, ნაყოფიერი სამღვდელმთავრო და სამეცნიერო მოღვაწეობით, თქვენი ავტორიტეტული სიტყვით ბევრ ისტორიულ ფაქტს მოპონეთ ნათელი და საზოგადოებას ამცნეთ ჩვენი ქვეყნის წარსულის დღემდე უცნობი დეტალები.

შევთხოვთ უფალს მოგცეთ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, რომ ეს მძიმე ჯვარი დიდხანს ატაროთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ.

პატივისცემით გიორგი საღუპაშვილი

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობაგ,

დღეს, როდესაც ხილული თუ უხილავი ძალები უდირსი მეთოდებით ცდილობებს ჩრდილი მიაუენონ ქართულ მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, კიდევ უფრო რელიეფურად წარმოჩნდა საჭიროება საწმეოსთვის ისეთი მღვდელმთავრისა, როგორიც თქვენ ბრძანდებით.

სამწუხაროდ, ისტორიის მანიობზე, მცირედი ყოფილან, ვინც შეძლო მაღალი იერარქის მძიმე ჯვრის ტარებასთან ერთად, გამორჩეული მეცნიერიც ყოფილიყო.

თქვენს მიერ შექმნილი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, წიგნები პეტრე იმერზე თუ ლაზიკის საეპისკოპოსოებზე, ეგრისზე თუ მესხეთზე გახდავთ უდიდესი ცოდნისა და კომპეტენტურობის ხილული მაგალითი.

2001 წლიდან თქვენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დიდი წარმატებით განაგებთ თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს, სადაც აღიზარდნენ და დღეს დოკტორის ხარისხით მოღვაწეობენ უკვე ცნობილი სასულიერო პირები.

მეუფეო, უფალმა დაგლოცოთ, მრავალი წელი ბრძანდებოდეთ თქვენი სამწყოს საიმედო, ერის სადიდებლად.

მე კი ვიტყვი: *Primus inter Pares – პირველი თანასწორთა შორის.*

ზურაბ გამეზარდაშვილი

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობაგ!

ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ 70 წლის იუბილეს, გისურვებთ მხენებისა და დღეგრძელობას დედა ეკლესიისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დიდია თქვენი წვლილი სამღვდელმთავრო და სამეცნიერო საქმეში, რისი დასტურიცად არაერთი კვლევა და ნაშრომი, რომლებმაც მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი გახდა ხელმისაწვდომი ჩვენი საზოგადოებისათვის.

ჯანმრთელობა, სიკეთე და დღეგრძელობა თქვენ, სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

ლევან გოგიაშვილი



პროცესორი, მიზანობრივი ანალიზი

საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილო გაგპასიაში
(გაგრძელება, დასაწყისი იხ. ჟ. სვეტიცხოველი, 2017, 2; 2018, 1; 2018, 2; 2019, 1)

ნაწილი 2

თავი მეოთხე

ზელენჯუპ-არხიზის, სინტისა და შუანას ფაძრები ლიტერატურა

საქართველოს ამჟამინდელ საზღვართან, დაახლოებით 25-30 კილომეტრში მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიაში უმველესი გუმბათიანი ტაძრები ზელენჯუპ-არხიზი (3 ეკლესია), სენტისა და შუანაში.

ამჟამინდელი რესუელი (ჩრდილოკავკასიის ადგილობრივი) სამეცნიერო წრეები მიიჩნევენ, რომ ეს ეკლესიები აგებულია ალანების მიერ მე-10-მე-11 საუკუნეებში და ისინი შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანის ეპარქიის იურისდიქციაში.

აღსანიშნავია, რომ ამ მტკიცებისათვის პირდაპირი წყარო არ არსებობს. ეს მტკიცება მხოლოდ ვარაუდებზეა დაფუძნებული, თუმცა კი არსებობს პირდაპირი წყარო ჩრდილოეთ კავკასიის ამ რეგიონის საეკლესიო იურისდიქციასთან დაკავშირებით. კერძოდ, ესაა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურიდიული დოკუმენტი მე-16-მე-17 საუკუნეებისა – „ბიჭვინთის იადგარი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ისტორიულად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორია ყირიმის ქალაქ კაფადან (ამჟამინდელი ფეოდოსიადან) ლიხის ქედამდე შედიოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს, ანუ საქართველოს საპატრიარქოს, იურისდიქციაში. გარდა ამისა, მოღწეულია მე-16-მე-17 საუკუნეების ცნობა „ქართლის ცხოვრებაში“ (ოფიციალურ მატია-

ნები), რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნდა. ჩრდილოეთ კავკასიის მხარეები ჩერქეზეთისა და ოსეთ-ნახებეთის ჩათვლით შედიოდა ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში. ამავე დროს ამ ცნობაში მითითებულია სამართლის წყარო, თუ რა უფლების საფუძველზე შედიოდა სრულიად ჩრდილოკავკასია ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. ესაა მე-6 მსოფლიო-საეკლესიო კრების განჩინება (ნამდვილად მიიღო თუ არა მე-6 მსოფლიო კრებამ დაღენილება ჩრდილოკავკასიის საქართველოს ეკლესიაზე დაქვემდებარების შესახებ, ყველასათვის უცნობია. ამ კრებას სამართლებრივი დოკუმენტები წერილობითი სახით არ გამოუცია (როგორც ცნობილია, შემდგომი დროის ტრულის კრება შეეცადა შეევსო დანაკლისი და მე-5-მე-6 კრებების სამართლებრივი დოკუმენტები წერილობითი სახით გამოსცა, სადაც არ აისახა ეს საკითხი), არსებობს სხვა წყაროები, მაგალითად, მაღალაშვილისეული სახარების ცნობილი მინაწერი, და რაც არსებითია, უხვი მატერიალური მასალა ქართული საეკლესიო წარწერების სახით.

აღნიშნული ეკლესიები ქართული საეკლესიო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მემკლებია, სწორედ ასეთი არქიტექტურით უამრავი ეკლესია ნაგები აფხაზეთ-გურია-სამეგრელოში, ქართლ-კახეთისა თუ მესხეთ-ტაო-კლარჯეთში.

ამასთანავე, ამ ეკლესიათა ირგვლივ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა



ამ ეკლესიებს უწოდებს „ქართულ ეკლესიებს“. მაგალითად, სენტისა და შუანას ეკლესიების მომცველი მიწა-წყალი ბოლო საუკუნეებში დასახლებული იყო აბაზებით (აბაზების ტომით). მათ ენაზე „შუანას ეკლესია“ ნიშნავს სვანების ეკლესიას. ასევე შუანას ტაძართან ახლახან დასახლებული ოსები შუანას ტაძარს „სვანების ეკლესიას“ უწოდებდნენ. მართლაც, ტერიტორიულად სვანეთი აქვთ სულ 10-15 კილომეტრითაა დაშორებული.

აღსანიშნავია, რომ ლავროვის კალევით, ამ რეგიონიდან მე-18 ს. ბოლოს სვანები გააძევეს ყაბარდოელებმა. ამის მიუხედავად, კალევათა მიხედვით, მე-19 საუკუნის შუა წლებამდეც შუანას მომცველი ეს მხარეები ე.წ. თავისუფალ სვანეთს ემეზობლებოდა.

დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, თავისუფალი სვანეთი, ძალის გამოყენებით გააუქმა რუსეთის იმპერიამ აღნიშნულ დროს და დასჯის მიზნით შეამცირა მისი საზღვრები ჩრდილოეთის მიმართულებით. ამის შედეგად სვანებმა დაკარგეს ის გადასახადი, რომელსაც მათ მიწებზე დასახლებული ყარაჩაელები უხდიდნენ მათ (იხ. ქვემოთ). მე-18 საუკუნეში აქ მოგზაურმა უცხოელმა მკალევარმა დააფიქსირა, რომ აღნიშნული ეკლესია ჯერ კიდევ მოქმედი იყო. ფაქტობრივად, სენტისა და შუანას (შოანას) ტაძრები მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაკარგეს სვანებმა, რადგანაც ეს მიწები ამჟამინდელ პუნქტზე ნიუნი თებერდას (სადაც სენტისა და შუანას ეკლესიებია) ჩათვლით, ისტორიულად სვანების ტერიტორია იყო. 1943 წელს მოჩვენებითად სამართლიანმა საბჭოთა რუსეთის იმპერიამ ეს ტერიტორია დაუბრუნა სვანებს. მოსკოვის ბრძანებით ის შეიყვანეს მესტიის რაიონში. რაც აისახა შესაბამის ბრძანებაშიც კი (იხ. ქვემოთ), თუმცა 1956 წელს უკანვე წართვეს.

რაც შეხებათ ზელენჯუკ-არხიზის ეკლესიებს, ისინი სულ 40-60 კილომეტრით არიან დაშორებული აფხაზეთის ბიჭვინთიდან, უძლიერესი ქართული საეკლესიო ცენტრიდან. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ბიჭვინთის საკათალიკოსოს სამართ-

ლებრივი დოკუმენტი ამ ტერიტორიას (დასავლეთ ჩრდილოკავკასიას, ზელენჯუკ-არხიზის ეკლესიების ჩათვლით) ვიდრე ყორიმის კაფამდე აფხაზეთის საკათალიკოსოში შემავალად თვლიდა. აფხაზეთის კათალიკოსი თავის ტიტულატურაში აღნიშნავდა, რომ ის „ეკლესია ჩრდილოეთის“ კათალიკოსი იყო. „ეკლესი ჩრდილოეთის“ უქმანისა და დონისპირეთამდე მდებარე ტერიტორიებს გულისხმობდა.

ზელენჯუკ-არხიზის, სენტისა და შუანას ეკლესიები მოხატული იყო მოხატვის კანონიკური წესების შესაბამისად, რაც ესაჭიროება მართლმადიდებლურ-ქალკედონურ ლიტურგიის წესს, ანუ აქ აღესრულებოდა ქალკედონურ-მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა. ისმის კითხვა: რომელ ენაზე? ლიტურგია ალანურ ენაზე არ აღესრულებოდა. ასევე არც სხვა უმწერლობი ადგილობრივ კილო-დიალექტებზე, აქედან გამომდინარე, აქ წირვა-ლოცვა ბერძნულად ან ქართულად აღესრულებოდა, საეკლესიო იურისდიქციის შესაბამისად. თუკი ეს ეკლესიები იყო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, მაშინ ფრესკებზე ოფიციალური წარწერები ბერძნულად შესრულდებოდა, ხოლო თუ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, წარწერები შესრულდებოდა როგორც ბერძნულად, ისე ქართულად. ქართული ეკლესია ბერძნულ მიიჩნევდა ქრისტიანობისა და ქალკედონიტური აღმსარებლობის ერთერთ სიმბოლოდ. ამიტომაც გვხვდება, მაგალითად, ქართული ეკლესიის უმთავრეს სკეტიცხოვლისა და სხვა ეკლესიებში ბერძნული წარწერები.

სამწუხაროდ, შეუსაბამო პოლიტიკური ვითარების გამო ქართველ მკალებრებს არ პქონდათ საშუალება უშუალოდ შეესწავლათ ამ ეკლესიათა წარწერები, მაგრამ რუსი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ამ ეკლესიებში და იქაურ არტეფაქტებზე არის ბერძნული, სომხური, ქართული, ძველრუსული და ძველალანური წარწერები ან მათი ნაკვალევი. თუ ასეა, ეკლესიათა იურისდიქციის განსაზღვრისათვის სომხურ წარწერებს მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოთ. ამ რეგიონში სომხუ-



რი ეკლესიის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, მით უმეტეს, ქალკედონურ ეკლესიებზე. ძველი ალანური წარწერები შეუძლებელია ეკლესიების ფრესკებზე რომ იყოს, რადგანაც ასეთი დამწერლობის არსებობა საერთოდ პიპოთეზურ სფეროს განეკუთვნება. საფიქრებელია, რომ ქართული ასომთავრული ანდა ხუცური ასოები მიჩნეული იქნა ან სომხურად ანდა პიპოთეზურ – გ.წ. ძველადანურად.

აღინიშნება, რომ ერთ-ერთ ეკლესიაში ნივთზე აფხაზთა მეფე ლეონ III მოიხსენიებოდა. აფხაზთა მეფეები ოვითონ იყვნენ აქტიური მრევლი და, ამასთანავე, საერთო მეთაურები აფხაზეთის საკათალიკოსი, რომელიც ქართულებროვანი იყო და ქართული ეკლესიის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა ქართლისა და ხუნძეთის საკათალიკოსოებთან ერთად.

ორი საეკლესიო ერთეული (კონსტანტინოპოლის საპატიოარქო და აფხაზეთის საკათალიკოსო) ამ რეგიონში უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიოარქი ნიკოლოზ მისტიკოსი მრავალ საველრეგელ წერილებს წერდა აფხაზთა მეფეებს, რათა მათ ხელი შეეწყოთ ამ მხარეებში ალანიის საქმისკოპოსო კათედრის დაარსების საქმისათვის, მაგრამ აფხაზთა მეფეებმა ასეთი დახმარება არ განახორციელებს, პირიქით, ალანიის ეპისკოპოსები გაძევებულ იქნენ ალანიდან, აფხაზეთ-დასავლეთ საქართველოდან, და, საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიოდან და ამის გამო კონსტანტინოპოლი იძულებული შეიქმნა ალანთა ეპისკოპოსისათვის კათედრა მიეცა ტრაპეზუნტიან ახლოს სოტირიოპოლში და შემდეგ, იქვე, ერთ-ერთ მონასტერში.

ჩრდილოკავკასიის ამ რეგიონში კონსტანტინოპოლის საპატიოარქოს დასაყრდენი აღარ გააჩნდა, და პირიქით, ჩრდილოკავკასიაში აფხაზეთის საკათალიკოსო ძლიერდებოდა. ჩრდილოკავკასიის ახალი მრევლი ყირიმამდე – კაფა-მდე – მის ინტერესის სფეროს შეადგენდა. ამ მიზეზის გამო აფხაზეთის საკათალიკოსოს საპატიოარქო ცენტრად გამოცხადდა ბიჭვინთა – ჩრდილოეთ კავკასიის უშუალო კარიბჭესთან, თუმცა თავისუფ-

ლად შეიძლებოდა ამ ცენტრის დაარსება სამეფოს ცენტრ – ქუთაისში, ანდა საეკლესიო ცენტრ – ჭყონდიდში. ამ ეტაპზე აფხაზეთის საკათალიკოსოს მიზანი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული წესრიგის დამყარება-დაფუძნება. ამ მიზეზის გამო, როგორც აღინიშნა, ჩრდილოკავკასიის უახლოეს პუნქტ ბიჭვინთაში მოეწყო საკათალიკოსო ცენტრი. ამ არეგებში ერთი საეკლესიო ცენტრის პრინციპიდან გამომდინარე, ალანიის საეპისკოპოსო კათედრისათვის ადგილი არ აღმოჩნდა. როგორც აღინიშნა, ასეთი ტრაპეზუნტიან დაარსდა, მის იურისდიქციაში, როგორც ალანიის მიტროპოლიტის საეპისკოპოსოთა ნუსხა აჩვენებს, აღმოჩნდა ალანების მამაპაპეული ტერიტორიები – დონ-დნეპრისპირეთი ყირიმის ჩათვლით. მე-6 ს-ში ლაზიკის ომებისას ალანები ბიზანტიელთა მიერ საპარსელთა წინაძმდება საბრძოლველად მოწვეული ხალხი იყო. მე-10–მე-11 საუკუნეებისათვის ისინი კავკასიაში გარკვეულ ტერიტორიებს ფლობდნენ. ვახუშტის ცნობით, აფხაზეთის ერთ ნაწილს, მოცეცულს კლისურა-კელასურსა და ბზიფისწყალს შუა, ერქვა აფხაზეთის ალანია. სწორედ აქ მდგბარეობს ბიჭვინთა, ანუ ბიჭვინთის საკათალიკოსო ცენტრი ალანიაში (აფხაზეთის ალანიაში). ჩანს, იქამდე, სწორედ აქ, ზღვაზე გამავალ აფხაზეთის ალანიაში გეგმავდა კონსტანტინოპოლის პატრიოარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ალანიის ეპისკოპოსებისათვის საეკლესიო კათედრის შექმნას, ოდონდ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, მაგრამ, ბერძნული საეპისკოპოსოს ნაცვლად აქ აფხაზთა მეფეებმა ქართული საკათალიკოსო ცენტრი დაარსეს.

ვახუშტის ცნობით, აფხაზეთის საერთოსთავო იწყებოდა ბზიფისწყალიდან და ანაკოფიიდან ვიდრე მცირე ხაზარეთის მდინარემდე, ანუ უუბანამდე. უუბანის შესართავთან ახლოა კაფა, აღსანიშნავია, რომ არქანჯელო ლამბერტი კაფას მიიჩნევს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრად, სადამდეც ვრცელდებოდა ქართული საეკლესიო კულტურა. ის წერს: „საქართველოს სამეფო მიდიოდა კაფამდე, რომელიც ხერსონესშია. ამ მხრით საქარ-



თველოს სამეცნ თავის სამფლობელოებში მოიცავდა აფხაზებს, ანუ აბასებებს, ჩერქეზებსა და ჯიქებს. ამის ცხადი კვალი დღესაც მოიპოვება აქ. აფხაზებისა და ჯიქების ქავენებში მშვენიერი ტაძრები დგანაან ქართულად აშენებული და ქართული ზედწარწერებით“ (ა. ლამბერტი, სამეცნლოს აღწერა, 2011, გვ. 30). არხიზ-ზელენ-ჯუკის ტაძრები, სენტი და შუანა სწორედ ამ არებშია. შესაბამისად, ისინი ა. ლამბერტის ქართულ ეკლესიებად მიაჩნდა.

აფხაზთა საერისოთავო (და არა აფხაზთა სამეფო), ვახუშტის ცნობიდან გამომდინარე, მოიცავდა ზღვისპირეთს ყუბანაძმე, მონდოლების შემოსევამდე მის აღმოსავლეთით განვრცობილი იყო ქვეყანა ალანია.

რუსული მონასტრები ზელინჯუკ-სინტ- პოლის (შუანას) ეპლისიებთან

რუსულმა ხელისუფლებამ კავკასიის
დაპყრობის შემდეგ მდ. ზელენჯუკის ხეო-
ბაში შემორჩენილ მშენებიერ გუმბათიან
ქართული სტილით ნაგებ გალესიებთან
დააარსა მონასტრები, ფილიალები ათო-
ნის რუსული მონასტრისა (АЛЕКСАНДРО-
АФОНСКИЙ ЗЕЛЕНЧУКСКИЙ МУЖСКОЙ
МОНАСТЫРЬ).

სამი მშენებერი ჯვარგუმბათოვანი ეკლესია მდებარეობდა ყარაჩაი-ჩერქეზეთ-ში მდ. ზელენჯუკის მარჯვენა სანაპირო-ზე, სოფელ არხიზთან ახლოს, სადგურ ზელენჯუკიდან 22 ქმ-ში.

აფხაზეთის ახალი ათონის მონასტერი მე-19 ს-ის 80-იანი წლებიდან რუსი ბერების ხელში იყო. ისინი ძალზე ნეგატიურად იყვნენ განწყობილი ქართული ეკლესიის მიმართ, რომელმაც იმ დროს მოითხოვა ადდგენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა მოელი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, და, მასასადამე, აფხაზეთშიც.

ავტოკეფალიის მოთხოვნამ ურთიერთობა დაძაბა რუს და ქართველ სასულიეროთა შორის, რამაც შემდეგ ეგზარქოსის

მკვდელობაც კი გამოიწვია. ყოველივებ
ძალზე გაანაწყენა იმქამინდელი რუსული
ეკლესია. საქართველოში დაწყებულმა ავ-
ტოკეფალიისაკენ მიმართულმა პროცესმა
აღაშვილთა ახალი ათონის მონასტრის
ხელმძღვანელობა და რუსი ბერები. ეს
კარგად ჩანს წიგნიდან, რომელიც მათ მე-
19 ს-ის 90-იანი წლების ბოლოს გამოსცეს
(И. Н. (Арсений (Минин)), „Абхазия и в ней
Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь“ – М., 1899). მასში აღწერილია
ახალი ათონის მონასტრის ისტორია.

ამ წიგნში უარყოფილია ქართული ეკლესიის რაიმე უფლება აფხაზეთში. და-მახინჯებულია ვაქტები, გამოხატულია სურვილი და მოწოდება, გააქრონ აფხა-ზეთში ქართული ეკლესიის ყოველგვარი ისტორიული ნაკვალევი.

ამ სულისკვეთებით განწყობილმა ბერებმა მალევე ხელში ჩაიგდეს ზელენ-ჯუკის მონასტერი. მათ ამ მონასტრებში ქართული ნაკვალევი წაშალეს ოქსტავრაციის მომიზეზებით, ანუ ფრესკებიდან ქართული წარწერები ამოშალეს, წარწერიანი ქვები მოსხავს და სხვა. ამ ვანდალიზმს აღიარებებენ თვით ამჟამინდელი მეცნიერები.

მაგალითად, ამ რეუს ბერებს ადგილ-ზე დახვდათ ზელენჯუკის შეა ტაბარი თავისი შესანიშნავი ფრესკებით. რესტავრაციის მომიზეზებით მისი ქართული ფრესკები სრულიად მოსპეს 1899 წელს. ამ ფრესკებს ახლა ბიზანტიურად მოიხსენიებენ.

თვითმებვე წერებ: „Реставрация „сред-
него“ храма, при к-рой были уничтожены
древние фрески визант. школы, была завершена
на к 1899 г“

(<http://www.pravenc.ru/text/64470.html>).



რაც შეეხება მთავარ, ზელენჯუკის ჩრდილოეთის ტაძარს, რუსი ბერები აქაც დაუნდობლები იყვნენ.

ზელენჯუკის ეს ტაძარი ლიხნის ტაძრის სრული ასლია. ამის მიზეზია ის, რომ ის აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა. აქაც რუსმა ბერებმა მოსპეს ძველქართული ნაკვალევი მისი „აღდგენის“ დროს. ამის გამო შემდგომი საუკუნის რესტავრაციულებმა აქ ქართული წარწერები ვერ ნახეს, მაგრამ აქ ფრესკებზე მათ აღმოაჩინეს ბერძნული წარწერები. ცხადია, ისინი ვინც ვერ ამჩნევს ლიხნშიც კი ქართულ წარწერებს, მას ვერც ზელენჯუკში აღმოაჩინეს.

თუმცა, მიუხედავად ამისა, თანამედროვე ისტორიკოსებმა გააკეთეს კარდინალური დასკვნა, რომ ეს ეკლესიები თითქოსდა შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიაში და, კიდევ უფრო მეტი, ზელენჯუკის ჩრდილოეთის ტაძარი იყო საკათალიკო ტაძარი ალანიის მიტროპოლიტებისა (Бывш. кафедральный храм Аланских митрополитов („северный“ храм во имя свт. Николая) оставался в руинах, сохранив небольшие фрагменты визант. фресок с греч. надписями (на самой отчетливой из них прочитывалось: „Святой Николай, покровитель Аспе“).

(<http://www.pravenc.ru/text/64470.html>).

ეს დასკვნა არ ეფუძნება არავითარ წყაროს. საეკლესიო არქიტექტურა მთლიანად იმეორებს აფხაზური, ანუ ქართული ტრადიციული საეკლესიო არქიტექტურის სტილს. ის აფხაზთა მეფების ნაგებია. მთელ საქართველოში სწორედ ჯვარგუმბათოვანი სტილის ეკლესიებს აგებდნენ.

ამ რეგიონში ჯვარიც აღმოჩნდა ლეონ აფხაზთა მეფის სახელის წარწერით.

ჩვენი კვლევით, ამ ეკლესიების რეგიონი, მას შემდეგ, რაც ბერძენი სასულიერო პირები ალანთა მეფეებმა აქედან გააძვეს, არაბული წყაროს ცნობით, შევიდა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში, მით უმეტეს, რომ აქედან სულ რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს ბიჭვინთის საკათალიკოსოს ცენტრი.

აფხაზეთის კათალიკოსი კი, წყაროს ცნობით, „ეოვლისა ჩრდილოეთისა“ კატალიკოსი იყო, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ მის იურისდიქციაში შედიოდა ზელენჯუკ-არხიზის ჩრდილოეთი მდებარე ვრცელი მიწა-წყალი ვიდრე კაფამდე (ყორიმის ფეოდოსიამდე), რასაც არქაზჯელო ლამბერტიც ადასტურებს.

ამასთანავე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდის განჩინებით, ალანიის ეპისკოპოსებს მე-11 საუკუნეში საკათედრო ქალაქად განესაზღვრათ ქალაქი სოტიროპოლი ტრაპეზინგის ლაზიკაში, ანუ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე. მიზეზიც იქვე განმარტებული. ალანები ნომადი, ანუ მომთაბარე ხალხი იყო, მწევმსური ცხოვრებით მცხოვრები, არ იყვნენ ერთ ადგილზე დამაგრებულნი და ქალაქები არ გააჩნდათ, მათ შორის არც თავისი ეპისკოპოსის კათედრისათვის (ეს საკითხი თავისი შესაბამის წყაროების მოშევლიერით განხილულია ამავე ნაშრომში, თავში „ალანია“).

ამასთანავე, არქეოლოგები ადასტურებენ, რომ ზელენჯუკ-არხიზ-სენტ-შოანას რეგიონში ამ პერიოდში, მე-11-მე-14 საუკუნეებში, არსებობდა გრანდიოზული ციხე-ქალაქებიც, ნაქალაქარებიცა და შესანიშნავი გუმბათოვანი ეკლესიებიც. ამიტომაც კონსტანტინოპოლის წმიდა სინოდის ცნობა არ არის სანდო, რომელიც ამტკიცებს ნომადების ალანიაში ქალაქების არარსებობას, ანდა მომთაბარე ალანების ეპარქია აქ, მთებში, კი არ მდებარეობდა, სადაც არ არის შესაბამისი საძოვრები, არამედ სტეპებში, გაშლილ ველ-მინდვრებზე, სადაც, საერთოდ, ნომადები აძოვებენ საქონელს.

ამასთანავე, არქეოლოგების კვლევით, ზელენჯუკ-არხიზ-სენტ-შოანას რეგიონში საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანული წესით ცხოვრობდა მიწაზე მიმაგრებული მკვიდრი მოსახლეობა და ამ ეკლესიებში ლოცულობდნენ.

ასე რომ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდის ცნობის შესაბამისად, ალანიის ეპარქია მდებარეობდა სტეპებში.



სხვა წევაროთა ირიბი ცნობები მიუთითებს, რომ ალანის ეპარქია მდებარეობდა ყირიმის აღმოსავლეთით დონის სტეპებში, სადაც არქეოლოგების დასკვნით, აღნიშნულ პერიოდში, მე-11-მე-14 საუკუნეებში, ნამდვილად არ არსებობდა ქალაქები.

აქედან გამომდინარე, ზელენჯუკის ჩრდილოეთი ტაძარი შეუძლებელია ფოფილიყო ალანის მიტროპოლიტის ანდა ეპისკოპოსის საკათედრო ეკლესია.

ჩემი აზრით, მაგლევრების დაბნევა გამოიწვია კონსტანტინოპოლის პატრიარქის წერილებმა აფხაზთა მეფეებისადმი, რომ ისინი დახმარებოდნენ ალანის ეპისკოპოსს. თხოვნის შესრულება არ შეეძლოთ აფხაზთა მეფეებს, რომელიც ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს საერთ-საგარეო მეთაურები იყვნენ. მათ ამ რეგიონში თავიანთი საეკლესიო ინტერესები უნდა გაეტარებინათ.

კავკასიის ალანის ნაწილი, ვახუშტის ცნობით, მოიცავდა აფხაზეთის ერთ მონაკვეთს კელასურიდან ბზიფამდე, აგრეთვე მის უშეალო მოსაზღვრე ჩრდილოეთ კავკასიის იმ ნაწილს, სადაც აღნიშნული ეკლესიებია. ამიტომაც ამ რეგიონის გადაცემა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში ძლიერ დააზარალებდა აფხაზეთის საკათალიკოსოს ინტერესებს, მით უფრო, რომ ამ საკათალიკოსოს ცენტრი მე-10 საუკუნეში დაფუძნდა აღნიშნული მდინარის, ბზიფის, სანაპიროზე.

საკათალიკოსო ცენტრთან ახლოს უცხო ეკლესიის იურისდიქციის დამყარება მიუღებელი იყო.

ჩანს, ამ მიზეზის გამო აფხაზთა მეფეებმა მოიშველიერ დიპლომატია და დახმარება სთხოვეს ალანთა მეფეებს. ამ თხოვნის საფუძველზე ალანთა მეფეებმა კონსტანტინოპოლის სამდვიდელოება გააძვეს კავკასიის ალანიდან. ახალმოქცეული ხალხი კავკასიის ალანისა და აფხაზეთის ალანია შევიდნენ ბიჭვინთის იურისდიქციაში. ამ იურისდიქციას საფრთხე დაემუქრა მას შემდეგ, რაც დემეტრე უფლისტულმა (საქართველოს მეფის გიორგი პირველის ძემ) ანაკოფია მოდალატეობრივად

გადასცა ბიზანტიას, მაგრამ საქმე მოგვარდა და ეს რეგიონი 40 წელიწადში დაუბრუნდა საქართველოს სახელმწიფოს. ასე რომ, კავკასიის ალანია და მისი მონაკვეთი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ აფხაზეთის ალანიას, მთლიანად დაექვემდებარა საქართველოს საეკლესიო ოურისდიქციას. ეს ოურისდიქცია გაგრძელდა თემურ-ლეჩის შემოსვებამდე. ოუმცა აქ წირვა-ლოცვა მე-18 საუკუნეშიც დაფიქსირდა. რუსებს მე-19 საუკუნის დასაწყისში აქ დახვდათ მოვლილი, მოხატული და გადახურული შესანიშნავი ეკლესიები. სამწუხაროდ, ეს ეკლესიები მთლიანად გააოხრეს რუსის ბერებმა უტიფარი რემონტებით.

მე-19 ს-ის ბერებმა ეკლესიების ძველი ნაგებობების ქვებით თავიანთი საცხოვრებელი კორპუსებიც კი აიშენეს.

(Трудами наследников из камней древних построек были сложены 3 двухэтажных и 3 одноэтажных корпуса, в которых разместились братские кельи, к 1904 г. построен большой двухэтажный каменный. В окрестностях были устроены десятки келий.

<http://www.pravenc.ru/text/64470.html>).

ზელენჯუკის ძველი ნაკვალევი გაქრა ძველი ქვებით ახალი კორპუსებისა და სახლების აშენების გამო.

იგივე ბედი ეწია შუანას (შოანას) ქართულ მე-11 ს-ის ეკლესიას, რომელიც რუსებს მშვენიერ მდგომარეობაში დახვდათ მე-19 ს-ის დასაწყისში. მე-19 ს-ის 90-იანი წლებში რუსის ბერებმა მას სახე უცვალეს. ეს ეკლესია დგას მდ. უებანის სათავეებში აუდ ხემარასთან ახლოს, ყარაბაზეგიძან 3 კილომეტრში. აქაა სოფ. ხეთაგუროვო, დაარსებული მე-19 საუკუნეში.

ყუბანის სათავეები მე-19 ს-ის დასაწყისშიც კი სვანებს ეკუთვნოდათ. ის თავისუფალი სვანეთის შემადგენლობაში შედიოდა. სვანეთის მთავრინა დიგორხანის ცნობით, ეს მიწები სვანეთის სამთავროს რუსეთის ხელისუფლებამ ჩამოართვა.

სვანები აქაურ მიწებს იჯარით აძლევდნენ უცხოტომელებს (ყარაჩაელებს და სხვა) საქონლის გამოსაკვებად, რისთვისაც იღებდნენ მიწის რენტას. ამ ტერიტორიების ჩამორთმევის შემდეგ ეს მომ



თაბარეგბი აქ დასახლდნენ. ამჟამად შოანასთან მცხოვრები ადიღები თავადვე აღნიშნავენ, რომ შოანას ეკლესია სვანების ეკლესია. ისინი დაბეჯითებით იმეორებდნენ გადმოცემებს მეფე თამარისა და მისი ჯარის აქ ყოვნის შესახებ, უჩვენებდნენ თამარის დიდ ქვას ჯვრის გამოსახულებით, თამარის ჯარის მოსახვენებელ კლდეში ნაკვეთ სენაკებს, თამარის დიდ ლოდს, რომელსაც თამარის ცხენის ფლოქვების ანაბეჭდები აქვს და სხვა. ასე რომ, აღგილობრივი მოსახლეობა ამ ეკლესიას ქართულ სახელმწიფოსთან და ცივილიზაციასთან აკავშირებდა, თუმცა ოფიციალური პროპაგანდა უძმებოს ათეულობით წელია მათ, აღგილობრივ მოსახლეობას, დაბეჯითებით უმარტავს და უნერგავს თვალსაზრისს, რომ ეს ეკლესია აღანურია.

1891–1894 წლებში რუსმა ბერებმა შოანას მიაშენეს სენაკები, ქვის გალავანი, გაიყვანეს გზა, დაიწყეს და 1895 წელს დაასრულეს მისი ე.წ. „რესტავრაცია“, აკურთხეს წმ. გიორგის სახელზე. ცნობილია, რომ ქართული ეკლესიების ასეთმა რუსულმა ე.წ. „რესტავრაციამ“ სხვა უამრავ ეკლესიაში ქართული ნაკვალევი წაშალა ფრესკების გათეთრებით თუ სტოათა მონგრევით. ქართული ნიშნებისა და სიძველეთა წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა ავტოკეფალიის მოწინააღმდეგა რუსული ოფიციოზი.

იგივე ბედი ეწია მე-10 სის სენტის
ლილებზე ეკლესიასაც მდ. თებერდას ხეო-
ბაში. ისიც, ასე ვთქვათ, თავისებურად
„აღადგინეს“ რუსმა ბერებმა 1887 წელს და
1893 წალს გადასცეს დედათა მონასტერს.

რუსეთში კომუნისტურ-ათეიისტური
მმართველობის დამყარების შემდეგ, 1918
წლისათვის, ეს მოქმედი ეკლესიები და-
კატეს, ეკლესიები თანდათან განადგურდა.

ლიად მოსპეს მათვების გაუგებარი ქართული ასოებით გაკეთებული წარწერები.

40-50-ые годы, гаражи с архитектурой, северо-западные башни и часть монастырских стен были разрушены в годы Великой Отечественной войны.

არანაკლები ვანდალური ეწ. მეცნიერული მეთოდებით 80-იან წლებში მოხდა „რესტავრაცია“ ზელვნჯუკის ჩრდილოეთი ეკლესიისა, ანუ სამხრეთისა და შუა ეპლესიების ქართული სიძველეები ძირითადად მოსპეს რუსმა ბერებმა, რომლებმაც სამხრეთის ეკლესიას რუსული არქიტექტურული სახეც კი მისცეს, ხოლო ჩრდილოეთის ეკლესია საბოლოოდ გაანადგურეს რესტავრაციონულებმა.

ასეთი ვითარების გამო ამჟამინდელი
მტკიცება იმისა, რომ ამ ექლესიებში ქარ-
თული ნაცვალევი არ ჩანს, არაა სანდო
განაცხადი.

„პროვისლავნაია ენციკლოპედია“ და
რუსული ინტერნეტ სივრცე ავრცელებს
სრულიად უმართებულო და უსაფუძვლო
ცნობას, თითქოსდა ეს ტერიტორია მე-10-
მე-16 საუკუნეებში ეკუთვნოდა ალანიის
ეპარქიას, 1590 წლიდან – რუსულ გვლე-
სიას, ხოლო 1885 წლიდან – მის სტაგ-
როპოლის ეპარქიას (В X-XVI вв. эта
территория принадлежала Аланской епархии,
в 1590 г. вошла в состав Астраханской, затем
Донской, Кавказской епархий РПЦ, с 1885 г.-
Ставропольской епархии РПЦ).

(<http://www.pravenc.ru/text/64470.html>)

კავკასიის ალანია სრულიად განადგურდა მონღოლთა შემოსევებისას მე-13 ს-ის დასაწყისში. ოუნდაც ამიტომაც აქ ალანური ეპარქია მე-16 საუკუნეებდე ვერ იარსებებდა, ამ დროს არხიზ-ზელენჯუკის აღნიშნული ოლქში მდებარე ეკლესიები შედიოდა საქართველოს ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოში ტერიტო-



როული სიახლოვის გამო. ეს ოლქი ამ საკათალიკოსოს ცენტრ ბიჭვინთიდან სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრშია.

როგორც აღინიშნა, საეკლესიო წყაროების ცნობით (ბიჭვინთის იადგარი, არქანჯელო ლამბერტი), აფხაზეთის საკათალიკოსო და, ზოგადად ქართული ეკლესია, თავის იურისდიქციას ბიჭვინთიდან ასეულობით კილომეტრზე ავრცელებდა კაფადან (ყირიმიდან) ვიდრე ჭოროხამდე და შემდეგ სოტირიოპოლამდე. ამიტომაც ამ საკათალიკოსოს ცენტრიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებული ზელენჯუკის ეკლესიები მის იურისდიქციაში უნდა ყოფილიყო. ადსანიშნავია, რომ სოტირიოპოლი, რომლის იურისდიქციაშიც თითქოსდა შედიოდა ზელენჯუკის ეკლესიები, მისგან ასეულობით კილომეტრით იყო დაშორებული, ხოლო აფხაზეთის (აბაზგის) საზღვარს სოტირიოპოლთან ადასტურებს კონსტანტინე პორფიროგენეტი.

როგორც აღინიშნა, ამ რეგიონში (სენტ-ჰოანა-ზელენჯუკის ოლქი) ცხოვ-რობდნენ აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციას დაქვემდებარებული ქრის-ტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული სვანები და სხვა იძერიული ჯგუ-ფები. ახლაც კი ამ ოლქში მდებარე შოანას ეკლესიას სვანების ეკლესიას უწოდებენ ადგილობრივები.

ამჟამად რუსულენოვანი სხვადასხვა
საშუალებით ინერგება თვალსაზრისი,
რომ ეს ტაძრები არა ქართული, არამედ
ალაძეურია.

როგორც აღინიშნა, დაბეჭითებული
ხაგონების მიუხედავად, აქაურები მათ
მაინც ქართულს უკავშირებენ. მაგალი-
თად, შოანას ადგილობრივი მოსახლეობა
ამტკიცებს, რომ ეს ეკლესია თამარ მეფე
ააგო, მაცხობელი ქვის ჯვარი თამარმა
აღმართა, აქ მდებარე ერთი გამორჩეული
ლოდიდან თამარი თავის ჯარს მიმართავ-
და, ამ ლოდზე არსებული ნაკვალევი თა-
მარის რაშმა დატოვა, მაცხობელ კლდის
გამოქვაბულებში თამარის ლაშქარი ათევ-
და დამეს და სხვა. ადგილობრივები აქ
ყველაფერს საქართველოს წარსულს

უკავშირებენ. ამჟამად დაბეჯითებით
მკვიდრდება ახალი კულტურა, რომ ეს
ყველაფერი ალანურია და არა ქართული.

როგორც აღინიშნა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აღანის სამიტროპოლიტო მდებარეობდა არა აფხაზეთის მომიჯნავე ოლქში, არამედ მისგან შორს, მდ. დონის სანაპიროზე. ის მოიცავდა ყირიმის ოლქის ნაწილსაც, ასევე დონის შესართავის მიმდებარე სტეპებს. ამას მიუთითებს თვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდის ცნობა, რომ ალანია, სადაც სამიტროპოლიტო მდებარეობდა, მომთაბარეთა ქვეყანა იყო, რომელთაც არ ჰქონდათ ქალაქები თვით საკუთარი მიტროპოლიტის კათედრისათვისაც კი. ამიტომ მისთვის საგანგებოდ გამოიყო ქალაქი სოტირიოპოლი აფხაზეთის საზღვრის გარეთ (აფხაზეთი ქართული საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა).

როგორც აღინიშნა, ამ ტაძრების ქართული არქიტექტურა კი მიუთითებს, რომ ეს ასე არ იყო. ეს ეკლესიები ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა და აქ ქართული ხაკვალევი გააქრეს მე-19 ს-ში. მე-20 ს-ში დაუსრულებელი რესტავრაციებისა და აღდგენა-გადაკეთებისას ჯერ ალექსანდრო-ათონის მონასტრის ბერებმა (რასაც აღიარებენ კიდევ). საბჭოთა კომუნიზმის დროს ეკლესიათა დაუსრულებელმა ნგრევამ, აქ განლაგებულმა პატიმარ ბავშვთა ბანაკებმა წაშალეს ქართული ხაკვალევი.


<http://www.pravenc.ru/text/АЛЕКСАНДРО-АФОНСКИЙ%20ЗЕЛЕНЧУКСКИЙ%20>

МУЖСКОЙ%20МОНАСТЫРЬ.html

0% 95% D 0% 9 A% D 0% A 1% D 0% 90% D



0% 94% D0% A0% D0% 9E-
% D0% 90% D0% A4% D0% 9E% D0% 9D% D0% A1
% D0% 9A% D0% 98% D0% 99% 20
% D0% 97% D0% 95% D0% 9B% D0% 95% D0% 9D
% D0% A7% D0% A3% D0% 9A% D0% A1% D0% 9
A% D0% 98% D0% 99% 20
% D0% 9C% D0% A3% D0% 96% D0% A1% D0% 9
A% D0% 9E% D0% 99% 20% D0% 9C% D0% 9E% D
0% 9D% D0% 90% D0% A1
% D0% A2% D0% AB% D0% A0% D0% AC.htm__



ქვა-ჯვარი შუანას ეკლესიასთან.
ქვაზე გამოხატული ჯვრის თავი წააგავს თამარის სამეფო
გვირგვინის ფორმას.



არხიზ-ზელენჯუბ-სენტ-შოანას ტაძრები რუსულ საინტერნეტო სივრცეში

რუსულ სოციალურ-საინტერნეტო სივრცეში, როგორც აღინიშნა, გავრცელებულია ცნობა, რომ არხიზში მდებარეობდა აღანიის ეპარქიის ცენტრი და მე-10-მე-13 საუკუნეებში აღანიის ეპარქიის კათედრალს ზელენჩუკის ჩრდილოეთი ეკლესია წარმოადგენდა

[TTPS://WWW.FACEBOOK.COM/PERMALINK.PHP?ID=1508759362748852&STORY_FID=1528354154122706](https://WWW.FACEBOOK.COM/PERMALINK.PHP?ID=1508759362748852&STORY_FID=1528354154122706).

ეს მოსაზრება არ ეფუძნება წყაროებს, რადგანაც აღნიშნულ პერიოდში (მე-11 ს-ის 80-იანი წლებიდან) აღანიის სამიტროპოლიტო კათედრალი მდებარეობდა ტრაპეზუნთან ახლოს, სოტირიოპოლში.

აღანიის ქვეშ, რომელსაც ჰყავდა თავისი მიტროპოლიტი, მოიაზრებოდა არა კავკასიის აღანია, არამედ ყირიმ-დონის რეგიონის სტეპები. აღანების უმთავრესი ნაწილი ამ პერიოდში ცხოვრობდა სტეპებში – დონ-ვოლგის ველებზე, ასევე ნაწილობრივ ყირიმსა და აზოვისპირეთში, სადაც არც ძველი ეკლესიების ნაშთებია და არც ნაქალაქარები. აღანია ასევე ერქვა აფხაზეთის მოსაზღვრე ერთ რეგიონს. კავკასიის აღნიშნული რეგიონი სავსეა ძველი ქალაქების ნაშთებითა და ეკლესიებით. ამიტომაც ამ რეგიონზე ვერ იტყოდა კონსტანტინოპოლი, რომ იქ არ არის ქალაქები და შესაბამისი ეკლესიები, რადგანაც ეს ეკლესიები დღემდე არსებობს.

აფხაზეთის სამეფოს მოსაზღვრე კავკასიის აღანია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში შედიოდა. აქ მრავალი სოფელი და ეკლესია იყო, ხოლო სტეპების აღანია შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. ასე რომ, სხვაა კავკასიის აღანია და სხვაა ნომადური სტეპების აღანია.

ამ ორ აღანიაში სხვადასხავა ცხოვების წესის მქონე ხალხი ცხოვრობდა. კავკასიაში – მიწათმოქმედები, ხოლო სტეპებში – ნომადები. ამასთანავე, ისინი სხვა-

დასხვა იურისდიქციაში იყვნენ. სწორედ ეს საკითხი ვერ გაიგო ზოგიერთმა ისტორიკოსმა. მათ ერთმანეთში ერევათ ეს ორი იურისდიქცია და ორი აღანია.

სხვაა კავკასიის მთის აღანია და სხვაა სტეპების, ველის, აღანია.

კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შემავალი სტეპების აღანიაში მცხოვრებ აღანურ ქრისტიანულ ტომებს არ პქონდათ თავიანთი ქალაქები. ამიტომაც კონსტანტინოპოლი იძულებული გახდა სამიტროპოლიტო კათედროსათვის გამოეყო ბიზანტიაში ქალაქი სოტირიოპოლი (სამხრეთ ლაზიკაში) და იქ დაესვა აღანთა მიტროპოლიტი.

კავკასიის აღანია, სადაც არხიზ-ზელენჯუკია, თავისი ტაძრებითა და ნაქალაქარებით შედიოდა საქართველოს ეპლების იურისდიქციაში. ამიტომაც აქ არ შეეძლო კონსტანტინოპოლს დაეარსებინა კათედრა. ასე რომ, როგორც კუზნეცოვი, ასევე სხვა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ზელენჯუკს აღანიის სამიტროპოლიტო კათედრად მიიჩნევს, ცდება.

აქევ უნდა აღინიშნოს, რომ პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის დროს კონსტანტინოპოლი შეეცადა კავკასიის აღანიაც თავის იურისდიქციაში მოექცია. ამისათვის აქ ბერძენი მისიონერები და ეპისკოპოსებიც გაიგზავნა, ამას დაურთო საკედრებელი თხოვნა – წერილები აფხაზთა მეფეების მიმართ, რომ მათ ენებებინათ საკითხის კონსტანტინოპოლის სასარგებლოდ მოგვარება.

აფხაზთა მეფეები, ცხადია, მაღაზე თავაზითა და დიპლომატიური ხერხებით პასუხისმგებელ თავიანთი სარწმუნოების უდიდეს მამამთავარს, მაგრამ არ ინებეს აფხაზეთსა და კავკასიის აღანიაში კონსტანტინოპოლის საეკლესიო იურისდიქცია, რადგანაც ისინი საქართველოს ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს მშენებლები იყვნენ. სწორედ ამ აფხაზთა მეფეებმა მრავალი ქართულებოვანი საეპისკოპოლო დააარსეს აფხაზეთში, ხოლო კავკასიის აღანიის ზღვისპირა ნაწილში დააარსეს აფხაზეთის საკათალიკოსო ცენტრი. აღმართეს ბიჭვინთის დიდებული კათედრალი.



აფხაზეთის საკათალიკოსო თავის იურისდიქციას ახორციელებდა კაფადან ჭოროხამდე და სოტიროპოლამდე, ანუ ასეული კილომეტრის რადიუსში. ზელენჯუკის, სენტისა და შოანას ეკლესიები ძალზე ახლოს მდებარეობდა ბიჭვინთასთან. ამიტომაც აფხაზთა სამეფო იქ უცხო იურისდიქციას არ დაუშვებდა.

ხაზარებმა ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ გამოგზავნილი ბერძენი ბერები გააძევეს. ეს უნდა მომხდარიყო აფხაზთა მეფების ნებით. ეს საქმე ხაზართა მხარეს დაევალდა. ხაზართა მეფის ასეული აფხაზ მეფეთა დიდი ბებია იყო, ანუ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთის მოკავშირები იყვნენ. მითია, თითქოსდა კავკასიის აღანიძან გაძევებული ბერძენი ბერები უკან დაბრუნდნენ. თუ ასეთი რამ მართლაც მოხდა, მაშინ ეს მხოლოდ საქართველოს მეფის გიორგი პირველის ნახევარმმის, დემეტრეს, დროსაა მოსალოდნელი, რომელმაც თავისი ოსი დედის, ოსთა მეფის ასეულ ალდეს წაქეზებით, ანაკოფიის ციხე ბერძნებს გადასცა. ამ დროს ანაკოფიის მიმდგომი ტერიტორია და, შესაძლოა, კავკასიის აღანიძაც კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში აღმოჩნდა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო და ბაგრატ მეოთხის დროს აღმოიფხვრა.

ზელენჯუკის გზებზე არქეოლოგებმა იპოვეს რამდენიმე ქალაქის ნანგრევები.

ვ. კუნძული წერს არხიზზე, სადაც 20 წელი ატარებდა არქეოლოგიურ გათხრებს:

„ჩვენ, ალბათ, შევცდებით, თუ დაგუშვებთ, რომ ქვემო არხიზის ხეობაში მეცხრე საუკუნეში არსებობდა „აბრეშუმის გზაზე“ აგებული ალანთა დასახლება“.

ის წერს: ძველი და შუა საუკუნეების ქალაქები წნდებოდა და ვითარდებოდა სავაჭრო გზებზე. თუკი სავაჭრო გზა გარემოებათა გამო იცვლიდა მარშრუტს, ქალაქი თანდათანობით იქცეოდა ხუროთმოძღვრების სასაფლაოდ.

ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩრდილო კავკასიაში არხიზის ბედიც, ვინაიდან აქ არაა ომით გამოწვეული ნგრევისა და ხანძრების კვალი.

ამ პიპოთების სასარგებლოდ ლაპარაკობს არხიზში ეკლესიების ქრისტიანული სახელების და ქალაქის ბერძნული სახელის დაკარგვა (არხიზი გაურკვეველი წარმომავლობის სახელია)“, — წერს მკვლევარი.

ჩვენი აზრით, აქ ქართული ნაკვალევი უნდა ვეძიოთ და არა ბერძნული. ქალაქის ბერძნული სახელი არ შემორჩა, რადგანაც ქალაქს ქართული სახელი უნდა რქმეოდა და არა ბერძნული. ქართული წყაროებით, ამ რეგიონში არსებობდა ძლიერი ციხე-ქალაქი „სობლისი“, სადაც აფხაზთა მეფემ ანაკოფიის არაბთა მიერ ალყის დროს თავი შეაფარა, როცა ანაკოფიაში არაბებს ქართლის მეფეები არჩილი და მირი შეებრძოლნენ.

ჩემი ფიქრით, ამ რეგიონში რომელიმე ძლიერი ციხესიმაგრის ქართული სახელი იყო წყაროებში ნახენები — სობლისი, სადაც თავს აფარებდნენ აფხაზთა მეფეები საქიროებისას. ასე რომ, არხიზს შეიძლება სობლისი ერქვა. ეტიმოლო-გიურადაც თითქოსდა ეს სიტყვები ერთმანეთს უკავშირდება (სობლისი-საბხისი-აბხისი-აბხიზი). არხიზი შეიძლება სიტყვა აბხიზის უკავშირდებოდეს, სიტყვა აბხიზი ასევე შეიძლება სიტყვა აბხაზსაც უკავშირდებოდეს).

„არხიზი არის ჩრდილოეთ კავკასიის ერთადერთი ქალაქი, რომელიც არ მოუსპიათ მონდოლებს“, — წერს ის.

ჩემი აზრით, არხიზი მონდოლებმა ვერ დაანგრიეს იმ მიზეზის გამო, რომ მას იცავდა ქართული სახელმწიფო. დასავლეთ საქართველოში მონდოლებმა ვერ შეძლეს თავისი ჯარის შეუვანა, რადგანაც მათ 1230-40-იან წლებში ზავი დადგეს საქართველოს სახელმწიფოსთან. არხიზი შედიოდა საქართველოში, რომელთანაც საზავო მოლაპარაკება დაიწყო 1230-იან წლებში. ზავის ხელშეკრულების ხელმოსაწერად რუსების მეფემ ოქროს ურდოში გააგზავნა საეკლესიო მოღვაწე, გაისკოპოს არსებ მწიგნობაროუსეუცეს-ჭყონდიდელი, რომელმაც მონდოლებთან საქართველოს საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 1245 წელს. არსები აფხაზეთის საკათალიკოსოს უდიდესი იერარქი იყო,



ამ საკითხის კვლევისას არ შეიძლება აფხაზეთის საკათალიკოსოს მოღვაწეთა დავიწყება, განსაკუთრებით ამ რეგიონის უდიდესი სახელიერო ავტორიტეტებისა – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელებისა.

ჭყონდიდელი ეპისკოპოსები აფხაზეთის კათალიკოსთან ერთად საქართველოს სახელმწიფოს რეალური მმართველები იყვნენ. კერძოდ, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი იყო საქართველოს კანცლერი, მთავრობის მეთაური, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, ხოლო სახელმწიფო დარბაზის საბჭოს – (ანუ დარბაზის ხელმძღვანელი ორგანოს) ე.წ. „ოთხი ბერიდან“ სამი აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოადგენდა.

ესენი იყვნენ აფხაზეთის კატალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და მოღვაწობართმომძღვარი (გელათელი), ხოლო მეოთხე წევრი, ანუ მეოთხე „ბერი“ იყო საქართველოს პატრიარქი (იგივე ქართლის კათალიკოსი).

რადგანაც არხიზი, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, მონღოლებმა არ დაანგრიეს. ერთი მხრივ, ვ. კუჩხეცოვი წერს, რომ არხიზი მონღოლებმა არ დაანგრიეს. ამასთანავე ის წერს, რომ თითქოსდა არხიზი მე-11 საუკუნიდან მიტოვებული ქალაქი იყო.

მომყავს არქეოლოგი ვ. კუჩხეცოვის დაუჯერებელი აზრი:

„ქვემო არხიზის ნაქალაქარის ჩვენი მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების თანახმად, მასში სიცოცხლე ჩაქრა მე-11 საუკუნის ბოლოსთვის. მე-11 საუკუნის ბოლოდან – მე-12 საუკუნის დასაწყისიდან ალანეთში ხდება ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადრექალაქური ცენტრების დეზურბაზიზაციის, ქალაქური ხასიათის დაკარგვის, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მეურნეობის და ყოფის ყველა სფეროს გამომთაბარების, ნომადიზაციის პროცესი“.

კუჩხეცოვის დასკვნა, რომ მე-12 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო იქამდე ქალაქების მქონე ქრისტიანი ალანების ნომადიზაციის პროცესი, ანუ ხალხის უდიდესმა ნაწილმა მანება თავი სოფელ-

ქალაქებს და შეუდგა მომთაბარულ ცხოვრებას, უსაბუთოა, შეთხულია იმისათვის, რათა ამ რეგიონის მე-12 საუკუნემდელი ცივილიზაციის შემოქმედად ეთნიკური ალანები და, შესაბამისად, ზელნეჯუგარხიზონის ეკლესიები ალანურ კულტურად წარმოადგინოს.

ისმის ბუნებრივი კითხვა: თუ ასეთი მაღალი ქრისტიანული კულტურის მქონე ხალხი იყო ალანები, რატომ დაივიწყეს მათ მყისიერად, უცებ თავისი დიდებულება და გახდნენ მომთაბარუები? მათ ახლა მხოლოდ ცხვარ-ძროხა და ცოლ-შვილი გადაჰყავთ ერთი საძოვრიდან მეორეზე და ქვის სახლების ნაცვლად საცოდავ კარვებში დაიწყეს ცხოვრება?

ისინი იქამდე დიდ პატივს მიაგებდნენ წინაპრებს, მათი გარდაცვალებისას ასევე გრანიტოზულ საძვალეებსა და საგანგებო სასაფლაოებზე ასაფლავებენ. ახლა კი წინაპართა საფლავები მიატოვეს და საკუთარი კულტურა დაივიწყეს?

სინამდვილეში, არხიზ-სენგ-შოანას ეკლესიებში არ შემწყდარა წირვა-ლოცვა მე-12 საუკუნის შემდეგაც, რაც დასტურდება მათი ფრესკების მრავალფენოვნებით.

ამ ეკლესიების ფრესკებს რეგიონის გამუსლიმანებამდე, ანუ თითქმის მე-16-მე-17 საუკუნეებამდე, მუდამ ანახლებდნენ ანდა ეკლესიებს, ხელახლა სატავდნენ.

იქამდე, მე-13 ს-ის დასაწყისში, ალანია სახტიკად გაანადგურეს მონღოლებმა, მაგრამ მათ არ დაანგრიეს არხიზი, სენგი და შუანა, რადგანაც ისინი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე მდებარეობდა, ისინი დასავლეთ საქართველოში იდგნენ. საქართველოსთან კი მონღოლებმა ზავი დადეს, ისინი არ ეხებოდნენ დასავლეთ საქართველოს. ზავის თანახმად, მათ მონღოლები ვერ შეეხებოდნენ. როგორც ითქვა, მათ საქართველოსთან საზაფო ხელშეკრულება დადეს მე-13 ს-ის 30-40-იან წლებში აფხაზთა საკათალიკოსოს მდვდელმთავრის, ჭყონდიდელის, ღვაწლით.



„მონღოლთა სარდლობასთან მოლაპარაკების შემდეგ დაიდო ზავი, რომლის ძალითაც საქართველოში შენარჩუნდა მეფობა. რუსუდანი კვლავ „ყოველი საქართველოს“ მეფედ რჩებოდა, დასავლეთ საქართველოში, რომლის დაპყრობაც მონღოლებმა ვერ შეძლეს, ამ უკანასკნელთა ჯარი არ შევიღოდა“.

[https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D_XII_I_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%98~.](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D_XII_I_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%98~.)

საქართველლოსთან ზავის გამო, რადგანაც მონღოლთა ჯარი ვერ შევიღა დასავლეთ საქართველოში, მით უმეტეს მის მთიანეთში, სადაც მდებარეობდა სენტი, შუანასა და ზელენჯუკის ეკლესიები, მონღოლებმა ვერ შეძლეს ამ ეკლესიების დანგრევა, ესაა პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ გადაურჩა დანგრევას ეს ეკლესიები.

მონღოლებამდე, მე-12 საუკუნეში, თავისი ძლიერების ზენიტში მყოფი საქართველოს სახელმწიფო ჩრდილოეთის საზღვრების კიდევ უფრო უკეთ დაცვის მიზნით საგანგებოდ ეძებდა ჩრდილოეთის რომელიმე გავლენიანი ქვეყნის უფლის-წულს თამარ მეფის საქმროდ.

სახელმწიფო დარბაზმა თავიდან შეარჩია რუსი უფლისწული გიორგი, შემდეგ კი ოსი – დავით სოსლანი.

ეს ფაქტი ეწინააღმდეგება აღნიშნული მკვლევრის აზრს, რომ მე-12 საუკუნეში, ანუ დავით სოსლანისა და თამარის ეპოქაში ხდებოდა აღანისის განომადება, რაც საეჭვოა, პირიქით, თამარის დროს უკავშირებს ადგილობრივი მოსახლეობა აქაური კულტურის აღორძინება-აუვავებას. მაგალითად, არხიზის მახლობლად შუანას ციხე-ქალაქისა და ეკლესიის აგებას მკვიდრები თამარის სახელს უკავშირებენ. ეს არაა უსაფუძვლო მითითება. კავკასიის მთებში სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ეკლესია-ნაგებობების გამალებული მშენებლობა.

ადსანიშნავია, რომ ბიზანტიურ წევროებში ამ ეპოქაში გახვდება აღანთა ეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის სახელი აღანელი თეოდორე.

მიიჩნევა, რომ ის ბიზანტიიდან ყირიმის გავლით მოვიდა კავკასიაში, კერძოდ კი, ზელენჯუკის ეკლესიებში. ამასთანავე, ამ მოსაზრების პარალელურად, არქეოლოგი კუზნეცოვი მიიჩნევს, რომ ზელენჯუკის ქალაქები ამ დროს მიტოვებული იყო, ხოლო ეკლესიები გაუქმებული.

ასეთი მიღებობები ქმნის დილემას აღანიის კათედრის ძიების საქმეში.

სინამდვილეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აღანიის ეპარქია მდგბარეობდა არა კავკასიის, არამედ სტეპების აღანიაში, შესაბამისად, იქ ჩავიდა აღანიის ეპისკოპოსი თევდორე და არა ზელენჯუკის ეკლესიაში, რომელიც საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას ექვემდებარებოდა და საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა, ამას იქაური სახალხო გადმოცემებიც კი მიუთითებს, მაგალითად, როცა შოანას (შუანას) ეკლესიას თამარის ანდა საქართველოს დედოფლის აგებულად მიიჩნევენ, იქნებ ეს მათ მიერ მონღოლების ეპოქის რუსუდან მეფის გახსენებაა, რომელმაც ზავი დადო მონღოლებთან და აღნიშნული ეკლესიები ამით გადაარჩინა.

რუსული და ოსური კვლევები დაბეჭითებით მიუთითებს, რომ აღანიის მიტროპოლიტის კათედრა არსიზ-ზელენჯუკში იყო მე-12 საუკუნის შემდეგაც. ამავე დროს არქეოლოგია არ ეთანხმება ამ მითითებას.

ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო უნდა გამოითქას აზრი, რომ ზელენჯუკის ეკლესიები აშენდა აფხაზთა მეფების მიერ, აფხაზთი კი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

აფხაზთა მეფე გიორგი, რომელსაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ეკონტაქტებოდა (თხოვდა დახმარებოდა აღანიის ეპისკოპოსს), თვითონვე იყო ქართული საეპისკოპოსო კათედრების დამარსებელი, მათ შორის მარტვილ-ჭყონდიდში.



როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ალანიიდან გააძევეს ბიზანტიელი სასულიერო პირები ალანთა და ხაზართა ნებით. გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ამასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო აფხაზ მეფეთა გადაწყვეტილებით, მათ არ სურდათ, რომ კავკასიის ეს რეგიონი შესულიყო კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციაში, რადგანაც აფხაზთა მეფები აფხაზეთის საკათალიკოსოს გაძლიერებისა და მისი საზღვრების გაფართოებისათვის იდვწოდნენ და ამ რეგიონში ვერ დაუშვებდნენ უცხო ეკლესიას, მით უმეტეს, საკათალიკოსო ცენტრ ბიჭვინთასთან ასე ახლოს, ეს საქმე მათ ალანთა და ხაზართა ხელით აღასრულდეს.

მიიჩნევა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ალანებმა თავიანთ მიერვე გაძევებული ბიზანტიელი სასულიერო პირები უკანვე დააბრუნეს, რაც არ დასტურდება წყაროებით.

კავკასიის მთები ამ ეპოქაში (საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების ეპოქაში) ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყო. ამასთან, მე-12-მე-13 საუკუნეებში ბიზანტიას არ შეეძლო კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელება. თამარის დროს მან ეს გავლენა ტრაპეზუნტშიც კი დაკარგა. საქართველო, რომელმაც ტრაპეზუნტის იმპერიაც კი დააარსა ბიზანტიური გავლენის დასასუსტებლად, ვერ დაუშვებდა ამ გავლენას უშუალოდ თავის საზღვართან. მაგალითად, ბედია ამ რეგიონში მდებარე ქართველ (აფხაზ) მეფეთა დედაქალაქი და საძვალეც კი იყო მის ქუთაისსა და თბილისში გადატანამდე.

წყაროთა ცნობით, მე-12 ს-ის ბოლოსა და მე-13 ს-ის დასაწყისში საქართველომ დასაჯა ბიზანტიელი იმპერატორი საეკლესიო ქონების მიტაცებისათვის. 1204 წელს თამარმა ილაშქრა ბიზანტიაში სინოპამდე და შექმნა ამ მიწებზე ტრაპეზუნტის იმპერია, რომლის ტახტზე თავისი ნათესავი დასვა.

ასეთ ვითარებაში ბიზანტიას ძალაც არ შეწევდა თავის იურისდიქციაში ჰყოლოდა კავკასია.

კონსტანტინოპოლიც კი დატოვა პატრიარქმა 1204 წლის შემდეგ, რაც იქ ლათინთა იმპერია ჩამოყალიბდა.

ასეთ ვითარებაში, ალბათ, შეუძლებელი იყო არხიზი, სენტი და შოანა ბიზანტიურ იურისდიქციაში ყოფილიყო.

როცა კონსტანტინოპოლი აიღეს ჯვაროსნებმა და იქ ლათინთა იმპერია დაარსდა, ამ ქალაქიდან პატრიარქი ნიკეაში გადავიდა, მას ახსოვდა ალანები, მაგრამ არა კავკასიის ალანია, რომელიც მის იურისდიქციაში არ იყო, არამედ ყორიმ-დონის სტეპების რეგიონში მცხოვრები ალანები, რომელთაც ნიკეადან გაუზავნა მიტროპოლიტი თეოდორე.

ნიკეადან გააგზავნა პატრიარქმა ალანიის ეპისკოპოსი თავის სამწყელოში.

სად იყო ეს სამწყელო?

როგორც ითქვა, არა კავკასიაში, არამედ დონ-დნესტრ-ვოლგის სტეპებში. მის შესახებ თვით ალანელი თეოდორე მიუთითებს თავის წერილში, რომელიც აქვე განხილული.

როგორც ითქვა, არსებობდა რამდენიმე სხვადასხვა ოლქი ალანიის სახელით, ასევე სახელი ალანები სხვადასხვა ტომობრივ გაერთიანებას ეწოდებოდა. კონსტანტინოპოლის ცნობა („ალანთა მიტროპოლიას თავისი კათედრა არა აქვს იმიტომ, რომ მისი ხალხი ცხოვრობს მწყემსური ცხოვრებით“) შეესაბამება სტეპების, ველების ალანიას, ხოლო კავკასიის ალანია ქართული ეკლესიის მიერ იმართებოდა.

შესაბამისად, არხიზში ამაოდ ექვენებ ალანთა მიტროპოლიტის კათედრალს.

ქვემო არხიზის ნაქალაქარს, გათხრების თანახმად, ეკავა დაახლოებით 14 პეტრი, რომელზეც ცხოვრობდა არანაკლებ 2,5 ათასი ადამიანისა.

ეს იყო იმ დროისთვის დიდი ქალაქი.

აკლდამებში ნანას აბრეშუმის ქსოვილთა 50 პროცენტი შეა აზიური „სოგდური“ წარმოებისა, 25 პროცენტი ბიზანტიურია და 20 პროცენტი ჩინურია. ასე, რომ, ქალაქი არის მდიდრული.

ჩრდილოეთის ტაბართან არსებულ
აკლდამაში ნაპოვნია ქალის ძვირფასი
სამკაულები, რომლებზეც იყითხება სომხე-
თის მეფე აშოგის (886-91) სახელი. აფხაზ-
თა გიორგი მეფის მეუღლე იყო აშოგის
ქალიშვილი. ალბათ, მას საფლავში ჩატყვა
კიდეც ეს ბეჭედი. შესაბამისად, მისი
მეუღლეც, აფხაზთა მეფეც, აქ უნდა უნდა
განისვენებდეს არხიზის ეკლესიის
აკლდამაში. არხიზი აფხაზი მეფის საძ-
ვალე ყოფილა და, შესაბამისად, საქართვე-
ლოს ეკლესიის იურისდიკციაში შედიოდა.

აშოგი იყო აფხაზთა მეცვე გიორგის
სიმამრი. ეს ნიშნავს, რომ არხიზი აფხაზ
მეცვეთა ქალაქი იყო, მეცის მეუღლე, ანუ
აფხაზთა დედოფალი, აქ დაასაფლავეს.

ქვემო არხიზის ნაქალაქარზე გადარჩა სამი ტაძარი პირობითი სახელებით წრდილოეთი, შეუდარებელი.

ჩრდილოეთის ეკლესიის გვერდით
არის ერთნავიანი სალოცავის მსგავსი
მცირე ეკლესიის ნაგროვები. ის შეიძლება
დათარიღდეს მე-6 საუკუნით.

მის გვერდით მთის ძირში კუნძული ცოგმა აღმოაჩინა დიდი, 100 მეტრზე უფრო გრძელი შენობის საძირკვლები. მას ჰქონდა ორი დიდი სათავსი და 5 პატარა მინაშენი. „შენობის საინტერესო და ორი-გინალური თავისებურებაა ჩრდილო-და-სავლეთ ფასადზე 3,5 მეტრით გამოწეული 6 კონტრფორსი. ეს შეიძლება იყოს კედლის სუბსტრუქციასთან დაკავშირებული საყრდენები, რომლებიც ზიდავენ ფასადის გასწვრივ გადმოშვერილ სახურავს. გალერეის ცალკეული კომპარტიმენტები შეიძლებოდა ყოფილიყო მდინარის ხეობისკენ გახსნილი ლოჯიები“.

ჩრდილოეთის ეკლესია მდებარეობს უზარმაზარი ველის განაპირას, ხევის პირას. მის მეორე მხარეს გადარჩა ძველი ქალაქის კედლები. აქ გადიოდა ძველი გზა, რომლის კვალი ახლაც ჩანს.

ჩრდილოეთი კავკასიის ტყის ესაა დო-
დი ტაბარი პორტალების გარეშე ზომებით
21 მ. 10,5 მ.

ეს ჯვარგუმბათიანი ქართული ტი-
პის ეკლესია მოლიანად იღენტურია იქვე,
მახლობელად, მდგარი ლიხნისა და აფხა-
ზეთის სხვა ეკლესიებისა თავისი არქი-
ტექტურით. ამის მიუხედავად, მას მაინც
ბიზანტიურ ანალოგიებს უძებნიან ქარ-
თული კვალის მიჩქმალვის მიზნით.
მაგალითად, კუზნეცოვის აზრით, ტაძრის
სიგრძე ზუსტად შეესაბამება 908 წელს
აგებულ ლიასის მონასტერს კონსტანტი-
ნოპოლიში. როგორც ითქვა, არხიზის ზუს-
ტი ანალოგიაა მასზე უფრო ადრე აგებუ-
ლი ლიხნის ეკლესია. ამავე დროს მხო-
ლოდ მისი სიგრძის მიხედვით ანალოგიას
უძებნიან დედამიწის სხვა კუთხეში.

ტბილისის მერიის აქტის პორტალი
ისევე, ოგონიც უამრავ ქართულ ტაბარს.

კუზნეცოვის აზრით, ისინი მიაშენეს დაახლოებით მე-12 საუკუნეში და ასრულებდნენ კონტრფორსების როლს მიწის-ქვეშა ბიძგების დროს ტაძრის მდგრადობის გასაძლიერებლად.

აქ საინტერესო ისაა, რომ, იმავე
მკვლევარის აზრით, ქალაქი გაუქმდა მე-
11 საუკუნეში ალანების განომადების
გამო. თუ ასეა, მაშინ ვინ მიაშენა პორ-
ტალები ეკლესიას მე-12 საუკუნეში,
პასუხიც იქვეა — ქართველებმა. შესაბამი-
სად, თუნდაც ამ პასუხიდან გამომდინარე,
ქალაქში ქართულ-ქრისტიანული დვორის-
მსახურება გრძელდებოდა.

ზუსტად ასეთივე კონტრფორსები
მიშენებულია მე-10 საუკუნის მიძინების
გაძარში სოფელ ლიხნეში, აფხაზეთში.

ლინექს გაძრის პედელზე დარჩე-
ნილია ქართული ასომთავრული წარწერა
მე-11 საუკუნის კომეტის შესახებ. მხო-
ლოდ ეს ფაქტი აფიქრებინებს შპლევარს,
რომ ეს პორტალები მიაშენეს ქართვე-
ლებმა.

ის წერს: „ორივე ტაძარი ტყუპის-კალებივით ჰგანან ერთმანეთს“.

ტაბართან ნაპოვნია ეპიგრაფიკული
ძეგლები ბერძნული წარწერებით. უნდა
ვიფიქროთ, რომ ქართული წარწერები
შეგნებულად გააქრეს მე-19-20 საუკუ-



ნეებში ანტიქართულად განწყობილმა ელემენტებმა, რომელთა ხელშიც მოექცა ეს ეპლესიები.

აღან მავათა მიერ პიზანულ სასულიეროთა ბანდევნა

სად მდებარეობდა კავკასიის ალანია? ცნობილია, რომ ის მდებარეობდა აფხაზეთის ჩრდილოეთ მხარეს, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ამჟამად მოიცავს ყარაბაის ტერიტორია.

ამას მიუთითებს ენობრივი ფაქტები.

სვანებისა და მეგრელების მეტყველებაში ტერმინი „ოსური“ აღნიშნავს არა ირონულ, არამედ ყარაბაზე ენას (თურქულ ენობრივ ოჯახში შემავალს), ამავე დროს ყარაბაზელებს ალანებსაც უწოდებენ მეგრელები.

ამასთანავე, სვანები და რაჭელები (გლოლელები) ოსებს მოიხსენიებენ ტერმინით – „დიგორელი“, „დვალი“.

ამ ენობრივი ფაქტიდან ჩანს, რომ „ოსები“ და „ალანები“ კავკასიაში თავდაპირველად ერქვათ არა ამჟამინდელ ოსებს, არამედ ბალყარელებს.

მაშასადამე, მონღოლების შემოსევა-მდე ყარაბაზელთა წინაპრებს მოიხსენიებ-დნენ „ალანებად“ და მათ ენას უწოდებ-დნენ ოსურს. ამავე დროს, ყარაბაზელების ენა თურქულია, აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ არაბი ავტორი ალანებს თურქულე-ნოვან ხალხად მიიჩნევდა, ასევე, ოსებს თურქულენოვან ხაზარებთან გენეტიკუ-რად აკავშირებდა ქართული წყაროები.

აქ მდებარე ცნობილ ეპლესიებს მიაკუთხნებენ თანამედროვე ოსების კულტურას, მაგრამ თანამედროვე ოსებ-თან იქაურ მოსახლეობას არ ჰქონია გენეტიკური კავშირი. ამასთანავე მიიჩნევა, რომ ეს რეგიონი კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდა.

საბჭოთა საისტორიო მეცნიერებამ მყარად დაამგვიდრა აზრი, რომ სენტის, შოანასა და არხიზის ეკლესიების მომ-ცველი რეგიონი იყო ისტორიული ალანია და ეს ტამრები ალანური საეკლესიო

არქიტექტურაა, სინამდვილეში, კი ეს ტაძრები ქართული (აფხაზური) საეკლესიო არქიტექტურის ნაწილია.

მაგალითად, მათგან ყველაზე გრან-დიოზული ზელენჯუგარხიზის ჩრდილოე-თი ტაძარი ზუსტი ასლია აფხაზეთში ლიხნის ტაძრისა. მკლევარი წერს: Особенno часто сближаются Северный Зеленчукский и Лыхненский храмы. Между тем, Л.А. Перфильева говорит о родстве последнего с храмом в Мокви, который датируется временем правления Леона III (между 957 и 969 гг.), т.е. хронологически совпадает с Сентинской церковью: „храм в Лыхны является звеном, следующим за сооружением Северного Зеленчукского храма и собора в Мокви“ (Перфильева, 1992, с. 199-200).

საეკლესიო სტილი მიუთითებს, რომ ეს ტაძრები ქართული საეკლესიო არქიტექტურის მიხედვითაა ნაგები. შესაბამისად, ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდნენ. აფხაზეთის საკათალიკოსოში წირვა-ლოცვის ენა იყო მხოლოდ ქართული ენა. ეს საკათალიკოსო ერთ-ერთი ადმინისტრაციული ოლქი, ერთ-ერთი ნაწილი იყო ზოგად-ქართული ეკლესიისა. შესაბამისად, ეს ეპლესიები შედიოდა საქართველოს და არა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. რაც შეეხება კონსტანტინოპოლის საპატ-რიარქოს ალანიის სამიტროპოლიტოს ადგილმდებარეობას, ის მდებარეობდა არა კავკასიის რეგიონში, არამედ ყირი-მისა და დონისპირეთის სტეპებში. თვით ალანიის ბერძენი მიტროპოლიტის სიტყვით, ალანებს არ გააჩნდათ ქალაქები და, შესაბამისად, არც საეკლესიო კათედრები და არც ეკლესიები. ბერძენი კლერიკალები 931 წლისათვის ალანთა მეფეებმა კავკასიის ალანიიდან გააძევეს.

свидетельство Масуди: „После 320 [т.е. 931/2] г. они [т.е. цари Алана] отреклись от христианства и прогнали епископов и священников, которых византийский император раньше им прислал“ (Кузнецов, 2002, с. 44; Иванов, 2003).

მასუდის ცნობის გაუბრალოებას ცდილობები ახალი აზრის დამკვიდრებით,



თითქოსდა ბერძნები კავკასიის ალანიაში უკანვე დაბრუნდნენ მე-10 საუკუნის შუა წლებში.

ეს აზრი წყაროებით არაა დამტკიცებული. პირიქით, საეკლესიო არქიტექტურა აჩვენებს არა ბიზანტიურ, არამედ აფხაზურ ნიშანს, თუმცა, ცხადია, რომ ბიზანტიურ კულტურას ეფუძნებოდა ქართულ-ქრისტიანული. ამის მიუხედავად, ორიგინალური ლიხი და მისი მსგავსი ეკლესიები ზელენჯუქ-არხიში ქართული არქიტექტურის ნაწილებია.

მე-10 ს-ის დასაწყისში კავკასიის ალანიის იმ ნაწილში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ აფხაზეთის ალანია (ზღვისპირეთი-ბიჭვინთა-სოხუმის რეგიონში), ნიკოლოზ მისტიკოსს სურდა ალანიის კათედრის დაარსება, შესაბამისად, რაც არ ინგრა აფხაზთა მეფემ კონსტანტინე III-მ (893–922), შემდეგ კი – მისმა შვილმა გიორგი მე-2-მ (922–957). ამიტომაც ევედრებოდა მათ კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი, საცხოვრებელი და სამოღვაწეო არეალი მიეცა ალანიის მიტროპოლიტისათვის.

საბოლოოდ, მალევე კონსტანტინოპოლი იძულებული გახდა უარი ეთქვა კავკასიის ალანიაზე. 1080 წლიდან ალანიის მიტროპოლიტის კათედრად განისაზღვრა მთიანი აფხაზეთიდან ძალზე დაშორებული რეგიონი. დონ-აზოვისპირეთის სტეპებში.

ტრაპეზუნტან დაარსდა ალანიის სამიტროპოლიტო კათედრა სოტირიოპოლში.

აფხაზთა მეფე გიორგი II-ის დროს ალანიიდან გააძევეს ბერძენი სასულიერო პირები, მასუდის მიხედვით, 931–32 წლის შემდეგ.

ეს იყო აფხაზ მეფეთა რეაქცია კონსტანტინოპოლის აღნიშნულ განზრახვაზე. აფხაზთა მეფეებმა თავიანთ სამეფოში სრულად განახორციელეს ქართული ეკლესიის იურისდიქცია. მათ მარტვილსა და სხვა პუნქტებში ქართული საეპისკოპოსო ცენტრებიც დაარსეს. ზელენჯუქის ხეობიდან სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრში დააფუძნეს ქართულენოვანი ბიჭვინთის საკათალიკოსო ცენტრი. ამავე

დროს კი ალანიიდან და, მათ შორის, აფხაზეთის ალანიიდან გაძევებულ იქნენ ბერძენი სასულიერო პირები.

ამჟამინდელი რესი მკვლევრების ვარაუდით, ალანიიდან ბერძენი სასულიერო პირების გაძევება თითქოსდა გამოიწვია ხაზართა იძულებამ. ჩემი აზრით, ეს პროცესი აფხაზ მეფეთა მანევრი იყო ამ რეგიონში ქართული ეკლესიის იურისდიქციის სრული განხორციელების მიზნით.

აფხაზ მეფეთა რეაქცია მძაფრი და გმირული იყო. ბერძნული საეპისკოპოსო კათედრების ნაცვლად მათ ამ ე.წ. აფხაზეთის ალანიაში დააარსეს ქართული საეპისკოპოსოები, და უფრო მეტიც – იქვე, საკათალიკოსო ცენტრი – ცნობილი ბიჭვინთის კათედრა.

ბიჭვინთის იურისდიქციას, დასავლეთ საქართველოსთან ერთად, დაუქვემდებარეს ჩრდილოკავკასიის მართლმადიდებლობა შავიზღვისპირეთში, რომელიც იმჟამად აფხაზ მეფეთა გავლენის სფეროში შედიოდა.

ამ რეალური ფაქტის გამო კონსტანტინოპოლი იძულებული გახდა ალანიის კარქია დაეპარსებინა სულ სხვაგან, სხვა ალანიაში, მომთაბარე ალანების ოლქში. ეს ძირითადად იყო დონისპირეთის ვრცელი სტეპები.

დონისპირეთის მომთაბარე ალანებს არ გააჩნდათ ქალაქები და შესაბამისი პუნქტები სამღვდელმთავრო კათედრისთვის. ამიტომაც კონსტანტინოპოლმა მომთაბარე ალანების მიტროპოლიტის კათედრა ტრაპეზუნტის ოლქში დაარსდა 1084 წლისათვის, სოტირიოპოლისში, კავკასიის ალანიისაგან ძალზე დაშორებულ გეოგრაფიულ არეალში.

კავკასიის ალანიაში ამ ე.წ. დონის სტეპების ალანიის მიტროპოლიტს არავოთარი სასულიერო გავლენა, მით უმეტეს, ძალაუფლება არ გააჩნდა.

ამჟამინდელი თეორიით, 931 წლის გაძევების მიუხედავად, თითქოსდა დაახლოებით 30 წლის შემდეგ ბერძენი სამღვდელოება დაბრუნებულა უკან, კავკასიის ალანიაში. აქ 965 წლისათვის, მათ, თითქოსდა, სენტის ეკლესიაც კი უკურთხებიათ.



ეს დასტვნა ამ მკვლევრებს გამოაქვთ სენტის გალესიაში აღმოჩენილი ბერძნული წარწერის მიხედვით. სენტის გალესიაში გალესიის კურთხევის აღმნიშვნელი ბერძნული წარწერა შემდგომში გადაუდესავთ თხელი ნალესით და შეუთეორებით. შემდეგში მის ადგილას სხვადასხვა ეპოქაში ფრესკებიც გამოუხატავთ. ამ ბოლო წლებში ფრესკების ჩამოშლის შემდეგ გამოჩენილა აღნიშნული ბერძნული წარწერა, რომელიც ბელევცოის აღმოუჩენია. შესაბამისად, ეს მკვლევრები ასევნია:

В 931/2 г. аланы терпят поражение от хазар и оказываются вынуждены изгнать христианский клир.

მკვლევრებს შემოაქვთ ახალი საისტორიო მითი ხაზარ-ალანთა ურთიერთობის გაუარესების შესახებ. ამ მითს ამატებენ მასზე დაფუძნებულ ახალ მითს ბერძნების უკან დააბრუნების შესახებ. В 940-ые гг. возрождается военная мощь аланов, восстанавливается союз с Византией и Аланская епархия. В результате возрастает статус и аланского правителя (с архонта до эксусиократора) и иерарха (с архиепископа до митрополита). Возможно, что первым митрополитом Алании был Игнатий, а Феодор – одним из его преемников. При помощи византийцев возводятся храмы, в т.ч. и Сентинский. Наконец, в 965 г. император Никифор Фока, который ведет победоносную войну против арабов, направляет специального посланника с высокими титулом патриархия для освящения Сентинской церкви. Этот год знаменателен для аланов: Святослав Киевский разгромил их извечных врагов хазар (Алемань, 2003, с. 490). Но под этим же годом сообщается и о победе русского князя над самими аланами – на арену выходит новая политическая сила, которой лишь в следующем поколении предстоит пойти христианским путем своего кавказского соседа. около 940 г. Алания нет в *otitium episcopatum* (Алемань, 2003, с. 259).

კონსტანტინოპოლის საპატიოარქომ კავკასიის ალანიაში სრული მარცხის შემდეგ, რაც მათ აფხაზთა მეფეებმა არ მისცეს უფლება აფხაზეთის ალანიაში (და, საერთოდ, კავკასიის ალანიაში)

ეპარქიის შექმნისას, გადაწყვიტა ალანებისათვის შექმნა გაპარქია, ოდონდ არა კავკასიაში, არამედ ალანთა უმთავრეს სამომთაბარეო რეგიონში – დონისპირეთის სტეპებში.

ალანების ჯგუფები მომთაბარეობდნენ ყირიმსა და დონისპირეთის სტეპებში.

ეს იყო ვრცელი არეალი ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე რეგიონში. სტეპების ალანებს მომთაბარეობის გამო არ გააჩნდათ ქალაქები და არც შესაბამისი საკათედრო ეკლესიები. ამიტომ, როგორც ითქვა, კონსტანტინოპოლიტის სტეპების ალანიის მიტროპოლიტს საკათედრო ქალაქდ განუსაზღვრა კავკასიასთან ახლოს, ტრაპეზუნტის რეგიონში, მდებარე ქალაქი სოტიორიოპოლი დაახლოებით 1080 წლისათვის.

შესაბამისად, ამის შემდეგ სენტი და სხვა მახლობელი ეკლესიები ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდნენ.

სტეპების ალანიის სამიტროპოლიტოს არავითარი დაქვემდებარებული კათედრები არ გააჩნდა. მას შემდეგ, რაც მონდოლთა შემოსევების გამო შეიცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე და დასუსტებულ საქართველოს ალარ შეეძლო თავისი საეკლესიო იურისდიქციის განვრცობა ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე, სტეპების ალანიის სამხრეთით, კონსტანტინოპოლიტი თავის ალანიის (სტეპების) სამიტროპოლიტოს დაავალა ამ არეალზე მოქმედება.

რაც შეეხება სენტის ეკლესიის მომცველ მთიან რეგიონს, ის გვიანობამდე, ჩანს, მე-16 - მე-18 საუკუნეებამდე, დასახლებული იყო ქართველი ქრისტიანებით და ის კვლავ საქართველის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

ალანებს ებრძოდენენ მონდოლები, ისინი აქ უნდა ყოფილიყვნენ ზედაფენა, ხოლო ქვედა ფენა იყო ქართული. აქაური ქრისტიანები, სვანები, ამ ტაძრების ერთგული მრევლი იყო. ალანების განვითარების შემდეგ აქაური სვანები დომინირებდნენ ამ რეგიონში.



არხიზის ქართული ჯვრები მოსკოვის მუზეუმში

მართალია, ძირითადად, რუსულებოვანი მკვლევრები მაღავენ ქართული საეკლესიო არტეფაქტების არსებობას არხიზი, მაგრამ, მაინც საინფორმაციო სფეროში უმნავს ფაქტები მათ შესახებ, ამის მაგალითს წარმოადგენს ერთი ასეთი საგაზეთო ინფორმაცია, რომელშიც არხიზის ქართული ჯვრები ისესენიება:

СТРАНА КРЕСТОВ

Нательные, нагрудные кресты-энклионы, храмовые железные, сирийские, византийские, грузинские и древнерусские – им нет числа. Многие из них привезены в Москву, часть представлена на выставке фотографиями. Для историков-археологов это лучшее доказательство ...в распространении христианства на северном Кавказе...судя по выставочным экспонатам ситуация с архызскими памятниками плачевная, если не сказать катастрофическая..

Дарья Рощеня, 20 сентября 2005 г.

HTTP://HERITAGE.SAI.MSU.RU/HISTORY/H
RAMY/SEVER/INDEX.HTML

სენტის ჟამარი

სენტის ეკლესია აგებული უნდა იყოს 1032 წლამდე აფხაზ მეფეთა მიერ, მდებარეობს მთის კალთაზე კარაჩაევსკიდან 18 კილომეტრში. მის ქვემოთ არის სოფელი ქვემო თებერდა, რომელსაც ყარაჩაულად სინტი ეწოდება.

მიჩნეულია, რომ სიტყვა „სენტი“ მომდინარეობს სიტყვისაგან სვეტიცხოველი. წარსულში სვანეთში ინახებოდა სვეტიცხოვლის საგანძურო, კერძოდ, კი სენტის მონასტერში, რომელსაც ახლა მესტია ქვემოთ მოვალეობის მისამართის მიზანის მიხედვით.

ანუ სიტყვა მესტია მომდინარეობს სიტყვისაგან „სენტი“. თუმცა არსებობს ასევე მოსაზრება, რომ სენტი მომდინარეობს სიტყვისაგან „მესვეტე“, რადგანაც აქ დაუდებული იყვნენ მესვეტე მამები, შესაბამისად, სენტი შესაძლებელია, მომდინარეობებს ქართული სიტყვისაგან „მესვეტე“.

სეტიელები, ანუ სეტიელი ქორეპისკოპოსები ეკლესიურად განაგებდნენ სვანეთის საეკლესიო-სარწმუნოებრივ ცხოვრებას. გადმოცემით, სვანეთის სეტში ინახებოდა სვეტიცხოვლის ყველაზე დიდი საგანძურო, ვახტანგ გორგასლის მიერ ინდოეთიდან ჩამოტანილი ბადახშის, ანუ ლალის ქვისაგან დამზადებული კანკელ-საკურთხეველი.

სენტის ოლქი ისტორიულად დასახლებული იყო სვანებით, საიდანაც ისინი განდევნებ „სავებმა“, ანუ „სავიარებმა“, შემოსულმა ტომებმა დაახლოებით მე-17-მე-18 საუკუნეებში, რომლებიც არ იყვნენ ქრისტიანები.

სვანი ქრისტიანები კარგად უვლიდნენ სენტის ტაძარს. ის სვანების ერთ-ერთ უმთავრეს სალოცავს წარმოადგენდა. ეს იქნედან ჩანს, რომ სენტის ტაძარი, კერძოდ კი, მისი ფრესკები, მრავალჯერ არის განახლებული. გამოკვლეულია, რომ ის არა ნაკლებ ოთხჯერ მოუხატავთ ხელაბლა საუკუნეეთა მანძილზე.

რუსებს კავკასიაში შემოსვლისას სენტის ტაძარი დახვდათ ძალზე კარგ მდგომარეობაში, მაგრამ ათეიზმის ეპოქაში მდგომარეობა დამძიმდა. ამჟამად რუსულ-ოსური აკადემიური მეცნიერება დაბეჭითებით ამტკიცებს, რომ სენტის ტაძარი თითქოსდა შედის ალანურ ეკლესიათა რიგში.

ამის ერთ-ერთ დამადასტურებელი ნიშნად მიაჩნიათ ის, რომ სენტის ტაძარი ჯვარგუმბათოვანი არქიტექტურული სტილითაა ნაგები მაშინ, როცა მთელ საქართველოში სწორედ ამ სტილით აგებდნენ ეკლესიებს და ეს სტილი ქართული საეკლესიო არქიტექტურის სტილია. ამასთან ძალზე სადავოა საკითხი იმისა, საერთოდ არსებობდა თუ არა ოდესმე ალანური საეკლესიო სტილი. ის ჰიპოთეზური გამონაგონია.

სინამდვილეში, როგორც ჩვენი ქვემოთ მოყვანილი კვლევიდან ჩანს, კონსტანტინოპოლის საპატიოარქოს აღანისის ეპარქია მდებარეობდა არა სენტის რეგიონის კავკასიის მთებში, არამედ დონისპირეთის დაბლობზე, სადაც აღანები მომთაბარეობდნენ. აღნიშნავდა კიდეც ამის



შესახებ კონსტანტინოპოლის სინოდი: ალანებს მომთაბარული ცხოვრების სტილის გამო არა აქვთ საქუთარი ქალაქები და ამიტომ ნომადთა ალანიაში შეუძლებელი იყო სამდვდელმთავრო კათედრის დაარსება. ამიტომაც კონსტანტინოპოლმა ალანთა მიტროპოლიტს საკათედრო ქალაქად განუსაზღვრა სოტირიოპოლი, ტრაპეზიუნითან, ლაზიკაში.

აქედან ჩანს, რომ კონსტანტინოპოლის ალანიის ეპარქია არ მოიცავდა ზელენჯუ-არხიზის, სენტისა და შონას დიდებული, ჯვარგუმბათოვანი, ნამდვილად სამეუფო ტაძრების რეგიონს, სადაც ცხოვრობდა არა ნომადი, არამედ მიწათმოქმედი მრევლი ეკლესიისა. ოეოდორე, ალანიის მიტროპოლიტი, თავის წერილში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი ალანებს უღმერთო, მოწვენებით ქრისტიანებს უწოდებდა, რაც არ ეთანადება ოუნდაც სენტის მრევლის ქრისტიანულ სახეს.

ეს დიდებული ოსტატობით ნაგები ტაძარი კარგადაა შემონახული. მიწნეულია, რომ ის აიგო მე-11 ს-ის. დასაწყისში. სიგრძე 8 მეტრია და სიმაღლე – 10 მ.

ტაძრის გვერდითაა საძვალის შენობა („მავზოლეუმი“), რომელიც პლატფორმაზე დგას. ამ ნაგებობის სტილი მოგვაგონებს პეტრიწონის (ბაჩკოვოს) ქართული მონასტრის საძვალეს.

სხვა შეხედულებით, ყარაჩაი-ჩერქეზეთში მდებარე სენტის ტაძარი მიწნეულია მე-10 საუკუნეში აგებულად.

მე-19 ს-ში აქ დააფუმნეს რუსული ქალთა მონასტერი, რომელთა მონაზენები შეუდგნენ ეკლესიის „რესტავრაციას“, რაც გამოიხატა ეკლესიის ქართული ნაკვალევის განადგურებით. მსგავსი მოპყრობის შედეგად მე-19 და მე-20 საუკუნეებში ტაძრის პირველსახე, თავდაპირველი ფორმა დამახინჯდა. ოვით რუსი მკვლევარი წერს: – Насельницы монастыря реконструировали храм, исказив его первоначальную форму.

<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BC%D0%BD%D1%82%D0%B8%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%BC%D0%BD%D1%85%D1%80%D0%BC%D0%BC>

სენტისა და პეტრიწონის საძვალები გარეკვეულწილად ემსგავსებიან ერთმანეთს საეკლესიო არქიტექტურის ქართული სტილით.

სენტის ტაძარში აღმოჩნდა ვრცელი ბერძნული საქტიტოსო წარწერა, რომ ის აკურთხეს იმპერატორ ფოკას დროს 965 წელს. ეს წარწერა ამ ტაძარში უნდა გამოჩენილიყო 1032–1074 წლებში, მას შემდეგ რაც ეს მხარეები ანაკოფიასთან ერთად ბაგრატ IV-ის ძმამ გადასცა ბიზანტიის, ესე იგი, წარწერა – გვიანდელია.

სენტის ტაძრის გოლგოთიანი

ჯგუფი და მისი

მრავალურნოვანი მოხატულობა

ჩრდილოგავასიაში, შეიძლება ითქვას, ზედ ამჟამინდელ საქართველოს საზღვარზე (მისგან დაახლოებით 15-20-იოდე კილომეტრის დაშორებით) დგას შესანიშნავად შემონახული ხუთი ეკლესია. ესნიდ შეუნას, ანუ შოანას ეკლესია, მასთან ახლოს მდგომი სენტის ტაძარი, ასევე ზელენჯუკის ხეობაში არსებული სამი ტაძარი (ზედა, შუა და ქვემო არხიზში). ისინი უკეთადი კარგად არიან შემონახულნი.

ეს ეკლესიები ერთგვარ კულტურულ საზღვარს ავლებენ. მათ ჩრდილოეთით მუსლიმანური კულტურის არეალია, სამხრეთით კი – ქართულ-ქრისტიანული: აფხაზეთი, სამეგრელო და სვანეთი, რომელთა ისტორიული, ბუნებითი ნაწილია ეს ეკლესიები.

ამჟამინდელ რუსულ ოფიციალურ საისტორიო საზოგადოებაში ცდილობენ აფხაზეთის საკათალიკოსოს საეკლესიო არქიტექტურა დაუკავშირონ არა ქართულს (რომლის ძირითად დერძესაც წარმოადგენდა ის), არამედ, ე.წ. ალანურ-აფხაზურ სატაძრო არქიტექტურას.

თითქოს არსებობდა ალანურ-აფხაზური საეკლესიო არქიტექტურა, რომლის ნაწილად მიიჩნევა ლიხნი, მოქვი, სხვა ტაძრები, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში



ზელენჯუგის ხეობის სენტისა და შუანას (შოანას) ეკლესიები.

ამასთანავე, დისკუსიაც აქვთ გამართული წრდილოეთ კავკასიის ნახევნები ხუთი ტაძარის კულტურული კუთვნილების შესახებ. ზოგი მათ ბიზანტიურს უწოდებს, ზოგი – ალანურს, ზოგი – სომხურს. მათი დაკავშირება ქართულთან ძალზე უჭირთ და მხოლოდ შორეულ პარალელებს პოულობებს მასთან.

მკვლევრები ბელეცკი და ვინოგრადოვი ამასთან დაკავშირებით წერენ: „Происхождение форм и времени строительства храмов аланско-абхазского круга по сей день является темой оживленных дискуссий. Большинство исследователей, основываясь на стилистическом анализе памятников, относят их к X в. До сих пор только одно сооружение этой сравнительно немногочисленной группы имело более точную дату – Моквский храм в Абхазии (построен в девятилетнее правление Леона III, которое в разных работах относится ко времени от 957-966 до 960-969 гг.). Считается, что эти сооружения обнаруживают явные связи с восточновизантийским (малоазийским) зодчеством“, но при этом не исключается и причастность мастеров к закавказской традиции (Кузнецов, 1977, с. 115-116; Перфильева, 1992, с. 200)“. Белецкий Д.В., Виноградов А.Ю.

„Российская археология“, N1, 2005,
ФРЕСКИ СЕНТИНСКОГО ХРАМА И ПРОБЛЕМЫ ИСТОРИИ АЛАНСКОГО ХРИСТИАНСТВА В X В.).

<http://librarius.narod.ru/sentin.htm>

ე.ი. ბელეცკი და ვინოგრადოვი მოქვისა და აფხაზეთის სხვა ეკლესიებს მიაკუთვნებენ ტაძრების „ალანურ-აფხაზურ წრეს“, ხოლო კულტურული და პერიოდევა „ამ ნაგებობებში ამჩნევენ აღმოსავლურ-ბიზანტიურ ხელოვნებასთან კავშირს და არ გამორიცხავენ კავკასიური ტრადიციის ოსტატების მონაწილეობას მათ მშენებლობაში“.

ასეთი მსჯელობა ცინიზმია, რადგანაც ეს ტაძრები თვალის შევლებითაც კი ჩანს, რომ განექუთვნება ქართულ საეკლესით არქიტექტურას. ეს იქნებაც უნდა იყოს ნათელი, რომ აფხაზეთის

საკათალიკოსო შეადგენდა ქართული ეპლესის ერთ ნაწილს ქართული საეკლესიო სჯულისკანონით, ქართული ლიტურგიით, ქართული გალობით, ქართული საეკლესიო სამართლით. აფხაზეთში საეკლესიო კრებაზე მიღებული კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელ საქართველოს ეკლესიაში (მაგალითად, ე.წ. „სამართლი კათალიკოსთა“) ისევე, როგორც ქართლის საკათალიკოსოში ჩატარებულ კრებაზე მიღებული კანონები დასავლეთ საქართველოში, რადგანაც ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები ერთიან ქართულ ეკლესიას ქმნიდნენ. მოღწეულია აფხაზეთის კათალიკოსთა გვარები. ყველანი ისინი ქართულია (საყვარელიძე, ბაგრატიონი და სხვა). მოღწეულია ქართულ ენაზე შედგენილი აფხაზეთის საკათალიკოსოს მრევლის სიები ქართული სახელებითა და გვარებით. მოღწეულია აფხაზეთის კათალიკოსის მიმართვა მრევლისადმი, სადაც ის წერს, რომ ისინი, ქართველები, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები არიან, რომ მათი წინაპრების მიერ ქართულად თარგმნილი ხანძები და საბატმილური სახარებები კეთილად მოსახმარია, ერთერთი აფხაზეთის კათალიკოსი ძვირფასად მოხატულ „ქართლის ცხოვრების“ წიგნს სწირავს ბიჭვინთის ეკლესიას.

აფხაზთა სამეფოს ეპოქის მე-10 საუკუნეთა სომეხი ისტორიკოსი უხტანესი წერს, თუ ეთნიკურად ვინ არიან მისი დროის აფხაზეთის სამეფოს მცხოვრებნი. ის წერს, რომ პონტოს ზღვისპირეთში ნაბეჭდონოსორის მიერ ძველი ივერიიდან გადასახლებული ივერები გამრავლდნენ. ახლა მათ ქვეყანას ეწოდება აფხაზეთი, ხოლო მოსახლეობას – ქართველები, უხტანესის მსგავსად აფხაზებს ეთნიკურ ქართველებად მიიჩნევს ბიზანტიის დედოფლის მარიამ ალანელის ეპოქის მოდგაწეს, მისი ნათესავი ბიზანტიელი სწავლული იოანე ცეცე.

იოანე ცეცე წერს, რომ ქართველები, აბაზები და ალანები ერთი ქართული კულტურის ხალხია. ალანთა ქვეშ ის გულისხმობს აფხაზეთის ალანის მოსახ-



ლეობას, რომელნიც არა ეთნიკური ალანები, არამედ აფხაზ-სვანები იყვნენ, მხოლოდ ზედა ფენა, ისიც ქართული კულტურის მქონე, იწოდებოდა ალანებად. ეს ერთი ხალხი, ნახსენები ქართველებია, შეგნებითა და კულტურით.

ეს ხალხი აშენებდა აფხაზეთის ტაძრებს, ამიტომაც ქართული წარწერებით იყო და ნაწილობრივ ახლაცად დამშვენებული აფხაზეთში ეს ეკლესიები, სხვა ნაგებობები და ხიდებიც კი.

ჩრდილოეთ კავკასიის ეს ეკლესიები კარგ მდგომარეობაში იყო მე-19 საუკუნის დასაწყისში (უკვე რუსეთის იმპერიაში). იმ დროისათვის ზოგიერთში შემონახული იყო შესანიშნავი ფრესკები. ყველას პქონდა სახურავი და მთელი კედლები. საფიქრებელია, რომ ისინიც დამშვენებულნი იქნებოდა ქარული წარწერებითაც, მაგრამ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ის გადაიქცა სამონასტრო ფილიალად ახალი ათონის რუსული მონასტრისა. ეს მონასტერი კი იმამად წარმოადგენდა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ რუსეთის იმპერიაში გაჩადანებული დიდი ომის ერთერთ უმთავრეს პლაცდარმს. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც წმიდა დიმიტრი ყიფიანისაგან გაისმა ხმამაღალი მოთხოვნა, რათა აღდგენილიყო საქართველოს ეკლესია-მონასტრებში, მათ შორის აფხაზეთში, ქართულენოვანი ღვთისმსახურება, ასევე გამოიკვეთა მიმართულება ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ამის ერთ-ერთ საპირწონედ აფხაზეთში რუსეთის იმპერიის მიერ დაარსდა ახალი ათონის რუსული მონასტერი. ის დაფუძნდა აფხაზეთში ქართული საეკლესიო ცენტრის აღილას, მის დასავიწყებლად და მისი გავლენის გასანეიტრალებლად. ის ანტი-ქართული იდეოლოგიური ცენტრი იყო. ეს, ჩანს, ამ მონასტრის მიერ მე-19 ს-ის 90-იან წლებში გამოცემულ წიგნში „ნოვი აფონ...“. ამ წიგნში უარყოფილია ქართული ეკლესის იურისდიქცია და ქართული ხაკვალები აფხაზეთში, ამ წიგნის გავლენა დიდი იყო და, შეიძლება ითქვას, მისი მიხედვითაა შედგენილი

ამჟამინდელი სტატიები და ნაშრომებიც კი ქრისტიანობის ისტორიისა კავკასიაში.

არხიზ-ზელენჯუბში დაარსებული რუსული მონასტრის ბერებმა წამოიწყეს ვანდალურ-ბარბაროსული რესტავრაცია ამ ათასწლოვანი ეკლესიებისა, რომელნიც მშვენივრად იყო შემონახული ქართველი მრევლის თავდადებული მზრუნველობით მე-13-მე-18 საუკუნეებში (რადგანაც მონდოლებმა ამ მხარეებიდან გააძევეს ალანები, სხვა აქაური ხალხები კი, ქართველების გარდა, მუსლიმანები ანდა წარმართები იყვნენ, მხოლოდ ქართველი მრევლის თავდადებულმა დვაწლმა გადაარჩინა არხიზ-ზელენჯუბის, სენტისა და შოანას ეკლესიები), რუსმა ბერებმა, რასაც თვოთონ რუსული გამოცემები აღიარებენ, აქ მოსახეს მრავალი ძვირფასი ნაკვალევი.

როგორც აღინიშნა, რუსული სტილის შესაბამისად, გადააკეთეს ქვემო არხიზის ეკლესია. შეა ეკლესიის ძველი იერ-სახე და კვალი მოშალეს. მალევე რუსეთში გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა. მათ არხიზის ეკლესიები გადასცეს პატიმარ ბაგშთა კოლონიას. ეს რეციდივისტი და გამწარებული ბავშვები სახტიკად ანადგურებდნენ ფრესკებსა და ძველ წარწერებს, მითუმებებს ქართულს, რადგანაც მათთვის ბერძნული წარწერები უფრო მისაღები იყო, რადგანაც ასოები რუსულს პგავდა, ხოლო ქართული უცნობი და უცხო იყო. საბაგშო კოლონიის შემდეგ ეს ეკლესიები მე-20 საუკუნის 60-70 წლებში კიდევ სხვა დაწესებულებას მიამაგრეს, რომელმაც ხელახლი „რესტავრაცია“ წამოიწყო.

აღნიშნული მქონევრებიც ანტიქართულად განეწყვენენ, მათ იკლევენ წინასწარგანზრახული თვალსაზრისით.

ამჟამად ამ ეკლესიათა მდგომარეობა შედარებით კარგია. მათში კოლონიები და საპატიმროები აღარაა განლაგებული, მაგრამ, როგორც ითქვა, ამ ეკლესიების მდგომარეობა გაცილებით უფრო კარგი იყო მე-19 საუკუნის შეა წლებამდე.

ისმის კოთხვა, რა მიზეზმა გამოიწვია ასეთი კარგი სახით ამ ეკლესიების შემონახვა მაშინ, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში



თათარ-მონღოლთა და ოქმურ-ლენგის დროიდან ეკლესია-მონასტრები ნადგურდებოდა. რატომაა ეს ეკლესიები გამონაკლისი? რატომ შემორჩა ასე შესანიშნავად?

ამჟამად აღნიშნული რუსული სამეცნიერო წრეები ამტკიცებენ, რომ ეს ეკლესიები აღანებისა იყო. აღანები კი აქედან მონღოლებმა გააძევეს მე-13-ის დასაწყისში, ამის შემდეგაც ეს ეკლესიები აქ უფენებით არ ყოფილა. საუკუნეთა მანძილზე აქ მცხოვრები ხალხი შესანიშნავად იყენებდა მათ თავისი ფუნქციის შესაბამისად.

არხიზ-ზელენჯუკის, სენტისა და შოანას ეკლესიებში მე-13-მე-16 საუკუნეებში, შესაძლოა, მე-17 ს-ის დასაწყისშიც გაჩადებული იყო ლოცვა, წმ. ლიტურგია, ზიარება და ნათლობა. მათი კარგი მოვლა-პატრონობის ნიშანია ის, რომ, ვთქვათ, სენტის ტაძარი, სულ მცირე, ოთხჯერ მოხატეს, რათა მუდამ ნათელი და ხასხასა ყოფილიყო ადგილობრივი მრევლის საყვარელი ეკლესია.

ეს ეკლესიები მე-17-მე-18 საუკუნეებამდე იდგა ისტორიულ ჩრდილოეთ სვანეთში, რომელიც იმჟამად ჩრდილოკავკასიის ტერიტორიებსაც ფლობდა.

სენტი და შოანა ჩრდილოეთ სვანეთის ტერიტორიაზე იდგა, ჩანს, უფრო ადრე სვანებით იყო დასახლებული ეწ. აფხაზეთის აღანიაც, რომელიც ზელენჯუკის ხეობასაც მოიცავდა. აქაური სვანები ქრისტიანობისათვის თავდადებული მეომრები და მორწმუნებები იყვნენ, წირვალოცვა უყვარდათ. უკლიდნენ ამ ტაძრებს. ბოლო საუკუნეებამდე შესანიშნავად შემოინახეს ისინი. შემდგომ სვანეთის ამ ნაწილში, კერძოდ, უკბანის სათავეებსა და იალბუზის ოლქში, ჩასახლდა სვანების მიმართ მტრულად განწყობილი ხალხი, რომელთაც სვანები „სავებს, სავიარებს ან ჩერქეზებს“ უწოდებდნენ. ჩრდილოეთ სვანეთში, აღნიშნულ რეგიონში, სვანი ქრისტიანები დამარცხდნენ, ერთმა გადარჩენილმა ნაწილმა დატოვა ჩრდილოეთ სვანეთი, ამ ეკლესიათა მომცველი რეგიონი, მეორე ადგილზე დარჩენილები კი გამუსლიმანდნენ. ამჟამადაც კი იქ მოსახლე მუსლიმან სვანს კი ინტერნეტზერდიც კი აქს გახსნილი, ეხმიანება საქართველში მცხოვრებ თანამოგგარე ქრისტიან სვანებს.

მაგალითად, შოანას ეკლესიას – სვანების ეკლესიას უწოდებენ. მათ ენაზე სვანებს შონ ჰქვია, შოანა სვანების ეკლესიას ნიშნავს.

ზემოთ მოყვანილი კითხვის პასუხი ასეთია: ეს ეკლესიები საუკუნეთა მანძილზე, მე-13-მე-16 საუკუნეებშიც მოქმედი იყვნენ. დაახლოებით მე-17 საუკუნის ბოლოსათვის აქედან სვანები გახდევნეს შემოსულმა მუსლიმანურმა ხალხებმა. ეს ასახულია სვანურ პოეზიაშიც კი. მათ, როგორც ითქვა, სვანურ პოეზიაში, სავები, სავიარები, ჩერქეზები და დიგორელები ეწოდება. ადგილზე დარჩენილი სვანების ნაწილი გამუსლიმანდა. ამჟამადაც კი, ზოგიერთ აქაურ, ამ ეკლესიებთან ახლოს მცხოვრებ, მუსლიმან ყოფილ სვანს – ახსოვს თავისი სვანური გვარი, ზოგიერთ მათგანს (ყარახავლ მუსლიმან სვანს) კი ინტერნეტზერდიც კი აქს გახსნილი, ეხმიანება საქართველში მცხოვრებ თანამოგგარე ქრისტიან სვანებს.

ეს ეკლესიები (ზელენჯუკ-არხიზის სამი ეკლესია, სენტი და შოანა) საუკუნეთა მანძილზე მოქმედი რომ იყო, მიუთითებს თვით აღნიშნული მეცნიერების გამოკვლევები. მაგალითად, მათ შეისწავლეს სენტის ეკლესიის მხატვრობა და მივიღნენ დასკვნამდე, რომ ეს ეკლესიები შიგნიდან მოიხატა ოთხჯერ.

საუკუნეთა მანძილზე ფრესკებით მრავალგზის იფარებოდა სენტის ეკლესიის კედლები. ეს მეცნიერები სენტის ეკლესიის მხატვრობას მიაკუთვნებენ ალანურ ფერწერას, რომელიც არასოდეს არსებობდა, ასევე სხვადასხვა სკოლას (ბიზანტიურს თუ სომხურს). როგორც ითქვა, ძალზე ძუნწად ახსნდებათ ქართული.]

სენტისგან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ამჟამინდელ სვანეთში დგას მოხატული ეკლესიები, ამიტომაც აღნიშნული მეცნიერების ძიება, როგორმე სენტის მხატვრობა დაუკავშირონ ნებისმიერ არაქართულ სტილს, არაბუნებრივია, გეოგრაფიულადაც ეს (სენტი და მესტია) ერთი რეგიონია.

ბელეცი და ვინოგრადოვი წერენ, რომ ყარახაის ჯვარგუბათოვან ეკლესიაში (ზელენჯუკ-არხიზში, სენტისა და შოანაში)



შემონახული ფრესკების ფერწერა აქამდე არ არის სათანადოდ გაანალიზებული. მათი სიტყვით, არხიზის ზემო და შემდების ფერწერის ფრაგმენტები მცირეა და ხელმიუწვდომელი გამოკვლევისათვის, ხოლო მე-19 ს-ში მხატვარ დ. სტრუკოვის მიერ გაკეთებული ფრესკების ასლები ძალზე დაბალი ხარისხისაა.

ისინი წერენ, რომ უფრო უკეთად შემონახული ფერწერა სენტის ტაძრისა.

აუდ სენტაში (მდ. თებერდის უღელტეხილთან, ამჟამინდელ სოფელ ქემო თებერდასთან) ტაძარი ერთგუმბათოვანია, გეგმაში წარმოადგენს ჯვარს, რომელსაც ადმოსავლეთიდან აქვს აფსიდა. სენტის ტაძრის ფრესკებს გამოკლევა მიუძღვნა დიახკოვ-ტარასოვმა 1899 წელს, თავის პუბლიკაციაში ჩართო ფერწერის ჩანახატები, 1902 წელს მხატვარმა ვლადიმიროვმა გააკეთა სენტის ეკლესიის რამდენიმე ფრესკის კალკები.

ჯერ კიდევ ვლადიმიროვმა ადნიშნა, რომ ფერწერა მრავალფენოვანია, ბელეცკი და ვინოგრადოვი წერენ, რომ მათ შეძლეს „დეკორაციის ოთხი ეტაპის გამოყოფა“ (Нам удалось выделить четыре этапа декорации).

ფრესკების მრავალფენოვნება იმით გამოიხატება, რომ ეკლესია მოხატეს მრავალჯერ, რაც ნიშანია იმისა, რომ მრევლი კარგად უვლიდა და პატრონობდა თავის საყვარელ ტაძარს. ამავე დროს მრევლი მრავალრიცხოვანი იყო.

ტაძარი მაღალ მთაში დგას. ტაძრის მოვლილობა გვაძლევს საფუძველს ვიფიჭროთ, რომ სენტის ტაძარში სალოცავად დადიოდნენ შორეული ადგილებიდან და აქ მორწმუნეთა მსვლელობა უწყვეტი იყო. ამან ეკლესიას მისცა მატერიალური საშუალება, რომ მრავალჯერ მოეხატათ.

თავდაპირველად ეკლესია გარკვეული დროის მანძილზე მოუხატავი, მხოლოდ შეთეთრებული ყოფილა შიგნიდან. აფხისში ფანჯრებს შეა ყოფილა გამოხატული ორი ქართული ტიპის, ანუ ოთხბოლოიანი ჯვარი, რომელიც იდგა კიბისებურ შემაღლებაზე, ე.წ. გოლგოთიანი, ანუ ფეხიანი ჯვრები (однакო ხრა-

некоторое время стоял побеленным изнутри, и только между окон апсиды имелись два больших четырехконечных креста на ступенчатых возвышениях – „Голгофах“).

შესაბამისად, ფაქტი შელესილ, მოუხატავ ტაძარში მხოლოდ გოლგოთიანი ჯვრის გამოხატვისა, მისი (ამ გოლგოთიანი ჯვრის) ხშირი განახლება და ხელახლა ფერებით მისი გაცოცხლება, შესაძლებელია, გამოგვადგეს სენტის პირველი მოხატვის დროის დასათარიღებლად.

სენტის ეკლესიაში გოლგოთიანი ჯვრებს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, რადგანაც მრავალჯერ განახლეს ამ ჯვრების მოხატვლობა ჯერ კიდევ ტაძრის მოხატვამდე, ანუ ჯვრის ფერადოვნება და ხაზები მრავალჯერ განახლეს, ცხადია, მას შემდეგ, რაც წინა დროის ფერები ხუნდებოდა დროთა კითარებაში.

ამის შესახებ მკვლევრები წერენ – Ветви крестов слегка расширяются к концам и украшены „драгоценными камнями“. Использовано три пигмента: синий (уникальный случай во всех росписях храма), сажа и красная охра. Владимиров отмечал, что кресты „носят следы многочисленных поновлений“.

შეიძლება დაისვას კითხვა: როდის მოიხატა გოლგოთიანი ჯვარი (ჯვრები) სენტის ეკლესიაში და რატომ მიაგებდნენ მას განსაკუთრებულ პატივს? რა ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა სენტში გოლგოთიან ჯვრებს?

ამ კითხვის პასუხამდე უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთან რეგიონებში გოლგოთიანი ჯვრების გამოსახვას ეკლესიებსა და საბრძოლო კოშებზე თავისი ტრადიცია და პერიოდი ჰქონდა. ეს იყო მე-14–მე-16 საუკუნეები.

გოლგოთას ჯვარი ქრისტიანთა საყოველთაო სიმბოლოა. ის საეკლესიო ხელოვნებაში გამოხატავს მორწმუნეთა მოწინებით დამოკიდებულებას ქრისტეს გნებათა და მისი ჯვრის დალის მიმართ.

გოლგოთა არის გორა იერუსალიმში. აქ ყოფილა დაკრძალული ადამი. აქ ჯვარს აცვეს ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე. ეკლესიისათვის ჯვარი და გოლგოთა ძვირფასი საუნჯება.



ამჟამად ყველა ეპლესიაში, როგორც წესი, საეკლესიო ნივთის სახით დგას საგანგებოდ დამზადებული ხის დიდი ჯვარი (გოლგოთა), მხეგვად სხვა საეკლესიო დგარისა – ლუსკუმისა, სახატეკორისა, კანკელისა და სხვა.

ჩანს, სენტის ეპლესიაში კედელზე გამოხატული ჯვარი იმავე დანიშნულებისა იყო, როგორცაა დღეს ეპლესიებში დიდი ზომის გოლგოთები, ანუ ჯვრები, მათ წინ განსაკუთრებით ლოცულობები მიცვალებულთა სულებისათვის, ასევე ის განსაკუთრებით გამოიყენება ვნების შვიდეულისა და აღდგომის წინა დღეებში ლოცვებისას.

ჩანს, სენტის ეპლესიაშიც ამავე მიზნითვე იყენებდნენ მლოცველები კედელზე გამოხატულ გოლგოთიან ჯვრებს რამდენიმე საუკუნე, ოდონდ ის ეპლესიაში იდგა არა ხისაგან დამზადებული ჯვრის სახით, არამედ კედელზე იყო გამოხატული.

მათ ძალზე დიდი ფუნქციური დატვირთვა ჰქონიათ მლოცველთათვის.

ამიტომაც სენტის ეს ჯვრები, როგორც ითქვა, საუკუნეთა მანძილზე, რამდენჯერმე საგანგებოდ განუახლებიათ.

სენტის ეს ჯვრები, როგორც ვთქვით, იმეორებს ქართული გოლგოთიანი ჯვრის გამოსახულებას და განსხვავდება რუსულ-სლავურისა და ბიზანტიურისაგან, რომელიც 6 ან 8 ბოლოიანი ჯვრების სახისა იყვნენ, სენტის ჯვრები ოთხბოლოიანია. ამასთანავე, ისინი იყვნენ გოლგოთიანი, ანუ ე.წ. „ფეხიანი“ ჯვრები. ეს ჯვრის ფეხი, ანუ კვარცხლებეკებეკი გამოხატავდა ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ვნების ბორცვიან ადგილს.

გოლგოთიანი ჯვარი სიმბოლურად გამოხატავდა იერუსალიმის გოლგოთის გორაქს მასზე აღმართული იმ ჯვრით, რომელზეც გააკრეს მაცხოვრი.

სენტის გარდა გოლგოთიანი ჯვრები მრავლადაა გამოვანილი ქართული მთის კოშკების კედლებსა და ზოგჯერ ეკლესიის კედლებზე. ისინი გამოხატულია საფეხურებრივი კვარცხლებეკის სახით და მისი ჯვრით.

ეს გოლგოთიანი ჯვრები, აღნიშნული მკვლევრების სიტყვითაც ოთხბო-

ლოიანი იყო. საქმე ისაა, რომ რუსულ სამყაროში ჯვრებს ექვსი დაბოლოება პქონდა, ქართულში კი – ოთხი, ამასთანავე, ქართულ სამყაროსთან ამ ჯვრებს აკავშირებს ის, რომ ისინი გოლგოთიანია, ანუ ჯვრის საფეხური კიბისებურია, რომლის ბოლოები გაშლილია.

ისმის კითხვა, რატომ გამოხატავდნენ საქართველოს მთაში, ჩეჩენეთინგუშეთის ჩათვლით, გოლგოთიან ჯვრებს მე-14 საუკუნის შემდეგ?

მათი გამოხატვა დაკავშირებული უნდა იყოს იმ ფაქტთან, რომ იერუსალიმის აღდგომის ტაძარში გოლგოთას მონასტერი ამ დროისათვის უანგე დაიბრუნებს ქართველებმა მთის ერისთავის პიპას ხელით. ეს გამარჯვება მთის ერისთავმა მოიპოვა. შესაბამისად, საქართველოს მთას გაუჩნდა თავისი დიდებისა და დირსების სიმბოლო – გოლგოთა.

ქართველ მთიელთა ერისთავის მიერ იერუსალიმის გოლგოთის მონასტრის გათავისუფლების შემდეგ საქართველოს მთაში ეკლესიებსა და საბრძოლო კოშკებზე გამოსახავდნენ გოლგოთის ჯვრებს, ქართველ მთიელთა მიერ იერუსალიმის გოლგოთის გამოხსნის სიმბოლოს სახით.

როგორც საისტორიო წყარო „ძეგლი ერისთავთა“ მოგვითხრობს, მეფე გიორგი ბრწყინვალე განსაკუთრებულ უურადღებას აქცევდა მთას და იქ ქრისტიანული სარწმუნოების სიმტკიცეს. ჩანს, ამიტომაც, მან იერუსალიმში გოლგოთის მონასტრის მუსლიმანთაგან გასათავისუფლებლად 1320 წელს გააგზავნა მთის ერისთავი – ქსნის ერისთავის შვილი – პიპა.

აქ შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ასეთი ჯვრები უცხოა რუსული სამყაროსათვის და მას ეჭვის თვალით უყურებენ.

ოთხბოლოიანი ქართული გოლგოთის ჯვრები, ანუ ისეთი სახისა, როგორიცაა სენტის ეკლესიასა თუ ინგუშეთში, იმდენად განსხვავდებოდა ბერძნულ-რუსულისაგან, რომ მას ხან ლათინურს, ხანაც კი ბიზანტიურს უწოდებენ.

ეკლესიის წმიდა მამები მათ იცავდნენ, მაგალითად, წმ. იოანე კრონშტადელი.



ბერძნული საქართველო ფარგლენა სენტის ტაძარში

ბელეცკი და ვინოგრადოვი თავიანთ ნაშრომში სენტის ეკლესიის ბერძნული წარწერის გაანალიზების შემდეგ ასეთ დასკვნას აკეთებენ: „მართალია, 931–932 წლებში ალანებმა განდევნებს ქრისტიანი სასულიერო პირები, მაგრამ 940-იან წლებში ძლიერდება ალანების სამხედრო ძალა, მტკიცედება კავშირი ბიზანტიისთან, ამიტომაც კვლავ აღდგა ალანიის გაარქია. ამასთანავე იზრდება ალანიის მმართველის სტატუსი, არხონტიდან-ეპისკოპორამდე, ხოლო იერარქია – არქიეპისკოპოსიდან მიტროპოლიტამდე. შესაძლოა, პირველი მიტროპოლიტი ალანიისა იყო ეგნატე, ხოლო თეოდორე – მისი ერთ-ერთი მემკვიდრე. ბიზანტიელთა დახმარებით ხდება ტაძრების მშენებლობა, მათ შორის სენტისა. საბოლოოდ, 965 წელს იმპერატორმა ნიკიფორე ფოკამ გაგზავნა საგანგებო წარმომადგენელი-პატრიკიოსი სენტის ტაძრის საკურთხებლად (ამავე წელს ხაზარები დაამარცხა სვიატოსლავ კიეველმა, ამავე წელსვე თვით ალანები რუსმა მთავარმა დაამარცხა)“.

Белецкий Д.В., Виноградов А.Ю.
ФРЕСКИ СЕНТИНСКОГО ХРАМА И
ПРОБЛЕМЫ ИСТОРИИ АЛАНСКОГО
ХРИСТИАНСТВА В X В.* „Российская
археология“, 1, 2005

<http://librarius.narod.ru/sentin.htm>

რუსი მეცნიერების ეს კარდინალური
დასკვნა უსაფუძვლოა:

1. წყაროში დაფიქსირებულ ცნობას, რომ ალანებმა ბერძენი სამდვდელოება განდევნებს, ახსნას უქებნიან იმით, რომ თითქოსდა ალანებმა ეს გააკეთეს ხაზართა მოთხოვნით. ასეთი ცნობა კი არ არის რომელიმე წყაროში დაფიქსირებული. წყაროს მიხედვით, ბერძნები ალანებმა გააძევებს, მაგრამ ახსნა იმისა, თუ ვისი მოთხოვნით გაკეთდა ეს, წყაროში არაა. ამიტომაც აქ ხაზარების თემა ამჟამინდელი მკვლევართა გარაუდია. უფრო სავარაუდოა, რომ ალანებმა ბერძენი სასულიერო პირები განდევნებს აფხაზ მეფეთა

მოთხოვნით, რომელნიც მხარს არ უჭერდნენ მათ სამეფოში ან თუნდაც მის უშუალო საზღვარზე კონსტანტინოპოლის იურისდიქციის გავრცელებას.

2. აფხაზეთი საქართველოს ეპლუსის იურისდიქციაში, კერძოდ კი, აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა. საკათალიკოსო კათედრა ბიჭვინთაში იყო, სენტიდან სულ რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით. ეს საკათალიკოსო თავის იურისდიქციას ავრცელებდა ტრაპეზულისტთან მდებარე ოფიციან ვიდრე ყირიმაძე (შემდგომდროინდელ კაფამდე, ბიჭვინთის იადგარისა და სხვა წყაროთა ცნობით). შესაბამისად, ის ვერ მოითმენდა ცენტრთან ახლოს უცხო ეკლესიის იურისდიქციას.

3. ამასთანავე აფხაზთა მეფე კოველი ღონისძიებით აძლიერებდა თავის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს, აშენებდა მისთვის ახალ, გრანდიოზულ ეკლესიებს. მასში აარსებდა საეპისკოპოსო ცენტრებს. ცხადია, ვერც სამეფო ხელისუფლება დაუშვებდა, რომ ზედ აფხაზეთის საზღვარზე მდგომი სენტის, შოანასა და ზელენჯუკის ტაძრები უცხო ეკლესიის იურისდიქციაში ყოფილიყო. ასე რომ, ბერძენი სასულიერო პირები ალანებმა განდევნებს აფხაზთა სამეფოს მოთხოვნით.

4. რუსი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მეათე საუკუნისათვის ჩამოყალიბდა ალანის სამიტროპოლიტო, რომელიც სენტის ოლქს მოიცავდა. ეს აზრი არ დასტურდება წყაროებით.

პირიქით, ალანთა ეპისკოპოს თეოდორეს წერილის თანახმად, რომელიც მან კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუგზავნა, მის სამწყსოში შემავალი ქრისტიან ალანთა ჯგუფები ცხოვრობდნენ ყირიმში, ხერსონთან და ბოსფორთან, დონის შესართავთან, ტამანზე. ამ თეოდორეს წერილში არ იხსენიება სენტი, შოანა ანდა ზელენჯუკი. ის წერილით აცნობებდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს, რომ გაემგზავრა თავის ეპარქიაში, რომელიც მდებარეობდა შუაგულ სკვითიაში, უწყლო ადგილას, ყირიმიდან 60 დღის გზაზე. შესაბამისად, ალანიის სამიტროპოლიტო



მოიცავდა არა კავკასიის ალანიას, არა-
მედ ყირიმის რაღაც სეგმენტსა და დონი-
სპირეთის სტეპებს.

ამჟამინდელ ყარაჩაიში კი მე-11 საუ-
კუნეში შესანიშნავი გუმბათოვანი ტაძ-
რები იდგა არხიზ-ზელენჯუკისა, სენტისა
თუ შოანასი. აქ ქალაქებიც არსებობდა,
ამიტომაც გამონათქვამი, რომ მომთაბარე
ალანებს „არა აქვთ სამდვდელმთავრო
კათედრები“, არ შეეხებოდა კავკასიის
ალანიას (ამჟამინდელ ყარაჩაის).

აქედან გამომდინარე, კავკასიის
ალანია, სადაც დიდებული სამდვდელ-
მთავრო გუმბათიანი კათედრებია, არ იყო
კონსტანტინოპოლის საპატრიიარქოს ალა-
ნიის ეპარქის ადგილსამყოფელი. ეს
ეპარქია დონისპირეთის ვრცელ სტეპებში
არსებობდა, ნომადი ალანების ქვეყანაში,
ხოლო კავკასიის ალანია, არა ნომადი,
არამედ მკვიდრი ხალხით იყო დასახლე-
ბული. ის შედიოდა არა კონსტანტინო-
პოლის საპატრიიარქოში, არამედ აფხაზე-
თის საკათალიკოსოში.

მაგრამ, ფაქტი იმისა, რომ სენტის
ტაძარში აღმოჩნდა ბერძნული 965 წლის
საქტიტორო წარწერა, ეწინააღმდეგება ამ
თვალსაზრისებრი.

ბელეცკოის აზრით, სენტის ტაძრის
დეკორირების პირველ ეტაპს განეკუთვნება
სამშენებლო წარწერა. ამ დროს მიაკუთ-
ვნებს ის მოხატულობის პირველ ფენას და
ათარიდებს 965 წლით. მისი აზრით,
მეორე, მომდევნო, ეტაპზე ფრესკული
გამოხატულებები შეათეთრეს, ხოლო
აფხიდში დახატეს ოთხი დიდი ჯვარი და
ორნამენტის ხაზი მათზე. ამ პერიოდის
გამოხატულება ნაწილობრივ ჩანს.

უკეთ ჩანს დასავლეთის ჯვარი აფ-
ხიდის ჩრდილო მხარეს. ჯვარს აქვს
ოდნავ გამლილი ბოლოები. რომელიც
გამლილია თეთრ, წითელ და რუხ ფე-
რებად. ჯვრის გარშემო წარწერაა – „IC
XC“. ჩანს, ასევე გამოიყენებოდა სხვა
სამი ჯვარიც. მოხატვის პირველი ეტაპის
დროინდელი ჯვრები გადაუხატავს ვლადი-
მიროვს, მაგრამ მას ვერ შეუმჩნევია, რომ
ეკლესია მრავალჯერ იყო მოხატული.

სენტის მხატვრობა მრავალფენიანია.
ბელეცკოსა და ვინოგრადოვის კვლევით,

უკვე მოხატვის მეორე ფენა გამსჭვალუ-
ლია „ხალხური“ გემოგნებით, მხატვრობა
არაპროფესიონალურია, ხაზები არამკვეთ-
რია, სიმეტრია დარღვეული, შეუძლებე-
ლია ვილაპარაკოთ მხატვრის პროფესიო-
ნალიზმზე, – წერს ის. ლიния не имеет
четкости, симметрия сбита, и вряд ли можно
говорить о работе профессионального
художника. Живопись мхатвэрი არ იყო
პროფესიონალი, მოხატვის მეორე ეტაპს
მიაკუთვნებენ რამდენიმე მსხვილ წარწე-
რას. მხატვრობის მეოთხე ეტაპს მიაკუთ-
ვნებენ კიდევ ერთ წარწერას. რა ენაზეა
ეს წარწერები, მკლევარები არ წერენ,
თუმცა მუდავ ასევნიან, რომ წარწერები
მხოლოდ ბერძნული იყო. შესაძლოა, ამ
ტაძარში ქართული წარწერების ნაშთები
ამჟამადაც არსებობდეს, რასაც გამოწვ-
ლილვითი დაკვირვება ესაჭიროება, მაგ-
რად ასეთი მკლევარი საქართველოდან
ამ მხარეებში ჯერჯერობით არ ჩანს.

მხატვრობის მესამე ეტაპს მიაკუთ-
ვნებენ დვოთისმშობლის გამოხატულებას,
რომელიც დაუფიქსირებიათ დიახეოვ-
ტარასოვსა და ვლადიმიროვს. კი второму
этапу относится также несколько крупных
надписей красной охрой, к четвертому этапу,
проступает еще одна надпись (Дьячков-
Тарасов, 1899, с. 9, илл. 8; Владимиров, 1902,
с. 11-12, табл. 7).

სენტი, ბელეცკოის სიტყვით, 965
წლიდან მე-11 საუკუნის ბოლომდე (1080
წლამდე) მოხატული ყოფილა ოთხჯერ
სხვადასხვა სტილით. ე.ო. ერთ საუკუნე-
ში (115 წელში) ტაძარი ოთხჯერ მოუხა-
ტავთ.

ეს წარმოუდგენელია თუნდაც იმ
მიზეზის გამო, რომ თვით დიდი დედა-
ქალაქების გუმბათიანი ეკლესიებიც კი
ასეთი გამალეული ტემპით (თითქმის ყო-
ვალ 25 წელიწადში ხელახლა) არ იხატება,
თუ არსებობს ასეთი რამ, ალბათ, დი-
დი გამონაკლისია, მით უმეტეს, მთიან რე-
გიონში. ამიტომ ამ მოსაზრებას ჩვენ არ
ვეთანხმებით და მიგზინევთ, რომ სენტი
მოიხატა სხვადასხვა საუკუნესა და ეპო-
ქაში.

მისი მოხატვა და მოვლა-პატრონობა
უწყვეტად გრძელდებოდა მე-16 საუკუნე-



მდე და წმიდა ლიტერგია იქ ამ პერიოდში უწყვეტად აღვალინებოდა. ეს არ იყო დაკავშირებული ალანებთან (რადგანაც ალანები აქედან მონდოლებმა გააძევეს), არამედ ამ რეგიონში მცხოვრებ ქრისტიანობისათვის თავდადებულ სვანებთან და აფხაზეთის საკათალიკოსოსთან.

საზოგადოდ, შეუა საუკუნეებში ეკლესიის მოხატვა ურთულესი, ძალზე მნიშვნელოვანი მოქმედი იყო, დაკავშირებული დიდ თანხებთან და სხვა მრავალ შრომატევად სამუშაოსთან. საჭირო იყო ფერების მომზადება, რაც შეუა საუკუნეებში სახატავი მასალის ძალზე დიდი დეფიციტის გამო ურთულესი საქმე და დროში გაწელილი პროცესი იყო.

დეფიციტური იყო ასევე შესაბამისი ხელოსნებისა და მხატვრების მოძიებაც, მით უმეტეს, ეკონომიკურად ჩამორჩენილ მთიან რეგიონში.

ეს ყველაფერი მომზადებულიც რომ ყოფილიყო წინასწარ, ეკლესიის მოხატვას მაინც დიდი დრო ესაჭიროებოდა. ეკლესიის დიდი სიმაღლე, გუმბათი, საკურთხეველი, მოითხოვდა საგანგებო ხარჩოებს. ამის გარდა წირვა-ლოცვა არ უნდა შეწყვეტილიყო და მლოცველებსაც ეკლესიაში უნდა ელოცათ. ამიტომ, ალბათ, მოხატვის გრანდიოზულ საქმეს ათეულობით წელი ესაჭიროებოდა. შეუძლებელია სენტის ეკლესია ერთ საუკუნეში ოთხჯერ მოეხატათ.

არქეოლოგ კუთხეცოვის აზრით, რომელიც ამ რეგიონს იკვლევდა, ალანები მე-11 საუკუნის ბოლოს განომადნენ და მიატოვეს ეს ქალაქები, ხოლო მე-13 სის დასაწყისში ისინი აქედან გააძევეს მონდოლებმა.

ეს ეკლესიები მე-13, მე-14 და მე-15 საუკუნეებშიც მოქმედი იყო, რისი დასტურია სწორედ მისი მრავალჯერადი მოხატულობა, ეს ეკლესია ისეთი პატივცემული იყო, რომ მის მხატვრობას ყოველ საუკუნეში ანახლებდნენ მორწმუნებები.

მე-13 საუკუნის შემდეგ ამ რეგიონიდან ალანები უკვე განდევნილები იყვნენ და ქართველების გარდა ვის ესაჭიროებოდა წირვა-ლოცვა, აქაურ მუს-

ლიმანებს თუ წარმართებს? ამ რეგიონში მხოლოდ ქართველობა, კონკრეტულად კი საქართველოს ეკლესიის მრევლი, დარჩა ქრისტიანული.

თვით ბელეცკის სიტყვით, რაღაც დროის შემდეგ, მეორე და მესამე ეტაპის გამოსახულებანი გადაფარული იყო ახალი ნალესებით. Спустя определенное время изображения второго и третьего этапов были перекрыты новой обмазкой.

ბოლო ეტაპზე ტაძრის კედლები მთლიანად მოხატეს.

ვინ მოხატა? ბიზანტია ადარ არსებობდა. დასავლეთ კავკასიის ალანია ასევე უკვე ადარ არსებობდა, აქ ადარავინ იყო ქრისტიანი ქართველების გარდა.

მკლევარი წერს: „სამწუხაროდ, წარწერები თითქმის მთლიანად მოსპეს. კი სожалению, надписи почти полностью утрачены.

ეს წარწერები მოისპო მხოლოდ რუსების მმართველობის დროს. ამ დროს, ჩანს, უფრო ქართული წარწერები მოსპეს.

სენტის ეკლესიაში ეს წარწერები უნდა ყოფილიყო განმარტებითი წარწერები შესაბამისი ფრესკებისა.

ნამდვილად ქართულია სენტის მხატვრობა?

ამის შესახებ თვით რუსი მკლევრები წერენ, რომ სენტის ფრესკებში თვალში საცემია ქართული ნაკადი. „ощутимой грузинской струи в сентинских фресках“ (Кузнецов, 1977, с.79). ქართული საეკლესიო სულიო გამსჭვალულია აქუარი ეკლესიები.

ვ. კუთხეცოვმა იპოვა მსგავსება ატენის სიონისა და სენტის ფრესკებში. В.А. Кузнецов обратил внимание на сходство орнаментальных мотивов последнего слоя сентинских фресок с росписями Атенского Сиона (Кузнецов, 1977, с.77, 79).

სენტოან დაკავშირებით ახსენებენ უდაბნოს მონასტრების ფრესკებსაც. ასევე გვერდს ვერ უვლიან მსგავსებას სვანების ეკლესიათა ფრესკებთან. მართლაც, სენტი, შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ კავკასიის სვანეთში მდებარეობდა, ამიტომაც აქ სვანური საეკ-



ლესიო მხატვრობის გავლენა უეჭველი უნდა იყოს.

ამის მიუხედავად, დაინტერესებული რუსი თუ თხი მკვლევრები მაინც მხოლოდ ბიზანტიურ ხელოვნებასთან აკავშირებენ სენტის მხატვრობას, თუმცა საბოლოოდ იძულებული არიან, მორცხვად, მაგრამ მაინც ქართულ გავლენაზე ისაუბრონ. „нельзя отрицать и влияния Грузии“.

მკვლევარი მოხატვის პირველ ფენას ათარიღებს 965 წლით, მეორესა და მესამეს მე-10–მე-11 საუკუნეებით, მაგრამ არ ათარიღებენ მეოთხე უფრო სრულ ფენას სენტის ეკლესიის მხატვრობისა.

სენტის ეკლესიის ბერძნულ საქტიტორო წარწერასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, რატომ მოათავსეს ბერძნული საქტიტორო წარწერა შეუსაბამო ადგილზე, იატაკიდან 2 მეტრზე უფრო მაღლა, სადაც მისი წაკითხვაც გაჭირდებოდა? ამასთანავე, ეს საქტიტორო, ყველა ტაძრისათვის სამაყო წარწერა, მაღლევე დაუფარავთ შელესილობით და ფრესკებით („უჯ და მარტინ არ მარტინი და მარტინი არ მარტინი“).

ისმის კითხვა: რატომ დაფარეს სენტის ბერძნული წარწერა ფრესკებით მრავალჯერ სხვადასხვა ეპოქაში? რატომ მაღლავდნენ მას საგულდაგულოდ?

ეს წარწერა ისე იყო დამადული უძველესი ნალესით და ფრესკებით, რომ ის ვერ შეამნიეს მე-19 და მე-20 საუკუნეებშიც კი, სანამ ფრესკის ბოლო ფრესკი არ ჩამოცვივდა.

მართლაცდა, თვით ამ ეკლესიაში ამ წარწერის ბედი გაურკვეველია. კვლავ ისმის კითხვა – რატომ დაფარეს ბერძნული საქტიტორო წარწერა მაღლევე ახალი ნალესით? ეს დაუშვებელი იქნებოდა ნორმალურ გითარებაში. ალბათ, იმიტომ, რომ მეორე კურთხევა ტაძრისა ქართული იყო და არ ესაჭიროებოდათ ძველის გახსენება, ანუ, შესაძლოა, მართლაც აკურთხეს სენტის ტაძარი აღნიშნული წარწერის შესაბამისად, მაგრამ მაღლევე ტაძარი ხელახლა უკურთხებით ქართველებს. ამიტომაც ძველი, უცხო იურის-დიქციის წარწერა გადაფარეს ნალესით,

შემდეგ კი რამდენჯერმე – ახალი ფრესკებით.

ნამდვილად საქტიტოროა ეს წარწერა და სენტის ეკლესიას ეკუთვნის? სპეციალისტის სიტყვით, ეს წარწერა, შესაძლოა, თავდაპირველად სხვა საგანზე იყო მოთავსებული, თიხის, ლითონის ანდა ხის რაღაც სიბრტყეზე და მხოლოდ შემდგომ გადაიტანეს სენტის ეკლესიის კედელზე. ამიტომაც შეიძლება გამოითქას ვარაუდი, იქნებ ბიზანტიაში რაიმე მაგარ მასალაზე დაწერეს ეს წარწერა (უკვე მზა-მზარეული ტექსტი) რომელიდაც ეკლესიაში მისატანად და ასე აღმოჩნდა ის სენტში.

სენტის ბერძნული წარწერა ასეთია: „იტურთხა და განახლდა ეკლესია ყოვლადწმიდა დვითისმშობლისა იმპერატორისა და ავგუსტოს ნიკიფორეს მეფობისას, და ალანის ეკუსიოპრატორ დავითისა და მარია ეკუსიოპრატორისას, 2 აპრილს, წმიდა ანტიასხის დღეს, ალანის მაკურთხეველი მიტროპოლიტ თეოდორეს ხელით, ქვექნის შექმნიდან 6473 წელს, დაიწერა პატრიკის აპოკრისარ იმიარეკის ხელით“.

ეს წარწერა ჩვენ გვაფიქრებინობს, რომ 1. სენტის ბერძნული წარწერა თავდაპირველად ბიზანტიაში დაიწერა დაფარე, რომელიც საგანგებო იყო მომზადებული გადასაგანად. მისი გადატანა, ჩანს, განზრახული იყო კავკასიის ალანიაში აშენებულ რომელიდაც ეკლესიაში (შეასაძლოა, ანაკოფიის ციხე-სიმაგრეში). აქედან, ის, შესაძლოა, რაღაც შემთხვევის გამო მოხვდა სენტის ეკლესიაში. 2. შესაძლოა ასევე ვიფიქროთ, რომ სენტის ეკლესიის აღგილზე ანდა მის მახლობლად ბიზანტიელებმა მართლაც ააშენეს რაიმე პატარა ზომის ეკლესია, რომლის ნაკალევსაც არქეოლოგები უთითებენ კიდეც სენტის ეზოში. ბიზანტიელების აქედან გაძევების შემდეგ (რომელიც მოხდა ალანთა მეფეების ნებით), ეს პატარა ეკლესია დაინგრა, მაგრამ წარწერიანი დაფა გადარჩა და ეს წარწერა, ვითარცა ისტორიული მოგონება, გადაიტანეს აფხაზ მეფეთა მიერ აგებულ სენტის ახალი ტაძრის კედელზე. 3. ან წარწერა იყო



ძველი ეკლესიის პედელზე და ის გადაიტანეს ახალში.

ასევე უნდა ვიფიქროთ, რომ 931–932 წლებში ალან მეფეთა მიერ ბერძენ სასულიეროთა განდევნის შემდეგ, აფხაზთა მეფებმა აქ ააგეს ტაძრები ქართული არქიტექტურით, მათ შორის სენტისა, მაგრამ 1032–1074 წლებში ეს მიწა-წყალი ბაგრატ IV-ის ნახევარმამა გადასცა ბიზანტიულების ანაკოფიასთან ერთად, სწორედ ამ წლებში უნდა მოექცნათ ბიზანტიულების აღნიშნული კურთხევის წარწერა, შესრულებული დაფაზე და ის უნდა გადაეტანათ კედელზე.

შოანას ეკლესიის ქართული ნაკვალევის ბანაღმურება მე-20 ს-ში

შოანის ეკლესია ყარაჩაი-ჩერქეზეთში (Shoana Church in Karachay – Cherkessia) ქართული ეკლესიაა, მას შუანას მონასტერი ერქვა. ეს ტერიტორია ქართული კულტურის არეალში იყო. ზოგი ცნობით, საქართველოს ისტორიულ საზღვრებში (სვანეთში) შემოდიოდა. აქედან მოსახლეობა ქრისტიანული ადმსარებლობის გამო განიდევნა მე-18 საუკუნის ბოლოს. რაც ფაქტად იქცა რუსეთის ხლისუფლებისათვის, 1839 წლიდან მოყოლებული რუსეთის იმპერიამ ახალი საზღვრი გაავლი საქართველოს (სვანეთსა) და ყარაჩაის შორის.

შოანა, ყარაჩაი-ჩერქეზეთში, გზაჯვარედინზე, შოანადან გზები მიდის სოხუმსა და ყუბანზე.

<http://www.dombayinfo.ru/#>

მიღებულია, რომ შოანას ეკლესია აგებულია მე-10 საუკუნეში. შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. მდებარეობს თავისუფალი სვანეთის ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც ამჟამად რუსეთის ფედერაციის ყარაჩაი-ჩერქეზეთშია. დგას ყუბანის მარცხენა სანაპიროზე შოანას მთაზე, სოფელ ხეთაგუროვთან, ქალაქ კარაჩაევსკის ჩრდილოეთით 7 კილომეტრში. აგებულია ტიპური

ქართული საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად. გეგმაში არის სამნავიანი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა, ეკრდნობა ოთხ სვეტის, სიგრძე და სიმაღლე არის 12,9 მ და სიგანე (დასავლეთ ფასადი) – 8,9 მ.

2007 წელს საბოლოოდ დაუკარგეს პირველსახი შოანას ეკლესიას ოსური სოფლის ხეთაგუროვის მცხოვრებლებმა, რომელთაც ნებართვის გარეშე თვითნებურად „გაარემონტეს“ ეკლესია. მათ უხეშად ჩამოყარეს ეკლესიის შელესილობა მის ქვეშ მოქცეულ ძველ შელესილობასთან ერთად, რომელზეც იყო ძველი ფრესკები, შესაბამისად, ხუცურ წარწერებთან ერთად.

ამ დროს, ჩანს, შეგნებულადაც განადგურდა ძველქართული წარწერები და სხვა უამრავი საგვარეულო ნიშან-დადები, გამოხატული ეკლესიის კედლებზე საუკუნეთა მანძილზე ეკლესის წინაშე დამსახურებული სვანური საგვარეულოებისა. მათი უმცირესი ჯერ კიდევ არსებული, გადარჩენილი ნაწილი, ანუ გადარჩენილი ქართული ასო-ნიშნები (წარწერები) ამჟამად დაფიქსირებულიც კი არაბ და, ალბათ, მალე გაანადგურებენ, როგორც თვითონ რუსი მკლევარი წერს: **В результате часть этой обмазки погибла, а на открывшихся частях в настоящее время имеются остатки древней декоративной росписи, греческие, арабские, грузинские, армянские и русские надписи различных эпох и многочисленные северокавказские родовые знаки-тамги. Все эти артефакты никак не зафиксированы и в скором времени могут быть утрачены.**


<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A8%D0%BE%D0%B0%D0%BD%D0%BA%D0%BC%D1%85%D1%80%D0%BA%D0%BC>

ესევ არ დაკლებ. 2011 წელს ეკლესია გადაწვეს. **30 апреля 2011 года неизвестные подожгли храм [იქვე].**

შოანას ეკლესია ძველქართული ეკლესია რომ იყო, ეს კარგადაა ცნობილი ადგილობრივ მცხოვრებთათვის. მეცნიერ ბ. კალოევის ცნობით, შოანასთან მდებარე თსური სოფლის კოსტა ხეთაგუროვის



მცხოვრებლები ამ ეპლესიას უწოდებენ თავის ნამდვილ სახელს – „სვანების წმიდა გიორგი“-ს (Калоев Б. А. Вторая Родина Коста – Владикавказ: Ир, 1999). აქედან გამომდინარე, როდესაც ამ სოფლელებმა ჩამოანგრიეს ეპლესის ძველი შელესილობა ქართული ნიშნებითა და წარწერებით, კარგად იცოდნენ, რომ ისინი არა ალანების, არამედ ქართველების (სვანების) ეპლესიას ანადგურებდნენ, **Осетины, проживающие в селе имени Коста Хетагурова, называют храм Суаны Уастырджы. См.: Калоев Б. А. Вторая Родина Коста – Владикавказ: Ир, 1999.**



შუანას ეპლესია

თავის დასპენა

რუსულ და, შეიძლება ითქვას, ქართულ სამეცნიერო წრეებში, რაც აისახება საინტერნეტო სივრცეში, მიღებულია აზრი, რომ ზელენჯუგარხიშის, შოანა-შუანასა და სენტის ეპლესიები ალანური ტაძრებია, შემავალი ალანის ეპარქიაში, ნაგები ბიზანტიელთა მიერ მე-10 საუკუნეში, რომელიც ამ საუკუნედან ვიდრე მე-19 საუკუნემდე უცვლელად იღება, ამავე დროს სრულიად იჩქმალება მრავალი ცნობა, რომელიც მიუთითებს, რომ ეს ეპლესიები მოქმედებდნენ და მათ ერთგული მრევლი ჰყავდა მე-17-მე-18 საუკუნეებშიც კი, მაგალითად – შუანას, იგივე შოანას ეპლესია მე-18 საუკუნეშიც მოქმედი იყო, „რადგანაც, ოვითმხილველი გერმანელი მოგზაურის რეინეგსის სიტყვით, აქ იკრიბებიან გლეხები და ქრისტიანი მღვდელი ატარებს ლოცვას“. მაშასადამე, მე-18 საუკუნეში მღვდელი ლოცვულობდა შუანას ეპლესიაში და მას მრევლი ჰყავდა.

2. შოანას ეპლესიის ქრისტიანული მრევლი მე-18 საუკუნეშიც კი ძლიერია. ის მოქმედია და ცდილობს, განსაზღვროს, თუ მათ შორის რომელია ლვთის მიერ უფრო გამორჩეული ქრისტიანი. უბრალო ხალხი, რიგითი ქრისტიანი გლეხები, ასეთად მიიჩნევენ ეპლესიის ახლოს, სწორედ უშუალოდ ეპლესიასთან, თუნდაც მეხის გამო დაღუპულს. ხალხური ადათით, ეპლესიასთან (ეპლესიისათვის) დაღუპულს მიაგებდნენ სათანადო პატივს, თუმცა, ცხადია, მღვდელი საეჭლესიო წესების შესაბამისად მოქმედებდა.

ამჟამად რუსული ორიენტაციის მკვლევრები დაბეჭითებით ამტკიცებენ, რომ შოანას ეპლესია ალანებისა იყო მაშინ, როცა ალანია ალანებითურთ ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში გაანადგურეს მონღოლებმა. მაშ, ვინ ლოცვულობდა შოანას ეპლესიაში მე-18 საუკუნეში მღვდელთან ერთად, როგორც რეინეგსი წერს? არა ალანები ანდა ოსები, არამედ ქართველები, კერძოდ კი სვანები. სწორედ მათ შემოინახეს მე-19 ს-ის დასაწყისში შესანიშნავად მდგარი შოანას ეპლესია




მთელი სახურავითა და კედლებით, რომელსაც მე-18 საუკუნეში თავისი ზარებიც კი პქონდა. ქართველები აქედან გააძვევეს უფრო 18 ს-ში მუსლიმანმა „სავიარებმა“. რუსებმა კი ეს უკანონობა დააკანონეს, ხოლო მე-19 ს-ში აქ ოსები ჩაასახლეს, სოფელს ხეთაგუროვო დაარქევეს.

„ტაძართან ახლოს უნდა ყოფილიყო წიგნსაცავი, საიდანაც რაინგებმა წაიღო ორი წიგნი: ერთი საეკლესიო ცნობარი და მეორე, საგარაულოდ, იესო ქრისტეს ცხოვრება. წიგნები დაწერილი უნდა ყოფილიყო ბერძნულ ენაზე, თუმცა ამის შესახებ ჩვენ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება“, – წერს თ. დიასამიძე. მე ვფიქრობ, რომ მე-18 საუკუნეშიც კი შოანას მოქმედ მღვდელს ლიტურგიისა და ლოცვებისათვის წიგნები ესაჭიროებოდა და, ცხადია, ეს წიგნები ქართულენოვანი იყო, რადგანაც მე-18 საუკუნეში კავკასიის მთებში წირვა-ლოცვას არავინ აღასრულებდა ბერძნული, რუსული, ოსური ანდა აფსუათა ენებით. ერთადერთი სალიტურგიო ენა კავკასიაში მე-12 საუკუნედან ვიდრე მე-19 საუკუნემდე, რუსების გაბატონებამდე, იყო ქართული ენა. ესაა ფაქტი. სწორედ ქართული ენის კავკასიის მთიანი რეგიონიდან გასაძევებლად შექმნეს რუსებმა ადგილობრივ დიალექტებზე საქრისტიანო წიგნები, როთაც არა მხოლოდ ქართული ენა გააძვევეს კავკასიის მთებიდან, არამედ სათავე დაუდეს არაქართული და არაქრისტიანული ეთნოცნობიერების ფორმირებას და ყოფილ ქართულ ეთნოსუბსტრატზე ჩამოაყალიბეს ახალი პატარა ეთნოსები, ოჯონდ უკვე მუსლიმანური აღმსარებლობისა.

რუსულ საინტერნეტო სივრცეში ისმის კითხვა, რატომ არ დაანგრიეს მონდოლებმა ალანთა უსასტიკესი დეპნისას ალანების ეპლესიებად მიჩნეული ზელნენჯუბისა და სხვა ტაძრები, მათ არა აქვთ პასუხი ამ კითხვაზე, სინამდვილეში ეს ტაძრები იდგა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიებზე, კერძოდ კი დასავლეთ საქართველოში. საქართველოს სახელმწიფოსთან კი მონდოლებმა ზავი დადეს 1230–40-იან წლებში, სტეპების ალანებთან ომისას, ამის გამო ცხადია, მონდოლები ვერ შეეხებოდნენ ქართველი მეფეების მიერ ნაგებ და საქართველოს ტერიტორიაზე მდგარ ტაძრებს.

ზელნენჯუბი არ იდგა კათედრა ალანიის მიტროპოლიტისა, როგორც ამჟამადაა მიჩნეული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კონსანტინოპოლის საპატრიიარქოს ალანიის ეპარქია მდებარეობდა არა კავკასიის მთებში, არამედ დონისპირეთის სტეპებში, ის იქ შეიქმნა მომთაბარე, ნომადი ქრისტიანი ალანებისათვის ნომად ალანებს ამ გაშლილ გელებზე თავიანთი მწემსური ცხოვრებიდან გამომდინარე, არ პქონდათ ქალაქები, ამიტომაც ამ ეპარქიის მღვდელმთავარს ბიზანტიის კათედრა დაუარსა სოტირიოპოლში, ლაზიკაში.

რაც შეეხება ზელნენჯუბ-შოანა-სენტის ეპლესიებს ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ რეგიონიდან კავკასიელ ალანთა მეფეებმა ბერძენი სასულიერო პირები გააძვევეს აფხაზ მეფეთა მოთხოვნით.



სენტის საძვალის ფორმა მიაგავს
პეტრიწონის საძვალე



გადაფხეკილი, სავარაუდოდ, ქართული წარწერა სენტში



ლიხნის ასლი – ზელენჯუბის ეპლესია



ნაზილი მესამე

ქართლის საპათალიძოსოს
იურისდიქცია ჩრდილოეთ
გავგასიაში

(ოსეთი, დურძულები, ქისტები)

თავი პირგელი

ოსეთი

ჩრდილოეთა გავგასიის ეთნიკური სახე გახშეტის მიზეზით

წყაროთა ცნობებით ჩრდილოეთ კავკასია მომთაბარე ტომების – ალანების, ოსების, ჰუნების, ავარების, ყიზბაღების და სხვათა აქ ჩასახლებამდე წარმოადგენდა ქართული მოდგმის ხალხების საცხოვრისს, მაგალითად სტრაბონი მიუთითებს იმერების და იქაურთა გენეტიკურ ნათესაობის შესახებ, ხოლო სხვა ბერძენ-რომაელი ავტორები მიუთითებენ ჩრდილო კავკასიაში გეორგების ტომების ცხოვრების შესახებ.

ვახუშტი იმეორებს ძველ ქართულ კონცეფციას ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური წარსულის შესახებ.

ის, ვითარცა სხვა ძველი მემატიანენი, მიიჩნევს, რომ ქართველები და, საერთოდ, კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა, ერთი წარმოშობის ხალხები იყვნენ, რომელიც მომდინარეობდნენ ინდოევროპელთა საერთო წინაპარ იაფეტისგან.

იაფეტის ძე იავანი, ანუ ავანანი ბალკანელთა და ბერძენთა საერთო წინაპრადაბ მიჩნეული, მისი ძე იყო ბალკანელთა ეპომენი – თარში, თარშის ძე კი თარგამოსი ყოფილა, თავის მხრივ, თარგამოსი – ქართველთა და, საერთოდ, კავკასიელთა საერთო წინაპარი ყოფილა, ვახუშტისა და ძველ მემატიანეთა მიხედვით.

ამ კავკასიელთა შორის იგულისხმება როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთკავკასიელები.

ასე რომ, ვახუშტისა და ძველ ქართველ მემატიანებს ქართველები და კავკასიელები ინდოევროპელთა ოჯახის წრის წევრებად მიაჩნდათ (თანამედროვე სიტყვით რომ ვთქვათ), რადგანაც მათი საერთო წინაპარი – იაფეტი ინდოევროპელთა პირველი წინაპარი იყო. ვახუშტი კიდევ უფრო აკონკრეტებს: კავკასიელთა საერთო წინაპარი თარგამოსი ბალკანელთა წინაპრად მიჩნეული ავანანის ძის, თარშის, ძე იყო (ავანანისაგან წარმოდგნენ იონელები (ბერძენ-პელაზგალთა წინაპრები, თარშისაგან – ბალკანელები). ვახუშტი თარგამოსს პელაზგებთან და ბალკანელებთან აკავშირებდა.

ეს თეორია ეთანადება სამეცნიერო მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ქრისტეშობამდე დაახლოებით 1,5 ათასი წლის წინ მცირე აზიაში მიმდინარეობდა ბალკანელი ხალხების მიგრაცია. სტრატონი ბალკანელთიდან მცირე აზია-კავკასია-არაქსის ხეობაში ბალკანელთა მიგრაციას აკავშირებს არგონავტებთან, რომელთაგან ზოგიერთმა გმირმა, თითქოსდა, სათავე დაუდო ადგილობრივ მოსახლეობას (ამ, ბალკანეთიდან შემოსულ, ხალხთა შორის ისესენებიან ბრიგებიც – შესაძლოა, იბერიულ-კავკასიელთა წინაპრები).

ვახუშტი წერს: „ქართლოს იყო ნოეს ძის იაფეთისაგან, რამეთუ იაფეთ შვა ავანან, ავანან შვა თარში, თარში შვა თარგამოს, თარგამოს შვა რვანი გმირნი ესე: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლეკანოს, ჰეროს, კავკასოს და ეგროს“ („ქართლის ცხოვრება“, IV, 1973, გვ. 47).

ამ კონცეფციის მიხედვით ქართველები ხალხთა ინდოევროპელთა ოჯახის წევრები იყვნენ ნოეს ძის იაფეტისაგან წარმომავლობის გამო.

ქართულ და ინდოევროპელ მრავალ მახასიათებელთა მსგავსებას ზოგიერთი მკვლევარიც მიუთითებს (მაგალითად, ქართულ-დასავლურ-ევროპელი მრავალხმიანობა – პოლიფონია, ენობრივი წარ-



მომავლობა (ნოსტრატიულ ენათა ოჯახი), სოციალური სტრუქტურების მსგავსება და სხვა).

იაფეტის შვილიშვილ თარგამოსის ძეებს (ვახუშტის მიხედვით, გმირებს) წილად ხვდათ თავ-თავიანთი მიწა-წყალი.

„ლეპანის“ წილხვედრი ქვეყანა, ჩრდილოეთ კავკასიაში, აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრული იყო კასპიის ზღვით, სამხრეთით კავკასიის ქედით, დასავლეთის მხრიდან კავკასოსის წილი ქვექნით, ჩრდილოეთით კი დიდი ხაზარეთის მდინარე ვოლგით (დიდი ხაზარეთის წყალით).

„კავკასოსის“ წილი ქვეყანა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა, განვრცობილი იყო ლეპანის საზღვრამდე და შავ ზღვამდე (იქვე, გვ. 4).

„ეგროს“ ჩრდილოკავკასიაშიც თავისი წილი პქნდა: ეგროსის წილი ქვეყანა აღწევდა იქამდე, სადაც კავკასიის მთის წვერი ეხება მცირე ხაზარეთის წყალს (მდ. უბანს), რომელიც ახლოს მდებარეობდა ყირიმის ნახევარეუნძულზე მდებარე პუნქტ კაფასთან. ამ უკანასკნელს, ვითარცა საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის საზღვარს, ხშირად ახსენებენ ქართული და უცხოური წყაროები (აფხაზეთის საკათალიკოსოს იაღგარი, არქანჯელო ლამბერტი).

ქართულ წყაროებში „დიდი ხაზარეთის წყალი“ ეწოდება მდ. ვოლგას, ხოლო „მცირე ხაზარეთის წყალი“ – უბანს.

ამ ორი მდინარისშორისი (ვოლგასა და უბანს შორის მდებარე) ტერიტორია ეგროსს, კავკასოსსა და ლეპანს ეპუთვნოდა, რომელიც, ვახუშტის ცნობით, სახელმწიფოებრივად მცხეოლი მამასახლისის მორჩილების ქვეშ იყვნენ.

ვახუშტი წერს: „ხოლო ოდეს მოვიდა კავკასოს წილხვედრომილსა თვისება და დაეშენა ამათ ქვეყანათა, და დაიპყრა მან და ძეთა მისთა, გამრავლდნენ ესენი და იყვნენ მორჩილებასა შინა მცხეოლი მამასახლისისასა ... გამოსვლამდე ხაზართა მეფისა, ოდეს გამოვიდა ხაზართა მეფე, მისცა ქვეყანა ესე ურბანოსს ძესა თვისება (რომელმან უწოდა ოვსეთი) და ტყვენი რანისანი და სომხითისანი, მაშინ

მოვიდა ურბანოსს ტყვითა მით და დაეშენა თვით, და ტყვენიცა იგი დააშენა აქა ველსა ამას“ (ქ.ც., IV, გვ. 65).

ე.ი. ჩრდილოკავკასია თავდაპირველად დასახლებული იყო თარგამოსიანი, ანუ ქართველთა მონათესავე ხალხით – კავკასოსის შთამომავლებით, შემდეგ კი მათ ქვეყანაში მივიდა და დაემკვიდრა ახალი ხალხი – თსები (ალანები). ვახუშტის სიტყვით, ისინი ხაზარების შთამომავლები იყვნენ.

ვახუშტი ამ ხალხს ხაზარებს უწოდებს, რათა თავისი დროის მკითხველს მარტივად მიაწოდოს ინფორმაცია, რომ ეს ხალხი, ცნობილი ხაზარების მსგავსად, თურქულენოვანი იყო, ამიტომაც უწოდებს მათაც ხაზარებს. აღსანიშნავია, რომ მისი მჯელობიდან გამომდინარე, შემდგომში კავკასიაში გამოჩნდნენ ირანულენოვანი ალანებიც.

აღნიშნული თურქულენოვანი ალანები (ოვსები) დამკვიდრდნენ ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობზე და იქ დაიკავეს კავკასოსის – კავკასიელი ხალხის ტერიტორია.

აქედან ჩანს, რომ ვახუშტის თვალთახედვით, ფარნაგაზამდელი ოსები, ანუ ოვსები, რომელიც ჩრდილოკავკასიის ველზე სახლობდნენ და ალანების სახელით იყვნენ ცნობილნი, წარმოადგენდნენ თურქულენოვან და არა ირანულენოვან ხალხს (ოვსების პირველწინაპრად მიჩნეული ურბანოსი ხაზართა მეფის ძე იყო, ხაზარები კი – თურქულენოვანი ხალხი).

ძველი, ცნობილი ალანების თურქულენოვების შესახებ სხვა ცნობებიც არსებობს.

მაშასადამე, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ამ კონცეფციის თანახმად, კავკასია თავდაპირველად დასახლებული იყო ერთი წარმომავლობის აღგილობრივი ტომებით (სტრაბონიც მიუთითებდა მთივლი იბერებისა და ჩრდილოკავკასიელი სარმატების ნათესაობის შესახებ), შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდა თურქულენოვანი ხალხი, ოვსების, ანუ ალანების წინაპრები. შედეგად ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობი მათ ხელში



აღმოჩნდა. ჩანს, ადგილი პქონდა ალანებში კავკასიელთა ასიმილაციას („ხაზართა მეფე“ → ურბანოს → ოვეთი).

როგორც აღინიშნა, არსებობდნენ ირანულენოვანი ალანებიც. კავკასიაში მათი შემოსვლის თარიღი უცნობია, მაგრამ ისინი მონდოლობის ეპოქაში ფიგურირებენ. მათაც შეძლეს თავის წიაღში კავკასიელთა ასიმილაცია. ასიმილაციის გამო კავკასიის როგორც თურქულენოვანი, ისე ირანულენოვანი ალანები, ეთნიკურად უფრო კაგბასიელ ხალხთა ოჯახის წევრად გადაიქცნენ.

ვახუშტი განაგრძობს, რომ ფარნავაზამდელ ეპოქაში, ეთნიკურად ჩრდილოეთ კავკასია ალანთა შემოსვლის შემდეგაც კვლავინდებურად რჩებოდა კავკასიელთა ეთნიკურ ოჯახში, ამის ერთ-ერთი მიზეზი „რანელი და სომხითარი“ ტყვების სიმრავლეც ყოფილა. ამიტომაც ჩრდილო კავკასიელები კვლავინდებურად ქართველთა მონათესავე ხალხად რჩებოდა შემდგომაც.

ამ ფაქტს მიუთითებდა კიდევ ბიზანტიელი მწერალი იოანე ცეცხლი, ის აღნიშნავდა: ოსების (ალანების) ქართველთა ეთნიკური ოჯახის წევრობის შესახებ, წერდა, რომ ალანები ქართველთა ეთნიკური ჯგუფის წევრები იყნენ.

იოანე ცეცხლი კავკასიური წარმოშობის ბიზანტიელი გენერალი, წერდა, „იბერები, აბაზები და ალანები ერთი წარმოშობის ხალხია“ – „**ибери, абазги и алани одного рода**“ (გეორგია, 1967, გ, VII, 22-26).

იოანე ცეცხლი კარგად იცნობდა ალანებსა და იბერებს, რადგანაც თვითონ ის ბაგრატ IV-ის ქალიშვილის მარიამ ალანელის წრიდან იყო.

იოანე ცეცხლი ალანები, აფხაზები და ქართველები ერთი გენის ხალხად მიაჩნია.

როგორც აღინიშნა, სტრაბონიც მიუთითებდა მთიელი იბერებისა და ჩრდილოკავკასიელების ეთნიკური ნათესაობის შესახებ. ამასვე მიუთითებდნენ ქართული წყაროებიც.

ვახუშტი მიუთითებს, რომ ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში ჩრდილო-

კავკასია შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ეს სამეფო დააარსეს აზონმა და ფარნავაზ მეფემ. ფარნავაზმა სახელმწიფობრივი სიმტკიცის გასატარებლად დინასტიური კავშირი შექრა ჩრდილოკავკასიის ძლიერ ხალხთან – დურძუებოთ. ვახუშტი ასე აღწერს ჩრდილოკავკასიის ქრისტეშობამდელ ისტორიას: ლეგანის შთამომავალთა შორის გამორჩეული იყო ხოზონი, ის ხაზართა (გულისხმობს თურქულენოვან ალანებს) შემოჭრის შემდეგ იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ქვეყნის ბარი (ჩრდილოკავკასიის სტეპები) და თავისი ხალხით შესულიყო კავკასიის მთებში (ანუ დაღესტანში). აქ აღაშენა ქალაქი ხოზონერეთი და ხარჯს უხდიდა ხაზარებს.

რაც შეეხება კავკასოსს, მისი შთამომავლები ცხოვრობდნენ შავ ზღვამდე ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, მის ქვეყანაშიც, ჩრდილოკავკასიის დაბლობში დასახლდნენ ალანები (თურქულენოვნები) – ოვები. ამის გამო, წერს ის, კავკასიის მთიანეთს ეწოდა „კავკასი“, ხოლო მის ვალს – „ოსი“ (ჩრდილოკავკასიის დაბლობი). პლიტიკურად ის ექვემდებარებოდა ხაზარეთს (იგულისხმება თურქულენოვანი ხალხი).

ხაზართა მეფის ძეს ერქვა ურბანისი, რომელსაც საქართველოდან გაუყვანია დიდძალი ტყვე. ამ დატყვევებულ ხალხს ვახუშტი უწოდებს „ტყვენი რანსომხითისანი“. ხაზარებს (თურქულენოვან ხალხს) ჩრდილო კავკასიის ბარში ამოუწყვეტიათ კავკასიელები და თვითონ დასახლებულან თავიანთი ქართველი (ანუ რან-სომხითის) ტყვეებით და ამ ქვეყანას თურმე უწოდა „ოვესეთი“.

ე.ი. „ოვესეთი“, ძველი ალანია, ქართველებით (დატყვევებულთა შთამომავლებით) იყო დასახლებული, რადგანაც ტყვენი რან-სომხითისანი ამას გულისხმობს (სომხითი ქვემო ქართლის მხარეს ერქვა). აქედან ჩანს, რომ ვახუშტის თვით ალანიის სიძლიერის დროსაც კი ალანები ქართული გენეტიკის მქონე ხალხად მიაჩნია, რადგანაც „ქართლ-სომხეთის ტყვეთა“ შთამომავლები იყვნენ, თუმცა კი



ხაზარების (ე.ი. თურქულენოვანი ხალხის) ბატონობის არეალში ცხოვრობდნენ.

ასეთი ყოფილა კავკასოსის, ანუ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ისტორია. რაც შეეხება ჩრდილოკავკასიის აღმოსავლეთს, მისი ერთი ნაწილი დაიჭირა კავკასოსის ძეგ - დურძუკოსის შთამომავალმა. ხაზართა (ე. ი. თურქულენოვანი ხალხის) მიზეზით მათაც თავი შეაფარეს კავკასიის მთებს. აქ ადაშენეს ქალაქი დურძუკი. ამის გამო მიწა-წყალი თერგიდან (არაგიდან) - ლეკეთამდე (დადეს-ტნამდე) იწოდა ძურძუკეთად.

ვახუშტი მდ. თერგს უწოდებს ორ სახელს - „არაგვ“ და ლომეკს, ამ მდინარის დასავლეთი მხარე იწოდა დვალეთად, ხაზართა ენის მიხედვით („დუ“ - ორი).

მიზეზი ამისა ყოფილა ის, რომ დვალები ხაზარებს ორ წელიწადში ერთხელ უხდიდნენ ხარქს. ეს ხდებოდა ქრისტეშობამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისში. შემდგომში, ქართლში (იბერიაში), ფარნაგაზის გამეფების შემდეგ „დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დვალეთი, სხვანი ხევნი დაშონენ მეფესა თსთასა“ (ქ. 4, გვ. 633). ე.ი. შეა კავკასია ერთმანეთს შორის გაუყვიათ თურქულენოვან ოსების სახელმწიფოსა და ქართულს. დურძუკეთი და დვალეთი ქართლის სამეფოს ნაწილი ყოფილა.

ფარნაგაზის სამეფოში შემავალი ძურძუკეთი (დურძუკეთი), თავის მხრივ, სამ ნაწილად იყოფოდა. ესენია, ვახუშტის სიტყვით, ქიხტი, დლილვი და ძურძუკი, ხოლო ქართლის სამეფოში შემავალ დვალეთია კასრის ხევი, ზრამაგი, შდელე, ნარი, ზროგო და ზახა. ეს მხარეები ქართველ მეფებს ემორჩილებოდნენ.

ქართული წყაროების ცნობით, ვახუშტანგ გორგასალი შეებრძოლა ოსებს ჩრდილოეთ კავკასიაში, შეძლო მათგან ჩრდილოკავკასიის ქართული ტერიტორიების განთავისუფლება.

ოვს-ალანების სამშობლო, ანუ ჩრდილო კავკასიის ბარი, ბათო ყაენის შემოსევის შემდეგ მოოხრდა. ამ ბარს მონდოლების შემოსევამდე ეწოდებოდა ალანია, ანუ ოვსეთი, ხოლო მის შემდეგ

ეწოდა ჩერქეზი (ჩერქეზები, ყაბარდო), ვახუშტი წერს:

„შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიისა შინა იწოდნენ: ოვსეთი - ჩერქეზებად, ანუ ყაბარდო“ (იქვე, გვ. 634).

ძველ, ანუ ბარის ალანიას, ჩერქეზებარდო ეწოდა, ხოლო ახალ, ანუ კავკასიის მთების ალანიას - ოსეთი.

ანუ ბათო ყაენის შემდეგ კავგასიაში ოსების შემოსვლის შემდეგ გაჩნდა „ახალი ოსეთი“, ძველი ოსეთი კი ჩერქეზად და ყაბარდოდ იწოდა.

თემურ-ლევნგის ეპოქაში ირანულენოვან ოსებს მოუხერხებიათ შუა კავკასიის მთიანეთის დაპყრობა.

ამ ეპოქაში, ვახუშტის სიტყვით, ოსთა მეფებს თავიანთი კონტროლი დაუმყარებიათ დვალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ „დარჩათ შემდეგი ხევები - ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვილაგირი, ფაიქმი, დიგორი და ბასიანი. ისინი ოსების ხელში იმის შემდეგ აღმოჩნდნენ, რაც ჩინგიზ ყაენის მიერ დევნილი „ოვსნი შემოივლტოდნენ ქავკასიათა შინა“ (იქვე, გვ. 634).

კავკასიის მთებში შემოსულ ირანულენოვან ოსებს იქ დახვდა მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც დაიმორჩილეს და საზოგადოების დაბალ ფენად გადაჯიქს. ამის გამო ზედაფენა ოსური იყო, თხობდა და თავისუფალი იყო, ხოლო დამორჩილებული ქვედა ფენა კვლავინდებურად თავისი სატომო სახელით იწოდებოდა. მაგალითად, დვალეთში ზედა ფენა ოსებად იწოდებოდა, ხოლო ქვედა ფანა - დვალებად, ის ოსებზე დამორჩილებული ტომი იყო.

ოსთა ზედაფენაც, ძველი, მკვიდრი მოსახლეობის მხეგვასად, ქართული ენის მიხედვით და ქართული წესით აწარმოებდა თავის გვარებს. ეს მიუთითებს, რომ მათი კულტურის ენა ქართული იყო. ეს ოსური გვარებია ზედაფენისა - ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახალიძე (ქ. 4, გვ. 63).



განებულები „ახალი ოსმოს“ შესახებ

კავკასიის მთიანეთში მდებარე ისტორიულ დვალეთსა და მის შემოგარენებს ვახუშტი „ახალ ოსეთს“ უწოდებს იმის შემდეგ, რაც ჩრდილოკავკასიის სტეპებიდან, ანუ „ძველი ოვსეთიდან“ ბათო ყაენის მიერ ლტოლვილი ოსების ნაწილმა თავი შეაფარა კავკასიის მთიანეთს, დაიმორჩილა იქ მცხოვრები ტომები და მათ ქვეყანას ახალი სახელი მიანიჭა.

შეუ ჩრდილოკავკასიის მთიანეთს, ვახუშტი, როგორც აღინიშნა, „ახალ ოსეთს“ უწოდებს. ახალი ოსეთი ძირითადად დვალეთს ეწოდა, ძველ ქართულ ქვეყანას, ძველი ოსეთი კი დაიცალა ოსური მოსახლეობისაგან, აქ ადიდეველები დაბინავდნენ და ჩერქეზ-ყაბარდოდ იწოდა.

დვალეთში ოსები ახალი ხალხი იყო, ოსების პირველი ტალღა აქ შემოსულა მონძოლთა ეპიქაში მის შემდეგ, რაც კავკასიის სტეპების მომცველი ალანია მონძოლებმა დაამარცხეს, ოსების ერთი ლტოლვილი ნაკადი შექრილა შეუ კავკასიის მთიანეთში და დაუპყრია დვალეთ-სვანეთის ოლქები – ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვილაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი, დაპყრობილი ოლქების გვერდით ჯერ კიდევ არსებობდა თავისუფალი დვალეთი.

თავისუფალი დვალეთის ნაწილი ოსების მეორე ტალღამ დაიპყრო მოგვიანებით, თემურ-ლენგის შემდეგ.

დვალეთი ქართველ მეფებს ქართლის სახელმწიფოს ნაწილად მიაჩნდათ. ამიტომაც ყოველ შესაძლებელ მომენტში ცდილობდნენ მის კვლავინდებურად დამორჩილებას, ბოლოს აქ ქართლის სამეფოს სარდალმა გიორგი სააკადემ ილაშქრა XVII საუკუნეში. თავის მხრივ, დვალეთში უკვე გაბატონებული ოსი დიდებულებიც აღიარებდნენ საქართველოს სახელმწიფოს უზენაესობას ზოგიერთ ვითარებაში.

დაახლოებით XIV-XV საუკუნეებში ჩერქეზთა მიერ ლტოლვილი ოსების მეორე ტალღამ, როგორც ითქვა, შეძლო გაბატონება თავისუფალ დვალეთში.

დვალები არ იყო ოსური ტომი, დვალები ადგილობრივი კავკასიური მოსახლეობა იყო და, ვახუშტის ცნობით, მათ XVIII საუკუნეშიც კი ოსურისაგან განსხვავებული თავიანთი ენა-დიალექტი ჰქონდათ. ჩანს, ის იყო ოსურ-ქართულის ნაზავი ანდა „წამხედარი ქართული“ (დაბალი ფენის ქართული, სოციალური დიალექტი, გლეხების ენა), სალიტერატურო ქართულის გამოუყენებლობის გამო სახეცვლილი.

იქამდე, ანუ ოსების დვალებში შესვლამდე, დვალები ქართული ეკლესიის ერთერთი საუკეთესო და გამორჩეული მრევლი იყო. საქართველოს ეკლესიის კალენდარი ახლაც კი ისსესნიებს დვალ წმინდანებს, საეკლესიო მამებს, ცნობილნი არიან დვალი კალიგრაფები, მწიგნობრები, მწერლები, ხელნაწერთა გადამწერები. ეს ხელნაწერები და წიგნები ქართული იყო. ისინი ქართველი გადამწერები, ქართველი მწიგნობრები, ქართველი წმინდანები იყვნენ. დვალურენოვანი მწიგნობრობა არ არსებობდა. დვალები, როგორც სხვა მრევლი საქართველოს ეკლესიისა, ქართულენოვანები იყვნენ. ქართული ენა იყო დვალეთში სახელმწიფო და საზოგადო ურთიერთობის, კულტურისა და მწიგნობრობის ენა. საქართველოს სახელმწიფოს რდევების შემდეგ დვალებზე ოსები გაბატონდნენ, დვალები ახალ ოსეთში საზოგადოების დაბალ ფენად გადაიქცა, ოსები კი მაღალ ფენად წარმოჩნდა.

ცხადია, ადგილობრივი საზოგადოება, ჩვეულებრივად, ზედა და ქვედა ფენად იყოფოდა, შემოსულ ოსებს მოუხერხებიათ ადგილობრივი ქართული, ანუ დვალური ზედა ფენის მოსპობა, მათ მიისაკუთრეს მათი (ქართველი იგივე დვალი) დიდებულების სახლ-კარი, ადგილმამული, ყმები და, ცხადია, მიისაკუთრეს მათი გვარებიც კი (გვარის მიღების ასეთი წესი საქართველოშიც არსებობდა, მაგალითად, ვთქვათ, ციციშვილების მამულზე მოსული ახალი მეპატრონები ციციშვილების გვარს იდებდნენ საჭიროების შემთხვევაში).



ოსებს ჩრდილოკავკასიის ცენტრალურ მთიანეთში მიუსაკუთრებიათ გვარები: სიდამონი, ჭახილიძე, თაგაური, ქურთული, ბადელიძე, ბასიანი და სხვა.

ეს გვარები ორმაგი ქართული გვარწარმომქმნელი სუფიქსებით იწარმოება, ესენია: „ძე“, „იანი“, „ელი“, „ური“, „ონი“, „ილი“.

„ძე“ აქვთ შემდეგ გვარებს: ბადელიძე, ჩერქესიძე, ჭახილიძე.

„ელი“, „ური“, „ილი“ გვარებს: ბადელი (ბადელიძე), თაგაური, ქურთული, ჭახილი (ჭახილიძე)

„იანი“, „ონი“ – გვარებს – ბასიანი, სიდამონი.

ქართული ნაკვალევი ჩრდილოკავკასიაში მრავალია. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში მდინარეებსაც ქართული სახელები ერქვათ, მაგალითად, რაჭის მთიანეთიდან ჩრდილო კავკასიაში გამავალ მდინარეს „რიონი“ ერქვა (ამ მთიანეთიდან ასევე გამოდის დასავლეთ საქართველოს რიონი), მყინვარწვერის მთიანეთიდან გამავალ მდინარეს, თერგს, ერქვა არაგვი და ლომეკი და სხვა. ლომეკთან მდებარეობდა ოლქი, რომელსაც „ხეთაძე“ ერქვა. დვალეთშია ქართული სახელის მქონე მთები „კედელა“, „ბრუც-საბქელა“, „ზეკარა“.

დვალეთში ოსების გაბატონების შემდეგ, როგორც ვახუშტი წერს: ქრისტიანობა, მართლია, დაცა, მაგრამ არ გამქრალა.

დვალეთი და დვალები მე-18 საუკუნეშიც კი თვითმხილველის, ვახუშტის, თქმით, „სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანები და სამწყსონი ნიქოზლისანი და უფრო დვალნი. არამედ აწინდელთა ქამთა დვალნი სახელით ოდენ – ქრისტიანები, რამეთუ იმარხვენ დიდმარხვასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელოთა პატივსა უმოვენ და თაყვანსცემენ და სხვისა სრულიად უმეცარნი, არა უვისო მდვდელნი და უნათლისდებონი არიან, თვითიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან, ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თაგნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალი გლეხნი – ქრისტიანები ... ენა

აქვთ ძველი-დვალური და აწ უბონებნ ოსურსა საკუთრად, ვინაითგან ჩერქეზთა ენა სხვაა... უწყიან გვარნი და უწარჩინებულები გვარითა არიან ოვსნი (სიდამონი, ჭახელიძე, თაგაური, ქურთაული, ბადელიძე, ჩერქესიძე, ბასიანი). არამედ დვალნი უმდაბლები არიან გვარითა. ძველადნი არიან ციხენი, კოშკი, ეკლესიანი ქვითირისანი, მეფეთაგან ნაშენი და უმეტეს, და იტყვიან თვით იგინივე თამარ მეფისგანსა“ (ქ.ც., IV, გვ. 638-640).

მაშასადამე, დვალეთში არსებული ციხე-კოშკები და ეკლესიები აგებულან არა დვალეთში ოსების შესვლის შემდეგ, არამედ ისინი აუგიათ ქართველ მეფებს, მათ შორის თამარსაც, რასაც თურმე თვებიც მიუთითებდნენ.

ვახუშტი წერს, რომ „ხეთაძე“ ერქვა ტერიტორიას იქდან, სადაც თერგს უერთდება „ქისტ-ძურძუკის წყალი“.

ჩიმი ერქვა თერგ-ქისტიწყლის შესართავის დასავლეთით მთისძირში მდებარე ტერიტორიას. ეს იყო კოშკებიანი მხარე სიდამონების მმართველობის ქვეშ.

თაგაური ჩიმის დასავლეთით მდებარეობდა. აქ არის მცირე ეკლესია, კოშკები, ციხეები, რომელნიც „მეფეთაგან ნაშენებია“, იგულისხმებიან საქართველოს მეფეები მონდოლებამდე.

ქურთაული თაგაურის დასავლეთით მდებარეობდა.

ვალგირ-ფაიქომი, ქურთაულის დასავლეთით, ჭახილიძეებისაა. აქაა ხოხის მთა. „სახელი მოიგო თვისი ხოხით სლეისათვის“ (ქ.ც. IV, გვ. 644).

კასრის ხევს ფაიქომის დასავლეთით კვლავ დვალეთს უწოდებენ. „აქაა კარი, ქვით-კირით ქმნილი, დიდ-კამაროვანი მდინარესა ზედა – მეფეთაგან ქმნული“ (იქვე, გვ. 645). ე.ი. საქართველოს მეფეების მიერ აგებული, „რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“ (იქვე, გვ. 65). ე.ი. ქართველ მეფეებს ეს კარი გლოლასთან ახლოს აუგიათ, რათა ეკონტროლებინათ თვების მოძრაობა. მას ერქვა „კასრის-კარი“.

უდელე კასრის-კარის ზემოთ იყო.

ზრამაგა მდებარეობდა კასრისა და უდელეს მდინარეთა (წყალთა) შორის, აქ იყო „ციხე დიდი ფრიად მაგარი, იტყვიან



აღშენებულსა თამარ მეფისა და დაბა კოშკოვანი“ (ქ.ც., IV, გვ. 646).

ნარა – ზრამაგას ზევით – „დაბა კოშკოვანი და ეკლესია მცირე“ (იქვე, გვ. 646). ცხადია, ეს ეკლესია საქართველოს ეკლესიის ოურისდიქციაში შედიოდა და არა „აღანის სამიტროპოლიტოში“, როგორც ამას წერს „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“.

ზახა ზრამაგას ხევისწყლის ზევით მდებარეობდა. „არიან დაბანი კოშკოვანი, აქა არს ეკლესია მცირე“ (იქვე, გვ. 647), ემიჯნება თრუსოს მთას, გადასასვლელი აქვს დიდ ლიახვზე.

თრუსოს ხეობაში, ხოსისაკენ არის ეკლესია ყოვლად წმიდისა, – მცირე“ (იქვე, გვ. 648).

ჩრდილოკავკასიაში დვალეთში ოსების გაბატონების გამო ნაწილმა დვალებისა თავი შეაფარა მომიჯნავე საქართველოს მთიანეთს, დიდი და პატარა ლიახვის სათავეებს, „ქსნის ხევსა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალენივე, ამ დვალეთიდან გარდასულნი რჯულითა, წესითა და ზნით ერთნი და დღესაც მონათესაობენ ურთიერთა“ (იქვე, გვ. 648).

დიგორი იყო კასრისხევის დასავლეთით, იყოფოდა ორ ნაწილად – ჩერქესიძე და ბადელაძე (გეოგრაფიულ სახელებად იქცა). აქ იდგა მცირე ეკლესია. ბასიანი დიგორის დასავლეთით იყო. აქედან გზა სვანეთისაკენ მიემართებოდა, ასევე რაჭისაკენ.

სულ მცირე, 5 ეკლესია აღიწერება ვახუშტის მიერ დვალეთის მიმდებარე კავკასიაში აგებული ქართველი მეფების მიერ. ისინი მდებარეობდა დიგორში, თაგაურში, ნარაში, ზახასა და თრუსოში. ცხადია, ისინი საქართველოს ეკლესიის ოურისდიქციაში შედიოდნენ და არა პიპოტებურ აღანის სამიტროპოლიტოში.

ვახუშტი ასევე წერს ქისტეთის, დურძუებითისა და დლილვის შესახებ.

ქისტეთს ვახუშტი კავკასიონთან აკავშირებს. მდებარეობდა თერგის (არაგვ-ლომების) მარჯვენა მხარეს, სადაც თერგს უერთდება ფშავ-ხევსურეთიდან გამომავალი დურძუებითის წყალი. მის

შესართავთანაა დიდი ქლდე – ჯარიეხი, კოშკოვან-ზღუდოვანი, „ჯარიეხის ზეით არს ქისტეთი დაბნებიანი, შენობიანი“ (ქ.ც., IV, გვ. 651).

„ქისტეს ზეით არს ძურძუები შენობინი, დაბნებინი კოშკოვანნი“ (იქვე, გვ. 652).

დლილვეთი – ვახუშტი წერს, „ქისტძურძუების აღმოსავლეთად არს დლილვეთი“ (იქვე, გვ. 652).

დლილვი – თავდაპირველად სახელი ყოფილა ძურძუების ძის ძისა, აძლევენ ხარება ჩერქეზთა“ (გვ. 653).

როგორც ითქა, ვახუშტის სიტყვით, ყველა ეს დასახელებული მხარე ემორჩილებოდა საქართველოს მმართველობას ქრისტეშობამდე. „ესენი მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლისისასა“ (იქვე, გვ. 654).

ფარნავაზის დროს კი შევიდნენ საქართველოს სახელმწიფოში.

„ხოლო ფარნავაზ მოიყვანა ნათესავი ძურძუების ქალი ძურძუებეთიდან და შეირთო თვით ცოლად და დაიმორჩილა უმეტესად ძურძუებითი ამით და შემდგომად ფარნავაზ მეფისა, კითარცა აჩენს ცხოვრება, იყვნენ მორჩილებასა შინ და მომცემელნი ხარკთა მეფეთა ქართველთასა, ძურძუები, ხევი, დვალეთი, კასრისკარს ზეითი, ხოლო სხვანი იყვნენ მორჩილებასა შინა ოვსთა მეფეთასა, ხოლო მოსვლასა თათართასა ჩინგიზ ყავნითაგან, და უმეტეს ბათოსა და ორხანისაგან მოისრნენ და მოისრნენ ქალაქი და შენობანი მათნი და მეფება ოვსთა იქცა მთავრობად და შემოივლტოდნენ ოვსნი ამ კავკასიოთა შინა და უმეტეს უდაბნოდ იქმნენ, ვითარცა არის დღეს ჩერქეზთი, და კავკასიონისა და აღებისა კონსტანტინოპოლისა, ემდლავრნენ ოვსთა იქით თათარხანი და აქეთ ლანქთემურის ელნი მაპმადიანნი და შემოივლტოდნენ კავკასიასა შინა და დაიცურეს

კავკასთა ნათესავნი, რომელ არიან დვალნი და ოვსეთს მიერით ეწოდა ჩერქეზები, ანუ ყაბარდო. დაშთა ხევი და დვალეთი ქართველთა მეფეთა, რომელი მოსცემები დღემდე ხარკთა მეფეთა. ძურძუები –



ქისტს სდებენ თვისად კახნი და დღილვსაცა, არამედ არა რას მორჩილებენ ხარჯით და არიან მორჩილებისა შინა უფროს ჩერქესთასა, ეგრევე სხვანი ოვსნიცა, გარნა დიგორი მცირედ რა სამე ჰმორჩილებს რაჭის ერისთავებს“ (იქვე, გვ. 655).

აქედან დასკვნა: ქრისტეშობის წინა ათასწლეულებში ჩრდილოკავკასია ქართველთა მოხატესავე ხალხით იყო დასახლებული (თარგამოსის ძეგლის შთამომავლებით), შემდეგ ეს მიწა-წყალი დაიპყრეს „ხაზარებმა“, ცხადია, იგულისხმება არა VII-X საუკუნეების ხაზარეთი, არამედ ალანები, რომელიც თურქულ, ანუ ხაზარულენოვნები ყოფილან. გაძლიერებულ ალანებს ხშირად გადაჰყავდათ ჩრდილოეთ კავკასიაში დატყვევებული სამხრეთ კავკასიელები ქართლიდან, რანიდან, მოვაკანიდან, სომხითიდან და სხვა, ასახლებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. მოხდა ალანებში მათი ასიმილაცია. ჩრდილოკავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამის მიუხედავად, შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში ფარნავაზამდე და მის შემდეგაც.

გაქრისტიანების შემდეგ ჩრდილოკავკასია შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. აქაური ეკლესიები, დიდი ქალაქები და დაბები, ციხე-კოშკები და ნაგებობები ქართველ მეფეთა ნადვაწი იყო, განსაკუთრებით კი, თვით ჩრდილოკავკასიელთა თქმით, თამარ მეფისა.

მონღოლების შემდეგ ალანია გაქრა ასპარეზიდან და მის ადგილზე წარმოიქმნა ჩერქეზეთი. ოსები შევიდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და დაიპყრეს დვალეთი. დაბალი ფენა ქრისტიანადვე დარჩა, ზედა ფენა კი – მაჰმადიანობდა.

აქედან ცხადია, რომ ჩერქეზები, ადილეურენოვანი ხალხი, თემურ-ლენგის შემდგომ დაუუფლა ჩრდილოეთ კავკასიას.

თემურ-ლენგის ლაშქრობა საქართველოსა და ჩრდილოეთი პაგასიაში განვითარის მიხედვით

ამიერკავკასიაში უძლიერესი საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფოს ძალმოსილება დაემცრო თემურის ლაშქრობების შემდეგ.

ვახუშტის ცნობით, 1360 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა მეფე დიდი ბაგრატი.

რვაჯერ ლაშქრობის მიუხედავად, თემურ-ლენგმა ვერ შეძლო საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება.

საქართველოს სამხედრო ძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი წერტილი იყო ჩრდილო-კავკასიელთა მსახურება საქართველოს თავდაცვის სფეროში, რაც, ვახუშტის ცნობით, იცოდა თემურ-ლენგმა. ამ ფაქტმაც განაპირობა მისი გალაშქრება ჩრდილოეთ კავკასიის მოებში.

ვახუშტი წერს, თემურმა ჩრდილოეთ კავკასიაში გაილაშქრა, რადგანაც იცოდა, რომ საქართველოს მეფე იქედან ძლიერდებოდა. „თემურ, უწყოდა, მეფე ძალიცემს მუნიდან“ („ქართლის ცხოვრება“, IV, 1973, გვ.272).

მაშასადამე, თემურმა იცოდა, რომ საქართველოს მეფე სამხედრო ძალებს იღებდა ჩრდილოკავკასიიდან, ამიტომაც ილაშქრა ჩრდილოკავკასიის ღრმა მოებშიც.

თემურ-ლენგის ამ ლაშქრობამ შეცვალა ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური სახე (მოსპო ანდა ძალზე შეამცირა ადგილობრივი მოსახლეობა).

ეთნიკური სურათის შეცვალა უფრო გებად გამოიწვია სხვა ქვეყნებიდან უცხო მოსახლეობის ჩასახლებამ. ეს გაგრძელდა თემურის შემდგომ ეპოქაშიც.

გაუკაცრიელებული, ძალახით მდიდარი რეგიონი იზიდავდა მომთაბარე მესაქონლე ტომებს, თანდათან იქ (აზოვის ზღვისპირეთიდან დაღესტნის ჩათვლით) ჩასახლდნენ სხვადასხვა მოდგმისა და წარმოშობის ტომები, რომელიც, ადგილობრივ ტომებთან შერევის შემდეგ, თანდათან იქცნენ მკვიდრ მოსახლეობად,



რასაც მიუთითებს ვახუშტი და ასევე კავკასიის ცნობილი მაკლევარი მილერი.

ჩრდილოეთ კავკასიის დიდ ნაწილს ჩერქეზული ტომები დაეუფლება. ვახუშტი წერს: „მიერითგან იწოდა ჩერქეზი და იქნა მაკმადიანობა მათ შორის“ (იქვე, გვ. 272).

ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობს იქამდე, სანამ მას ჩერქეზი ეწოდებოდა, ვახუშტის მიხედვით, ერქვა „ოსეთ“. ესაა ფართოდ გაშლილი სტეპები დონსა და კასპიის ზღვას შუა. მთელი ეს რეგიონი, მოქცეული კავკასიის ქედის ჩრდილოეთით, საქართველოს სახელმწიფოს აძლიერებდა თავისი მეომრებით. ამიტომაც საქართველოს საზღვარი სამხრეთის მიმართულებითაც შორს იყო გადაწეული. იმუამად საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მდინარე არაქსი იყო. ვახუშტის ცნობით, თურქთა ერთ-ერთი მარბიელი 12000 კაციანი ლაშქარი მეფემ რახსის იქით, ანუ არაქსთან დაამარცხა. „მიეწია რახს იქით“ („ქართლის ცხოვრება“, გ. IV, 1973, გვ. 262).

არაქსს, ვითარცა სასაზღვრო მდინარეს, ვახუშტი ახსენებს თემურის ტყვეობიდან ბაგრატ მეფის დაბრუნების აღწერის დროსაც (იქვე, გვ. 266).

მისივე ცნობით, ბაგრატ დიდის სამეფოს ექვემდებარებოდა „რანი, მოვაკანი და დვინი“ (იქვე, გვ. 269);

აქ რანი ეწოდებოდა განძის მხარეს ყარაბაღთან ერთად (ვახუშტი წერს: „რანი აწ ყარაბაღდად წოდებული“) (იქვე, გვ. 269).

„მოვაკანი“ ერქვა მტკვრის დაბლობს განძიდან კასპიის ზღვამდე, ხოლო „დვინი“ – ვრცელ ქვეყანას არაქსის მხარეში.

თემური, რომელმაც იქამდე შუა აზია, ინდოეთი და სპარსეთი (იქვე, გვ. 263) დაიმორჩილა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს დამორჩილების საქმეს. როგორც ითქვა, მან ეს ვერ შეძლო ჩრდილოკავკასიაში დაშქრობამდე.

საქართველოში სხვადასხვა წელს წარუმატებელი დაშქრობების შემდეგ, ბაგრატ დიდის ძის გიორგის დროს, თემურმა კავკასიაში შესვლა გადაწყვიტა არაგვის გზით, რადგანაც იცოდა, რომ

საქართველოს მეფეს ჩრდილოკავკასიიდან გადმოჰყავდა მაშველი ჯარი.

ვახუშტი წერს: „წარმოემართა თემურ შესვლად მთიულეთს, რამეთუ გამოჰყვის გიორგი მეფეს მუნითგან შემწენი და კუალად პგონებდა მეფესაცა მუნ, შეუხდა არაგვს, შემუსრნა სიმაგრენი და მოაოხრნა, არამედ ავნებდნენ დიდ-დიდსა – მთიულნი და სპანი მეფისანი მუნ მყოფნი სპათა თემურისათა, რომელთა ვერა-რა ტყუე პყვეს და უკუმოიქცენებ“ (ქ.ც., IV, გვ. 271).

აქ „მთიულთა“ ქვეშ იგულისხმებიან ასევე ჩრდილოკავკასიელი ხალხების მეომრები. ამ გზით თემური ვერ შევიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

ამის შემდეგ თემური იძულებული გახდა დროებით დაზავებოდა საქართველოს მეფეს. ეს დაზავება მას ესაჭიროებოდა თავისი გეგმის განსახორციელებლად. მისი გეგმა ამ დროს იყო შესეოდა ჩრდილოეთ კავკასიას არა არაგვის, არა მედ სხვა, დარუბანდის (კასპიისპირეთისა და დაღესტნის) გზით.

ვახუშტი აღწერს დაზავების პროცესს: სევანის ტბასთან მდგარმა თემურმა საქართველოს მეფე გიორგის მისი მმის კონსტანტინეს პირით შეუთვალა: „მოუმცნო მეფესა: იყავ მშვიდობით და ნურდარა ავნებთ მაჭადიანთა“ (იქვე, გვ. 272).

მაშასადამე, თემურმა ზავი დადო საქართველოსთან და მყისეულად თავისი დიდალი ჯარი მიმართა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ დარუბანდის გზით.

იმუამად თემური უკვე რანის ქალაქ ბარდავში იმყოფებოდა, ვახუშტი წერს:

„მუნიდან წარავლინა სპანი ოვსეთად, განვლეს სპათა მათ დარუბანდი, ლეკეთი და მივიდნენ ოვსეთს, მოსწევიდნენ, ტყვეულებებს და მოქაცენებ წინაშე თემურისვე, ესე პყო თემურ, რამეთუ უწყოდა, მეფე ძალიცემს მუნიდამ“ (იქვე, გვ. 272).

როგორც აღინიშნა, ჩრდილო კავკასიის დაბლობს ვახუშტი „ოსეთს“ უწყოდებს, იგულისხმება ისტორიული ალანია. ჩრდილოეთ კავკასიის ამ სამხრეთ-დასავლეთ ოლქიდან ვიდრე დაღესტნამდე მცხოვრები მოსახლეობა, რო-



გორც აღინიშნა, საქართველოს სამეფოს ტრადიციულად ებმარებოდნენ ომების დროს. ეს ფაქტი აღნიშნული აქვს სტრაბონსაც (სტრაბონი აღნიშნავს, რომ იძერის მეფეს მისი მეზობელი ჩრდილოკავკასიელი სარმატები ომების დროს ებმარებოდნენ მრავალ ათეულათასიანი ჯარით, ამავე ხასიათის ცნობებს ქართული წეაროებიც იძლევიან. მაგალითად, ჯერ კიდევ მეფე ფარნავაზამდე, ანუ ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე, ჩრდილოკავკასიელები ემორჩილებოდნენ მცხეოლ მამასახლისს (ქ.ც., IV, გვ. 634), ხოლო ფარნავაზის მიერ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ ეს კავშირი დინასტიური დანათესავების მეშვეობითაც განმტკიცდა. ფარნავაზის ცოლი იყო ჟურმუკი ქალი (იქვე, გვ. 654). ამის გამო ფარნავაზმა უფრო მეტად „დაიმორჩილა ჩრდილო კავკასია, უმეტესად ჟურმუკი და დვალეთი“).

ამ საუკუნოვანი კავშირის მოშლა დაუწყია თემურ-ლენგს.

ვახუშტის ცნობით, ჩრდილოეთ კავკასიისაკენ თემურის ლაშქრის მარშრუტი ასეთი იყო: დარუბანდი, ლეკეთი და ოვსეთი, ანუ ალანია.

ეს გზა თემურმა დაბეჯითებული მოქმედებებით გაიკვლია მრავალი წლის მანძილზე. თავდაპირველად მან, ჩრდილოკავკასიის ალანიაში ლაშქრობამდე, ორჯერ ილაშქრა დაღესტანში.

დაღესტანში პირველ ლაშქრობისას თემურმა ვერ შეძლო დაღესტნის მთიანეთის დამორჩილება. იმუამად მან მხოლოდ დაღესტნის ზღვისპირეთი დაიმორჩილა. ის მიხვდა, რომ დაღესტნის მთიანეთის დამორჩილებას ვერ შეძლებდა კახეთის დაუძლეურების გარეშე, რადგანაც დაღესტნის მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი კახეთის საერისთავოში შედიოდა და, შესაბამისად, ის სამხედრო ძალებს იღებდა კახეთიდან. ამიტომაც თემურმა დაღესტანის პირველი ლაშქრობის შემდეგ გადაწყვიტა საგანგებოდ ელაშქრა კახეთ-ჰერეთში და სასტიკად დაერბია საქართველოს ეს რეგიონი. ეს მან შეძლო და მაშინვე შეუდგა დაღესტნის მეორე ლაშქრობას.

მემატიანე ასე აღწერს თემურის დაღესტანში პირველი ლაშქრობის პროცესს: თემური 1387 წლისათვის ბარდავიდან შესულა შირვანში, აქ „მუსრა ლეპნი“ (იქვე, გვ. 265). ლეპნის მოსკრის, ანუ სასტიკი დამარცხების შემდეგ დაღესტნის ბარში და მთის კალთებზე – „ვიდრე მდ. თერგამდე“ ჩაუსახლებია ახალი მაპმადიანი მოსახლეობა, „ელნი“.

ვახუშტი წერს: „განვიდა თემურ ბარდვიდამ შირვანს, დაიპყრა იგი და შემუსრნა ლეპნი და დასხნა მთის ძირთა ზედა და კალთათა ელნი მაპმადიანნი ვიდრე თერგის მდინარემდე“ (იქვე, გვ. 265). (როგორც ჩანს, ელი ერქვა ირანში მცხოვრებ თურქმანულ, მუსლიმანურ ტომებს).

კახეთ-ჰერეთის დარბევის შემდეგ თემური მეორედ შეესია დაღესტანს, რომელიც იმუამად ქრისტიანული ქვეყანა იყო. დაღესტნის მოსახლეობა, ასევე მთვლი ჩრდილოკავკასიის მოსახლეობა აღიარებდა ქრისტიანულ მრწამს, მაგრამ, ჩანს, უკვე ვრცელდებოდა მაპმადიანობა, ამიტომაც დაღესტნის მოსახლეობა, ვახუშტის სიტყვით, „შერეული ქრისტიანები“ იყო.

ვახუშტი წერს: „დაიმორჩილა დაღესტანი, უმეტეს პირველისა, იტყვიან, რომელ მიერ უამთაგან იქმნა მუნ მაპმადიანობა დასხმულ მისგან ელითა, რამეთუ პირველ იყვნენ შერეული ქრისტიანენი, ვითარცა სხვანი კავკასიელნი“ (იქვე, გვ. 268), ანუ დაღესტანსა და ჩრდილოკავკასიაში ქრისტიანებთან ერთად უკვე მაპმადიანებიც ცხოვრობდნენ, „შერეული ქრისტიანები“ იყვნენ.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოკავკასიელ ტომთაგან შეკრებილ ჯარს საქართველოსთვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა თემურთან ბრძოლისას.

ბაგრატ დიდის ძემ მეფე გიორგიმ თემურის წინააღმდეგ ბრძოლისას დაახლოებით, 1396 წლისათვის, განსაკუთრებით გაუსხნა კარი ჩრდილო კავკასიელებს. „გიორგი მეფემან პირველივე გამოიყვანა დარიელიდან ოვსნი დიდძალნი და კავკასნი და დახვდა თემურს შეკრებული



სპითა თვისთა“ (იქვე, გვ. 269), ანუ თე-
მურის წინააღმდეგ ქართული საის მნიშ-
ვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ „ოსები
და კავკასიი“, ანუ კავკასიის ხალხები.

ეს ხდებოდა თემურის ჩრდილო
კავკასიაში ლაშქრობამდე. მას სურდა,
რომ საქართველოს არ მიეღო დამსმარე
ძალა ჩრდილოკავკასიიდან (იქვე, გვ. 269).

მიუხედავად ქართველ-კავკასიელთა
ერთიანი ფრონტით გამოსვლისა, თემურის
ჯარმა გაიმარჯვა, რამაც შეარყია საქარ-
თველოს ერთიანობა, აღმოცენდნენ მეფის
პოლიტიკის მოწინააღმდეგენი.

ამ დიდი ბრძოლის შემდეგ მეფეს
თავისი სახელმწიფოს დასავლეთ მხარის
ერისთავები და საკუთარი ვაჟიც კი გა-
ნუდგნენ, მაგრამ მეფე გიორგი ამის მიუ-
ხედავად, შეტევაზეც კი გადავიდა, ბრძო-
ლა გადაიტანა არაქსის მხარეს. ამი-
სათვის კი, კვლავ, კიდევ ერთხელ გად-
მოიყვანა ჩრდილოკავკასიელები და
ძლიერ აგნო თემურს.

ვახუშტი წერს: „კალად გამოიყვანნა
ოვსნი, კავკასიი და ძურძუკნი, წარუმდგა
შეკრებილითა სპითა თვისითა და მიუხდა
ციხესა ალიჯანს, შემუსრა იგი და
გამოიყვანა სულთანი თირ ჯადათისა
პატიმარ-ყოფილი თემურისაგან, მოაოხრნა
და მოსწყვიდნა გარემონი მაჭადიანნი,
აღიღო ალაფი დიდალი და მოვიდა
გამარჯვებული შინავე და განუტევნა
ოვსნი, კავკასიი და ძურძუკნი შოებულნი
ალაფითა ფრიადითა“ (იქვე, გვ. 270).

გიორგი მეფემ, რომელსაც საკუთარ-
მა აჯანყებულმა ქემ ნახევარი სამეფო
წაართვა, მაიც შეძლო, ჩრდილოკავკასიე-
ლთა ჯარით შესევდა თემურის სახელმ-
წიფოს, აეღო მისი ერთ-ერთი ძალზე
მნიშვნელოვანი ციხე, საიდანაც გამოიყ-
ვანა თემურის უბოროტესი მტერი, ერთ-
ერთი სულთანი, მოაოხრა მისი ქვეყანა,
დახოცა მაჭადიანები, აიღო უდიდესი
ალაფი, რომელიც მისცა ჩრდილოკავკა-
სიელთა ლაშქარს და უკან გაისტუმრა.

ამით გამდვინვარებულმა თემურმა,
როგორც აღინიშნა, გადაწყვიტა ჩრდი-
ლოკავკასიას შესეოდა არაგვის (და-
რიალის) გზით, მაგრამ დამარცხდა.

ამიტომაც შემდგომ გადაწყვიტა ჩრდი-
ლოკავკასიაში შესულიყო დაღესტნის
გზით. მან ეს შეძლო, შეესია ჩრდილოეთ
კავკასიას, სასტიკად დამარცხა იქაური
ტომები, დახოცა უამრავი ხალხი,
საბოლოოდ კი შეცვალა იქაური დემოგ-
რაფიული სურათი. როგორც აღინიშნა,
თემურმა ჩრდილოკავკასიაში ჩაასახლა
„ჩერქეზებად“ წოდებული ხალხი. „მიე-
რითგან იწოდა ჩერქეზი“ (იქვე, გვ. 272).

სხვაგან ვახუშტი წერს: „იწოდა
ოვსეთი ჩერქეზებად, ანუ ყაბარდოდ“
(იქვე გვ. 634, 655).

ჩრდილოეთ კავკასიის სტეპ-დაბლო-
ბები, რომელიც იქამდე ალანიად იწოდე-
ბოდა (ქართველები მას ოვსეთს უწო-
დებდნენ), თემურ-ლენგის შემდეგ იწოდა
ჩერქეზიად ანდა ყაბარდად. ალანების
აღგილი ჩერქეზებმა დაიჭირეს. ჩერქეზი
ახლა „მთავართა შორის უწარჩინებულე-
სი“ (იქვე, გვ. 35) გახდა, ანუ აღგილობ-
რივ ტომებზე ჩერქეზები გაბატონდნენ. ეს
ჩერქეზები, შესაძლოა, იმჟამად თურქულე-
ნოვანი ხალხი იყო. მალევე, მათ ქვე-
ყანაში ოქროს ურდოს მთავარსარდალმა
ედიგებიმ ჩაასახლა აღიღეთა ულუსი, მათ
შეძლეს თურქულენოვანი ჩერქეზების
ასიმილირება და ისინი აღიღეურენოვან
ხალხად გადააქციეს. ისინი გაბატონდნენ
ყველა აღგილობრივ ტომზე. აღგი-
ლობრივები, რბევა-ოხრებას გადარჩენილი
მოსახლეობა, ჩერქეზებს დაემორჩილნენ,
დამარცხებული ხალხის აღგილი გამარჯ-
ვებულმა დაიჭირა, გავრცელდა მისი
აღათ-წესები, ენა და კულტურა.



გავკასია და საქართველო ოქმურ-ლენგის შემოსევების შემდეგ
[https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83)



1385 ოქროს ურდოს ხანი თოხთამიში ირანს შეესია. ამის საპასუხოდ თემურ-ლენგი 1386 შემოღომაზე სამცხის მხრიდან საქართველოში შემოიჭრა.

1387 გაზაფხულზე თემურ-ლენგი მეორეჯერ შემოესია საქართველოს. მალე იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო თოხთამიშის გამოჩენის გამო.

1394 თემურ-ლენგი ორჯერ შემოესია საქართველოს. დაესხა თავს არაგვის ხეობას. ამჯერადაც თოხთამიშის გამოჩენებამ გააბრუნა.

1399 პირადად ილაშქრა პერეთ-კახეთში.

1400 გაზაფხულზე თემურ-ლენგი მექენედ შემოიჭრა საქართველოში.

1401 თემურლენგი მეშვიდედ მოადგა საქართველოს.

1401 შამქორის ზავის ირობით საქართველო კისრულობდა ხარკს.

1403 ივლისში, თემურ-ლენგი მერვედ შემოიჭრა საქართველოში, ბოლოს იძულებული გახდა დაზავებოდა გიორგი VII-ს. ზავი ცნობდა საქართველოს, როგორც ქრისტიანულ ქვეყანას. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A3-%E1%83%A0%E1>

თემურის გამანადგურებელმა ლაშქრობამ შეცვალა ჩრდილოკავკასიის ეთნოკური სახე, ეს განსაკუთრებით აისახა საქართველოს სასაზღვრო მხარეებზე, კერძოდ იქამდე საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია დვალეთი, რომელიც დასახლებული იყო, როგორც წმ. ნიკოლოზ დვალის ცხოვრება აჩვენებს, ლრმადმორწმუნებ, ეკლესიურად ქართულენოვანი მოსახლეობით, გახდა მსხვერპლი თემურის აგრესიისა, დვალეთში მმართველობა ხელში ჩაიგდო შემოსულმა ირანულენოვანმა ტომმა, რომელთაც ქართველებმა „ოსები“ უწოდეს, რადგანაც ისინი დვალეთში შევიდნენ ეწ. „ძველი ოსეთიდან“. დვალეთში გაბატონებულმა „ოსებმა“ კარდინალურად შეცვალეს დვალეთის ეთნოკური სახე, ენა და პოლიტიკური ორიენტაცია. შემოსული ოსებისა და ადგილობრივი დვალების ურთიერთშერწყმით თანდათან ჩამოყალიბდა ახალი შევეული ეთნოსი – ოსი ხალხი.

ლიტერატურა

გ. დამბაშიძის ნაშრომი – „ქართული გულტურის ძეგლები დვალეთში“ (საბჭოთა ხელოვნება, 1976, 3, გვ.72-78).

გ. დამბაშიძე წერს – ცენტრალური კავკასიის მაღალმთიან ზოლში მდებარე ტერიტორიას, რომელიც აღმოსავლეთიდან დარიალის ხეობით, დასავლეთიდან მამისონის უდელტეხილით, ჩრდილოეთიდან ნარის აუზის ხეობებითა და სამხრეთიდან კი დიდი ლიახვის შენაკადთა ხეობებით არის შემოსაზღვრული, ისტორიულად ქართულად დვალეთი და მაღრან-დვალეთი ეწოდებოდა, მის მცხოვრებთ კი – დვალები.

ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობიდან მოკიდებული ვიდრე გვიან შეა საუკუნეებამდე დვალეთი საქართველოს სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკურ-ეკონომიკურ წრეში იყო მოქცეული (ვ. გამრეკელი). სოფ. ნარის სიახლოეს, აღმოსავლეთისაკენ, მთის ფერდობზე, ექსპედიციამ მიაკვლია ტუფის ქვით (აქაიქ ფიქალიცა გამოყენებული) ყორულად ნაგებ წმ.გიორგის სახელობის დანგრეულ სამლოცველოს ნარ-ძუარს. იგი დამხრილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. შესასვლელი დასავლეთის კედელში აქვს დატანებული. ორნამენტული დეკორი გარეკეულ მსგავსებას ავლენს X ს. შეა ხანებითა და II ხახვრით დათარიღებულ (რ. მეფისაშვილი) ქართული ძეგლების (ერევის „ბერის საყდარი“, კუდაროს „ნადარბაზევი“ და სხვ.) დეკორობა. ჩვენის აზრით, დღევანდელი ნარძუარის ადგილზე, ან მის სიახლოეს X ს. II ხახვარსა და XI ს. დასაწყისში ტუფის ქვით აიგო ქართული ეკლესია, რომელსაც პქონდა ტიმბანიანი კარი, ვიწრო სარკმელი, ჩუქურთმიანი ლავგარდანი და შიგნიდან შელესილი იყო (ზოგიერთ ქვაზე შელესილობის კვალია შემორჩენილი). აღსანიშნავია, რომ ლავგარდანს, სხვადასხვა ფასადზე, ისევე, როგორც მთელს რიგ ქართულ არქიტექტურულ ძეგლებზე



(კუმურდო, ტყობდა-იერდი და სხვ.), განსხვავებულ-ორნამენტული მოტივი პქონდა. ამასთანავე, ჩუქურთმის ნახატის ხაზგასასმელად, მისი დარები შეფერადებული იყო (შდრ.იკვი, ნიკორწმინდა, საფარის წმ.საბას ტაძარი და სხვ.). ოოგორც ჩანს, იმ ეკლესიის დანგრევის შემდეგ, მისი ქვები ნარ-ძუარის მშენებლობისას (სავარაუდოა, გვიან შუა-საუკუნებში) გამოუყენებიათ.

ნარ-ძუარის თავდაპირველი ნაგებობის აშენების დრო ემთხვევა დვალეთის ტერიტორიაზე ცნობილი ქართული საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლების – ხოზიტა მად-მაირამისა და სოფ.თლის ეკლესიების, რომლებიც XI ს. I ათწლეულითად დათარიღებული, მშენებლობის (ვ. დოლიძე) ეპოქას. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ადრეფერდალური ხანის მიწურულს (X ს.) ნიქონის საეპარქიოში, რომლის მოდგაწერის სფეროში დვალეთიც შედიოდა, ფართოდ მიმდინარეობს ეკლესიების მშენებლობა. დვალეთის ტერიტორიაზე ეკლესიების აგება იმავე ისტორიული პროცესის გამოხატულებაა.

სოფ. ფალლაგ-ქმისა და რეგახის სიახლოვეს, ფერდობზე ექსპედიციამ მიაკვლია **სუცაუ-ძუარის** („ღვთაების სამლოცველო“) დარბაზული ტიპის ეკლესიის ნაგრევებს. მას გარს ეკლება ფიჭლით ნაგები ოთხკუთხა ზღუდე. იქვე შეინიშნება სამარხთა პარალი. ეკლესია დამსრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე. იგი, ჩვენი აზრით, დვალეთის ტერიტორიაზე საქართველოს საერო და სასულიერო მესვეურთა მიერ აგებული ეკლესიების – ზრუგის, „ხოზიტა მად-მაირამის“, სოფელ თლის, სოფ. ნარის შემდეგ აშენებული პატარა სამლოცველო (ცენტრალური ხელისუფლების მიერ აგებული ქრისტიანული ტაძრების შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ პატარა სასოფლო სამლოცველოების შექმნა – საქართველოს მთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელების მსგავს მოდელს ვხვდებით მაგხევის ქრისტიანული საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლისას) და დვა-

ლეთის მოსახლეობაში იმ დროისათვის ქრისტიანული რელიგიის ფართოდ გავრცელებას მოწმობს. ამავე დროს იგი წინ უნდა უსწრებდეს დვალეთში გვიან შესაუკუნეებში აგებული სამლოცველოების (რომლებიც არ მისდევენ ეკლესიათა გეგმარებისა და დამსრობის ზუსტ პრინციპებს) მშენებლობის პერიოდს. აქედან გამომდინარე, სუცაუ-ძუარის ეკლესია, შესაძლებელია, შესაფერდალური ხანით (XI-XIII სს.) დათარიღდეს.

კოშკოვანი სოფლის „ქალაქის“ აღმოსავლეთ დაბოლოებაზე მდებარეობს ფიქლით, რიყის ქვითა და ტუფით ყორულად ნაშენი დანგრეული სამლოცველო „ძილეს-ძუარ“. აღსანიშნავია, რომ „ძილეს-ძუარიდან“ მომდინარეობს ხუთი ქვა ქართული წარწერით. ისინი შესწავლილია თბარნაველისა და ვ. გამრეკელის მიერ და დათარიღებულია XVI-XVII სს.

იმ წარწერათაგან მხოლოდ ორსდა მიგავლიერ, წარწერა №1 თავდაყირა იყო ჩაშენებული. შერეული ასომთავრულითა და ნუსხურით ორ სტრიქონად ამოკვეთილია დაქარაგმებული ტექსტი:

ქარაგმების გახსნით წარწერა შესაძლებელია ასე წაიკითხოს:

I – „დიდებად. ძლევის ჯგრის დიდებად. წმიდა“

II – გიორგი, შემიწყალე. ძლევის ჯვარო, გიორგი, სედა შეიწყალე“.

წარწერა №2

ქარაგმების გახსნითა და ნაკლოვანი აღგილების საგარაუდო შეგსებით ტექსტი შესაძლებელია შემდეგნაირად წაიკითხოს:

I – „ძლევისა (?)“

II – ...დიდებადი ძლევის (?) ...ჯგრის (ან ჯვარო);

III – ამასა მწერალი... შრო (?) გიორგი (?)

IV – შეიწყალე“

ექსპედიციამ ინახულა კედლის მხატვრობითა და ლეგენდებით ცნობილი სოფ. ნუზალის (არდონის ხეობა) სამლოცველო „ნუზალ-არდუან“. ამ ძეგლმა განსაკუთრებული ყურადღება მას შემდეგ მიიყრო, რაც 1946 წელს არქეოლოგმა ე.პ.ხელინამ სამლოცველოში გათხრილ



სამარხში აღმოჩენილი მამაკაცის ჩონჩხი სამლოცველოს კედელზე არსებული ფრესკის წარწერასთან – „სოსლანთან“ კავშირში და გარკვეულ ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით, თამარ მეფის მეუღლის – დავით სოსლანისად გამოაცხადა. ე. პეტრინას პიპოთეზამ დიდი გამოხმაურება პპოვა 8. შემდეგში ეს ვარაუდი გაიზიარა და განავითარა ანთროპოლოგმა თ. მამუკაევმა. ნუზალარ ლუანის სამარხში აღმოჩენილი ჩონჩხის ანატომიურ – ანთროპოლოგიურ – პალეოპათოლოგიურ თავისებურებათა შესწავლით და ამასთან, ზოგიერთი ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული და ნუზალის სამლოცველოს კედლის მხატვრობის მონაცემების გათვალისწინებით მანაც, ეს ჩონჩხი ნამდვილად დავით სოსლანისად მიიჩნია და მ.გერასიმოვის მეთოდის გამოყენებით, დავით სოსლანის ფიზიკური სახეც აღადგინა.

1971 წელს ივ. ლოლაშვილმა ისტორიულ-ფილოლოგიური, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული კვლევის, ნუზალის სამლოცველოს კედლის მხატვრობისა და წარწერათა შესწავლის საფუძველზე, მართებულად გააკრიტიკა და უარყო ე. პეტრინათ. მამუკაევის ვარაუდი „ნუზალ-არლუანში“ დავით სოსლანის დაკრძალვის შესახებ. ნუზალის სამლოცველოსა და იქ დავით სოსლანის შესაძლო დაკრძალვის თაობაზე საყურადღებოა აგრეთვე ჩრდილოკავკასიის არქეოლოგიის ცნობილი სპეციალისტის ვ. კუზნეცოვის აზრი. იგი ნუზალის სამლოცველოს მშენებლობას (რომელსაც ტიპოლოგიურად მთიანი კავკასიის ორფერდსახურავიან მიწისზედა აკლდამებს უკავშირებს და ადგილობრივი არქიტექტურული სკოლის ნაკეთობად მიიჩნევს), არქეოლოგიური, ფრესკების ხელოვნებათმცოდნეობითი და წარწერათა პალეოგრაფიული მონაცემებით XIII ს-ის ბოლოს და XIV ს. დასაწყისს მიაკუთვნებს. მისი მტკიცებით, სამლოცველოში გათხოვილი სამარხი უფრო ადრინდელი არ არის და ჩონჩხიც არ შეიძლება დავით სოსლანის იყოს. ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს სოფ. ნუზალის სამლო-

ცველოს „საიდუმლოებასთან“ დაკავშირებულ საკითხთა სრული განხილვა-განხსჯა. შევეხებით მხოლოდ სამლოცველოში არსებულ ქმიტორთა გამოსახულებებს, რომლებმაც, თავის მხრივ, ნუზალის სამლოცველოსთან დაკავშირებით სხვადასხვა პიპოთეზამ წარმოქმნა.

„ნუზალ-არლუანშის“ ინტერიერის ჩრდილოეთის კედელზე, ქვედა რეგისტრში არსებობს სატურთხევლისკენ მიმართული ვედრების პოზაში გამოსახულ ქმიტორთა – საერთ პირთა ექვსფიტურიანი ქომპოზიციის ნაშთი, რომელთაგან მესამე (აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ), პორტრეტის მარჯვინ არსებული ასომთავრული წარწერით „სოსლან“, მინეული იყო დავით სოსლანად. როგორც ირკვევა, მესამე და მეხუთე ფიგურა სინამდვილეში ქალებისაა. ისინი ერთმანეთს ემსგავსებიან და განსხვავდებიან პირველი, მეორე და მეოთხე ფიგურებისაგან. ეს ნიშნებია:

1. უწვერო, პატარა სახის ოვალი. საინტერესოა, რომ მესამე ფიგურას (მეხუთე ფიგურის პორტრეტის ზედა ნაწილი მოლინად დაზიანებულია და ამიტომ მასზე ვერაფერს ვიტვით.) თმა თავსაბურავით აქვს დამალული, რაც, ალბათ, იმდროინდელ ოსეთში თმის დაყენების წესით იყო განკირობებული.

2. თავსაბურავი. იგი შედარებით უკეთ აქვთ შემონახული მეორე და მესამე ფიგურებს. მათ შორის განსხვავება უდავოა, მაგრამ დაზიანების გამო მათი ტიპების შესახებ ზუსტად მსჯელობა ჭირს;

3. ტანისამოსი. მესამე და მეხუთე ფიგურების სამოსი შედგება ზედატანისა და ქვედატანისაგან (თუ როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს, არ ჩანს მხატვრობის დაზიანების გამო). ზედატანი გრძელი და ვიწრო სახელოებიანია, მოთვალულ – მომარგალიტებული მაღალყელიანი მანიაკითა თუ საგულით, ქვედატანი კი, წვრილად დანაოჭებულია. პირველ, მეორე და მეოთხე ფიგურებს განსხვავებული ტანისამოსი აცვიათ: მაღალყელიან, გრძელსა და ვიწროსახელოებიან ქვემოთა



საცტელზე – პერანგზე ზევიდან გრძელი, წელში დაგიტროებული, მოკლესახე-ლობიანი მარცხენა მხარეს ჩახსნილი, სამკუთხედად ჩაჭრილი და არშიამოვ-ლებული გულისპირიანი კაბა აცვიათ, რომელიც შემოსალტელია ვარსკვლავისებ-რი სამკაულით დაბოლოებული თასმით.

4. ქვედაცანის განიერი მონახაზი. აღსანიშნავია, რომ მესამე ფიგურას ხელთ ჩვილი ბავშვი უპყრია (მეექვსე ფიგურა, მისგან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი: მხერები, მარჯვენა ხელი მტევნითურთ, მარჯვენა ფეხის ნაწილი), რომელიც მკვლევართა მიერ აღრე არ ყოფილა შენიშნული 11. მეექვსე ფიგურის თავის მარჯვნივ არის წარწერა „სოსლან“. ამრიგად, „სოსლანი“ ჩვილი ბავშვია ქალის, ალბათ დედამისის, სახელი ამჟამად ვერ იკითხება, მისი და „სოსლანის“ პორტრეტთა შორის რამდენიმე ასოს კვალიდაა შემორჩენილი. აღვნიშნავთ, რომ ჩვილის – „სოსლანის“ ფიგურა, ქტიტორთა სხვა ფიგურებთან შედარებით, უფრო პირობითადაა გადმოცემული. ეტყობა, მხატვარმა სათანადოდ ვერ დაძლია დედისა და ბავშვის კომპოზიციური დაკავშირების როტული ამოცანა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქტიტორთა მთელი კომპოზიცია და, განსაკუთრებით კი, ჩვილის ფიგურა ძალზე დაზიანებულია.

მესამე და მეხუთე ფიგურა ქალებისაა, მეხუთე ფიგურის თავს ზემოთ, მარჯვნივ, ორსტრიქონიანი წარწერაა, ჩვენი აზრით, მისი წაკითხვა „დავითად“ 12, არ არის მართებული, ვინაიდან, გარდა აღნიშნულისა, ჯერ ერთი, სხვა ქტიტორთა სახელები მოცემულია სრულად, დაუქარაგმებლად და მეორე, რაც მთავარია, ეს ფიგურა ქალისაა.

ამგვარად, სოფ. ნუზალის სამლოცველოს ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულია ქტიტორთა ჯგუფური, ოჯახური პორტრეტი, რომელთა შორის სამი ფიგურა მამაკაცისაა, ორი ქალისა და ერთიც – ბავშვისა. საგულისხმოა, რომ „ნუზალ-არ-დუანში“ გამოსახულ არცერთ ქტიტორთა განს ხელთ ეძლესის მოდელი არ უყრია, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი არა

სამლოცველოს ამგებელნი, არამედ მისი მომხატველნი არიან. ეს, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ნაგებობა კედლის მხატვრობისათვის არ იყო განსაზღვრული. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ არსებობს ქრონოლოგიური ზღვარი „ნუზალ – არღუანის“ მშენებლობასა და მის კედლის მხატვრობას შორის 13.

სოფ. ნუზალის სამლოცველოს ქტიტორთა პორტრეტების ახლებურად წაკითხვის საფუძველზე გელარ მივიღებთ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას, თითქოს ქტიტორთა ეს პორტრეტები „ნუზალა საყდარზე დაწერილ ლექსში – ჩვენ ვიყავით ცხრანი მძანი ჩარჯოლიძე – ჭარხილანი მოხსენიებული მძების პორტრეტები იყოს, და რამდენადაც ეს შესაბამისობა არ არსებობს, ვერ გავიზიარებთ მასზე დამყარებულ მტკიცებებსაც“.

ლოგარდ ტუხაშვილის ნაშრომი „ცხოვრება დავით-სოსლან ეფრემის ძე-ბაგრატოვანისა“

<http://www.georoval.ge/?MTID=1&TID=25&id=2769>

ლოგარდ ტუხაშვილი წერს – „ლაშა-გიორგის დროინდელი ისტორიკოსი (ანონიმი) პირდაპირ, საქმაოდ კატეგორიული ხაზგასმით უთითებს: „თამარის ქმარი დავითი იყო ოსთა მეფის ძე, ტომი ბაგრატიონთა“. „ტომი“ ამ შემთხვევაში ნიშნავს სწორედ გვარს.

ვახუშტი ბაგრატიონმა გამოთვალა, რომ დავით-სოსლანი იყო მეხუთე ჩამომავალი მეფე გიორგი I-ის შვილის უფლისწულ დემეტრესი. ვახუშტი ბაგრატიონის ვერსია ასეთია: სრულიად საქართველოს მეფეს გიორგი I-ს (მეფობდა 1014–1027 წწ.). ჰყავდა მეორე ცოლი დედოფლი ალდე. მასთან შეემინა უფლისწული დემეტრე.

ალდე იყო ალანთა მეფის ასელი. 1027 წ. გიორგი I გარდაიცვალა. დედოფლი ალდეს დიდი საფრთხე შეექმნა. ტახტზე ავიდა მცირეწლოვანი ბაგრატ IV, ხელისუფლება აიღო გიორგი I-ის პირველმა (კანონიერმა) მეუღლემ დედოფლალმა მა-



რიამმა, მან ბრძოლა გამოუცხადა ალდეს და მის ძეს დემეტრეს. დედოფალი ალდე გაიქცა ანაკოფიაში. 1032 წ. საქართველოში დაიწყო შინაარეულობა. დედოფალმა ალდემ დახმარება სთხოვა ბიზანტიას. დედოფალმა ალდემ და მისმა ვაჟმა მოახერხეს ჩრდილო-დასავლეთი საქართველოს პროვინციების გადაბირება, მათ ანაკოფიის ციხეში შეუშვეს ბერძნული გარნიზონი.

1047 წ. მოულოდნელად გარდაიცვალა დედოფალ ალდეს შვილი დემეტრე. დემეტრეს დარჩა მცირეულოვანი ვაჟი დავითი. დედოფალ ალდეს შეეშინდა, რომ საფრთხე შეექმნებოდა მის შვილიშვილსაც. იგი სასწრაფოდ გადაიხვეწა ოსეთში (იგულისხმება კავკასიის ალანია, აფხაზეთის მხარეს). აქ მოგვიანებით ქართველი უფლისწული დავითი დაქორწინდა ოსთა მეფის ასულზე. სიმამრმა იგი ოსეთის მეფედ გამოაცხადა. ასე ჩაეყარა საფუძველი ოსეთის ბაგრატიონთა დინასტიას. ვახუშტი ბაგრატიონი გვთავაზობს ასეთ სქემას: გიორგი I-დემეტრე-დავითი-ათონი-ჯადარონი-დავით-სოსლანი.

არასოდეს ოსეთი (იგულისხმება აფხაზეთის მხარეს, ამჟამინდელ ყარაჩაის მხარეს მდებარე ოლქი – კავკასიის ალანია) არ იყო ერთიანი სამეფო და არასოდეს მთელი ალანეთი არ უდრიდა ოსეთს.

(კავკასიის ალანია, რომელსაც ქართველები ასევე ოსეთს უწოდებდნენ, და ასევე დონისპირეთის სტეპების ალანია, ასპარეზიდან გაქრა მონღოლთა ეპოქაში, მისი ბინადარი თურქულენოვან ალანებად მიიჩნევა, მაგრამ თემურის ეპოქაში ჩნდებიან ირნულენოვანი ალანები, რომელნიც „ძველ ოსეთში“ დაბინადრდნენ, იქედან კი კავკასიის მთებისაკენ გადმოიწიეს, საბოლოოდ კი მათ დვალეთბასიანი დაიმორჩილეს და სათავე დაუდეს ახალ ოსეთს, რომელიც ჩრდილო კავკასიაში. მეცნიერები ერთმანეთში ურკვენ ალანიასა და ახალ ოსეთს, მაშინ როცა ალანია სულ სხვა ეთნოსი იყო – მონღოლთა მიერ განადგურებული, ხოლო ახალ ოსეთს სათავე დაუდო სულ სხვა ხალხმა, მონღოლთა მოკავშირე ირანულენოვანმა ტომმა).

პ. ჩელინა ამტკიცებდა, რომ დავითსოსლანის გვარი იყო ცარაზონი, ეს ჰიპოთეზა ბევრმა ოსმა ისტორიკოსმა აიტაცა. ამ გვარის ეტიმოლოგია (ე.ი. ახსნა) ოვითონვე იძლევა საფუძველს უარყოფისა. „ცარაზონ“ აღნიშნავს „მეფის შვილს“. „ცარ“ – მეფე, „ზონ“ – შვილი, მაგრამ საიდან მოდის „ცარ“-? რუსული „ცარი“დან. რუსული „ცარი“, თავის მხრივ, მომდინარეობს ბულგარული „ცარ“-იდან. ჯერ ბულგარელებმა, მერე კი რუსებმა „ცარი“ აიღეს „ცეზარიდან“, ე.ი. „კეიისარიდან“, დამაბინჯებული ფორმა „ცარი“ ოსეთში ცნობილი გახდა ივანე IV-ის დროიდან, ანუ XVI ს-დან. მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია XII ს-ში დაბადებული ოსი უფლისწულისთვის ეწოდებინათ სახელი, რომელიც 400 წლის შემდეგ წარმოიშვა.

ოსებს დამწერლობა არ შეუქმნიათ.

ქართული იყო საეკლესიო ტერმინოლოგიაც. მაგ., ქართულად „ჯვარი“, ანუ „ჯუარი“ ოსურში გადავიდა, როგორც „ძუარი“. აშკარაა, რომ ეს ქართული სიტყვაა.

ოსური გვიანდელი ფეოდალური სახელები: „აგუზონები“, „სიდამონები“, „ცარაზონები“, „ბუგასონები“, „ცახილონები“ თავს აცხადებენ ქართველ მეფეთა ნათესავებად. ერთდროულად თავს თვლიან ოს-ბადათარის და ბაგრატიონთა შთამომავლებად. ბევრი ნამდვილად ქართული წარმომავლობის საგვარეულო მონღოლთა ბატონობის დროს გაოსდა. მაგ., არსებობს ეჭვი და საფუძვლიანიც, რომ ცნობილი ოს-ბადათარი რომელმაც XIV ს-ის დასაწყისში დაიკავა შიდა ქართლი და სიცოცხლე გაუმწარა ქართველობას, წარმოშობით იყო ქართველი ბაგრატიონი, ოდონდ გაოსებული. ოს-ბადათარი სახელი და გვარი არ არის. იგი ნიშნავს „ოსთა მთავარს“. ოს-ბადათარი დასაწყისში ფლობდა კასრის ხეობას, სადაც XIV ს-ში ჯერ კიდევ მძლავრი იყო ქართული კულტურული ტრადიციები. სწორედ მისი ნახევრად ქართველობა ხდიდა რთულს მასთან ბრძოლას. გიორგი ბრწყინვალებ ოცნებიანი ბრძოლების შედეგად მთლიანად მოსპოთ ოს-ბადათარის ნაშიერები და



დედა სამშობლოს დაუბრუნა მისი ისტორიული კუთხე.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ: დავით-სოსლანი იყო ოსეთში გამეფებული ქართველი ბაგრატიონების წარმომადგენელი, მისი მეორე გვარი იყო ეფრემისძე.

დღევანდელი ოსური ისტორიოგრაფია ძირითადად ემყარება კასრის ხეობის ოსთა ზეპირსიტყვიერებას. მეფეთა-მეფეთამარის ეპოქაში აშენად ჩანს 3-4 ოსური სამეფო.

„ქართლის ცხოვრებიდან“ მოტანილი ცნობებით შესაძლებელია დაახლოებით მოვხაზოთ ოსური სამეფოები: 1. პირველი არის ხედან ოსთა მეფის სამფლობელო. მასთან მტკიცე კავშირი პქონდა ჯერ დემეტრე I-ს, მერე კი მის ვაჟს გიორგი III-ს. ამ უკანასკნელის მეუღლე იყო უმშვენიერესი ბურდუხანი, ხედანის ასული, თამარის დედა. 2. მეორე სამეფო ან სამთავრო იყო იმ ოს უფლისწულოთა ქვეყანა, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში თამარის ხელის სახოვნელად და რომელთაგან ერთი, უკან მიმავალი, დარღისაგან გარდაიცვალა ნიქოზში. ოუგავითვალისწინებო, რა გზით ბრუნდებოდნენ ეს უფლისწულები უკან, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მათი მამული მდებარეობდა თანამედროვე დვალეთის გადამდა, მაშინ, როდესაც ხედან მეფის სამფლობელო დარიალის მიღმაა სავარაუდო. 3. მესამე სამეფოს თუ სამთავროს წარმოადგენდა კ.წ. ალანეთი, თანამედროვე ყარაჩაის ოლქში. 4. მეოთხე სამეფო სავარაუდოა კიდევ უფრო შორს ჩრდილო-დასავლეთით. სწორედ აქ უნდა გათხოვილიყო დემეტრე მეფის ქალიშვილი. დემეტრე I-ის ქალიშვილი ჯერ გაუთხოვებით რუსეთში, მაგრამ სასიძო, დაქვრივებული იზიასლავი, გარდაცვლილი დახვედრია. იგი მიუღია მის ძეს. მოგვიანებით ქართველი მეფის ასული მოხვდა იმ ოსურ-ალანურ სამთავროში, რომელიც რუსეთან შედარებით ახლოს იყო.

ოს ისტორიკოსთა უმეტესობა საკითხს ასე არ სვამს. მათ მიაჩნიათ, რომ ოსეთი, ანუ ალანეთი ერთიანი სამეფო იყო, რაც არაფრით არ დასტურდება.

დავით-სოსლანი უნდა ყოფილიყო ალანიის, კ.ი. მესამე ოსური სამეფოს

მეფის ჯადარონის ვაჟი. ეს ის ქვეყანაა, რომელიც უკვე X ს-დან განიცდიდა მდლაგრ ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას და მთლიანად იყო ქართიზებული, ოღონდ აფხაზური რედაქციით. ამაზე მეტყველებს შემონახული ქართულ-ქრისტიანული არქიტექტურა ქართული ტაძრების ფრაგმენტებით.

თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს აჯანყების დროს ცხემისა და აფხაზეთის ერისთავები თამარის მოწინააღმდეგები არ არიან.

დავით-სოსლანი მოიხსენიება ვითარცა „მეფე ქართველთა“.

1205 წელს გარდაიცვალა დავით-სოსლან ბაგრატიონი. დიდებულად დამარხეს ქართველებმა ბრწყინვალე რაინდი გელათის სამეფო აკლდამაში,

არსებობს „მეტნიერული“ გამოკვლევა, რომლის მიხედვით თურმე დავით-სოსლანი მოუკლავთ მინიარე და ეს „დაამტკიცეს“ მისი გვამის გაკვეთით! რაც შეეხება გვამს, თურმე დავით-სოსლანი დაუკრძალავთ არა გელათში, არამედ ნუზალში, კასრის ხეობაში. მართლაც, გათხარეს რომელიდაც გოლიათის საფლავი, იქ ნახული ცხედრის ძვლები ათასნაირი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ საფლავში აღმოჩნდა მძიმე კეტი და ალჩუ კოჭები, თურმე საქართველოს მეფეთა-მეფის თამარის დირსული მეუღლე და თანამეფეუბრო რაინდი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, მიყრუებულ მომცრო ეკლესიაში დაუმარხავთ ალჩუ-კოჭების და მეცხვარის კეტის ამარა. ასეთი ისტორიოგრაფიის განხილვაც კი შეურაცხმულელია წარსულის ხსოვნისადმი, თუმცა ერთი კია, გაყალბებულ ისტორიას პატარა ხალხების ავადმყოფური პატივმოყვარეობის სრული გამრედება შეუძლია. ეს კი ხშირად ეთხოებულიქების იდეოლოგიურ წყაროდ იქცევა ხოლმე. არავითარი ისტორიული ძიება არ სჭირდება დამაშვრალი რაინდის ნეშტს. იგი მშვიდად განისვენებს გელათში, ქართველ ბაგრატიონთა სამეფოში, – წერს ლოვარდ ტუხაშვილი.

<http://www.georoyal.ge/?MTID=1&TID=25&id=2769>



ვ. დოლიძის ნაშრომი „ხოზიტა-მაირამი – საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, №2, 1954).

ვ. დოლიძე წერს: „ხოზიტა-მაირამი როგორც თავისი გეგმის გადაწყვეტით, ასევე ფორმებით, პროპორციებით, შემკულობითა და სამშენებლო ხეობით, აშკარად ამჟღავნებს ქართული საშუალო საუკუნეების ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივ თვისებებს. ძეგლი მდებარეობს მდ. არდონის შენაკად მდ. ზრუგის ხეობაში. გზა მისკენ ოსეთის სამხედრო გზაზე მდებარე სოფ. ზარამაგიდან ს. ნარის მიმართულებით მიდის, ამ უკანასკნელთან მისვლამდე მარჯვნივ ჩაუვლის ს. ფლეშს და ზრუგის ხეობაში შედის. ხეობას მისდევს ბილიკი, რომლის მეათე კილომეტრზე სოფ. ხიდაკუმია, ხოლო ცოტა უფრო მაღლა ს. ხოზიტიკაუ. შემდეგ იგი საქართველოს სსრ საზღვრის კუდაროს უდელტეხილისაკენ მიმართება. სოფ. ხიდაკუმია და ს. ხოზიტიკაუს შორის, მდ. ზრუგის მარჯვნა, ციცაბო ნაპირზე, ხოზიტა-მაირამის ნანგრევებია აღმართული.

ხოზიტა-მაირამის ინტერიერი სავეს-ბით შეესაბამება X-XI სს. ქართულ დარბაზულ ტაძრებს.“

ა. ვოლსკაიას ნაშრომი „კედლის მხატვრობის ფრაგმენტები „ხოზიტა-მაირამის“ ქართულ ტაძარში“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, №6, 1954).

ვოლსკაია წერს: „ჩრდილოეთ ოსეთის ასე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მდინარე ზრუგდონის (მდ. არდონის შენაკადი) ხეობაში, დგას ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევები, ამჟამად ცნობილი ოსური სახელწოდებით „ხოზიტა-მაირამი“. ეს ტაძარი ყურადღებას იძყობს არა მხოლოდ თავისი, გარკვეული ეპოქისათვის დამახასიათებელი არქიტექტურით, არამედ კედლის მხატვრობის ფრაგმენტებითაც.

ამ კომპოზიციის იკონოგრაფიული ნიშნები ჩვეულებრივია შეა საუკუნეების

ქართული ხელოვნებისათვის. ანალოგიურად აგებული კომპოზიცია გვაქვს, მაგალითად, ბოჭორმის მოხატულობაში, რომელიც XII ს-ის შეა წლებს მიეკუთვნება.

ჩრდილოეთ ოსეთის ასე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამჟამად ცნობილია შეა საუკუნეების კედლის მხატვრობის მხოლოდ ორი ნიმუში: ერთი მათგანია „ხოზიტა-მაირამის“, მეორე – არდონის ხეობაში ნუზალის პატარა ეკლესის მოხატულობა, რომელიც XIII ს. მიეკუთვნება. ორივე ეს მოხატულობა უდავოდ ქართულია. ამაზე პირველი ძეგლის მხატვრობაში მიგვითოთებს მისი სტილისტიკური ხასიათი, რომელიც ანალოგიებს პოვებს შეა საუკუნეების საქართველოს გარეკეული ხანის კედლის მხატვრობაში. ნუზალის კედლის მხატვრობის შესრულება ქართველი ოსტატის მიერ, ამას გარდა, დასტურდება ქართული ასომთავრული წარწერებით, რომლებიც თან ახლავს გამოსახულებებს. ჩრდილოეთ ოსეთში ქართული არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის ძეგლების არსებობა კანონზომიერადად გაპირობებული იმდროინდელ საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობით, რის ერთ-ერთ გამოხატულებასაც წარმოადგენს ტაძრების მშენებლობა ქართველი მისიონერების მიერ“.

ვ. გამრეკელის ნაშრომი „ისტორიული მასალები დვალეთიდან“ (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV-3, 1963, გვ. 91-103).

ვ. გამრეკელი წერს: „დვალეთის ხეობათა შორის ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია მისი უკიდურესი დასავლეთი ხეობა, ამ ხეობას შეა საუკუნეობრივი ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურით ეწოდებოდა ქლელეს ხეობა. საგულისხმოა, რომ „ქლელეს ხეობა“ – სახელწოდების ხმარება გვხვდება არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, კერძოდ, რაჭულ ფოლკლორშიც და ხალხურ მეტყველებაში. ამ სახელწოდებამ XIX ს. მოაზანა; ის რესულშიც გადავიდა და ერთხანს რესულ ოფიციალურ საბუთებშიც იხმარებოდა ჯგუფის უშესებრობით.



ამჟამად კი ეს ხეობა რუსულ და ოსურ ენებზე იწოდება მამისონის ხეობად (Мамисонское ущелье, Мамисон-ком). ხეობის წყლის ქართული სახელწოდებაა „ჟღელეს წყალი“, ხოლო რუსულად და ოსურად მას ამჟამად უწოდებენ **მამისონ-დომ**.

წყლის გაყოლებით ხეობაში ახლო-ახლო მრავალი სოფელი და ნასოფლარია. თავის ზემო ნაწილში ხეობა მამისონის უღელტეხილს აღწევს, ხოლო ქვემო ნაწილში – სოფ. ქვემო ზრამაგას.

ამ ხეობის მთელ სიგრძეზე (21–23 კმ.) ჟღელეს ხეობა ახლოა რაჭასთან, არის მასთან უშუალოდ დაკავშირებული. არსებობს რიგი ისტორიული მოწმობისა იმაზე, რომ დვალეთი შუა საუკუნეებში მეტწილად ქართლის თუ საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში შემოდიოდა და კულტურულ-ეკონომიკურად, პირველ რიგში, ქართლთან იყო დაკავშირებული, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში დვალეთის დასავლეთ კუთხეს (ჟღელეს ხეობას) იჩემებდნენ იმერეთის მეფე და რაჭის ერისთავი 2. ყოველივე ამის გამო არსებობს საქმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ვივარაუდოთ წინა საუკუნეებში რაჭასა და ჟღელეს ხეობას შორის ცხოველი ურთიერთობა.

ჟღელეს ხეობაზე გაუკლია თავის 1869–1871 წწ. მოგზაურობის დროს ცხობილ კავკასიელ მოგზაურს ვ. პუავს. თავის მოგზაურობის აღწერილობებში მას მოჰყავს რიგი საუკუნეებო ცხობებისა და შენიშვნას: „Мамисон-Дон принимает в себя многочисленные горные потоки. Замечательно, что часть этих потоков, как некоторые аулы, носят грузинские названия. Из этого можно заключить, что осетины, обитающие в этом ущельи, смешались с грузинами 3).

„Жители („Мамисонского ущелья“ – ვ.გ.) по типу, очевидно, смешаны с грузинами или имеретинами и речки большей частью носят грузинские названия4“. ბ. ბიანელავი აღნიშნავს, სახელდობრ, რომ „Надписи на грузинском алфавите обнаружены на стенах развалин древнего храма и на могильных камнях древнего кладбища в сел. Калак7.

მართლაც, ჟღელეს ხეობაში მრალგვარ ფორმებში ვლინდება ქართული კვალი: აქ შეხვდებით XI ს. დროინდელ მოზრდილ (7X13 მ) ეკლესიის ნანგრევებს სოფ.თლისთან, ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს სოფ. ქალაქში;

ჟღელეს ხეობის აყოლებით, სოფ. თლის ზევით, შვიდიოდე კილომეტრის მანძილზე არის სოფელი – „მუგრავოვ“ (რესპ.მორავოვ) გვარის ოსების სამოსახლო ადგილი. ამ კოშის ახლო ახლად აშენებული სახლის პირველ სართულის-წინა კედელში ჩატანებულ ერთ მოზრდილ ქვაზე (სიგრძე – 105 სმ, სიმაღლე – 32 სმ). ვნახე წარწერა, რომელზედაც მელაპარაკა ქ. ალაგირის მუზეუმის დორექტორმა სოხიევმა. წარწერა შესრულებულია ამოკოდვით და ქართული მხედრული ასოებით (იხ. ტაბ I, სურ. 2). ის იკითხება ასე:

ჩყლე, სალათასშ ბიზდი, ჩყლე – 1835 წელს; სალათასშ – სალათას შვილი; აქ დროული იქნება დავიმოწმოთ ერთი ცნობა: 1821 წ. რუსული სამხედრო ხელისუფლების დავალებით კაპიტანი კადნიკოვი მცირე რაზმის და ვინმე ო. ჭიჭინაძის (მთარგმნელი) თანხლებით გადავიდა რაჭიდან მამისონის უღელტეხილით ჟღელეს ხეობაში. თავის 1821 წლის 22. VI პატაკში ის ახსენებს სოფ. ქამსხოს „Кანცхუთი“-ს ფორმით და ასახელებს აქურ მოსახლეს ვინმე სალათა მოურავაშვილს (Салата Моуравишвили) 10. ვფიქრობთ, რომ ქვის წარწერაში მოხსენებული სალათა შეიძლება იყვეს იგივე სალათა მოურავაშვილი მოხსენებული კაპიტან კადნიკოვის პატაკში. ბიზდი – მამაკაცის ოსური სახელწოდებაა და შეესატყვისება ქართულს „ბესარიონ“.

ამრიგად, გამოიდის, რომ წარწერა შესრულებულია 1835 წელს და მასში მოხსენებულია სალათას შვილი ბიზდი. ქრონოლოგიური, ტერიტორიული და სახელის (სალათა) თანადამთხვევა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს ბიზდი – ბესარიონი იყო შვილი 1821 წლის დოკუმენტში მოხსენებული სალათა მოურავაშვილისა. ჩანს, 1835 წელს ამ სახლის პატარი ბიზდი მოურავაშვილი თავისი გვარის ერთ-ერთი წარჩინებული



წარმომადგენელი ყოფილი. ამჟამად ამ სახლის, მუგრავოვთა (მორავოვთა) საგვარეულო კოშკის და ორგვლივ კარმიდამოს პატრონია ხევნებული ვიქტორ ჩელდივევი. მეტად ნიშნეულია გვარი „მოურავაშვილი“, მთე უმეტეს, რომ ის დაკავშირებულია ისეთ კოშკთან, რომლის მსგავსი დვალეთში ცნობილი არ არის და, რომელიც აშკარად განირჩევა ოსურ საგვარეულო კოშკებისაგან. ედელეს ხეობაში მოურავის სამოხელეოს არსებობა ადგილი დასაშვებია; ცნობილია XVI-XVIII სს. ქართლ-იმერეთის მეფებისა და რაჭის ერისთავების პრეტენზიები დვალეთზე. ისინი იჩემებდნენ უმაღლეს ხელისუფლებას დვალეთზე“.

ამ კოშკის და „მოურავაშვილი“-ს გვარის აქ არსებობა ემოწმება, თავის მხრივ, წერილობით ისტორიულ ცნობებს, რომ ქართლ-იმერეთის მეფები თავის სუვერენულ უფლებებს ავრცელებდნენ დვალეთზე.

სოფ. ქამსხოს ზემოთ, ედელეს-წყლის აყოლებით 1 კმ დაშორებით ამავე ხეობაში არის სოფელი, სახელდებული „ქალაქ“-ად. პირველ რიგში ეს სოფელი უურადღებას იქცევს თავისი სახელწოდებით. ადგილობრივი მოსახლეები ოსურ და რუსულ მეტყველებაშიც სოფლის სახელად ხმარობენ „ქალაქს“ (Калак – Калаки). სხვა სახელწოდება ამ სოფელს არცა აქვს. სახელის ქართულ ხასიათს ადგილობრივ ყველა ცნობს და აღიარებს. მაღალი ხეობის პატარა სოფლისათვის სახელის „ქალაქი“-ს მინიჭება თავდაპირველად უცნაურობის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ეს სახელწოდება არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგანაც დიდი კავკასიონის ქედის გაყოლებით ჩენი არა ერთხელ ვხვდებით სახელწოდებას „ქალაქი“. სახელდობრ:

1. ისტორიულ დიდოეთში, კახეთის ჩრდ.-აღმოსავლეთით, სოფელი თლიადალ ცნობილია მეორე სახელითაც „ქალაქი“. XIX ს. ისტორიულ-გეოგრაფიულ ლიტერატურაში ის აღნიშნულია არა ერთხელ სახელწოდებით Калаки.

2. დუშეთის რაიონში, ხადას ხეობაში ცნობილია ნასოფლარი „ქალაქეთი“.

3. მდ. დიდი ლიახვის ზემო წელზე, მაღრან-დვალეთში, ცენტრალურ სოფლის ედისის მისადგომთან არის ნასოფლარი, რომელსაც მკიდრი მოსახლენი უწოდებენ „ქალაქს“ (Калак).

4. ზემო რაჭაში, სოფ. გლოლასთან, გორაკზე არის ნაციხეარი და ნაეკლესიარი. ამ ნანგრევებს და ადგილს ადგილობრივი მოსახლეები უწოდებენ ზედაქალაქი (ვარ. ზედ ქალაქი).

5. მდ. ქსნის აუზის ზემო ნაწილში, ჭურთის ხეობაში XVIII ს-ში დამოწმებულია სოფელი „ქალაქი“.

ეველა მოხსენებულ მაგალითში ჩენი გვაქვს ისეთი ტერიტორია, სადაც შუა საუკუნეებში ქართული ენის ხმარება გავრცელებული იყო და რომელიც საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ წრეში შემოღილდა.

სოფ. ქალაქში შემონახულია დღემდე უცნობი ნაგებობის ნანგრევები. ეს ნანგრევებია: დაზიანებული კოშკები, საცხოვრებელი სახლები, კედლები და სხვ. უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მთის კონცხის ბოლოში არის ქვათა წყობა 2 მეტრზე მეტი სიმაღლის; შიგ ამოშენებულ ნიშში აწყვია ცხვრის რქები, ჯამის ნატეხები, ქვიდან უხეშად გამოკვეთილი ცხვრის და ცხენის თავები და სხვ. ეს ქვათა წყობა სალოცავს წარმოადგენს და მოსახლენი ამას უწოდებენ „ძილეს ძუარ“. ადგილობრივ მკვიდრთა სიტყვით, მათ თავის მამაპაპათაგან გაუგონიათ, რომ ეს სალოცავი „ძილეს-ძუარ“ აგებულია ასიოდე წლის წინ. მანამდე აქ ნანგრევები მხოლოდ ქვის გროვას წარმოადგენდნენ. ადგილის მოწმენდის და ამ სალოცავის აგების დროს ნახულ იქნა ნანგრევები 1/2 მეტრის სიგრძის ოქროს ჯვარი და სხვა საეკლესიო ნივთები. ეს ნივთები შემდეგ ვიდაცას მოეპარა და უკვალოდ დაიკარგნენ. იმ მოხუცების ცნობით, აქ სულ ძველად ეკლესია უნდა ყოფილიყო. ნანგრევებს შორის დგას დანგრეული კოშკიც.

1772 წლის 7 ივნისს კუდაროზე გავლისას ი.ა. გულდენშტედტმა თავის დღიურში ჩაიწერა შემდეგი: „ძუდარო წონასთან ერთად დარბეულ იქნა ამ სამი



წლის წინ იმერეთის თავადებისაგან; ამიტომ ყველა საბრძოლო კოშკი ნახევრად დანგრეული იყო. ის (კუდარო – ვგ.) ეკუთვნის ოსურ თემს დვალეთს. თავადი ჯაფარიძე რაჭის ერისთავთან ერთად იჩემებენ ბატონობას ორივე ოსურ თემზე, დვალეთზე და მაფუსუანზე¹⁴.

(მე: მაფუსუანი (მაფუსუანი= მაწარმოქმედი, ფ-განშლა, და სუანი ანუ სვანები, ფ-სუანი= ნიშნავს „გაშლილი სვანები (ანუ სვანების დასახლება), მაფუსუანი-სვანების გაშლილი ქვეყანა, ანდა სვანთა დასახლება, ანუ განშლა. ამავე ფ-მაწარმოქმედითაა სიტყვა „აფხაზი.“ ესაა აფხაზ. ხაზ არის იგივე ხაზარეთი, ხაზარების ქვეყანა, ფ-ხაზ=ხაზარების განშლა, ანუ ხაზარების ქვეყანა. საბოლოოდ, აფხაზეთი ნიშნავს=ხაზარების გაშლილი ქვეყანას, ანუ ხაზართა განშლას, ხაზართა დასახლებას. მართლაც, ვახუშტის ცნობით, აფხაზეთი ერქვა ტერიტორიას ბზიფიდან (ანაკლიიდან) უცანამდე, ის, მართლაც, იყო ხაზარების ქვეყანა აფხაზათა საერისთავოს წარმოშობის (მე-8) საფუძველი).

აქ მოხსენებული როგორც ორი თემი, „დვალეთი და მაფუსუანი“, ანუ მამისონი, სწორედ უღელეს ხეობას შეიცავს (მაფუსუანი, ანუ მამისონი, ანუ სონი ნიშნავს სვანებს).

შეიძლება თუ არა სოფ. ქალაქის კოშკის დანგრევა დაუკავშიროთ ერთერთ მოხსენებულ ლაშქრობას. დიდი ხანია საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ოსურ ენაში მკვიდრად შესული სიტყვა „ძუარ“ ქართული „ჯვარი“-საგან წარმოდგა, ვნახეთ ამ სალოცავთან რამდენიმე ქართული წარწერიანი ქვა:

1. პირველი ქვა. ქარაგმების გახსნით ჩვენ ასე ვკითხულობთ: ქრისტე შეიწყალე იოანე გ(?) დიდებაი ძლევის ჯვრის წმინდაო ძე(?)!!?? ვრა მიქელისძე დიდებაი წმინდა იოანე შეიწყალე იოვანე.

2. მეორე წარწერის შერჩენილი ნაწილი შეიცავს ერთი პირის ვედრებას და იკითხება ასე: ძლევის ჯვრისა წმიდაო გიორგი ამისი მწერალი ბაშარული (ან სხვა რაიმე გვარი) გიორგი შეიწყალე“.

3. ქარაგმების გახსნით ასე იკითხება: გოგად შეიწყალე ძლევის ჯვარო ბ”ი სგა, ა შეიწყალე.

4. ამავე სალოცავის უკანა კედელში ჩატანებულია ქვის გრძელი მონაკობი,

რომლის ვიწრო გვერდზე შემორჩენილია რამდენიმე ასო. ასოები წესიერად და მკვეთრად არის ამოჭრილი; წარწერას ეტყობა დაოსტატებული ხელი.

ამ სალოცავიდან პირდაპირი ხაზით ასილე მეტრის მანძილზე მეზობელ მთის ფერდობზე სასაფლაოა, სადაც აღმართულია ასეთივე ტუფის ქვიდან ნაკეთები მრავალი დიდი ზომის ჯვარი.

ამ კუთხეში მკვიდრობები სხვა ისეთი ფაქტებიც, რომელთა უშუალოდ ქართული წარმართული ტრადიციებიდან წარმომავლობა ეჭხს არ იწვევს. სახელდობრ: სოფ. ქალაქის ცოტა ზევით, ამავე ხეობაში და სოფ. უღელეს (ოსურად – ზეილ, რუსულად ზგილ) გადასწვრივ მთაზე არის სალოცავი, წოდებული „სანთხოს (ვარ. სანთხოს) კუვანდონ“. ამ სალოცავთან, სათანადო რიტუალის შესრულებით, ამგა-მადაც იხდიან დღეობას. დღეობა აქ იმართება თიბვის დაწყების წინ და დაკავშირებულია სწორედ თიბვასთან (1958 წ. ჩემს აქ ყოფნისას დღეობა გაიმართა ივლისის 27-ს, კვირა დღეს). „კუვანდონ“ ოსური სიტყვაა და ნიშნავს სალოცავს, სამლოცველოს, ხელო სანთხოს (ვარ. სანთხოს – ქართულ საღმრთოსაგან უნდა მოდიოდეს (ქართული მ-ს ოსურში ხშირად ნ შეენაცვლება). მაშასადამე, „სანთხოს კუვანდონ“ იგივეა, რაც „სამღვოოს სალოცავი“. „სანთხოს“ აქ საკუთარი სახელის ფუნქციაშია. ნიშნეულია, რომ მთიულეთ-გუდამაყარშიც დამოწმებულია წარმართული ხასიათის დღეობის „თიბვის სამდოოს“ არსებობა და საერთოდ „სამდოოს“ ხმარება, როგორც წარმართული დვთაების საკუთარი სახელისა 18. ამრიგად, უღელეს ხეობაში და, მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხეობებში დამოწმებულ „სამდოო“-ში, ჩვენ გხედავთ სრულ დამთხვევას როგორც ფუნქციონალურს, ასევე ტერმინოლოგიურს. ერთდროულად ფუნქციონალური და ტერმინოლოგიური დამთხვევის სხვა ფაქტიც არსებობს. ჩვენ ვგულისხმობთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა თემურ-წარმართული რელიგიის ტრადეციებიდან კარგად ცნობილ და ოსურ ენაშიც დამოწმებულ კულტის მსახურის სახელწოდებას – „დეკანოზ“-ს.



„დეკანო“ – служитель культа, состоящий при дзуаре (святылище) жрец. Из груз. დეკანო... у горцев (мохевцев, пшавов, хевсур) человек состоящий при святылище¹⁹.

ამრიგად, ტერმინები „საღვთო“ და „დეკანოზი“ წარმოადგენენ ქრისტიანობის და წარმართობის ერთგვარი სინკერტიზმის ფაქტებს, რომლებიც თანაბრად გავრცელებული ყოფილან დვალეთსა და ხევი-მთიულეთ-გუდამაყარში. ეს ფაქტები მოწმობენ დვალეთში ქართული წარმართულ-მთიური ტრადიციების ოდინდელ გავრცელებულობას. სალოცავ „ძილეს-ძუართან“ დაკავშირებით მოხსენებული სიძველეები (ეპიგრაფიკა, ნაქანდაკარი, ტერმინები) ცხადლივ მოწმობენ შემდეგს: 1) რომ „ძილეს-ძუარ“ სალოცავის ადგილას მოგვიანო (XV-XVII) საუკუნეებში არსებობდა ქართული ქრისტიანული საკულტო ნაგებობა; 2) რომ ამ ეკლესიას ეწოდებოდა „ძლევის ჯვარი“; 3) რომ სალოცავის სახელი „ძილეს-ძუარ“ მიიჩნევა „ძლევის ჯვარი“-სგან წარმოშობილად; 4) რომ ეკლესია მოქმედებდა, თუ მეტი არა, ერთნახვარ საუკუნეს მაინც; 5) რომ ამ მიდამოში ქრისტიანობა ადრე უფრო დახვეწილი იყო, ხოლო გვიან წარმართული ელემენტები შეერია; 6) რომ ქართული კვალი უდელეს ხეობაში ვლინდება არა მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებით, არამედ, და რაც უფრო საგულისხმოა, წარმართულ-თემურ რწმენებთან დაკავშირებულ ფაქტებშიც.

ვ. დოლიძის ნაშრომი – თლის ხუროთმოძღვრული ძეგლი (მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტXXI, №6, 1958)

თლის ეკლესია მდებარეობს სოფელ თლის დასავლეთით, მთის ფერდობზე, სამხედრო გზის ტრასაზე, მეორმეტე კილომეტრზე მამისონის უდელტეხილის გადაღმა. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ზომები: 7,8X13,0. ძეგლი წარმოადგენს ცალნავიან ეკლესიას მინაშენის კვალით სამხრეთის ფასადის მთელ სიგრძეზე. მსგავსად ხოზიტა-მაირამისა, თლის ეკლესია მეცნეობად ამჟღავნებს ქართული ხუროთმოძღვრების ნიშნებს და არქიტექ-

ტურულად ძლიერ წაგავს ხოზიტა-მაირამს და ამავ დროს მკვეთრად განსხვავდება ხრდილოეთ ოსეთის უველა ძველ ხუროთმოძღვრული ძეგლებისგან. ითვლება იმავე პერიოდის ძეგლად (მე-XI ს.). ეკლესია ძლიერ დაზიანებულია – კამარა ჩამოქცეულია, ქვების ნაწილი ეკლესიის ირგვლივაა დაყრილი, ნაწილი კი გაძარცულია. ნაგებობის დიდი ნაწილი ახლა დაღუპულია. კამარა ჩამოქცეულია, ქვების ნაწილი ეკლესიის ირგვლივაა დაყრილი, ნაწილი კი გაძარცულია. განსაკუთრებული ინტერესს იწვევს თლის შესასვლელის მორთულობა გარედან. აქ შემორჩენილია დეკორატიული გაფორმების ფრაგმენტები, თლის მშენებელმა შესასვლელის მორთვისათვის იგივე მოტივი გამოიყენა, რომლითაც დამუშავებულია თლისთან უახლოესი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის – ხოზიტა-მაირამის სარკმლები ([2], გვ. 123–124, სურ. 4-6). ამასთანავე, მსგავსება არა მარტო ზოგად კომპოზიციურ აგებულებაშია, არამედ საპირისა და სათაურის დანაწევრებაშიც პარალელურ ლილვებად. ხოზიტა-მაირამში ლილვები თანასწორია, ხოლო თლიში რამდენადმე მეტია შუალა.

ამრიგად, ძეგლების ზოგადი განხილვა გვარწმუნებს, რომ მსგავსების ნიშნები თლისა და ხოზიტა – მაირამს შორის გაცილებით უფრო არსებითია. ვიდრე სხვაობის ელემენტები. ამ მსგავსებაზე მიუთითებს სოფ. თლიში მოთხოვილი გადმოცემა. იქ ამბობდნენ, რომ არსებობს კიდევ ერთი ანალოგიური ტაბარი სადღაც მამისონის უდელტეხილის გადაღმა. სამივე ტაბარი ერთი ოსტატის მიერაა აშენებული ერთ დღეს. ამასთანავე, იგი ადრე დილით ხრუბზე (მდინარე, რომლის ნაპირზეც ხოზიტა-მაირამია აგებული – ვ.დ.) მუშაობდა, შუადღემდე – თლიში, ხოლო საღამოს – უდელტეხილის გადაღმა. ამ გადმოცემის სიტყვებით, თვალითმნახველნი ხაზს უსვამენ სამივე ნაგებობის სრულ იგივეობას: ნარის ტაფობზე, ე.ი. ტერიტორიაზე, რომელსაც მიგუთვნებული აქვს ტოპონიმი დვალეთი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა არსებობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც საბუთები ამ ტერიტო-



რის მოსახლეობის მიკუთვნებისა ქართველი ხალხის კულტურულ წრესთან. ხოზიტა-მაირამი და ოლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ დვალების ისტორიის საკითხისათვის, რომლებიც მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს გახდა სპეციალური კვლევის საგანი [5, 6].

ხუცაუ-ძუარი („დვთაების სამლოცველო“), მდგბარეობს ისტორიულ დვალეთში, სოფლები ფალლაგ-ქომისა და რეგახის სიახლოეს, ფერდობზე. მის რეგიონშია ეკლესიები (სამლოცველოები) – ზრუგის, ხოზიტა მად-მაირამისა, სოფელ თლისა, სოფელ ნარისა, ფიქრობენ, რომ ისინი შემდეგ აშენებული პატარა სამლოცველოა.

ხუცაუ-ძუარი, ძეგლი დარბაზული ტიპისაა, შემორჩენილია ნანგრევების სახით.

აგებულია ძველი დვალი, ანუ ქართველი ქრისტიანების მიერ, რომელიც საქართველოს ეკლესიის სამრევლოს შეადგენდენ ქართულენოვანი წირვა-ლოცვით. სამლოცველოს შესახებ ცნობები უცნობია, ამიტომაც მისი ქართული სახელის ეტიმოლოგიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ხუცაუ-ძუარი შეარქევს მოგვიანებით, როდესაც შემოსულ მრავალრიცხოვან მომთაბარეებთან ომს დვალების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეწირა. გადარჩენილი დამორჩილებული დვალები ასიმილირდნენ მეტრის მიერ ზედამხედველობისათვის დატოვებულ მცირერიცხოვან, მაგრამ ორგანიზებულ ოსებში. დვალებს, დროთა ვითარებაში, ასიმლაციის გამო – ოსები ეწოდათ. ისინი გაწარმართდენ. ამის შემდეგ ისინი ოდნავ სახეცვლილ ქართულ სიტყვა „ძუარს“ უწოდებდნენ არა მხოლოდ ჯვარს, არამედ წმიდა ადგილებს, მათ შორის უწოდეს ამ სალოცავსაც და ასევე, ქართული სიტყვა „ხუცაუ“ უწოდეს არა მხოლოდ სასულიერო პირს, ხუცესს, არამედ უზენაეს შემოქმედსაც, ამიტომ ხუცაუ ძუარი ნიშნავს ან ხუცესის სამლოცველოს ან დვთაების სამლოცველოს.

წყარო – გივი დამბაშიძე, „ქართული კულტურის ძეგლები დვალებში“, „საბჭოთა ხელოვნება“, №3, თბ., 1976

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%83%A3-%E1%83%AB%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98>

ნუზალის სამლოცველო
ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი
ისტორიულ დგალეთში
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9C%E1%83%83%96%E1%83%90%E1%83%83%9A%E1%83%83%A1_%E1%83%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D

ნუზალის სამლოცველო პირველად მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ. მანვე აღწერა და გადახატა ცხრა ძმის ეპიტაფია, რომელიც მე-20 საუკუნეში დაიკარგა, რის გამოც ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დაკოპირებული ეს წარწერა ფასდაუდებელი განძი გახდა. სამლოცველოს ზომებია: სიგრძე 5,50 მ, სიგანე 3,30 მ, სიმაღლე 4,70 მ. არქიტექტურა მთანი რეგიონისთვის დამახასიათებელ ხუროთმოძღვრებას განეკუთვნება და წარმოადგენს ტიპურ ორფრთიანი გადახურვის მქონე სამლოცველოს, როგორიც მრავლად მოპოვება მთელს ჩრდილოეთ ოსეთში. ნუზალეს სამლოცველო განთქმულია XIII-XIV საუკუნის ვრცესკებით. გამოსახულია ლოთისმობელი, წმ. გიორგი, სავარაუდოდ, მიქაელ მთავარანგელოზი და საერო პირები – სავარაუდოდ, სამლოცველოს ქართულები.

ფრესკები ნუზალის ჩრდილოეთის კედელზეა ქტიტორთა ექვსი ფიგურის ნაშთი, ერთეურთი პორტრეტის მარჯვნივ ასომთავრული წარწერაა – „სოსლან“, ის მიჩნეული იყო დაგვით სოსლანად. სინამდვილეში მესამე და მეხუთე ფიგურა ქალებისაა. აღსანიშნავია, რომ მესამე ფიგურას ხელთ ჩვილი ბავშვი უპყრია, რომელიც მკვლევართა მიერ ადრე არ ყოფილა შენიშვნელი [2]. ამრიგად, „სოსლანი“ ჩვილი ბავშვია. ქტიტორთა საერთო კომპოზიცია ძალზედ დაზიანებულია. როულად იკოთხება ჩვილის ფიგურაც. შესაძლებელია, რომ ჩვილი მოგვიანებით იყოს ჩახატული.



ამრიგად, სოფელ ნუზალის სამლო-
ცველოს ჩრდილოეთის კედელზე გამო-
სახულია ქტიტორთა ჯგუფური, ოჯახური
პორტრეტი, რომელთა შორის სამი
ფიგურა მამაკაცისაა, ორი ქალის და
ერთიც – ბავშვის.

ზოგიერთის მოსაზრებით, სოფელ
ნუზალის სამლოცველოს ფრესკებთან
აკაგშირებს ხალხში შემორჩენილი შეძ-
ლები ლექსი:

„ჩვენ զոյսացոտ ըերանո մմանո
իսրայուլուսդյ-վարեսունանո:

ოს-ბავათარ, ღავით-ხოსლან თოხ
ხამეფოდ ძებრძოლანი;

ვიდარობ, ჯადარობ, სოფურ და
გთორგი — მტერთა რისხვით შემხედვარნი;

ჩვენი ძმანი, სამი ბერბი - ისაკ, რომანოზ და ბასილიქები ქრისტები კარგი ყმანი.

ჩვენ გვიშირავს მომავალთა თოხის
კუთხივ ვიწრო გზა.

კასარაზედ ხიდა ხიდა გრე მაქვე ლა
ხაბაჟო აქ მიჭირავს ხიდი-კარი,

საიქონოს მოიძევე, სააქაოს კარგად
ძღვარი...
ოქროსა და ვერცხლის მიწა, ამდენი

ძაქვებ, გითა წყალი.
კავკასიონი დავიპყარ, თოხ სამეფოდ

აო დაგვაგდე ჩემი გვარი.
 მამწვდა, ვიციოთ მიღალატა, მან
 უკავი ჩემი ქადა.

დაიდგა ჩემი ბოალი.
ბაყათარი წყალს მიეცა, აღიხოვა
ოსმა აზრი.

კინგ ეს ლექსი იხილოთა მცირე
ბრძანებულ შენობაზე“.

ძეგლმა განსაკუთრებული ყერადღება მიიპყრო მას შემდეგ, რაც 1946 წელს არქეოლოგმა ე. პეტლინამ სამლოცველოში გათხრილ სამარხში აღმოჩენილი მამაკაცის ჩონჩხი სამლოცველოს კედელზე არსებული ფრესკის წარწერასთან — სოსლანთან კაგშირში და გარკვეულ ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით, თამარ მეფის მეუღლის — დავით სოსლანად გამოაცხადა [3]. შემდეგ ეს ვარაუდი გაიზიარა და განავითარა ანთროპოლოგმა თ. მამუკა ეგმა. ნუზალ-არდევანის სამარხში აღმოჩენილი ჩონჩხის

ანატომიურ-ანთროპოლოგიურ თავისებულებათა შესწავლით და, ამასთან, ზოგიერთი ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული და ნუზალის სამღლოცველოს კედლის მხატვრობის მონაცემების გათვალისწინებით მანაც, ეს ჩონჩხი ნამდვილად დავით სოსლანაძ მიიჩნია და მ. გერასიმოვის მეთოდის გამოყენებით, დავით სოსლანის ფიზიკური სახეც აღადგინა.

როგორც აღვნიშეთ, 1971 წელს ივ-
ლოლაშვილმა ისტორიულ-ფილოლოგიუ-
რი, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული კვლე-
ვის, ნუზალის სამღოცეველოს კედლის
მხატვრობისა და წარწერათა შესწავლის
საფუძველზე მართებულად გააკრიტიკა
და უარყო კ. პჩელინათ. მამუქავის გა-
რაუდი ნუზალ-არდუანში დავით სოს-
ლანის დაკრძალვის შესახებ.

ნუზალის სამლოცველოსა და იქ
დაგით სოსლანის შესაძლო დაკრძალვის
თაობაზე საყურადღებოა აგრეთვე ჩრდი-
ლო კაგასის არქეოლოგის ცნობილი
სკეციალისტის ვ. კუზნეცოვის აზრი. იგი
ნუზალის სამლოცველოს მშენებლობას
(რომელიც ტიპოლოგიურად მოლიანი
კაგასის ორფერდასახურავიან მიწისზე-
და აკლდამებს უკავშირებს და ადგილობ-
რივი არქიტექტურული სკოლის ნაკეთო-
ბად მიიჩნევს), არქეოლოგიური, ფრესკე-
ბის ხელოვნებათმცოდნებითი და წარ-
წერათა პალეოგრაფიული მონაცემებით
XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის
დასაწყისს მიაკუთვნებს. მისი მტკიცებით,
სამლოცველოში გათხოვილი სამარხი
უფრო ადრინდელი არ არის და ჩონჩხიც
არ შეიძლება დაგით სოსლანი იყოს [4].

ზოგის კვლევია

<http://www.pravenc.ru/text/%D0%97%D1%80%D1%83%D0%B3%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9.html> ჩრდილო
ოსეთში რამდენიმე ქართული ეკლესია, სამლოცველო და ნიშია, მათ მდგომარეობას გარკვეულწილად გამოხატავს ზრუგის ეკლესია. ის თითქოსდა განზოგადებულად ასახავს ქართული ქრისტიანობის წარსელს ამ მხარეებში და ოქაური ხალხის მოსიყვარულე დამოკიდებულებას მის



მიმართ, ის შეისწავლა მკვლევრმა ბელეცკოიმ.

ზრუგის ეკლესია მდებარეობს ალა-გირის რაიონში ზრუგის ხეობაში, ახლოს სოფელ ნართან. ზრუგის ხეობა იყო ნაწილი თვალგომის (დვალეთის) ოლქისა. მასზე გადიოდა სავაჭრო გზა.

ოლქი დასახლებულია ოსებით, რომელთაც მოახდინეს ადგილობრივი კავკასიური ტომის ასიმილაცია მართვის მიზანით. ასიმილაცია მართვის მიზანით ადგილობრივი კართველებისა, ანუ დვალებისა).

შეა საუკუნეებში ტერიტორია შედიოდა საქართველოს საპატრიარქოს ნიუთის ეპარქიის სამწევოში. და მართვის მიზანით ადგილობრივი კართველების აღებულია შირიმის ქვით. ერთნავიანი ბაზილიკა.

ქართული კულტურა გავლენას ახდენდა ამ მხარის მოსახლეობაზე. ზრუგის ეკლესია აგებულია შირიმის ქვით. ერთნავიანი ბაზილიკა.

2009 წელს ძლიერ დაიშალა, უფრო დაზიანდა 2002 წელს წარმოიდგინეს გამო. დათარიღებულია მე-11 ს. (დოლდე. 1954), მაგრამ უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

განეკუთვნება დარბაზულ ეკლესიათა რიგს, რომელიც აგებულია საქართველო-ჩრდილოკავკასიის დამაკავშირებელ გზებზე.

დვალეთში ზრუგის ეკლესიის გარდა იდგა კიდევ რამდენიმე მსგავსი შენობა – თლიში, ნარში, ზარამაზში, კესატიკაუში და სხვა. დამკვეთები იყვნენ ადგილობრივი დიდებულები. ამ ეკლესიებს აგებდნენ ქართველი მშენებლები, არსებობს მრავალი ანალოგია ქართულ ხელოვნებაში (ჭალა, არბო, დისევი, ვანათი, ზემო კარაბულახი, სათხე, უაბეში).

ზრუგის ეკლესიის ჩქერერთმათა მოტივები დამახასიათებელია ქართული კულტურისათვის.

კედლები დაფარული იყო ფრესკებით, ფრესკათა განლაგების სცენები ექვემდებარებოდა გავრცელებულ ქართულ სქემებს. ფერწერა თარიღდება მე-12 საუკუნით (Вольская. 1954) და შედის

ფრესკულ კომპლექსში მე-12-მე-13 საუკუნებისა – ბეთანია, ვარძია, ყინწვისი, ტიმოთესუბანი და სხვა.

ჩანს, რომ ზრუგის ტაძარი აშენდა, ვითარცა მთავარი ქრისტიანული ცენტრი ზრუგის ხეობისა. ეკლესიის გარშემო მიცვალებულებს კრძალავდნენ.

მოგვიანო დროს, საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ისევე, როგორც სხვა მრავალ მსგავს ჩრდილოკავკასიურ ძეგლში, ზრუგის ეკლესიაში შენელდა ქრისტიანობა და აქ პატივში აიყვანეს ადგილობრივი ნახევრად წარმართული კულტები, შენობაში შესვლა აიკრძალა, ყველა რიტუალი გარეთ სრულდებოდა. მხოლოდ სახელი მაირამი მიუთითებდა, რომ ერთ დროს ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე იყო აგებული.

მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში ძველი ეკლესიის ნანგრევთან ქრისტიანობის აღმდგენელმა რუსულმა საზოგადოებამ ააგო ახალი ეკლესია (აპურთხეს 1860 წელს), მაგრამ ამ ეკლესიაში ხალხი სალოცავად არ დადის, ისინი ახლაც მიდიან ძველ ნაგებობაში, ახალი კი მიტოვებულია. უფრო მიდიან მიძინებისას (Д. В. Белецкий

<http://www.pravenc.ru/text/%D0%97%D1%80%D1%83%D0%B3%D1%81%D0%BA%D0%B0%D8%80%D0%B8%D0%B9.html>

(მიზეზი ამისა ისაა, რომ ადგილობრივები ტრადიციულად ლოცულობდნენ ძველ ქართულ ეკლესიასთან, ხოლო, ახალი, მე-19 საუკუნისა, რუსული ეკლესია, რომელიც ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ ააშენა, მათთვის უცხო იყო. ამიტომაც მიატოვეს მთლიანი, კარგ მდგომარეობაში მყოფი ეკლესია და იმავე ეზოში კვლავ ძველი ქართული ტაძრის ნანგრევებთან ლოცულობენ. ასეა ყველა ოსურ სოფელში. ამ ფაქტიდანაც კი ჩანს, რუსებს რომ არ ჩაენაცვლებინათ ქართველი მღვდლები, რას ხალხი არ დაკარგავდა კავშირს თავის ისტორიულ ქართულ ეკლესიასთან და ასევე ადადგენდა კავშირს ნიქოზის ეპარქიასთან).



„სფავლულთა აღიარება“

აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე

ამ სათაურით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა „საქართველოს რესპუბლიკის“ 2018 წლის 12 ივნისის ნომერში №141 (8542) გამოქვეყნებული განცხადებით ქართული მეცნიერების წარმატებებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიებით დაჯილდოებულთა სახელები ამცნო.

და რაოდენ სასიხარულო და მისასალმებელია, რომ კორნელი კეპელიძის სახელობის აკადემიური პრემია ნაშრომისათვის „ძველქართული – ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი“ თბილისი, 2014, 1080 გვ., ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ავტორს, თვალსაჩინო ქართველოლოგსა და არმენოლოგს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ/კორესპონდენტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, კორნელი კეპელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დამფუძნებელს ილია აბულაძეს და მის ლირსეულ მოწაფებს: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ციალა ქურციკიძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მაია რაფაელასა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს ელენე ცაგარევილს მიენიჭათ.

თუ როგორ ესახებოდა თავად მეცნიერს ლექსიკონის შედგენასთან დაკავშირებული სირთულეები, ამის შესახებ გარდაცვალებამდე (1968 წ.) ერთი წლით ადრე დაწერილი მისი ანდერძის (დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მის პირად არქივში) სიტყვები ნათლად მეტყველებს: „დაუბეჭდავი არაფერი მრჩება. ლექსიკონი მრჩება მხოლოდ, ისიც დაუმთავრებელი... ამას ვერავინ დაამთავრებს, ჩემს გარდა“.

მიუხედავად ამისა დღეს ხელთ გვაქვს ილია აბულაძის ლექსიკონი, რომელსაც არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ ჯერჯერობით ანალოგი არ მოეპოვება. ამ ნაშრომის უპირველესი ლირსება მისი ორენოვნებაა. ლექსიკონი უნიკალურია როგორც შედგენილობით, ანუ მასში ასახული მასალის სიუხით, ასევე, ამ მასალის შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენების გზით გამოვლენილი სიახლეებით, რაც უცილობლად მნიშვნელოვანია როგორც ქართველოლოგიური, ასევე, არმენოლოგიური მომავალი ძიებებისათვის.

შთამბეჭდავია ლექსიკური ერთეულების განმარტების წარმოსაჩენად მოხმბილი ის უმდიდრესი წერილობითი წეროები, რომლითაც თანაბრად მდიდარია ძველი ქართული და ძველი სომხური მწერლობა. ესაა: ძველი და ახალი აღთქმა, ძველი აღთქმა შემდეგი რედაქციების მიხედვით გელათის ბიბლია (A1108,Q1152), იერუსალიმის ბიბლია (Jer.7/11), მცხეთის ბიბლია (S51), ოშკის ბიბლია (Ath.1), ბაქარის ბიბლია (1743 წლის მოსკოვის გამოცემა). ასევე გამოყენებულია ახალი აღთქმის ყველა არსებული რედაქცია. ქართული ბიბლიის პარალელურად გამოყენებულია ბიბლიის ოთხი სომხური რედაქცია. ბიბლიის გარდა გამოყენებულია ძველი ქართული და სომხური აგორაფიული და პომილეტიკური თხზულებები ისეთი ავტორებისა, როგორებიცაა წმ. ბასილი დიდი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, წმ. ეპიფანე კვიპრელი, წმ. კირილე იერუსალიმელი, წმ. იოანიტე რომაელი. განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული ძველი ქართული „მრავალთავების“ საკითხავები: უდაბნოს, სინური, პარხლის, ათონის, სვანური, ხანძეტი, კლარჯული. გამოყენებულია უამრავი ცხოვრება-წამებანი: წმ. დიონისე არიოპაგელის, წმ. სერგის, წმ. იაკობ მოციქულის, წმ. თომა მოციქულის, წმ. იოანე მოციქულის და წმ. პროხორეს, მისი მოსწავლისა, წმ. ფილიპე მოციქულის, წმ. ვაროზის, წმ. თეოდორესი, წმ. თეგლასი, წმ. ტეოდორე სტრატიოტისა, წმ.



გიორგისი, წმ. თეოდორე ევქაიტელის, წმ. ლონგინოს ასისთავისა, წმ. მესუავეთა, „მამათა ცხოვრება“, წმ. სებასტიელ მოწამეთა, წმ. ოსკისა და მოყუასთა მისთა, წმ. პავლე თებელის ცხოვრება, წმ. რიფსიმე და გაიანესი. განსაკუთრებით საინტერესოა აპოკრიფებით უხვად სარგებლობის ფაქტი: „მოციქულთა მიმოსვლა“, „საკითხები მოციქულთა“ „საქმენი წმიდათა წინასწარმეტყველთანი“.

გარდა სასულიერო მწერლობისა, ლექსიკონში გამოყენებულია ისტორიული სასიათის წყაროები: „ქართლის ცხოვრება“ და „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ჯუანშერის „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი „ძველქართულ-ძველსომხური ლექსიკონი“ გამოყენებული წყაროების მიხედვით ამომწურავად მოიცავს როგორც ძველ ქართულ, ისე ძველ სომხურ სასულიერო მწერლობას და უძირფასეს ნაშრომს წარმოადგენს ძველქართულ-ძველსომხური ლიტერატურული ურთიერთობის თვალსაზრისით.

ამდენად, ამ წყაროებიდან მოხმობილი მასალა ქართული და სომხური ლიტერატურულ მთარგმნელობითი პირნციპების ბერძნულ წყაროებთან შედარებითი კალევა-ძიებისათვის ფართო შესაძლებლობას იძლევა. სალექსიკონო ერთეულები ამოღებულია როგორც გამოქვეყნებული, ისე ლექსიკონის შედგენის დროისათვის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ტექსტებიდან. ეს თანაბრად ეხება როგორც ქართულ, ასევე, სომხურ წყაროებს (ილია აბულაძის სკრუპულოზური მუშაობის სტილი ქართულ და სომხურ ხელნაწერებზე ცნობილი ფაქტია!). ლექსიკონში, ხელნაწერების ტექსტების უხვად გამოყენება, ქართულ-სომხური ფილოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა პრობლემის ახლებურად გააზრების უდიდეს სამსახურს უწევს.

უთუოდ კურადსაღებია „ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტაციებული ლექსიკონის“ მნიშვნელობა ქართველობრივისა და არმენოლოგის ურთიერთ-

შემხედრი ლიტერატურულ-ენათმეცნიერული და წყაროთმცოდნეობითი პრობლემების კვლევის თვალსაზრისითაც. დაინტერესებულ პირს, მეცნიერსა თუ უბრალო მკითხველს, ლექსიკონის გზით შესაძლებლობა ეძლევა მთლიანი ტექსტების გადაკითხვის გარეშე მოიძიოს მისთვის საინტერესო ლექსიკა, სინონიმური ცალები, შესაბამისი სომხური შესატყვისი ან შესატყვისობანი (არსებობის შემთხვევაში) და მათი ძირითადი ან მოდიფიკაციის გზით შეძენილი მნიშვნელობა ამოსავალ ბერძნულ ეკვივალენტან შედარებით გაიაზროს.

როგორც ქართული, ასევე, სომხური ლექსიკოლოგიისათვის ლექსიკონში დამოწმებული სიახლენი უდავოდ დირებულია (იხ. წინასიტყვა).

ილია აბულაძის „ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტაციებული ლექსიკონის“ მაღალი მეცნიერული დონისა და მნიშვნელობის წარმოსაჩენად, ვფიქრობ, ზემოაღნიშვნულიც საკმარისია.

მაგრამ ეს უნიკალური ლექსიკოლოგიური ნაშრომი მიუწვდომელი დარჩებოდა როგორც ქართველი და სომეხი მეცნიერებისათვის, ასევე, ბიზანტიური მწერლობის მკლევართათვის, რომ არა ილია აბულაძის მოწაფეების, ყოფილი ასპირანტების, ახლა უკვე ცნობილი ქართველობრივების და არმენოლოგის, აწ განსვენებული, ციალა ქურციკიძის, ელენე ცაგარევიშვილისა და მაია რაფავას განსაკუთრებული ძალის სმევა. მათ შვიდი წლის თავდაუზოგავი შრომის შედეგად ბოლომდე მიიყვანეს დიდი მასწავლებლის მიერ დაწყებული ურთეულესი საქმე.

მნელი იყო ლექსიკონზე მუშაობა: საჭირო გახდა რეგულის 12000 ფურცელზე ბატონი ილიას ხელით მიჯრით ნაწერი მასალის ერთიან სისტემაში მოვანა, დოკუმენტაციისთვის მოხმობილი მასალის შეჯერება როგორც ქართულ, ასევე სომხურ წყაროებთან, გამოქვეყნებულ ძეგლებთან და ხელნაწერებთან. თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, თუ რამდენად შრომატევადი სამუშაო შეასრულეს მათ. საჭირო გახდა ბარათებზე გაპარული უზუსტობების გასწორება,



ნაკლული ადგილების შევსება, ზოგი ციტატის გამართვა, ერთი ძირიდან ნაწარმოები სალექსიკონი ერთეულების (სახელებისა და ზმების) გარკვეული თანმიმდევრობით დალაგება: ჯერ სახელი და შემდეგ ზმა. ლექსიკოლოგიური მასალის მრავალრიცხვნების გამო, ამ შემოკლებათა განმარტებების აუცილებლობის საკითხიც დადგა. მეცნიერებმა გამოყენებული წყაროების შემოკლებათა ინდექსებიც შეადგინეს: ქართული – ციალა ქურციკიძემ, მაია რაფავამ, სომხური – ელენე ცაგარეიშვილმა. მუშაობის პროცესში, ლექსიკონისათვის თან ინვერსიული საძიებლის დართვა გადაწყდა. ანბანის რიგზე გაწყობილი სომხურ სიტყვათა საძიებელი (რვა თაბახი) ელენე ცაგარეიშვილმა მოამზადა.

უოველივე ზემოაღნიშნული, ლექსიკური-ტერმინოლოგიური კვლევა-ძიების სასიათს ერთმნიშვნელოვნად ატარებს და ძველქართულ-ძველსომხურ დოკუმენტირებულ ლექსიკონს დღეს არსებული ჩვეულებრივი განმარტებითი ლექსიკონებისაგან თვალნათლივ განასხვავებს. ლექსიკონს განუზომელი მნიშვნელობა აქვს ჰუმანიტარული დარგის მკვლევრებისათვის.

აქვთ დავძენ: „ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონის“ შექმნის ისტორიას მეცნიერულთან ერთად ზნეობრივი უდიდესი დირებულება გააჩნია. მოწაფეებმა: ციალა ქურციკიძემ, ელენე ცაგარეიშვილმა და მაია რაფავამ დირსეულად გააგრძელეს დიდი მასწავლებლის მიერ დაწყებული ეროვნული საქმე და ფაქტობრივი თანაავტორობის მიუხედავად, თავი მხოლოდ რედაქტორების სტატუსით წარმოაჩინეს.

სიმბოლურია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ილია აბულაძისა და მისი მოწაფეებისათვის კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ, დროში ილია აბულაძის მიერ 60 წლის წინათ (1958 წლის 30 ივნისი) დაარსებული კორნელი კეკელიძის სახელობის სელნაწერთა ინსტიტუტის საიუბი-

ლეო თარიღს დაემთხვა, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-პურთხევით, უცხოელი ქართველოლოგების მონაწილეობით გამართული სამეცნიერო კონფერენციითა და სელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაუნჯებული ქართული ბრწყინვალე სელნაწერების გამოფენით აღინიშნა. სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც მაია რაფავამ, ახლა უკვე კორნელი კეკელიძის სახელობის აკადემიური პრემიის ლაურეატი თავმჯდომარეობდა, მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა, ხოლო ქართულ სელნაწერთა გამოფენამ კიდევ ერთხელ საყოველთაო აღფრთოვანება დაიმსახურა.



საქართველო და მართლმადიდებელი
მკლესია 1918–2018 წ.

**პროფესორი, ღეკანოზი ლევან მათეშვილი,
დოქტორი, ივანე ეპიტაშვილი**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 2000 წელია სულიერად ასაზრდოვებს ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ადამიანებს. ეს ვრცელი წინააღმდეგობებით აღსავს გზას, მაგრამ უარღესად საპატიო, რომელიც ყოველთვის გადაჯაჭული იყო ქვეყნის განვითარების, წარმატების თუ წარუმატებლობის ხედროან. ყველა დროს თავისი გამოწვევები ჰქონდა, მაგრამ ბოლო 100 წელი ქვეყნის და ეკლესიის მდგრმარეობისთვის ჰქონდა „აპოკალიფური“ განსაცდელების უამი მოიწია. მსგავსი დონის მასშტაბური კატაკლიზმები არც სამოციქულო პერიოდის დევნებს ახასიათებდა და არც საქართველოს დაუკარგავს ამდენი რაოდენობის შვილი, რაც მე-20 საუკუნის ქარტებილება შეიწირეს.

1918–2018 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობა და მდგრმარეობა პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს:

1. 1918–1921 წწ;
2. 1921–1977 წწ;
3. 1977 დან დღემდე.

1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის ადგანის წინ უსწრებდა და გარკვეულწილად ამზადებდა საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობის გამოცხადება. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეკლესია ყველა მის ხელთ არსებული რესურსით ეხმარებოდა საქართველოს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკლესიის იდეური თანადგომა იდეოლოგიზირებულ ეპიქაში, კათოლიკოს-პატრიარქები კირიონი, ლეონიდე თავის ეპისტოლებში კატეგორიულობით და პრინციპულობით მოუწოდებდნენ სამწყსოს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა, საქართველოს დამოუკიდებლობის

მნიშვნელობაზე და მისი დაცვის აუცილებლობაზე. მიუხედავად, ეკლესიის დიდი თანადგომისა, საქართველოს მაშინდელი ათეისტური მთავრობა სულაც არ იყო აღფრთვანებული ამგვარი კოლაბორაციით. სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს მემკენიაზე მთავრობის ინიციატივით იწყება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შევიწროვება, რომელიც რესენტის ცარისტული იმპერიის წნევისგან და რეპრესიებისგან ახალი გამოსული იყო. საქართველოს დამოუკიდებელმა მთავრობამ ეკლესიის (რელიგიურ თრგანიზაციების) სეპარაციის კურსი აიღო. 1918 წლის 26 ნოემბერს სკოლა გამოეყო ეკლესიას, 1920 წლის 19 ნოემბერს – ეკლესია სახელმწიფოს, რაც დაადასტურა 1921 წლის 21 ოქტომბერის კონსტიტუციამ (მ. 16). სახელმწიფომ სმენს ჩამოართვა მიწები და ბევრი სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. სახელმწიფომ ჯერ ეკლესიის ქონების ნაციონალიზაცია მოახდინა, შემდეგ კი კონსტიტუციაში ჩაწერა ცინიკური მუხლი-სახელმწიფომ არ უნდა დააფინანსოს ეკლესია. რის გამოც ეკლესია დიდი ეკონომიკური სიძნელეების წინაშე დადგა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ფინანსური კრასის წინაშე დადგა ეკლესია კვლავ აგრძელებდა მემკენიაზე მთავრობის და ქვეყნის დამოუკიდებლობის მხარდაჭერას და სთავაზობდა სახელმწიფოს მთელ რიგ საკითხებში თანამშრომლობას. კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ამაოდ დაშვრა ამგვარი მცდელობებით. ნოე უორდანია და მისი მთავრობა მტრულად აღიქვამდა საქართველოს ეკლესიას-თქვენი ლოცვებში მოხსენიება სულ არ მაინტერესებს, რაც გინდათ ის გააკეთეთ – ასე დაემშვიდობა ნოე უორდანია პატრიარქ ლეონიდეს. დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში პირველად აღმოჩნდა საქართველოს ეკლესია ამგვარ ვითარებაში, მუსლიმ მმართველების დროსაც კი ასეთ მდგომარეობა არ აღსოვდა ეკლესიას. მიუხედავად ქონების ჩამორთმევისა და ეკლესიისთვის ფინანსური სახსრის მოსპობისა, პირველი კათოლიკოსის მკვლელობისა და წარუმატებელი გამოძიებისა, ანტიეკლესიური



პროპაგანდისა, საქართველოს ეკლესია მაინც აგრძელებდა თავის მისიის ადსრულებას და ხალხის გვერდში დგომას. პატრიარქ ლეონიდეს სწორედ ხალხზე ზრუნვამ და მასთან განუყოფლობამ მოუსწრაფა სიცოცხლე.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურთა მხრიდან საკუთარი მოსახლეობის მაინდიფიცირებელი სულიერი ორგანიზმისადმი ანგაგონისტურმა პოლიტიკამ, საკუთარი ქვეყნის სამხედრო პოტენციალისადმი ეჭვის თვალით და პოლიტიკური ანგაუირებულობით აღქმამ, არაეროვნულმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიდო: ნოე უორდანიას მთავრობა პარიზში მშვიდობით აღესრულა, ხოლო საქართველოს მოსახლეობა და მართლმადიდებელი ეკლესია კი ამჯერად ბოლშევიკური არგაგონილი ძალადობის და აგრესიის მსხვერპლი აღმოჩნდა. საქართველოს ეკლესია XX საუკუნის 20–30-იან წლებში ყოველი მხრიდან რეპრესირებული აღმოჩნდა. მის უფლებებს ზღუდავდნენ მენშევიკები, მაგრამ ბოლშევიკების ანგირელიგიურ კამპანიას პრეცენდენტი არ მოეძებნება. ხურავდნენ და ანგრევდნენ ეკლესიებს (1924 წლიდე საქართველოში 2000 მეტი მოქმედი ეკლესია-მონასტერი არსებობდა, ზოლო 30-იანი წლების ბოლოს მხოლოდ 29 დარჩა), აბუჩად იგდებდნენ და სცემდნენ მორწმუნებს, არა ერთმა და ორმა საეკლესიო თუ საერო პირმა სიცოცხლე მოწამებრივად ადასრულა, აღსანიშნავია სასულიერო დასის საკუთარი ხალხისადმი ერთგულება, თუკი მეზობელი ქვეყნის ეკლესიის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა და იქ დააფუძნეს ემიგრანტული ეკლესია, საქართველოში სასულიერო პირებმა საკუთარი ხალხის მძიმე ხვედრი ბოლომდე გაიზიარა და მისი უმრავლესობა შეეწირა არაადამიანურ რეეიმს. ეკლესიას ხელიდან ყოველგვარი სარჩო-საბადებელი გამოეცალა, როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური. ასეთ პირობებში კათალიკოს-პატრიარქი ამბოხის (ხელია) იძულებული გახდა, რომ დახმარების აღმოსაჩენად საერთაშორისო

საზოგადოებრიობისათვის მიემართა. მან გენუის კონფერენციას (1922, 10-19.V.) მემორანდუმი გაუგზავნა, რითაც დაგმო საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოება და სამართლიანობის აღდგენა მოითხოვა. 1923 წლის იანვარში კათალიკოს-პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს ყველა წევრი დააპატიმრეს, გაასამართლეს (1924 წლის 10-19 მარტს) და მსჯავრი დასდეს. პატრიარქ ამბოხის ეს თავგანწირული აქტი საკმაოდ რეზონანსული აღმოჩნდა. სამწუხაროდ, მაშინაც და ახლაც საქართველოს სულიერი ლიდერის ამ ნაბიჯს ცალსახად აფასებდნენ; მაშინ, ეს ზოგიერთმა სასულიერო პირმა აღიქვა, როგორც დაუფიქრებელი და ანექსირებულ საქართველოში ეკლესიის არსებობისთვის საშიშ ფაქტად, რადგან ფიქრობდნენ, რომ ამის შემდეგ უფრო გაძლიერდებოდა რეპრესიები და საერთოდ განადგურდებოდა საქართველოში ეკლესია. დღეს პატრიარქ ამბოხის ამ ნაბიჯს უყვრებენ, როგორც ეროვნული გმირის შეწირულ ქმედებას. ორივე შეფასება არასრულია, რადგან, რა თქმა უნდა, სამშობლოს სიყვარული კათოლიკოსის მემორანდუმში უკანასკნელი მოტივატორი არ ყოფილა, მაგრამ ამ ქმედებამ და საერთაშორისო რეზონანსმა სწორედ გადაარჩინა ეკლესია სრულ ლიკვიდაციას, ანდრია პირველწლებში დაფუძნებული ეკლესია გადარჩა განადგურებას. (ამგარი პრეცენტები ისტორიაში იცის, თუნდაც ალბანეთში სრულიად განადგურდა ეკლესია, არც ერთი სასულიერო პირი აღარ არსებობდა, მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს გარებან, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ჩარევით ადგება ალბანეთში ეკლესის ფუნქციონირება) ბოლშევიკები უმცირესი ეჭვის საფუძველზე ხვრეტდნენ ადამიანებს, მაგრამ სწორედ საერთაშორისო რეზონანსის წევალობით ვეღარ გაბედეს ეკლესიის სრული ლიკვიდაცია და 1925 წლის დასაწყისში პატრიარქი ამბოხის და საკათალიკოსო საბჭოს ყველა წევრი ამნისტიის წესით გაათავისუფლეს. საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეკლესიის განადგურება, ის კვლავ



სარგებლობდა ხალხში ნდობით და სიყვარულით, ამიტომ ხელისუფლებამ ტოტალური კონტროლის პირობებში დაიწყო დინამიური აგიტაცია-პროპაგანდისტული კამპანიები, რათა რეპუტაცია შეღავლდა საქართველოს ეკლესიას. პროპაგანდისტული მანქანა განსაკუთრებით ხელოვნების სფეროს, კერძოდ კი კინომატოგრაფიას აქტიურად იყენებდა, რამაც შესაბამისი შედეგები გამოიდო.

ბოლშევიკურ რეჟიმს შეეწირა უამრავი ისტორიული ეკლესია-მონასტრები, საუკუნეების განმავლობაში შექმნილი უნიკალური ხატები და საეკლესიო ინვენტარი, რომელიც როგორც საქართველოს ასევე მსოფლიო კულტურის შედევრებს წარმოადგენდნენ. ასევე ამ რეჟიმს უმრავლესი სასულიერო პირი შეეწირა, ზოგის ფიზიკური ლიკვიდაცია მოხდა, ზოგმა უდიდეს ზეწოლას ვერ გაუმდო და უარი თქვა სასულიერო პირობაზე. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც აგრძელებდნენ, მართლია სხვა ამპლუაში, ხალხის მსახურებას, მაგალითად, განათლების სფეროში. ეკლესიის ინტელექტუალურმა ცოდნამ სკოლებში და უნივერსიტეტებში გადაინაცვლა. თუნდაც რად ლირს ყოფილი დეკანოზი კორნელი კეკელიძე, შემდგომში აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, რომელმაც უნიკალური მემკვიდრეობა შექმნა საეკლესიო მწერლობის და ეკლესიის ისტორიის მიმართულებით და ამგარად გააგრძელა ეკლესიის და ქვეყნის მსახურება.

მე-2 მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს ეკლესია თავისი მწირე რესურსებით ახერხებდა პუმანიტარულ დახმარებას ფრონტის ხაზზე მყოფ 700 000 საქართველოს შვილისთვის. 1941–1945 წლებში საქართველოს ეკლესიას, სსრკ-ს სხვა რელიგიური ორგანიზაციების მსგავსად, აქტიურობის მეტი საშუალება მიეცა. საკავშირო მინისტრთა საბჭოში 1943 წლს შეიქმნა „რელიგიის საქმეთა კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარეს რწმუნებულები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებშიც ჰყავდა. ისინი ეკლესიებსა (რელიგიურ ორგანიზაციებს) და სახელმწიფოს შორის შუამავლის როლს

ასრულებდნენ. მართლმადიდებელი ეკლესიების რიცხვი საქართველოში 1945 წელს 39-მდე გაიზარდა, გამოიცა რამდენიმე წიგნი, მათ შორის საეკლესიო კალენდარი, ჩაისახა სასულიერო სახსავლებლის გახსნისა და პერიოდული ურნალის დაარსების იდეა, მაგრამ ხელისუფლებამ შედარებით დოიადური კურსი დიდხანს არ გააგრძელა. 1943 წლის 31 ოქტომბერს ადგგა ურთიერთობა რუსთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის, რის თაობაზეც რუსეთის პატრიარქმა სერგიმ აღმოსავლეთის პატრიარქებს აუწყა. 1962 წლიდან დამყარდა კავშირები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან — ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან, ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციასთან, ევროპის ეკლესიათა კონფერენციასთან (1979 წ.), ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტთან და ბიბლიურ საზოგადოებებთან (1993 წ.). განხორციელდა ვიზიტები საზღვარგარეთ, მაგალითთად, 1963 წლს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ისა საფრანგეთში, სადაც მან იქაური ქართული დიასპორა მოინახულა და პარიზში გრიგოლ ფერაძის მიერ გახსნილ წმ. ნინოს ეკლესიასაც ეწვია. ეწვია. უძრაობის წლების უმნიშვნელოვანების მოვლენად მცხეთის სასულიერო სემინარის დაარსება უნდა ჩაითვალოს, თუმცა 70-იან წლებში, კატალიკოს-პატრიარქ დავით V დოროს (1972–1977), სმეოს სამდვერელოება ნაკლებად აქტიური იყო. თუმცა ეწვია. უძრაობის პერიოდის საბჭოთა სახელმწიფო ეკლესიის მიმართ „უცნაურობებით“ გამოირჩეოდა. კონსტიტუციით სინდისის თავისუფლება გარანტირებული იყო, საქმით ეკლესიური ცხოვრება იკრძალებოდა და ამაში შექმნებულნი მეცნიერებები იკიცხებოდნენ. კომუნისტური პარტია ქადაგებდა ათეიზმს, მაგრამ პარტიული მუშაკები და საზოგადოების დიდი ნაწილი შვილებს ნათლავდნენ, მართალია კატაკლიზმი წესით, მაგრამ მაინც. მას შემდეგ, რაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად ილია II-ის (ირაკლი შოთაშვილი) აღსაყდრება მოხდა (1977, 25.XII), საქართველოში



საეკლესიო-სასულიერო ცხოვრების განახლების პროცესი დაიწყო.

ეკლესიები (განსაკუთრებით სიონის ტაძარი) მაღლ დისიდენტურად განწყობილი ახალგაზრდებისა და ინტელიგენტების თავშესაყარ ადგილად იქცა. კატალიკოს-პატრიარქის პიროვნება საზოგადოების დიდი ნაწილის, მათ შორის მმართველი ზედაფეხის თვალში მიმზიდველობას ინარჩუნებდა. ამის გამო, კომუნისტები რეჟიმის პირობებშიც კი, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა პროექტის დანერგვა და განხორციელება. 1978 წელს დაარსდა სამეცნიერო-პოლიტიკული ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ და „საღვთისმეტყველო კრებული“ (1980 წ.; იგი შიდამოხმარებისათვის იყო განკუთვნილი), გაიხსნა ორი სასულიერო აკადემია – თბილისისა (1988 წ.) და გელათისა (1990 წ.), და რამდენიმე სემინარია, ითარგმნა ბიბლია (დედის ენებიდან ზ. კინაძის, ბ. ბრეგვაძისა და მ. სონდულაშვილის მიერ), დაიწყო ეკლესიის მამათა ფუნდამენტური შრომების თანამედროვე ქართულ ენაზე ამეტყველების პროცესი (ე. ჭელიძე), გაიხსნა დაკეტილი ეკლესიები და ამოქმედდა მონასტრები, გამოიცა ლიტურგიკული და საღვთისმეტყველო წიგნები. ეკლესიის და პატრიარქის მეცნიერებონ კოლაბორაციამ მრავალი სასიკეთო შედეგი გამოღო, ამათგან უმნიშვნელოვანებისა 1990 წლის 3 მარტს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხრიდან საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის და საპატრიარქო დირსების დამოწმება და 2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსთან კონსტიტუციური შეთანხმების გაფორმება.

საქართველოს ეკლესია უმდიმესი 90-იან წლებშიც თავის ხალხის გვერდით იდგა და მარტო კარის ეკლესიასტან არსებულმა სამოწყალეო სახლმა 300 000 ადამიანი გამოკვება. ასევე უმდიმეს 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში, საქართველოს ეკლესიამ აჩვენა მისი ნამდვილი დედობრივი ბუნება, ასევე ისტორიული როლი ამ ქვეყნის ცხოვრებაში. ამ ომის დროს ეკლესიამ არა მარტო პუმანიტარული მისია აღასრულა

და დაჭრილები და მიცვალებულები გამოიყვანა ფრონტის ხაზიდან, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სახელმწიფოს ფუნქცია შეითავსა მოსახლეობის უსაფთხოების, გამოკვების, საოკუპაციო რეჟიმთან მოლაპარაკების მხრივ. ეს დრამატული დღეები მრავალი გაცხადებული თუ დაფარული გმირობის საფუძველი გახდა. და ამის მაგალითი თავად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო.

კონსტიტუციური შეთანხმების ფარგლებში სახელმწიფომ იტვირთა საქართველოს ეკლესიისთვის ბოლო 100 წლის განმავლობაში მიეკუთვნილი ზარალის კონკენსაციის სახით ყოველწლიური დაფინანსება. კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის გადაწყვეტილებით ეს თანხები წარიმართა არა ეკლესის კლირიკოსთა დაფინანსებისთვის, არამედ ისევ საქართველოს მოქალაქეების საგანმანათლებლო და სოციალური საჭიროებისათვის. პირველიერარქის ამგვარი გადაწყვეტილების შედეგად ფუნქციონირებს ათეულობით სკოლა, პროფესიული სასწავლებლები, უნივერსიტეტები, სამოწყალეო სახლები, ბავშვთა და მოხუცებულთა თავშესაფრები, სავადმყოფოები.

საქართველოს ეკლესია ასევე დიდი უურადღებას უთმობს ქართული კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებას. ისეთი მივიწყებული დარგები განვითარდა, როგორიცაა მინანქარი, ქართული გალობა, მონუმენტური მხატვრობა, ხატწერა, ქსოვა, ქარგვა, ქმევრის დვინის წარმოება, ყველაფერი ეს კი თავის მხრივ, ქვებაში ტურიზმის განვითარების, კერძოდ კი რელიგიური ტურიზმის ხელის შემწყობი ფაქტორია.

მისიონერული მოღვაწეობის მიღმა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში ტოლერანტული გარემოს შექმნა და ინტეგრაციული პროცესებისთვის ხელის შეწყობა. საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონი ყოველგვარი ინდიქტრინიზაციის გარეშე ანხორციელებს სოციალურად დაუცველი ბავშვების აღზრდას, სადაც ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები



იდებენ განათლებას. ეს სკოლა 2018 წელს სახალხო დამცველის ოფისის მიერ გამარჯვებულად დასახელდა საუკეთესო ტოლერანტული გარემოს შექმნისთვის. საქართველოს საპატიოარქო ასევე უკრეცხნდენტო პროექტს ანხორციელებს სხვადასხვა ეროვნების მოზარდი თაობისთვის. საზაფხულო ბანაკებში ქართველი, სომები, აზერბაიჯანელი, აფხაზი მოზარდები ისვენებენ, განათლებას იდებენ, ვარჯიშობენ და რაც მთავარია სწავლობენ მეგობრულ ურთიერთობებს, ეს კი თავის მხრივ რეგიონში მშვიდობის და ინტეგრაციული პროცესების ხელის შემწყობია. და ბოლოს საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქმა ხანგრძლივი მამამთავრობის პერიოდში ეკლესია ატარა წინააღმდეგობებით აღსავს ეკონომიკური მის დროს არა მარტო ხელისუფლებები იცვლებოდა, არამედ ფორმაციებიც, სხვა სახელმწიფოში მყოფობიდან დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეკლესიის წინაშე ურთულესი ამოცანები იდგა. მისმა უწმინდესობამ ეს გზა გაიარა. ურთულესი მისიები აღასრულა და ეკლესია აქამომდე მოიყვანა. 1977 წლიდან 2018 წლამდე ეკლესია საქართველოსთვის მართლაც მნიშვნელოვან ინსტიტუციად იქცა და ეს ცალსახა ფაქტია! დღესაც ეკლესია აგრძელებს თავის უმთავრეს მისიას დამოწმოს ჭეშმარიტება დედამიწაზე და ამავდროულად ლოცულობს ამქვეყნიური სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის, დამოუკიდებლობისთვის, უკეთესი მომავლისთვის!

ნათლობისა და მირონცხვის
საიდუმლოს ისტორიულ-
ლიტორიალური ასაეჭჩები

პროფესორი, დეკანოზი კახაბერ შურლაია შესაბამისი

ნათლობის საიდუმლოს დვოისმსახურების სიმბოლო გამოხატავს პროცესს, რომელშიც ადამიანი, რომელიც გაეცნო რა ქრისტიანული რწმენის ძირითად ჭეშმარიტებას, სინაულით, თვისთა ცოდვათა განსჯითა და გაკიცხვით, წარსდგება ქრისტე მაცხოვრის წინაშე, რომ გახდეს დაბადებული „წყლისა და სულისაგან“ დვოის სასუფევლის მონაწილე და წმინდა ქრისტიანული ეკლესიის შვილი.

ნათლობის საიდუმლო სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის სულიერ დაბადებას, დვოის ძის მოწამეობრივი სიკვდილი ჯვარზე, ადამიანთა მოდგმის ცოდვათა გამოსახყიდათ, მოსახაობავს მიანიჭებს დვოის განსაკუთრებულ მადლს, როგორც ეპისკოპოსი თეოფანე ბრძანებს, რათა „მონათლული იმყოფებოდეს მუდმივად ამ მადლში, როგორც „სიცოცხლის თესლში“, რომ როგორც ფარული და სანუბრავი მოქმედი, დაეხმაროს მას იცხოვროს ქრისტიანულად და იყოს წარმატებული სულიერ ცხოვრებაში“. მონათლული მონათვლის მომენტიდან ხდება ეკლესიის მოქალაქე, მისი წევრი, უნდა იცავდეს ეკლესიის დვოისმსახურებას, საიდუმლოებებს, წმიდა ქმედებებს.

თვითონ ადამიანი იდებს ახალ სულიერ ყოფას, მისი სული და სხეული ხდება ტაბარი, რომელიც მზად არის „მიიღოს წმინდა ქებანი და წმინდა ქმედებანი“ ეკლესიისა. ამ წუთიდან მას ეხსენება „გზა დვოაებრივი ამაღლებისა ზეცაში“ (წმინდა დიონისე არიოპაგელი, „ზეციური იერარქიის შესახებ“).



მონათვლის წესის ფორმირების ისტორია

ნათლობის საიდუმლოს წესი მოგვ-
ცა თავად უფალმა იქსო ქრისტემ. თავის
ერთ-ერთ გამოცხადებაში მკვდრეოთ
აღმდგარი ქრისტე უზნება თავის მოწა-
ვებს: „მომეცა მე ყოველი ხელმწიფება
ცათა შინა და ქვეყანასა ზედ“ (მათე
28,19). მხედველობაში მივიღოთ კიდევ
სიტყვა მაცხოვრისა ნიკოდიმოსის მიმართ:
„ვინც არ დაიბადება წყლისა და სული-
საგან, ვერ შევა სასუფეველსა და თავისასა“
(ინ. 3,5). აქედან ჩანს, რომ საიდუმლოს
და წმინდა მოქმედებანის ფორმა დადგე-
ნილია თავად ქრისტეს ბაგეთაგან. ამას
მიეკუთვნება სწავლება მართლმადიდებ-
ლური რწმენის ძირითადი დოგმებისა,
მონანიება ცოდვებისა და ცდომილებე-
ბისა, წყალში შთაფლისა, სულიერი და-
ბადება მონათლულისა „სახელითა მამი-
სათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

მოციქულებს და მათ მემკვიდრეებს
პირდაპირ ევალებათ მუდმივი, ფხიზელი
მეთვალყურეობა მონათვლის შემდეგ,
რათა ადამიანმა შეასრულოს ქრისტეს
ყველა ანდერძი.

ქრისტიანობის პირველ ხანებში არ
იყო მონათვლის დროს მკაცრად დაცული
ის თანმიმდევრობა, ის დიდიხნის მზა-
დება, მოსანათლავი პირისა.

ასე, მაგალითად, მოციქულმა ფი-
ლიპემ, რომელიც ანგელოზის მიერ იყო
გაგზავნილი, მონათლა დედოფალ კანდა-
კის საჭურისი. აგრეთვე, მოციქულმა
პავლემ, რომელსაც სასწაულებრივად
გამოცხადა სატუსადოში ანგელოზი
და თავისა, იმწამესვე მონათლა სატუსადოს
მცენელი და მისი ოჯახი, რომლებმაც
იორმუნეს ქრისტე. აგრეთვე, მოციქულმა
პეტრემ დაუყოვნებლივ მონათლა ასის-
თავი კორნელი და მისი ოჯახის წევრები
(საქმენი 10, 47), მაგრამ ეს დიდხანს არ
შეიძლებოდა გაგრძელებულიყო და საქმემ
მოითხოვა საეკლესიო იერარქებისგან შე-
მოეღოთ გარკვეული წესი და რიგი მო-
ნათვლის საიდუმლოების აღსრულებისას.

მამები (I-II საუკუნის დასაწყისი)
მონათვლის საიდუმლოს აღასრულებდნენ
მოციქულებრივი უბრალოებით. მონათვ-
ლის საიდუმლოების აღსრულება ასე
ხდებოდა: 1) გამოცხადება (ნამდვილი
რწმენის შესწავლა); 2) განდგომა მონა-
ნიებით ძველი ცდომილებისა და ცოდ-
ვებისაგან; 3) ზეპირად აღიარება ქრისტეს
რწმენის და 4) თავად სულიერი დაბადება
მოსანათლავისა წყალში შთაფლისას ამ
სიტყვების წარმოთქმასთან ერთად: „სახე-
ლითა მამისათა და ძისათა და სულისა
წმინდისათა“. მე-2 საუკუნის ბოლოსა და
მე-3 საუკუნის დასაწყისში მონათვლის
წესებში შემოდის ახალი ქმედებანი:
საბოლოო ლოცვების წაკითხვა ნათ-
ლობის წინ, განდგომა სატანისგან, შეერ-
თება ქრისტესთან (შედგომა ქრისტესთან),
კურთხევა წყლისა სანამ მოსანათლს
წყალში შთაფლავენ და მთელი სხეულის
ზეთისცხება. ამ დროს შემოდის ჩვეულება
ახლადმონათლულის თეთრი ტანსაც-
მელით შემოხვისა და ჯვრის დაკიდებისა.

IV-V საუკუნეებში შემოდის მრავა-
ლი ლოცვა, რომელსაც დღესაც ასრუ-
ლებენ, და აგრეთვე წყლის კურთხევის
წესი. მიმდევრობა ნათლობის საიდუმლოს
შესრულების წესისა ჩამოყალიბდა მე-10
საუკუნეში ბიზანტიაში და იქიდან
გავრცელდა.

სახელდება

სახელდება რესერვი და თავისებუ-
რების პირველ პერიოდში ხდებოდა ტა-
ძარში მე-8 დღეს. ეს ჩანს წმინდა ფე-
დოსი პეტრელის ცხოვრების აღწერიდან.
აღსანიშნავია, რომ ქრისტიანულ სახე-
ლებოთან ერთად მონათლულს არქმევდნენ
წარმართულ სახელებს.

ეს სახელებია – ვლადიმერი,
ვასილი, ბორისი, რომანი, გლები, დავითი
და სხვები. ეს გრძელდებოდა XV საუ-
კუნემდე, როდესაც „Требник“-ში (XV
საუკუნე) ყველა ლოცვა, რაც ნათლობის
დროს სრულდებოდა, წარმოადგენდა
ცალკე თავს, რომელზედაც ეწერა



„ლოცვა სახელშერქმეული ჩვილებისათვის“. ლოცვა შემდეგი თანმიმდევრობით სრულდებოდა: ლოცვა სახელის შერქმევისას, დედის ლოცვა, ლოცვა დამსწრეზრდასრულ პირთათვის, ლოცვა ტაძრისათვის და ბებიაქალისათვის.

XVI საუკუნეში იზრდება ლოცვათა რაოდენობა და იგი მრავალმხრივი ხდება. გაჩნდა ლოცვა რომლის სახელია „მმობიარის და ჩვილისათვის („ლოცვა დედისა ზედა ყრმისასა“). ისინი განცალკევებული არიან იმ ლოცვათაგან, რომელიც იკითხებოდა ყრმის დაბადების მე-8 დღეს და აქვთ განსაკუთრებული წარწერა (მინიშნება). ჩვილისათვის სახელის დარქმევისას მღვდელი დგება ტაძრის გარეთ კარებთან და ამბობს ლოცვას, შემდეგ იკითხება ლოცვა მშობიარე დედისათვის.

ამ ლოცვების შემდეგ მღვდელი საქმეველს აქმევს მთელ სახლს, გადასახავს ჯვარს ბავშვს, კითხულობს ლოცვას „დაარქვი სახელი ბავშვს“, „დედას შობისას და ყველა დამსწრე დედებს და ქალს, რომელმაც ამშობიარა“. ახალშობილს სახელს არქმევდნენ მშობელთა სურვილით, საპატივცემლოდ იმ წმინდანისა, რომელსაც პატივს სცემდნენ რუსულ ეკლესიაში. ამიტომ ყველა სლავს უნდა ჰქონოდა ერთი სახელი, მაგრამ სინამდვილეში ისე გამოიყოდა, რომ ბევრი რუსი ატარებდა ორ სახელს. ეს ხდებოდა პეტრე დიდის რეფორმამდე. ბავშვს სახელს არქმევდა ოჯახის მამა ან მღვდელი.

მე-40 დღის ლოცვები

მე-40 დღის ლოცვების პრაქტიკას ბავშვის მონათვლისას აქვს ღრმა ისტორიული ფესვები. ცნობილია, რომ X საუკუნეში კონსტანტინეპოლიში ბავშვებს ძალიან ადრე არ ნათლავდნენ. ნათლობას უახლოვდებოდნენ ნელ-ნელა: დაბადებიდან მე-8 დღეს ხდებოდა სახელდება. როგორც ეს წყაროებშია დაფიქსირებული, მე-40 დღეს, ჯერ კიდევ ნათლობამდე,

ეპლესიურნი ხდებოდნენ. ისინი იღებდნენ დვთისმსახურებაზე დასწრების უფლებას და ხდებოდნენ კათაკმეველები ანუ ნათლად გამზადებულნი. სავარაუდოდ, რამდენიმე წლის შემდეგ, დიდი მარხვის მე-4 კვირიაკეს, დიდ ხუთშაბათს მსახურების დროს, განუდგებოდნენ ეშმაკს და შეუდგებოდნენ ქრისტეს და ბოლოს დიდი შაბათის მწუხრის მსახურებას, პატრიარქისგან იღებდნენ ნათლს და ბოლოს მათ სცხებდნენ მირონს.

კათაკმეველად დადგინება

კათაკმეველად დადგინება დაკავშირებულია ქრისტიანობის ძირითადი ჭეშმარიტების განმარტებასთან, რომელიც მოცემულია რწმენის სიმბოლოში, დვთის მცნებებთან და უფლის ლოცვებში.

კათაკმეველი არის ის, ვინც იღებს დარიგებებს რწმენის ჭეშმარიტების შესახებ. ადამიანი კათაკმეველი ხდება მხოლოდ საეკლესიო ლოცვით მასზე. ტაძარში ამ ლოცვას აღავლენს ეპისკოპოსი ან მისი კურთხევით ხუცესი, რომელიც ადამიანს ამზადებს მონათვლის საიდუმლოსათვის. ამ ლოცვაში მონაწილეობს საეკლესიო თემი, თემთან კი კათაკმეველს აკავშირებს მღვდლის ლოცვა.

ქრისტიანული რწმენის საფუძვლების შესწავლა ცნობილი იყო მოციქულობის დროიდან. II საუკუნიდან დგინდება მკაცრად განსაზღვრული განსაკუთრებული წესი მოსანათლად მომზადების და მისი შესრულებისა. ვინც უნდა ზიარებულიყო მონათვლის საიდუმლოებას, მას ევალებოდა ხლებოდა ეპისკოპოსს და დაედასტურებინა მის წინაშე თავისი სურვილი გამხდარიყო ეპლესის წევრი. ეპისკოპოსი, მიიღებდა რა მოსანათლის შუამდგომლობისაგან მის დახასიათებას, მას რომ მისი სახელი შეეტანათ საეკლესიო „კატასტიხში“ – წიგნში, სადაც შეტანილი იყო სია კათაკმეველებისა და საეკლესიო თემისა, ლოცვისა და მოხსენიებისთვის დვთისმსახურებისას. გამოცდასთან ერთად კათაკმეველს ევალებოდა



მონანიება. ამიტომ კათაკმეველად დადგინდება ხდებოდა დიდი მარხვის დროს, რომელიც განკუთვნილი იყო ლოცვისა და მონანიებისთვის.

ძველად მზადება მოსანათლავად გრძელდებოდა დიდ ხანს – 40 დღიდან სამ წლამდე. ამ მზადებაში დიდი ადგილი ეკავა მიმრქმელს – მოწმეს, რომელიც კათაკმევლის ცხოვრების ყველა მხარეს სწავლობდა და მოწმედ უდგებოდა მას ეპისკოპოსის ან უხუცესის წინაშე, რომ განზრახვა მისი არის გულწრფელი, რომ ის მზადაა გახდეს ეკლესიის წევრი. მიმრქმელი პირობას დებდა დვოის წინაშე, რომ ის იქნებოდა მოძღვრის დამხმარე და შეასწავლიდა კათაკმეველს რწმენის ჭეშმარიტებასას, ქრისტიანულ ზნეობასა და ქცევას დვოისმსახურებისას.

მიმრქმელებს ხუცესი მიმართავდა ყოველი ლოცვისას სიტყვებით: „უფლისა მიმართ ვილოცოთ“. ერთდროული ლოცვა მდგრლისა, საეკლესიო ოქმისა და კათაკმეველისა მიმართული იყო იქითკენ, რომ დაეძლია კათაკმეველისა უძლურება და აღვილიყო სულიწმინდის მადლით, შეერთებოდა ქრისტეს და გამხდარიყო დვოის სამეფოს წევრი.

ყრმათა მონათვლისას ლოცვა კათაკმეველზე სრულდება იმ ადგილას, სადაც უშუალოდ მონათვლა ხდება. როდესაც მოსანათლად ემზადება ზრდასრული ადამიანი, კათაკმევლად დადგენას წინ უძღვის წესი მისი ეკლესიის წევრად მიღებისა.

სხვა სარწმუნოების: იუდეველების, მუსულმანების, წარმართებისა და სხვების მიმართ, რომლებზეც არ ყოფილა ადსრულებული მონათვლის საიდუმლოება წმინდა სამების სახელით, მონათვლა ხდება ეკლესიის ძველი წესების თანახმად: ორმოცი და მეტი დღის შემდეგ. როდესაც ახლადმოქცეული დაამოწმებს რა თავისი მოძღვრის წინაშე გულწრფელობასა და სრულ გაგებას თავისი მოქცევისა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, მას მიეცემა ქრისტიანული სახელი. ამით მყარდება პირველადი კავშირი მასა და ეკლესიას შორის. შემდგომ ამას მოხდევს

პირველი განცხადება, რომელიც გულისხმობს წინა ცდომილებებისგან განდგომას. მეორე დღეს ხდება მეორე განცხადება, სადაც ახლადმოქცეული აღიარებს თავის რწმენას ეკლესიის დოგმების მიმართ. დასასრულს ხდება მე-3 განცხადება, რომელიც შეიცავს ლოცვას. „მსურველი კათაკმეველად გახდომისა – ნათქვამია მოციქულთა დადგენილებაში – და კათაკმეველი დარჩეს კათაკმეველად სამი წელი, მაგრამ თუ მას აქვს კეთილგანწყობა მონათვლისადმი, და ე მოინათლოს, რადგან მთავარია არა დრო, არამედ მონდომება“ (წ.გ. 8, თ. 32).

გადაუდებელი მონათვლა ხდებოდა მაშინ, როდესაც მოსანათლს ჰქონდა საშიში ავადმყოფობა. მოინათლოს იმ პირობით, რომ გამოჯანსაღების შემდეგ გაეცნოს წმინდა სარწმუნოების ჭეშმარიტებას (ლაოდიოკი, 47).

კათაკმეველი მონათვლამდე მთელი პერიოდის განმავლობაში მარხულობდა და ლოცულობდა, ესწრებოდა საეკლესიო მსახურებისა და გულწრფელად ინანიგბდა მის მიერ ჩადენილ ცოდვებს.

ტაძარში ისინი რჩებოდნენ მანამ სანამ მოძღვარი არ განაცხადებდა „კათაკმეველო, განვეღით“. ასეთი მიმართვა კათაკმეველთა მიმართ გრძელდებოდა შეიდი კვირის განმავლობაში, ხოლო ამ დროის გასვლის შემდეგ მათ გადასცემდნენ შესასწავლად რწმენის სიმბოლოს.

IV საუკუნეში კათაკმეველები იერუსალიმის ტაძარში ყოველდღიურად სამი საათის განმავლობაში ისმენდნენ წმინდა წერილის განმარტებებს. ამ პერიოდში როგორც იერუსალიმის, ისე კონსტანტინეპოლის ეკლესიებში კათაკმეველად აღიარება საზემოდ ხდებოდა. ამ დღეების მადლი აძლევდა ძალას ახლადმოქცეულს და ე ის აღთქმა, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე აღასრულებდა თავისი ყოველდღიური საქმიანობით.

შემდგომ პერიოდში, როდესაც მთელი სახელმწიფო ქრისტიანულ სარწმუნოებას იღებდა, მოსანათლავთა ძალიან დიდი რაოდენობა შვიდწლიანი ასაკის



ბავშვები იყო, რამაც შეამცირა კათაკ-მეველად ყოფნის ხანგრძლივობა.

კათაკმეველთა მიმართ ამპრალავი ლოცვები (შეფუცების ლოცვები)

კათაკმეველთათვის გარდა წმინდა სარწმუნოების სიმბოლოთა სწავლებისა სავალდებულოა წაგითხოს შეფუცების ლოცვები. მათი წაგითხვა ყოველთვის იყო კათაკმეველთათვის ძალზე მნიშვნელოვანი მათი მონათვლის საიდუმლოებისათვის მოსამზადებლად. ღვთის სახელით ადამიანებისგან ბოროტ სულებს განდევნიდნენ მოციქულები.

„უფალო ---

(ლ. 10,7)

ამ იარაღითვე ბოროტ სულებს განდევნიდნენ ქრისტიანები“.

მე-2 საუკუნიდან ძველ საყდარში შემლოცვები იყვნენ არა მარტო მდვდლები, არამედ სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი პირები – ექ्टორცისტები. ეპისკოპოსთა ლოცვა-კურთხევით ისინი კითხულობდნენ შელოცვებს მათ-თვის, ვისაც ეს სჭირდებოდა.

შეფუცების ლოცვების საფუძველი იყო მოწოდება ღვთის სახელით და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების მოგონება, რომელიც გამოეცხადა სამყაროს რათა დაენგრია ეშმაკის სატანჯველები და დაემარცხებინა „წინააღმდეგი ძალები“.

წმინდა მოწამე იუსტინე ფილოსოფოსი ამბობდა, ყველა დემონი დამარცხება და დამორჩილდება ღვთის სახელის მოწოდებით (კოლ., 1,15), რომელიც დაიბადა წმინდა ქალწულისაგან და გახდა ტანჯული ადამიანი, ჯვარს ეცვა... მოკვდა და მკვდრეთით აღდგა და ამაღლდა ზეცად“.

ამ ლოცვების წაგითხვა კათაკმეველის ნათლობისათვის მოსამზადებლად ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო არა მარტო მდვდლისათვის, არამედ თავად კათაკმეველისათვისაც. მონათვლისათვის მოსამზადებლად ძალიან დიდი ძალა აქვს

წარმოთქმულ ლოცვებს შერწყმულს მოძღვრის საქმიანობასთან და კათაკმეველის რწმენასთან.

XV საუკუნეში გაცხადებითი ლოცვები იკითხებოდა დღეში სამჯერ, ხოლო მოხუცი ებრაელების მონათვლისას – ათჯერ კითხულობდნენ.

XVI საუკუნეში გაცხადებითი ლოცვები იგივე რჩებოდა, მაგრამ პრაქტიკაში შემოვიდა წესი, რომ წაგითხათ ერთჯერ, მაგრამ შეიძლებოდა მათი წაკითხვა სამჯერ და ოთხჯერაც. სხვა რწმენის ადამიანთა მონათვლისათვის ლოცვებს კითხულობდნენ ათჯერ. წაგითხვის წინ მღვდელი სამჯერ შეუკრავდა მოსანათლს და აკურთხებდა მის ტანს, ბაგეთ და მკერდს. ადამიანის სხეულის იგივე ნაწილს ლოცავდნენ ლოცვების ერთჯერადი წაკითხვისას.

სატანისაგან განდგომა

შეფუცების ლოცვების წარმოთქმის გარდა ეკლესია მოითხოვდა კათაკმეველის სატანისაგან განდგომას. განდგომის რიტუალის შესახებ მოგვითხოობს ძველი ეკლესიის პრაქტიკული გამოცდილება. მოციქულები ავალდებულებდნენ მღვდელს კათაკმეველისათვის ესწავლებინა ოურგორ განდგომოდნენ სატანას. დიონისე არეოპაგელი წერს, რომ კათაკმეველები უბერავდნენ და აფურთხებდნენ სატანას, გამოხატავდნენ რა ამით მის გაკიცხას. წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ადასტურებს: „მოსანათლები უარყოფდნენ ეშმაკს არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმითაც, ტანისამოსით და სხეულის მოძრაობითაც. ისინი იდგნენ ტანისამოსისა და ფეხსაცმლის გარეშე, ხელები გაშვერილი ჰქონდათ დასავლეთისაკენ.“

გამიჯვნის ასეთ სახეზე, რომელიც მოციქულთა დროიდან დაიწყო, ამბობს წმინდა ბასილი დიდიც. ამიტომ წესი განდგომისა არის აუცილებელი ელემენტი წმინდა ნათლობისათვის მოსამზადებლად.



სატანისაგან განდგომა ხდება ხელების ზეცისკენ აპყრობით, როგორც ეს სავალდებულოა ახლაც.

ძრისტანი შედგომა

ქრისტესთან შედგომა იყო გაცხადების მთავარი მომენტი. პირველად ეს მოიხსენიება II-III საუკუნეებში. წარმოთქმული აღთქმები მოითხოვდნენ მოსანათლისგან ერთგულებას სიცოცხლის ბოლომდე. ერთობა ქრისტესთან კათაკმეველისაგან გამოიხატებოდა რწმენის სიმბოლოების კითხვაში.

უკვე IV-V საუკუნეებში დამტკიცდა ჩვეულება რწმენის აღიარებისა ყველა ნათლობის დამსწრეთა წინაშე: წარმოთქმული სიტყვა იყოს ზუსტი და განმსაზღვრელი, თქმული გარკვეული ფორმით, სმაბადლა, ყველას გასაგონად ამაღლებული ადგილიდან მორწმუნეთა თანხლებით. ამ ჩვეულებაზე რომში მოგვითხრობს ნეტარი ავგუსტინე.

XVI საუკუნეში ქრისტესთან შედგომა გამოიხატებოდა სიტყვებით: „შეუდგებით ქრისტესა?“ მღვდილის სიტყვების შემდეგ: „თაყვანს სცემდეთ მას“. მიმრქმელი ყრმასთან ერთად თაყვანს სცემდა, მაგრამ არ წარმოთქვამდა არც ერთ სიტყვას.

გაცხადება თავდებოდა ლოცვით „უფალო დმეტოო ჩვენო მოუწოდე მონასა შენსა...“ რომლის შემდეგ მდგრელი და ყველა დამსწრე შედიოდა ტაძარში. ამ დრომდე კათაკმეველი ტაძარში არ შედიოდა და იდგა ტაძრის წინ. შემდეგ ყველა მიღიოდა სანათლავ ემბაზთან.

ნათლობის ჭავი

ყველა მოსანათლი — ყრმა თუ ზრდასრული ადამიანი — საჭიროებს მიმრქმელის დახმარებას. ეკლესიის აზრით მიმრქმელი შეიძლება იყოს ყველა მორწმუნე მართლმადიდებელი, რომელიც იცხობს წმინდა წერილის შინაარსს, საი-

დუმლოებებს, ეკლესიის წმინდა ქმედებებს და ესმის ეს ყოველივე საგალენიო სწავლების შესაბამისად. მიმრქმელის სახით ეკლესია ხედავს „რჯულის და წესიერების მონაწილეებს — ეკლესიის ცხოვრებისა და ჭეშმარიტებისა დამცველებს, რომელსაც გვჩუქნის ჩვენი უფალი.“

ეკლესიის წესების თანახმად აუცილებელია ერთი მიმრქმელი, მამაკაცის მოსანათლავად მამაკაცი, ხოლო დედაკაცისა — დედაკაცი. ასე ხდებოდა ძველი დროის ეკლესიაში.

ტაძარში ყოველთვის ხდებოდა ყრმათა და ზრდასრულთა ერთდროული ნათლობა. როდესაც მაცხოვრის მოწაფებმა მაცხოვართან არ მიუშვეს ბავშვები, რათა მას ხელი დაესვა ყრმებისათვის და დაელოცა, თვით უფალმა უთხრა თავის მოწაფეებს „ხელი არ შეუშალოთ მათ მოვიდნენ ჩემთან (მათგ 19,14). წმინდა წერილის ახალ აღთქმაში მოხსენებულია მოციქულების მიერ რამდენიმე ოჯახის მონათვლა: მოციქულმა პეტრემ მონათლა კორნელიუსის სახლის წევრები (საქმე 10), მოციქულმა პავლემ მონათლა საბყრობილის დარაჯი და მისი ოჯახის წევრები (საქმე 16,33), სინაგოგის უფროსი ოჯახის წევრებით (საქმე 18, 8), სტეფანეს სახლი (I კორ. 1. 16) და რათქმა უნდა მასში მითითებულია, რომ მოინათლა მანდ მყოფი ბავშვები.

მოციქულთა შემდგომი პერიოდის საეკლესიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჩვიოლ ბავშვებს ნათლავდნენ. ორიგენე (II-III სს.) ადასტურებს, რომ „ეკლესიას დარჩა ანდერძად მოციქულებისაგან მონათლონ ჩვილი ბავშვები“. წმინდა ირინეოსი, ლიონის კაისკოპოსი და ეკლესიის მასწავლებელი ტერტულიანი ასევე ამოწმებენ, რომ ბავშვთა მონათვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მოციქულთა დაღვენილებებში მითითებულია, რომ ბავშვები მონათლონ ზრდასრულებზე ადრე. წმინდა კვიპრიანე კართაგენელის დროს უსარგებლოდ ითვლებოდა ბავშვთა მონათვლის გადადება მე-8 დღემდე. როგორც აცხადებენ იოანე ოქროპირი და ამბროსი



მედიოლანელი ბავშვებს ნათლავდა საერთოდ მიღებული პრაქტიკა იყო.

XIV საუკუნეში გავრცელებული იყო ჩვეულება, რომელიც ასახული იყო ნიკეის I მსოფლიო კრებაზე. მისი 22-ე წესის მიხედვით: „დედაკაცმა და მიირქვას ქალთა სქესის ბავშვები, ხოლო მამაკაცმა მიირქვას მამრობითი სქესის ბავშვები.“

XV საუკუნემდე არ იყო რეკომენდირებული ერთ ბავშვს პყოლოდა რამდენიმე ნათლია, ხოლო XV საუკუნიდან შეიძლებოდა ერთ ბავშვს პყოლოდა ერთზე მეტი ნათლია, ხოლო XVI საუკუნეში ერთ ბავშვზე ორი ნათლია ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ყვლის პურთხევა

ძველი პერიოდის ეკლესიის პრაქტიკა მოითხოვდა წყლის კურთხევას მანამ, სანამ მასში მოსანათლავს შთაფლავდნენ. ამის კვალი ჩანს II-III საუკუნეებში.

წმინდა მოწამე კართაგენის ეპისკოპოსი კვიპრიანე წერდა, რომ „წყალი მდვდლის მიერ უნდა იყოს ნაკურთხი, რათა მონათვლის პროცესში მან მოსანათლს ჩამობანოს ცოდვები“.

წმინდა მოწამის პელაგიას ცხოვრების აღწერაში მოთხოვილია თუ როგორ მონათლა ის ეპისკოპოსმა კალიონმა. ეს მოხდა III საუკუნეში. „ეპისკოპოსმა აღმართა რა ხელები ზეცისებ, დაიწყო ლოცვა. უცბად მის წინ მიწიდან ამოხეთქა წყარომ, დაინახა რა ასეთი სასწაული, ეპისკოპოსმა ადიდა დმერთი. ის შემცბარი იყო იმით, რომ რცხვენოდა მოქნათლა პელაგია შიშველ მდგომარეობაში. მეორე ლოცვის შემდეგ პელაგიამ დაინახა ორი ნათელი ახალგაზრდა რომლებიც იდგნენ წყაროს სანავეებთან და ხელში ეჭირათ ნათელი საბურველი. მაშინ ეპისკოპოსმა აეურთხა წყალი და პელაგიაზე ლოცვა აღასრულდა“.

წმინდა ბასილის (IV საუკუნე) ცხოვრების აღწერაში მოთხოვილია მის მონათვლაზე. „მან იყიდა თეთრი სამოსი

როგორიც იყო საჭირო მონათვლისთვის, ბასილი გაემგზავრა იერუსალიმში, სადაც ეპისკოპოს მაქსიმე იერუსალიმელს მოქნათლა იგი იორდანეში. მდინარის ნაპირზე ბასილი დაემსო მიწაზე და ცრემლის ფრქვევით თხოვდა დმერთს, რომ მიეცა მისთვის რაიმე ნიშანი რწმენის გამტკიცებისთვის. მან გაიხადა თავისი ტანსაცმელი და მასთან ერთად „გადასდო ძევლი ადამიანი“ (ეფ. 4, 32). შევიდა წყალში, ლოცვულობდა. როდესაც ეპისკოპოსი მიუახლოვდა, რათა მოქნათლა იგი, ამ დროს მათ დაეცათ ცეცხლოვანი ელვა და ამ ელვიდან გამოფრინდა მტრედი, ჩაყვინთა იორდანეს წყალში და ააღელვა რა წყალი გაფრინდა ზეცაში...

მოინათლა რა ბასილი გამოვიდა წყლიდან...“

ჩვეულება წყლისკურთხევისა ბერძნული ეკლესიდან გადავიდა ქართულ ეკლესიაში.

XVI საუკუნეში მონათვლის წინ მდვდელი გარს უვლიდა ემბაზს და შემდეგ ხმამაღლა წარმოსთქმამდა: „კურთხეულ არს მეუფება“. ზოგჯერ წყლის კურთხევა ხდებოდა ანთებული სანთლით, რომელიც მთავრდებოდა მდვდლის შემდეგი სიტყვები: „და მოეც ამათ მადლი გამოხსნისა“ ან ლოცვის სიტყვებით: „შემუშარე ნიშითა და სასწაულითა ჯვარისათა... დიდი კერექსი რჩებოდა ახლანდელზე მოკლე. სიტყვები ლოცვისა „შენ უკვე კაცომოყვარე მეუფეო...“ დამკვიდრდა ერთ გზის და არა სამგზის, როგორც ამას მოითხოვს ახლანდელი წესი.

ზოთის პურთხევა, ყვლისა და მოსანათლის ზოთისცხვა

მოციქულთა დადგენილებებში აღნიშნულია, რომ მას შემდეგ რაც მოძღვარი ზეთს სცხებს კათაქმეველის თავს, მკერდს და ზურგს, დიაკვნები მოსანათლის მთელ სხეულს, თუ იგი იყო მამა-



კაცი სცხებდნენ ზეთს, ხოლო ქალებს დიაკონისები.

არსებობს ცნობები პეტრეულის მონასტრის (VI ს.) მოძღვარზე. როგორც დიდ ბერს მას დაავალეს მოენათლა ხალხი „და იგი ცხებდა ზეთს და ნათლავდა მასთან მისულ ხალხს“.

მოსანათლის წყალში შთაფლვა და თმორი სამოსით შემოსვლა

თვით ნათლობა ხდებოდა ასე: წყალში სამგზის შთაფლავდნენ მოსანათლს წმინდა სამების სახელით. წმინდა მოციქულთა წესით გვავალდებულებს, რომ მონათვლა ხდებოდეს „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა“.

II-III საუკუნეებიდან დაწყებული ახლად მონათლულს შემოსავდნენ თეთრი სამოსით და წინასწარ ნაკურთხ ჯვარს ჩამოკიდებდნენ ყველზე.

XVI საუკუნეში კურთხევანი ავალდებულებდა მღვდელს ხელში აეყვანა ყრმა, წარმოეთქა სიტყვები „კურთხეულ არს...“ და სამგზის შთაფლავდა წყალში, რომელიც ესხა ემბაზში. პირველი შთაფლვისას მღვდელი ამბობდა: „ინათლება მონა ღვთისა... სახელითა მამისათა – ამინ“, მეორე შთაფლვისას იტყოდა: „და სულისა წმინდისათა... ამინ“.

მონათვლის შემდგომი წესი შეთანხმებული იყო XI საუკუნეში მიღებულ პრაქტიკასთან, ან კურთხევანთან.

ნათლობის საიდუმლოს საღვთისმეტყველო აზრი და ლოცვის შინაარსი

ნათლობა არის საიდუმლო, რომლის ღროსაც ადამიანმა ირწმუნა რა ქრისტე, წყალში სამგზის შთაფლვის შემთხვევაში „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა“ ღვთის მადლით განიწმინდება ყველა თვისი ცოდვისაგან

და აღდგება ახალი, წმინდა და სულიერი ცხოვრებისათვის.

ყველა საიდუმლოებას შორის რომელიც არსებობს მართლმადიდებლურ ეპლესიაში, მონათვლის საიდუმლოებას უკავია პირველი აღგილი, რაღგან მის გარეშე ადამიანი ვერ შეუერთდება მაცხოვარს, ვერ გახდება ქრისტეს ეკლესიის წევრი, ვერ მიიღებს მონაწილეობას სხვა საიდუმლოებებში და ვერ გახდება მუდმივი ცხოვრების მემკვიდრე.

ნათლობის საიდუმლოს აღსრულებიდან იწყება ადამიანის როგორც პირველის აღორძინება, წმინდა წერილოდან სიტყვები – „რამეთუ რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელვიღეთ...“ (გალ. 3:27) – მიუთითებს, რომ მორწმუნის მონათვლა არის ადამიანის შეერთება ქრისტესთან, ქრისტიანული ეკლესიის წევრად გახდომა და ეკარისტიის საიდუმლოების საშუალებით ხდება მონაწილეობა და ვთავებრივი ბუნებისა სულითა და სხეულით.

ეს ძირეული არსებითი ცვლილება ადამიანის ბუნებისა ხდება მონათვლის საიდუმლოების აღსრულების შემდეგ არა მექანიკურად, არამედ ადამიანის თავისუფალი ზნეობრივი მონაწილეობის შედეგად.

მხოლოდ ამ პირობების შესრულებით ადამიანში ისპობა ცოდვა, არ ხდება იგი მისი შინაგანი ნაწილი და იგი ხდება სუფთა და მართალი, ისეთი როგორიც ის იყო შემოქმედის ხელებიდან გამოსვლისას, ხდება „ახალ ქმნილებად“ ეს არის „ახალი დაბადება“ ადამიანისა.

ლოცვა ყრმის სახელდებისთვის

ქრისტიანული ოჯახისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა ყრმისათვის სახელის დარქმევა. მოციქულთა კანონის. მოციქულთა კანონის თანახმად ყრმის სახელს არჩევენ ბავშვის შშობლები დაბადების მე-8 დღეს. სახელის დარქმევის დღეს მღვდელი დაარქმევს ყრმას სახელს. შშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ



როგორც ბრძანებს იოანე ოქროპირი, სახელი რომელიც დაერქვა ბავშვს „ითვლება დაბადების სამკაულად, სახლის გამაძლიერებლად, შერქმეულის გადამრჩენად, ნუგეშად სიყვარულში... წმინდანის სახელი, როგორც სინათლე ისე შეაქვს ყველას სახლში“, ადანთებს მასში სულიერ ლამპარს.

„სახელის შერქმევა“ – როგორც ამბობს განმანათლებელი იოანე ოქროპირი – ჩანს სელმწიფობის ნიშანი მშობლებისა შთამომავლობაზე. სარგებლობენ რა ამ უფლებით სახელის დარქმევისას მშობლები სახელში დებენ ყრმის მომავალს, რომელიც მას ელის.

არქმევენ რა ბავშვს ქრისტიანულ სახელს, მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ლოცვითა და ღვთაებრივი სიტყვით ეკლესიის მწევების მიერ მათი შვილები მხოლოდ ამის შემდეგ იქნებიან დაშვებული ეკლესიის საიდუმლოთა შესასრულებლად.

ეკლესია რეკომენდაციას უწევდა მშობლებს, რომ ყრმისათვის შეერჩიოთ ქრისტიანული მართლმადიდებლური სახელი წმინდანისა, რომლის ხსენება იყო ყრმის დაბადების მე-8 დღეს, მაგრამ შეიძლებოდა დაერქმიათ სახელი, რომლის ხსენება კალენდარით უფრო გვიან იყო მოცემული. სახელი არ უნდა ყოფილიყო წარმართული და აგრეთვე უცხო სარწმუნოებისა.

სახელი, რომელიც დაერქმეოდა ყრმას ტაძარში მდვდლის ლოცვით, ხდებოდა მისოვის წმინდა, საიდუმლო.

ნებარი ავგუსტინეს აზრით ამ დღეს ხდებოდა ყრმის მიღება „დედა ეკლესიის წიაღში“, ხოლო სახელი მჭიდროდ იყო დაკაგშირებული ყრმის სულიერ დაბადებასთან, რომელიც ხდებოდა მონათვლის შედეგად.

როდესაც ყრმას არქმევდნენ სახელს, მისი მონაწილეები: მდვდლები, მშობლები, მომავალი მიმრქმელები, რომლებმაც შემოიყვანეს ყრმა ტაძარში, აგრეთვე წმინდანი, რომლის სახელი დაარქვეს ყრმას, ხდებიან უშუალო მონაწილეები ადამიანის ღმერთთან ღვთაებრივი კავშირის დასაწყისისა.

ლოცვის მირითადი შინაარსი რომელსაც კითხულობს მდვდელი, ყრმის დაბადების მე-8 დღეს, ეკლესიის ზღუდეზე მთლიანად ყრმაზე გადატანილი. მასში ნათქვამია, რომ ახალშობილის სიცოცხლე ძვირფასია ღვთის თვალში იმიტომ, რომ ის „შემოდის მიწიერ ტაძარში და იქმნება მონაწილე ხსნისა“.

„უფლისა მიმართ ვილოცოთ...

უფლის დდესასწაულის ტროპარი, რომელსაც გალობენ ყრმის სახელის დარქმევისას, ერთხელ კიდევ ახსენებს მშობლებს, რომ ყრმის მიუვანა ღვთის სახლში მოხდა კანონიერად, მაგალითად მოჰყავთ ღვთისმშობელი, რომელმაც ტაძრად მიიყვანა ქრისტე“.

მე-40 ღვთის ლოცვები

მე-40 ღვთის ლოცვები ყრმას ამზადებს საეკლესიო ცხოვრებისათვის, ტაძრად მიყვანილი ყრმა ეძღვნება ღმერთს ისევე, როგორც თავად ქრისტე იქნა „მეორმოცე დდეს...“.

ახალშობილი ეკუთვნის ოჯახს. მას არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა. ახალშობილის ცხოვრება განისაზღვრება და ყალიბდება ოჯახში. ოუ ოჯახი ქრისტიანულია, ის ეკუთვნის ეკლესიას და მასში ოჯახი პოულობს წყაროს, შინაარსსა და აზრს თავისი არსებობისა.

ბავშვი ეკუთვნის ოჯახს ბიოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ რადგანაც ოჯახი ეკუთვნის ეკლესიას, ბავშვიც ეკუთვნის ეკლესიას. ბავშვი ჰეშმარიტად ეკლესიის შვილია, რომელიც მიყვანილია ტაძრად და მიძღვნილია ღვთისადმი. ყველაფერი ეს გამოხატულია ლოცვაში, რომელსაც კითხულობს მდვდელი: „უფალო ღმერთო...“ (მე-3 ლოცვა).



თანამდებობების გათავმევლთა ფარდგინებისა

მონათვლისათვის მზადებას ყოველ-
თვის ახლავს განსაკუთრებული საეკლე-
სიო ლოცვები კათაკმეველთათვის. ამ
ლოცვებით ეკლესია სთხოვს ღმერთს
„ქამსა შინა კეთილსა საბანელსა მეორედ
შობისასა...“ (იოანე ოქროპირის ლიტურ-
გია).

კედრება და ლოცვები, რომლებიც
წინ უძლვის მონათვლას აჩვენებს, რომ
ეკლესიაში ახალ წევრთა მიღება არ არის
„კერძო“ საქმე, არამედ მოელი მრევლის
საქმეა. მონათვლა არის დიდი დღესას-
წაული, სადაც ხდება ახალია ერთობა
შეკრებილ ადამიანებსა და ღმერთს შო-
რის ქრისტეს მეოხებით. ნათლობის
შედეგად ადამიანები ხდებიან მმები
ახალი ცხოვრებისაგვის და ერთიანდე-
ბიან რწმენისა და სიყვარულის მეოხებით.
ამიტომ ლოცვითი თანმიმდევრობა
საიდუმლოს აღსრულებისა მოითხოვს
ეკლესიის ყველა წევრის მონაწილეობას.

ლოცვა გათავმევლთა დადგნისათვის

ამ ლოცვაში მონაწილეობენ მდგდე-
ლი, მიმრქმელები და საეკლესიო თემის
წევრები. ლოცვა მიმართულია იქითკენ,
რომ კათაკმეველი „განუდგეს სიძველეს“,
ადივსოს სული წმინდის ძალით და
ქრისტეთან შედგომით გახდეს ქრისტეს
ეკლესიის წევრი.

დვთისადმი ლოცვის აღვლენისას
მდგდელი მოუწოდებს დვთის სიტყვას
მოქმედებისკენ: „დე იყოს“ (ბიტ, 1,3,6).
ამის შედეგად ადამიანი ხდება კათაკ-
მეველი და ემზადება ზემოდან მიიღოს
თვისი სულით სულიერი დაბადება.

მდგდელი დასდებს ჯვარსა და
სახარებას ანალოდიაზე, დარწმუნდება
რომ ის ვინც უნდა განათლდეს დას
უქამროდ, თავდაუხურავი ხელები ძირს
აქვს დაშვებული.

ლოცვის დროს მდგდელი სამჯერ
„შთაბერავს“ კათაკმეველს სახეში და
სამჯერ გადასახვას ჯვარს. შთაბერვა
მდგდლისაგან სიმბოლურად აღნიშნავს
ღმერთის მიერ ადამიანისადმი შთაბერვას
– „შთაბერა ღმერთმა ადამს“ (შექმნა 2,7).

მდგდლის მიერ ხელის დასხმა კა-
თაკმეველზე იმას ნიშნავს, რომ მოსა-
ნათლი მიღებულია ეკლესიის წიაღში,
მისი სახელი შეტანილი იქნა სიცოცხლის
წიგნში, ხოლო კათაკმეველი ჩარიცხული
იქნება „დვთის ფარაში“ (1 ლოცვა).

მოსანათლზე დვთისმსახურების
დროს ეპისკოპოსის ან მდგდლის მიერ
ხელის დასხმა კათაკმეველის თავზე და
შემდგომ შთაბერვა გაიაზრება, როგორც
აქტი დაცვისა: კათაკმეველს ეძლევა
სულიერი თავშესაფარი, ის დგება დვთის
მადლის დაცვის ქვეშ. ასე იწყება საერთო
საეკლესიო ლოცვა იმათვის, ვინც
ემზადება მოსანათლად. კათაკმევლისად-
მია მიმართული განმანათლებელ ბასილი
დიდის სიტყვები: „შეუდექი და მოლიანად
მიეცი უფალს...“. კათაკმეველი პასუხობს
რა ბასილი დიდის მოწოდებას. მიდის
ქრისტეთან, რათა დაიხსნას თავი და
მდგდლის ლოცვა. ამის დასტურია
„სახელითა შენითა...“.

დაცვული ანგელოზები

ღმერთმა შექმნა ხილული და უხი-
ლავი სამყარო. უხილავი სამყარო ეს
არის ანგელოზთა სამყარო. ანგელოზთა
ნაწილმა მოინდომა შემოქმედთან გატო-
ლება და თავიანთ წინამდებლის მეთაუ-
რობით დაიწყო ბრძოლა ღმერთთან. ისინი
დამარცხდნენ და ჩამოყრილ იქნენ ზეცი-
დან. ისინი გახდნენ ბოროტი სულები.
ბოროტმა აცდუნა ადამი და ევა, რათა
მათ დაერდვიათ დვთის აღთქმა. როგორც
ლირსი მამა მაკარი დიდი აღნიშნავს, ამ
მომენტიდან ადამიანში „შევიდა ბორო-
ტება და ეშმაკს მიეცა საშუალება თავი-
სუფლად ელაპარაკოს სულს, როგორც
ელაპარაკება ადამიანი ადამიანს და მის



გულში შეიტანოს ყველა ბოროტება“
(სიტყვა 2, თავ. 2,3).

ადასტურებს ადამიანის განდგომას
სატანისაგან და ქრისტესთან შედგომას.

ლოცვები შეზურგებისა

აძლიერებენ მოქმედებას მოსანათ-
ლავად გამზადებულ ადამიანზე, უმდვრე-
ვენ მას გონებას ცოდვილიანი განზრახ-
ვებით, აბოროტებენ მის გულს, უნერგავენ
ამპარტავებას, პატივმოყვარებას, ცდი-
ლობენ ადამიანმა უარყოს მონანიება და
ა.შ. კათაკმევლობის პერიოდში ყველა ეს
შეცტუნება და მოქმედება დაცემული ან-
გელოზებისა მიმართულია იქითკენ, რათა
სელი შეუშალონ ევანგელისტური დვთის
მადლის მოქმედებას მასზე ვისაც სურს
პირჯვარი გადაიწეროს და ადამიანთა
გულებიდან ამორეცხოს დვთის სიტყვა
(cp. Mf. 13,19).

დვთის მადლით, რომელიც გადადის
მდვდელზე, მდვდელს აქვს ძალა
ზემოქმედება მოახდინოს დემონზე, რათა
შეწყვიტოს ზემოქმედება ადამიანზე, რო-
მელსაც არ აქვს ძალა და შესაძლებ-
ლობა მონათვლამდე შეებრძოლოს ბო-
როტ ძალებს. ამას ამბობს კირილე
იერუსალიმელი.

მდვდელმა იცის ეს და მბრძანებ-
ლურად მიმართავს დემონს: „შეგრისხავს
შენ უფალი, ეშმაკო, რომელი მოვიდა
სოფლად“ (1-ლი ლოცვა). (უფალო სა-
ბაოთ). „ღმერთმა წმინდამან და საში-
ნელმან...“ (მე-2 ლოცვა). „უფალო
საბაოთ...“ (მე-3 ლოცვა).

შეფუცების ლოცვების შესრულების
შემდეგ იკითხება ლოცვა კათაკმევლზე.
ეს ლოცვა წარმოადგენს ვედრებას, რათა
კათაკმეველი მიიღონ დვთის სამეფოში.
ეს მეოთხე ლოცვა სრულდება დვთის
სახელის საზეიმო წარმოთქმით, როგორც
ეს ხდება ანათემის ან სხვა მნიშვნე-
ლოვანი საეკლესიო ლოცვების დროს.

„რომელი ეგა ხარ მეუფეო და
უფალო...“ (მე-4 ლოცვა). მოსანათლავს
კიდევ ეძლევა არჩევანი სიცოცხლისა და
ღმერთთან ერთად, რომელიც მას ათავი-
სუფლებს ეშმაკის მონობისაგან. არჩევანი

სატანისბან ბანდომა

წესი მოითხოვს მდვდლისგან მოსა-
ნათლავი დაყენოს პირით დასავლე-
თისკენ (ეკლესიის აზრით დასავლეთი
არის სულიერი ბნელეთი).

კათაკმეველი აგრეთვე თავისი გარე-
განი სახით რწმუნდება თავის სულიერ
სიღატაკეში, თავს გრძნობს თანამონაწი-
ლედ დატყვევებულთა მიმართ, რომლებიც
„დადიან გახდილნი და ფეხშიშველნი,
რადგან იგი თვითონაც არის ცოდვის
მონა“.

ზრდასრული მოსანათლი, იურება
დასავლეთით, სამგზის განუდგება ბოროტ
სულს, აღმართავს რა ხელებს ზევით.
სიმონ სოლუნსკის შენიშვნის თანახმად,
ეს ხდება იმის აღსანიშნავად, რომ მო-
სანათლს არანაირი კავშირი არ აქვს
ეშმაკთან და ბაძაგს ჩვენთვის ჯგარც-
მულს.

ეს მოქმედება გამოხატავს მოსანათ-
ლის სურვილს ეკუთვნოდეს ქრისტეს, გახ-
დეს მისი ტყვე, რომელიც განმანათლებულ
იოანე ოქროპირის სიტყვებით „მონობას
გარდაქმნის თავისუფლებად... აბრუნებს
მას უცხოეთიდან სამშობლოში“.

ამრიგად, გასწყვეტს რა კავშირს
ბოროტ სულთან და ყოველგვარ უწმინ-
დურობასთან, ირწმუნებს რა ქრისტეს,
ადამიანი საბოლოოდ და მტკიცედ ამოწ-
მებს თავის სურვილს შეუერთდეს ეკლე-
სიას.

განდგომის მოქმედებანი (შებერვა,
შენერწყვა) აღნიშნავს იმას, რომ კათაკ-
მეველი მზად არის გაწყვიტოს კავშირი
წინანდელ ცოდვილ ცხოვრებასთან,
რომელიც დაკავშირებულია ამპარტავნე-
ბასთან და თვითდამკვიდრებასთან, იმ
ამპარტავნებასთან და რომელმაც
პირველად ადამს წართვა ედემი (დაბად.
3, 23) და ჩააგდო იგი ბნელეთში, სიკვ-
დილში და ჯოჯოხეთში. უარყოფა ნიშ-
ნავს სულიერი ორთაბრძოლის დაწყებას,



რომელსაც „უხილავი ბრძოლა“ ეწოდება, ხოლო ბრძოლის ველი – ქრისტიანის მთელი ცხოვრებაა.

ახლა ქრისტიანს იცავს ქრისტე.

შემოთხავა პრისტანი

სატანისაგან განდგომას მოსდევს კათაკმეველის აღმსარებლობა ქრისტეს მიმართ პირადი ერთგულებისა – „შეერთება“. ამისათვის მდგდელი კათაკმეველს აყენებს პირით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რაც ნიშნავს განდგომას ბოროტებისა და სატანისაგან და შედგომას უფალთან. განმანათლებელი კირილე იერუსალიმელი წერს: „რაც სწრაფად განუდგები სატანას, გაწყვეტ მასთან ყოველგვარ კავშირს და ჯოჯოხეთთან ძველ აღოქმებს, შენოვის განისხვება დათის სამოთხე... (დაბად. 2,8), საიდანაც დანაშაულისათვის გამოაძევეს ჩვენი მამა“.

საეკლესიო ცხოვრება უნდა დავიწყოთ მორჩილებითა და ქრისტესთან თანხმობით. ამიტომ კათაკმეველი ძირს უშვებს ხელებს, „რათა ამით აჩვენოს მორჩილება დათისადმი“. ეს არის კათაკმეველის მიერ რწმენის სიმბოლოს „შევუდგები და მწამს იგი ვითარცა მეუფე და დმერთი“, რომელსაც იგი სამჯერ წარმოსთქვამს.

სიმბოლო – არის ბერძნული სიტყვა და ნიშნავს ვაერთიანებ, ერთად მიჭირავს – მჭიდროდ ეხება ადამიანის რწმენას. რწმენა არის „უხილავის გასხვეულება“. რწმენა გვაძლევს ცოდნას სხვა არამიწიერ რეალობაზე, რომელშიაც შეიძლება შეხვიდე, რომელთანაც შეიძლება საერთო გამონახო. ამიტომ რწმენა ითხოვს სიმბოლოს, რომელიც შეიყვანდა ადამიანს ამ სულიერ რეალობაში. ამ აზრის მიმდევრობა მეტად სიმბოლურია. ის აძლიერებს სურვილს დმერთზე მეტის ცოდნისა.

კათაკმეველი „მრავალი მოწმის წინაშე“ აძლევს დმერთს პირობას იყოს ერთიანი (დმერთობა) ეკლესიასთან, რათა ყველა ერთგულთან ერთად თაყვანი სცეს

წმინდა და მაცოცხლებელ სამებას. ამაზე მიგვანიშნებს მიწიერი თაყვანისცემა, რომელსაც აკეთებს კათაკმეველი ამ სიტყვების შემდეგ: „თაყვანსა კცემ მამასა და ძესა და სულსა წმინდასა“.

ამის შემდეგ კათაკმეველი მადლობას მიაგებს დმერთს ყველაფრისათვის რაც საჭირო იყო მის მოსანათლად მომზადებისათვის.

კათაკმეველის წასის დამამთავრებელი ლოცვა

კათაკმეველად ყოფნა მთავრდება მისი ტაძარში შეეყანით. მდგდელი ასრულებს ლოცვას კათაკმეველზე, სადაც ის სთხოვს უფალს „მიიღოს მონა“ თავის-თავის წიაღში და შეუწყოს ხელი კათაკმეველს იშვას ხელახლა „წყლისა და სულისაგან“. მართლმადიდებლური რწმენა აღიარებს დმერთს, რომელიც არის სამსახურისანი და ერთიანი მამის, ძისა და სულიწმინდის სახით. მართლმადიდებლური რწმენა კრძალავს წმინდა სამების ჰიპოსტასის პირების შერევას და მათ განცალკევებას.

მართლმადიდებლობა გვასწავლის სწორად გავიგოთ იესო ქრისტეს ხორცშესხმა და მისი შეგონება, რომ იგი არის დმერთი და კაცი. გჯეროდეს ყოველივე ეს, აუცილებელია დავიცვათ დათვის აღქმა, რადგან „რწმენა თუ საქმეებით არ არის განმტკიცებული, მკვდარია“. ბოროტების ძირი არის ამპარტავნება, მომხვეჭელობა, ხორციელი გატაცება, შური, თავშეუკავლობა, მრისხანება, სიზარმაცე.

ვისაც სურს დაიმკიდროს ზეციური სასუფეველი, ეკლესია მოუწოდებს ყოველივე ბოროტება დაძლიოთ: სიმჭიდით, გულმოწყალებით, წესიერებით, სიფხოზით და სხვა დათვისთვის სათხო საქმეებით.

ამას სთხოვს მდგდელი უფალს: „განიძარცვე ესე სიძვისაგან და განაახლე ესე ცხოვრებით საუკუნეთა...“.



კათაქმევლად დაღგენილი შეუდგება ქრისტეს, ამრიგად ისხნება მის წინაშე ის აღთქმები, რომლის ერთგული უნდა ყოფილიყო სიცოცხლის ბოლომდე. ქრისტესთან შეერთება ნიშნავს გადალახო საკუთარი ცოდვილი ბუნება, შეწირო უფალს სული და ამით იხსნა იგი.

მონათვლის ობი

მდგდელი განსაკუთრებით ემზადება მონათვლისათვის. იგი იმოსება: ოლარით, საბუხარენით და ფილონით, რაც გამოხატავს ახალი ცხოვრების მოსვლას, რომელიც მოიტანა ლვოის ქემ, სამყაროს გადამრჩენმა. დედამიწაზე წესის თანახმად ახდენს „კმევას“ ემბაზისა და „აკმევს“ საიდუმლოს ყველა მონაწილეს, რომელიც დგანან ანთებული სანთლებით. ამ მონაწილებს შორის განსაკუთრებულად გამოიყოფა სულიერი მიმრქმელი – ნათლია.

მართლმადიდებლური სწავლების თანახმად სულიწმინდის ძალით „მიმრქმელი“ ხდება მოსანათლის სულიერი მამა და იგი ხდება მოსანათლის მამისა და დედის ქმა და მიეკუთვნება მეორე რიგის ნათესაობას.

სულიერი მირქმა ავალდებულებს მიმრქმელს, რომ მათ მონათლულს მუდმივად შეახსენონ არსი მონათვლისა, ქრისტიანული რწმენისა და ცხოვრების წესის ჭეშმარიტება.

ცოდვა მათზეა, ვინც არ ზრუნავს მონათლულს ასწავლოს და შეიყვანოს იგი ეკლესიურ ცხოვრებაში.

ეკლესიური სწავლების თანახმად „განმანათლებლად“ ახლად დანიშნულმა მდგდელმა უნდა იცოდეს: 1) პკითხოს მიმრქმელებს, რომ მონათვლისას სულიწმინდის ძალით ყრმა თავისუფლდება ცოდვილი უწმინდურისაგან და ყრმა მიეკუთვნება „წმინდათა დასს“, რისთვისაც ეწამდა და მოკვდა ჩვენი მაცხოვარი ქრისტე; 2) უთხრას „მიმრქმელს“, რომ ყრმას ასწავლონ ქრისტეს სარწმუნოება და თავისი ჩვევებით მიაღწიონ იმას, რომ ყრმა იყოს შრომისმოყვარე, მშვიდი,

თავშეეკავებული და ყველას მოყვარე, ხოლო ცოდვებს როგორც სატანის საქმეს განუდგეს; 3) უთხრას მათ, ისინი დვოის წინაშე თავდებად უდგანან ყრმას და მისი უკეთური ქცევების გამო თავადაც ხდებიან ცოდვის მონაწილენი.

ყოველივე ეს უნდა იცოდნენ „მიმრქმელებმა“, რომლებიც იდგნენ მოსანათლს ემბაზთან, რომ კარგად ესმოდეთ თავიანთი ამოცანა – აღზარდონ თავიანთი სულიერი შვილები მართლმადიდებლური სულიერი რწმენით, დვოისმოსაობით. ამ ვალდებულებებზე ნათლად მეტყველებს ანთებული სანთლელი, რომელიც ყოველ მიმრქმელს უჭირავს ხელში.

ყვლის პურისამა

მონათვლის წესი იწყება წყლის კურთხევით, მოსანათლი წყალში უნდა განიბანოს ცოდვებისაგან და „გახდეს იგი სინათლის ქე“ – ეკლესის წევრი.

„ქრისტე იმისათვის მოინათლა, რომ განეწმინდა წყალი“, რათა წყალს შეძლებოდა სულიერად აღედგინა მოსანათლავი – წერდა წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი.

უკვე პირველი მომენტი – ემბაზის „მეტე“ და საიდუმლოს ყველა მონაწილეს უჩვენებს ადამიანთა მზერას „კეთილსურნელებას“ და სულის სიწმინდეს, ხოლო სინათლე სანთლებისაგან აჩვენებს მოსანათლის სულიერ სიხარულს, რასაც იგი განიცდის სიბნელიდან სინათლისაკენ სვლისას, რადგან იგი „ხდება ეკლესიის ქე“, ამბობდა წმინდა სიმონ სოლუელი.

საწყისი ასამაღლებელი: „კურთხეულ არს...“ ადასტურებს ზეციური სამეფოს გახსნილობის რეალობას. ამ დროიდან მოსანათლი ეზიარება ზეციურ ცხოვრებას, რომლის ძირითადი არსი ეკლესიისთვის არის ევქარისტია – ქრისტეს სხეულთან და სისხლთან ზიარების საიდუმლო.

ჭეშმარიტი საკებებისა და სასმელის მიღება არის ბუნებრივი შინაარსი იმისი, ვინც „იშვა წყლისა და სულისაგან“. მონათვლასა და ლიტურგიას შორის ისტორიულ კავშირს ადასტურებს საწყისი ასა-



მაღლებელი, რომელიც აცხადებს წმინდა სამების სამეფოს დაწყებას. ამ სამეფოში ცხოვრება ასაჩუქრებს საიდუმლოში მონაწილეებს ხსნის საჩუქრებით, რაც მათ-შია მოცემული.

მდგდელი წარმოთქვამს ემბაზის წინ საწყის ასამაღლებელს და ამით ამოწმებს, რომ საიდუმლოს ნივთიერება – წყალი უნდა მოვიდეს შეხებაში ზეცის სამეფოს დვოთაებრივ არსთან. როგორც ერთ დროს ქრისტემ იორდანეს წყალში შესვლით თავის მონათვლისას აკურთხა წყალი, ახლაც აუცილებელია წყალი ეკურთხოს მასზე სულიწმინდის მადლის გადმოსვლით, ქრისტეს გამოსასყიდი მსხვერპლის გადებით, რომ მოხდა, კაცთა ცოდვების გამოსასყიდად. მონათვლის საიდუმლოში წყალი იდებს დვოთაებრივ ძალას იყოს არე, რომელშიც მოსანათლი ერთდება დმერთან და იდებს საშუალებას ქრისტე დმერთან ერთად იცხოვროს.

ეკლესია მოსანათლავს აერთიანებს ქრისტე დმერთის სიკვდილთან და მის სასწაულებრივ აღდგომასთან, როცა მოსანათლავი ჩაიძირება ემბაზის წმინდა წყალში და მოუწოდებს საიდუმლოს კველა მონაწილეს განიმსჭვალოთ ქრისტეს მოწაფეების სულისკვეთებით, რომლებიც ცხოვრობდნენ იმის მოლოდინით, რომ „კველაფერი ემორჩილება დმერთს და მისი სიყვარული მეუფებას“.

მშვიდობიანი კვერექსის სიტყვებში ეს აზრი მრავალგზის მეორდება „რათა წმინდა იქმნას წყალი ესე...“.

თავისთვის ლოცვისას მდგდელი სთხოვს დმერთს, რომ შეუნდოს თავის შეცოდებანი დმერთმა, გააძლიეროს ის და მისცეს ძალა, რათა აღასრულოს „დიდი და ზეციური საიდუმლო“. მდგდელი ლოცულობს იმაზე, რომ მოსანათლში „წარმოისახოს ქრისტე“ და იგი, სულიერად დაბადებული, აღდგენილი მოციქულებისა და წინასწარმეტყველთა მეოზებით გახდეს „ეპლესიური და სამოციქულო ჭეშმარიტების მატარებელი და ადიდებდეს წმინდა სახელს მამისა და ძისა და წმინდისა სულისაა“. მდგდლის საიდუმლო ლოცვა თავის თავზე ეხამრე-

ბა მას საიდუმლოს აღსრულების ატმოსფეროს შექმნაში, რაც აისახება წყლის კურთხევის ლოცვაზე და ამზადებს მას ამ საპასუხისმგებლო მომენტისათვის.

„დიდ ხარ შენ უფალო და საკირველ არიან საქმენი შენი“, ამ სიტყვებით იწყება წყლის კურთხევა და ხდება „ონტოლოგიური გასვლა დმერთთან“. ლოცვებში იუწყება ეკლესიის რწმენა შემოქმედი დვოთისა და ქმნილების მოლოდინი უმაღლესი ნებარებისა – იყოს დმერთთან ერთად.

ცოდვილმა ადამიანმა დაკარგა ერთობა დმერთთან, მაგრამ დმერთმა იგი არ მიატოვა. დმერთმა გამოგზავნა ქეთვისი ცოდვილი სამყაროს ხსნისათვის. ქრისტემ აუწყა ხალხს: „ვინც არ იშვება წლისა და სულისაგან, ვერ შევა სასუფეველსა დვოთისასა“. ამ სიტყვებით მაცხოვარი განმარტავს წყლის, როგორც განწმენდისა და მაკურთხებელი ელემენტის – მნიშვნელობას.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვებით წაყლში შთაფლვა არის ნიშანი ადამიანის ცოდვებისაგან განწმენდისა, მისი ზეციური შობისა. მდგდელი ლოცვის შედეგად საიდუმლოს ნივთიერება – წყალი, როგორც მშვიდობის სტიქია, აღდგება იმ მნიშვნელობით, რომელიც მას პქონდა ადამიანის ცოდვით დაცემამდე. სულიწმინდის კურთხევით წყალი იდებს ქრისტეს ძალას და ადამიანი ნამდვილად ერთიანდება ქრისტესთან მთელი სულითა და ხორცით, ხდება მისი განახლება ახალია სულიერი ცხოვრებისათვის.

ლოცვა შეიძლება გაიყოს სამ ნაწილად, პირველ ნაწილში მოცემულია არსი სამყაროს შექმნაზე და ქება ზეციური დვოთაებრივი დიდებისა, რომელიც სრულდება ანგელოზებისაგან.

ლოცვის მეორე ნაწილი იწყება სიტყვებით „შენ ხარ ქე დვოთისა აღუწერელი...“. ყველა ქმნილება ადიდებს ქრისტეს, რომელმაც ხორცი შეისხა. სულიწმინდის მეოზებით ქრისტემ აკურთხა იორდანეს წყლები და დათრთვუნა ადამიანისადმი მტრული ძალები. ლოცვის მესამე ნაწილში არის „გარდამოსვლა“ სულიწმინდისა წყალზე. სულიწმინდის მეოზებით წყალი



ხდება „განწმენდილი, გასუფთავებული, ცოდვამიტოვებული, სულიერგანმანათლებელი, განმაახლებელი სულისა, მშვიდობის ბოძებით, უხრწნელობის შემოსვით, ცხოვრების წყაროდ“. წყალში მონათლული იშორებს ძველი ადამიანის ცოდვებს და ხდება ახალი ადამიანი, შემოქმედის ხაზად.

გარდაცვლილი ქრისტეს რწმენით ხდება მისი აღდგომის თანაზიარი.

ზოთის პურთხევა

წმინდა სიმონ სოლუნელი მონათვლის წესში დავთიური სამყაროს გამოსახულების წინაშე ასახელებს განწმენდ ზეთს. დავთისაგან განსაწმენდებელი საიდუმლოს მონაწილე სულიერი ხედვით ხედავს ნოეს, რომელმაც მიიღო შერიგების ნიშანი, ზეთისხილის რტო, წარდგნის დასრულების შემდეგ მოტანილი მტრედის მიერ. წვდება რა „საიდუმლოს არს“ გამოსახულს მის წინაშე, მღვდელი შესთხოვს დმერთს: „შენვე აკურთხე ზეთიცა ესე ძალითა და შეწევნითა და დანერგვითა წმიდისა სულისა შენისათა, რაითა იქმნას ესე საცხებელი უხრწნელებისა, საჭურველ სიმართლისა, განმაახლებელ სულთა და ხორცთა...“, განწმენდილი ზეთი ეცხება წყალს მოსანათლებაზში. შეერთდება რა წყალთან ზეთი, ამ შემთხვევაში ემსგავსება ზეთისხილის რტოს, რომელიც ნოემ მიიღო, როგორც სასიხარულო ნიშანი დმერთის შერიგებისა მთელ სამყაროსთან.

იცხებს რა ზეთს, მოსანათლი მშვიდდება და ძლიერდება ღვთის მოწყალების იმედით და იმედოვნებს, შთაიფლება რა წყლის სტიქიაში, მიაღწევს თავის სულიერ აღორძინებას. მხედველობაში აქვს რა ყოველივე ეს, მღვდელი აცხადებს: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელიც განანათლებს და წმიდა-ჭყოფს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“. ზეთის ჯვრისებრი ცხებით მონათლული უერთდება ქრისტეს მხედრობას და იღებს განსაკუთრებულ ძალას უხილავი სუ-

ლიერი ბრძოლისათვის, რომელიც მან ნებაყოფლობით აიღო თავის თავზე.

„შენ ზეთცხებულ ხარ, როგორც ქრისტეს თანამბრძოლი, რომელსაც სურს ებრძოლოს ამ საუკუნის სიბრძელეს“ – ამბობს ამბროსი მედიოლანელი.

ბერძნული სიტყვა „ελεον“ („ელეოპი) ქართულად ნიშნავს ზეთს, აგრეთვე „გულმოწყალებას, თანაგრძნობას“. ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ზეთის ზენიშვნელობას საიდუმლოს აღსრულებისას – არის ნიშანი ღვთის მადლის მოქმედების გაძლიერებისა მოსანათლის სულზე. ეხება რა ზეთი მოსანათლის სეულის ნაწილებზე – თავი, გული, უკრები, ხელები და ფეხები – ამბობენ, რომ უპირველესი დანიშნულება ზეთისცხებისა არის განიწმინდოს აზრები, სურვილები და მოქმედებები ადამიანისა, რომელსაც სურს შეუერთდეს ღვთის სულიერ აღქმას. ამით გამოვლინდება ის სულიერი ძალები, რომლებიც ხელს უწყობენ მადლიან მიერთებას მონათლულისა ნაყოფიერ ზეთზე – ქრისტეზე.

მოსანათლის წყალში შთავგლა და თმითი სამოსით შემოსვა

ზეთისცხების შემდეგ „ზეთი სიხარულისა“, კათაგმეველს მოუხდება შევიდეს „დვთის აღქმაში“ წყალში სამჯერ შთაფვლის საშუალებით. მადლის მიერ დაბადების საიდუმლოს აღსრულებას მოსანათლავი შეჰყავს ქრისტეს სეულში – ეპლესიაში.

ეკლესიის სწავლების თანახმად წყალში შთავგლა ნიშნავს მოსანათლის მიერთებას ჯვარზე გაკრულ ქრისტესთან.

ჯვარი – არის ნიშანი გამოსყიდვისა და განწმენდისა.

ამით ყველა განიწმინდება ქრისტიანობაში; ძველად ემბაზის ფსკერზე ყოველთვის იყო ჯვრის გამოსახულება. ამას მიანიშნებს მოციქულ პავლეს სიტყვები: „რომელთა ესე ნათელდებით ქრისტე



იქსუის მიერ სიკვდილისა მისისა მიმართ ნათელები გილერეა.

მოსანათლის წყლიდან ამოსვლისას „ხდება მისი ხელახლა დაბადება“, ამიტომ წყალი მისთვის ხდება „დედა“, როგორც ამბობს კირილე იერუსალიმელი: „და როგორც ჰემარიტად ქრისტე ჯვარს ეცვა, დამარტელ იქნა და აღდგა, ასევე მონათვლის შედეგად ჩვენ გავხდით დირსი დაგმარტელიყავით და აღვმდეგარიყავით მასთან ერთად“ – აღნიშნავს წმინდანი.

როგორც შენიშნავს დირსი მამა სიმონი ახალი დვოთისმეტყველი, „ჩვენი სხინ ხდება არა მარტო წყალში მონათვლით, არამედ სულით“. სხინის ძალა მოსანათვლისა იხსნება ჩვენთვის უწმინდესი სამების რწმენით.

განმანათლებელი გრიგოლ დვოთისმეტყველის მოწმობით, „ახალმონათლულის დგომა საკურთხევლის წინ და 31-ე ფსალმუნის სამჯერ გალობა გარდაქმნის მას ზეციურ დიდებად, ხოლო ფსალმუნის გალობა, რომელსაც იღებენ მორწმუნები არის საწყისი ზეციური ქებათაქებისა“.

შემდეგ ახალმონათლულს მდვდელი შემოსავს ტანსაცმლით.

მონათვლის წინ ნათლული თავისუფლდება შესამოსელისაგან იმის ნიშად, რომ იგი განუდგა „ძველ კაცს“ და „ძველ ცხოვრებას“.

ცოდვამ გააშიშვლა ჩვენი წინაპრები ადამი და ევა, ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ თავისი სიშიშვლე ტანისამოსით დაეფარათ. მანამდე ისინი შემოსილი იყვნენ დვოთის დიდებითა და ნათელით, არნახული სილამაზით, რომელიც წარმოადგენდა ადამიანის ნამდვილ ბუნებას. მაგრამ მათ დაკარგეს თავიანთი სამოსელი პირველი და გაიგეს, რომ არიან „შიშველინი“. მოსანათლი სამოსით ადამიანის შემოსვა ნიშავს იმ ერთიანობაში და სიწმინდეში დაბრუნებას, რომელიც მას ჰქონდა სამოთხეში.

წმინდა ამბროსი ადარებს ამ სამოსს იქსო ქრისტეს სამოსს, რომელიც ჩვენს მაცხოვარს ემოსა თაბორის მთაზე მისი ფერიცვალებისას. ფერნაცვალი ქრისტე

წარმოადგენს უცოდველ და სრულქმნილ კაცობრიობას, არა შიშველს, არამედ შემოსილს სამოსით „თეთრი, როგორც სინათლე“ არამიწიერი „დვთაებრივი დიდებით“.

წმინდა დიონისე არეოპაგელი თანახმად მოსანათლის შემოსვა ნათელი სამოსით არის ნიშანი „მამაცური და დვთაებრივი სიმშვიდისა „წინააღმდგომისადმი“. და არის ნიშანი, რომ „სწრაფვა ერთიანობისაკენ“ აძლევს განსაკუთრებულ სილამაზეს.

მოსანათლის შემოსვა თეთრი ფერის სამოსით არის ნიშანი მის მიერ თავისი ჰემარიტი ბუნებისა და პირველადი დიდების მოპოვებისა. ამის დასტურად იგალობება ტროპარი „მომეც მე სამოსელი ბრწყინვალე, რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად, მრავალმოწყალეო ქრისტე ღმერთო ჩვენო“.

ემბაზიდან გამოსულს და თეთრი სამოსით შემოსილს, ხელში აძლევენ სანთელს იმის დასტურად, რომ იგი ეზიარა „რწმენის ნათელს და მომავალი სიცოცხლის დიდებას“, ბრძანებს წმინდა გრიგოლ დვოთისმეტყველი. წმინდა კირილე იერუსალიმელი მოსანათლ ლამპრებს „საქორწილოს“ უწმოდებს. ასეთი ლამპრებით ქრისტიანი უნდა შეხვდეს „ზეციურ სიძეს“. ლამპარი ადასტურებს ახლადმონათლულის განსაკუთრებულ სურვილს მიუძღვას დვთის სამსახურის თავისი სიცოცხლე, რომ ისინი „თავის თავისთვის არ ცხოვრობდნენ, არამედ იცხოვრონ ვინც ჩვენთვის მოკვდა და აღდგა, იცხოვრონ ჩვენი მაცხოვარი იქსო ქრისტესთვის“ – ძე დვთისათვის.

მირონცხვის საიდუმლოს სიმბოლო

ამ საიდუმლოს აღსრულებისას ხდება ადამიანის დვთის „საქმეში“ შეყვანა, რომ ის იქცეს სული წმინდის ტაძრად, რომ მან იგრძნოს „დვთის რჯული გულში“ და კეთილი საქმეებით გამოხატოს რწმენის არსი, რაც მდგომარეობს „მოსა-



ლოდნელის და უხილავის განხორციელებაში“.

სული წმინდის მოქმედების შედეგად ადამიანში იღვიძებს სულიერი წყურვილი „არ დაქმაყოფილდეს მხოლოდ მიწიერით და მატერიალურით, არამედ მოუწოდებს საუკუნო და სრულქმნილი ზეციური საქმეების კეთებისაკენ“.

ზეთისცხების საიდუმლოება აგვირგვინებს კეთილშობილურ პროცესს ეკლესიაში ახალი წევრის შესვლისა და იგი ხდება თანასწორი მორწმუნეთა შორის. ამ საიდუმლოში მონაწილეობა ეკლესიის ახალი წევრისა ხდის ქრისტეს სხეულის და სისხლის თანაზიარი.

მირონცხების ფასის ფორმირების ისტორია

იოანეს სახარებაში ნათქვამია: „დღე სასწაულის უკანასკნელ დიდ დღეს ადგა იქსო, შეხახა: „თუ ვინმეს სწყურია მოვიდეს ჩემთან და შესვას;“

იქსაც ჩემი სწამს, როგორც წერილი ამბობს, მისი მუცლიდან იდინებენ ცოცხალი წყლის მდინარეები.

ეს მან იმ სულზე სთქვა, მის მორწმუნებს რომ უნდა მიეღოთ, რადგან ჯერ არ იყო სული, რაკი იქსო ჯერ განდიდებული არ იყო“.

ორმოცდამეათე დღეს მოციქულებმა მიიღეს სულიწმინდის მადლი და იმ დღესვე დაიწყეს მისი ქადაგება იმათვის, ვინც ირწმუნა იქსო ქრისტე. „შეინანეთ და ნათელიდეთ თითოეულმა თქვენგანმა – უთხრა იმ დღეს მოციქულმა პეტრემ ხალხს – მიიღებთ ყველანი სულიწმინდის ნიჟს“.

პირველად მოციქულები ლოცვითა და ხელის დასხმით ახდენდნენ სულიწმინდის გადმოსვლას იმათზე, ვინც „აღტაცებით მიიღეს“ კეთილი ცნობა და მოინათლნენ.

მოციქულთა საქმეები მოგვითხოვდნენ, რომ მოციქულები პეტრე და პავლე ნათლავდნენ სამარიტელებს. მივიღოდნენ რა მათთან, მოციქულები ლოცულობდნენ მათზე, რომ მათ მიეღოთ სულიწმინდა.

მოციქულმა პავლემ მონათლა იოანე ნათლისმცემლის ზოგიერთი მოწაფე. „როდესაც პავლემ დასხეა მათ ხელი, გადმოვიდა მათზე სულიწმინდა და იწყეს ენებით ლაპარაკი და გაქადაგდნენ“.

სულის საიდუმლოს აღსრულება ხელის დასხმით მოითხოვდა მოციქულთა პირად მონაწილეობას საიდუმლოში. მოციქულები მოგზაურობდნენ და ქადაგებდნენ წმინდა სახარებას, ამიტომ მსურველთა მონათვლას ახდენდნენ მოციქულთა მიერ ნაკურთხი გაისკოპოსები და მღვდლები მირონცხებით. მირონის კურთხვა კი შეეძლოთ მხოლოდ გაისკოპოსებს. თავის მოქმედებაში მოციქულები ხელმძღვანელობდნენ სულიწმინდის მადლით, ასესებდნენ ყველას დაეცვათ ჭეშმარიტება და ის მცენებანი, რომელიც დაგვიტოვა მაცხოვარმა. ხელის დასხმა მონათვლის დროს შეიცვალა მირონცხებით, რაც დვთის ნებით იყო განპირობებული.

სიტყვა „მირონი“ ბერძნულ ენაში ნიშნავს „კეთილსურნელოვან ზეთს“. მირონი განსაწმენდელად გამოიყენება ჯერ კიდევ ძველი აღთქმის დროს. მირონით განწმინდა მოსემ უფლის „კიდობანი“. მირონი სცხეს აარონს, რათა შეესრულებინა პირველი მღვდელმთავრის მოვალეობა. ყველა შემდგომი პირველი მღვდელმთავრები და წინასწარმეტყველნი იყვნენ მირონით ცხებულნი, სანამ შეუდგებოდნენ დვთის სამსახურს. მირონის შემადგენლობა მოსეს თავად დმერთისგან ეუწყა. წმინდა წერილი მირონის მომზადებას უწოდებს წმინდა საქმეს, ხოლო თავად მირონი არის „დიდი სიწმინდე“.

სულიწმინდის გადმოსვლის საიდუმლოების შესრულებისას მირონის გამოყენება საეკლესიო თემებმა მიიღეს როგორც ძალიან მიზანშეწონილი საქმე. ეპისკოპოსები და მღვდლები, რომლებიც დაადგინეს მოციქულებმა, რომ ემწყემსათ ქრისტეს სამწყსო, ასრულებდნენ მირონცხების საიდუმლოს („თქვენ გაქვთ კურთხვა (სული) წმინდისაგან იცით ყოველივე... კურთხევა რომელიც თქვენ მიიღეთ მისგან... არის ჭეშმარიტი და სწორი...“ – წერდა იოანე დვთისმეტყველი).



„ხოლო ცხებულება, რომელიც თქვენ მიიღეთ მისგან, თქვენშია და არა ვისგან სწავლა არ დაგჭირდებათ, არამედ მისი ცხებულება გასწავლით ყველაფერს, და ის არის ჭეშმარიტი და უტყუარი რასაც ის გასწავლით. მასში დარჩით“ – წერდა იოანე ლვითისმეტყველი თავის პირველ სამოციქულო წერილში. ამასვე ამბობს პავლე მოციქული თავის მეორე წერილში კორინთელთა მიმართ. „ის, რომელიც ჩვენ თქვენთან ერთად გამატეცებს ქრისტეში და რომელმაც გვცნო ჩვენ, დმერთის, რომელიც აგრეთვე დაგვატეჭდა და მოგვცა ჩვენს გულებში სულის საწინდარი“. ცხებას (ბერძნულად ჯრმა – „ქსიდმა“) აქვს მეორე საკრამენტალური მნიშვნელობა – დაბეჭდვა – ჯვრის ნიშანი, რომელიც სრულდება წმინდა სამყაროზე. „ვადებ ბეჭედს“, „ვბეჭდავ“ – ქრისტიანი მწერლები ხმარობდნენ შემდეგი მნიშვნელობით: „ნიშანი“, „ვსახავ ჯვრის ნიშანს“. გამოთქმა „ჩვენს მკერდში“ მიუთითებს რომ ცხება წმინდა მირონით ხდება მკერდზე, რომელიც ყველაზე ახლოს არის ადამიანის გულთან, რომელიც არის საცხოვრისი წმინდა სულის მადლისა.

ეკლესია ყოველთვის ასრულებდა მირონცხების საიდუმლოს, როგორც დამოუკიდებელს, მაგრამ მონათვლასთან დაკავშირებულ საიდუმლოს. IV საუკუნეში საიდუმლო მირონცხების საშუალებით უშუალოდ მონათვლის შემდეგ სრულდებოდა. ამ ცხებით იბეჭდებოდა სხეულის სხვადასხვა ნაწილი: თავი, ნესტორები, ყურები, თითები – შემდეგი სიტყვების წარმოთქმით: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა წმინდისა მიერ“. თავად ცხება ხდებოდა ჯვრის გამოსახვით. მართლმადიდებელი ეკლესიის მოთხოვნათა წესებში მირონცხების წესი იბეჭდება მონათვლის წესებთან ერთად, საერთო სათაურით – „წმინდა ნათლობის თანმიმდევრობა“.

მირონცხების საიდუმლო შედგება ორი ცალ-ცალკე შესრულებული წმინდა მოქმედებისაგან: 1) დამზადება და კურთხევა მირონის და 2) ახლადმონათლუ-

ლის მირონცხება მდგდლის მიერ, რომელიც ხდება უშუალოდ მონათვლის საიდუმლოს აღსრულების დამთავრებისთანავე. მიუხედავად იმისა რომ ორი წმინდა მოქმედება ერთმანეთისაგან გამოყოფილია დროით, მათ შორის არსებობს მჭიდრო ორგანული კავშირი, როგორც წმინდა ნიჭთა კურთხევისა და მოწმუნეთა მიერთება ევქარისტიის საიდუმლოსადმი.

ძველ საყდარში მირონცხების საიდუმლო არ იყო გამოყოფილი დამოუკიდებელად, ის მონათვლასთან ერთად წარმოადგენდა ერთ მთლიანს და იყო მჭიდრო ორგანულ კავშირში ევქარისტიის საიდუმლოსთან. მოციქულთა სწორის კონსტანტინე დიდის დროიდან (IV საუკუნე) კათაცმეველთა მონათვლა ხდებოდა დიდ საეკლესიო დღესასწაულებში: ადგიომის წინ, ქრისტეს შობისა და დვთის განცხადების (ნათლისდების), წმინდა სამების, ამაღლების, ფერისცვალების, მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შევლისა და იერუსალიმში საყდრის განახლების დროს. ხშირად მონათვლას ამთხვევდნენ დიდ შაბათს, ქრისტეს შობის და ნათლისდების დღესასწაულებს, რაღგან ამ დღესასწაულებს წინ უსწრებდა მარხვები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოსანათლებს მიეღოთ ქრისტეს რჯული და აეთვისებინათ ეკლესიის დოგმატები. მონათვლის შემდეგ კონსტანტინეპოლის ეკლესიაში ახლადმონათლულები სიმღერით „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიდებიეს“ სამდვდელოების და ნათლიების თანხლებით, ანთებული სანთლებით მიემართებოდნენ სანათლავიდან საყდრისკენ.

საყდარში მთელი ეკლესიის კრების თანდასწრებით ხდებოდა მირონცხების საიდუმლოს აღსრულება და ახლადმონათლულები პირველად იდებდნენ მონაწილეობას ევქარისტიაში.

XI–XII საუკუნეებში მირონცხების განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მოსანათლავებს მოსავდნენ თეთრი სამოსით, ადგამდნენ გვირგვინს და ხელში აძლევდნენ სანთლებს. გვირგვინის

ქვეშ იგულისხმება სახვევი, რომელიც ფარავდა მირონცხებულის შებლს.

მონათველისა და მირონცხების შემ-
დეგ ახლადმონათლულს აზიარებდნენ
ლიტურგიაზე, რომელიც მოსდევდა უშუა-
ლოდ ამ საიდუმლოს.

XIV საუკუნეში მირონცხების საიდუმლოება სრულდებოდა შემდეგნაირად: კვერექსის შემდეგ იკითხებოდა ლოცვა, რომელიც ახლაც იკითხება, შემდეგ გალობდნენ „რაოდენთა ქრისტეს მიერნათელ გვიღების“, შემოუგლიდნენ ემბაზს და შემდეგ ცხებდნენ მირონს ახლადმონათლულს, სხეულის იმ ნაწილებზე, სადაც დღესაც ცხებდნენ.

მირონცხება XV საუკუნეში ხდება დოდა ფსალმუნის თანხელებით. სხეულის იმ ნაწილების გარდა, ომექლსაც მირონს ახლაც ცხებენ, XV საუკუნეში ზოგჯერ ხდებოდა ცხება გულზე, მუცელზე და მხრებზე. ზოგიერთი სიის თანახმად მირონცხების შემდეგ ახლადმონათლულს მოსავდნენ ზედა ტანსაცმლით. მღვდელი ამბობდა: „შეიძოსს მონა დვოთისა სამოსელსა სიმართლისასა“: ზედა სამოსლით შემოსვისას მღვდელი ამბობდა: „იხარებდეს სული შენი“.

XVI საუკუნეში მდვრელი ახლად-
მონათლულს მირონს ცხებდა სხეულის
იმ ნაწილებზე, რომლებზედაც დღესაც
ცხებდნ, მაგრამ უმატებდნენ გულს,
მუცელს და მხრებს. მირონცხების დროს
საჭირო იყო შემდეგი სიტყვების თქმა: ესე
არს ბეჭედი სულისა წმინდის ნიჟისა“,
თუმცა იყო სხვა დამატებები.

მირონცხების წესის აღსრულების
შემდეგ ყრმას შემოსავდნენ ახალი
სამოსით და ამბობდნენ შემდეგ სიტყვებს:
„იმოსება მონა დკონა“.

ლიბდა დამოუკიდებელ მსახურებად. ქელ
ეკლესიაში სამოციქულო და სახარება
იყო ლიტურგიის შემადგენელი ნაწილი,
რომელიც უშუალოდ მოსდევდა მონათვ-
ლას. ღვთისმსახურების წესებში დიდ
შაბათს შენარჩუნებულ იქნა შემდეგი
ჩვეულება, რომელიც ნათლად უჩვენებს,
რომ ლიტურგიული სამოციქულო და
სახარების სანახევროდ კითხვა ამ დღეს,
სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე
თანმიმდევრული აღსრულება მონათვლისა
და მირონცხებისა. XIV საუკუნეში ემპა-
ზის შემოვლა არ იყო, მხოლოდ გალობ-
დნენ: „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ
გვიდებიეს“.

ზოგიერთი მოთხოვნის ნუსხის მიხედვით XV საუკუნეში მირონცხების შეძლება ხდებოდა ახლადმონათლულების მიერ ამბიონის სამტკის შემოვლა.

სხვა კურთხევანის მიხედვით მირონ-
ცხების შემდეგ მღვდელი შედიოდა
საკურთხეველში და ოუ ახლადმონათლუ-
ლი ბიჭი იყო, შეახებდა ტრაპეზის ოთხი-
ვე მხარეს, ოუ გოგო, მაშინ ტრაპეზის
სამივე მხარეს, წინა მხარის გამოტოვე-
ბით. საკურთხევლიდან გამოსვლის შემ-
დეგ მღვდელი გალობდა, იწყებოდა
ლიტურგია და ახლადმონათლული ეზია-
რებოდა.

ХVI საუკუნის ძეგლების მიხედვით
მირონცხების შემდეგ მდვდელი და მიმრქ-
მელი წვილოან ერთად სამგზის შემოუგ-
ლიდა ემბაზს და ოუ ახლადმონათლული
ბიჭი იყო შეჰვავდა საკურთხეველში და
ოუ გოგო, მაშინ მიჟყავდა ის მხოლოდ
აღსავლის კარამდე.

ემაზონ შემოვლა

ემბაზის სამგზის შემოვლა შემოღებულ იქნა მას შემდეგ, რაც მონათვლისა და მირონცხების საიდუმლოების აღსრულების გაძიებით ლიტურგიას და ჩამოყალიბდა.

მირონცხაგული სხეულის ეფილების განეანგა

ძველი დროის ეკლესიის ტრადიციის
თანახმად, შვიდი დღის შემდეგ მირონ-
ცხების საიდუმლოს აღსრულებისა,
ახლადმონათლული მიდიოდა ტაძარში,
რათა მფაფლის ხელით განბანილიყო.

XVI საუკუნეში ახლადმონათლული
გალდებული იყო დასწრებოდა ქვიდი



დღის განმავლობაში დვთისმსახურებას, რომლის დროსაც მას ეჭირა ანთებული სანოელი, ხოლო მერვე დღეს სრულდებოდა მისი განბანვა. მღვდელი წარმოთქვამდა: „გუროთხეულ არს დმერთი ჩენი, რომელიც განწმინდავს და გაანათლებს ყოველ ადამიანს...“ და მღვდელი კითხულობდა ორ ლოცვას, რომელიც დღევანდელ მოთხოვნებში წაკითხულ უნდა იქნეს განბანვის წინ.

თმის შეკვეთა

ძველ ეკლესიაში მონათლულს თმას აჭრიდნენ ნიშნად იმისა, რომ მიედოთ დვთის დალოცვა. ამ ჩვეულებით ახლადმონათლული გამოხატავდა მზადყოფნას დვთისადმი თაგშეწირვისა.

XV საუკუნეში ზოგიერთი მართლმადიდებელი ეკლესიის წერილობითი ძეგლები მოგვითხოვდენ, რომ თმის შეკვეცა ხდებოდა ახლადმონათლულის შემოსვის შემდეგ, რასაც მოხდევდა ის ლოცვები, რაც დღესაც იკითხება.

ტაძრად მიზვანება

მონათვლის შემდგომი რიტუალი ტაძრად მიუვანებისა ფაქტიურად არის ჩვილის მონათვლის დასკვნითი ნაწილი. ის განსხვავდება ზრდასრულის მონათვლის დვთისმსახურებისაგან. ჩვილს არ შეუძლია იაროს ტაძარში და მიიღოს მონაწილეობა ეკარისტიაში განსხვავებით ზრდასრული ადამიანისაგან. ამიტომ ჩვილს აიყვანენ ხელში და შეჭყავთ ტაძარში.

„მოთხოვნების“ წესის თანახმად მღვდელი ჩვილს მიიღებს მომყვანისაგან, გამოხახავს მასზე ტაძრის კარებთან ჯგარს და ამბობს: „ტაძრად მოყვანება მონა დვთისა (სახელდება ბავშვის სახელი), სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ“.

ქრისტიანული ეკლესიის არსებობის პირველ საუკუნეებში ტაძრად მიყვანება ხდებოდა საზეიმო ვითარებაში. როგორც ამოწმებს II საუკუნეში ქრისტიანობის დამცველი წმინდა იუსტინე ფილოსოფოსი, მოსანათლავი შეჭყავდათ მორწმუნეთა კრებულში, სადაც ხდებოდა გულმოდგინე ლოცვა, როგორც მორწმუნეთათვის, ისე „გასანათლავთათვის“, ისე ყველა შეკრებილთათვის, რათა ისინი დირსნი გამხდარიყვნენ შეეცნოთ ჭეშმარიტება საქმეებით გამხდარიყვნენ კეთილი მოქალაქენი და შესაბამისად შეესრულებინათ აღთქმები...

წმინდა მირონის დამზადება

მოციქულთა დროიდან მირონცხების აღსასრულებლად გამოიყენებოდა კეთილსურნელოვანი ნივთიერება, რომელსაც „მირონი“ ეწოდებოდა. მისი დამზადება და კურთხევა ხდებოდა ძველი აღთქმის დროიდან. როგორც გვამცნობენ წმინდა მამები და ეკლესიის მასწავლებელთა წერილები, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მოსანათლავად ცხებისათვის „რაღაც კეთილსურნელოვან ნივთიერებათა ნარევი“, რომელიც იკურთხებოდა განსაკუთრებული წმინდა მოქმედებით „ტრაპეზზე“, ხოლო მირონის დამზადებისა და მისი კურთხევის უფლება პქონდათ მხოლოდ ეპისკოპოსებს.

მირონი მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიაში მზადდებოდა სუფთა ზეთისაგან (მას უმატებდენენ თეთრი ყურძნის დვინოს) და აგრეთვე ბევრ კეთილსურნელოვან ნივთიერებათაგან. მათი ჩამონათვალი და რაოდენობა არ იყო მკაცრად დადგენილი და ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ის ნივთიერებანი, რომელიც იმ დროისათვის პქონდათ ხელთ. 1671 და 1681 წლებში მირონის დასამზადებლად გამოიყენებოდა 53 დასახელების ნივთიერება, ხოლო 1691 წელს კი – 55, ხოლო მირონცხების აღსრულების წესის რეესტრში 1894 წელს მათი რიცხვი შემცირდა 50-მდე. ახლა მირონის დასამზადებლად



გამოიყენება 40-მდე სხვადასხვა ნივთიერება.

ძირითადი ნივთიერება, რისგანაც ამზადებენ მირონს არის უმაღლესი ხარისხის ზეთის ზეთი. ოქტორი ყურძნის ღვინო მირონის მომზადებისათვის საჭიროა იმისათვის, რომ ზეთი არ ააღდეს და არ მიიწვას. კეთილსურნელოვანი ნივთიერებიდან ჩვეულებრივ გამოიყენება საქმეველი, ვარდის ფურცლები, ის სურნელება ფა კალგანის ფესვები, ზეთები: მუსკატისა, ვარდისა, ლიმონისა, მიხაკისა და სხვა.

მირონის მოსახარშად ნივთიერებათა წინასწარი მომზადება ხდება დიდი მარხვის ჯვართამაღლების შვიდეულში. ოთხშაბათს ხდება მცირე კურთხევა წყლისა და მირონის ხარშვისათვის გამზადებული ნივთიერების დანამდა. ზეთის ნაწილს, რომელიც მომზადებულია მირონის დასამზადებლად, აურევენ ყურძნის ღვინოში და ხარშავებ ქვაბში. წვრილად დაჭრილ კეთილსურნელოვან ნივთიერებებს ასხამენ მოხარულ ზეთს და აყენებენ ორი კვირის განმავლობაში. დიდი მარხვის მეშვიდე კვირის ოთხშაბათს ზეთს ასხამენ ჭურჭელში, ხოლო ნივთიერებებს კვლავ დაასხამენ ყურძნის ღვინოს.

საზეიმო წესი მირონის ხარშვისა ხდება დიდი მარხვის ვნების კვირას.

დიდ ორშაბათს უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი (ანდა მისი კურთხევით მიტროპოლიტი) სასულიერო პირთა თანამსახურებით იწყებენ მირონის ხარშვას.

მირონის ხარშვის წარის სტამა

„კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი...“.

„მეუფე ზეცათაო...“.

„სამწმინდაობა“.

„მამაო ჩვენო“.

„უფალო შეგვიწყალენ“ (12-ჯერ).

„მოვედით თაყვანი-ვსცეთ“ (3-ჯერ).

142-ე ფსალმუნი.

ტროპარო: „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი იქსო ქრისტე...“ (ორჯერ).

50-ე ფსალმუნი.

წყლის მცირე კურთხევა.

წყლის კურთხევის შემდეგ ლოცვა, უფალ იქსო ქრისტეს მიმართ, აღმოუჩინოს დახმარება მირონის ხარშვის აღსრულებაში.

ჩამოლოცვა.

სხურება წმინდა წყლისა ნივთიერებისა მირონის მოსახარშვისა და ქვაბისა, წმინდა წყლის მცირე რაოდგნობის ჩასხმა წყალში.

სამდვდელოების კურთხევა ქვაბში ზეთისა და ღვინის ჩასხმისა.

პატრიარქის მარჯვენით ხდება კურთხევა ქვაბისა, ცეცხლის დანთება ქვაბის ქვეშ და წმინდა სახარების კითხვა.

წმინდა სახარების კითხვა სამდვდელოების მიერ უწყვეტად ხდება სამი დღის განმავლობაში. დიდ ოთხშაბათს, ქვაბში სადაც იხარშება მირონი, უმატებენ ყურძნის ღვინოს და კეთილსურნელოვან ნივთიერებებს.

დიდ სამშაბათს ქვაბში, სადაც იხარშება მირონი, უმატებენ ყურძნის ღვინოს და ზეთს, რომელიც მოხარუშეს დიდი მარხვის მეოთხე კვირას.

ეპისკოპოსის თანდასწრებით ოთხშაბათს მთავრდება მირონის ხარშვა და წმინდა მირონის გაციების შემდეგ ეპისკოპოსის კეთილი ნებით ქვაბში ისხმება კეთილსურნელოვანი ზეთი და უკელაფერს საგულდაგულოდ ურევენ.

მომზადებული მირონის კურთხევა

იმ საყდრიდან სადაც მომზადდა მირონი, იგი გადაქვთა საპატრიარქო ტაძარში და ტროპარის გალობით „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი იქსო ქრისტე...“ დგამენ მირონის სამსხვერპლოს სხვადასხვა მხარეს. ამავე დროს საყდრიდან საპატრიარქო ტაძარში შემოაქვთ ალაბასტრი – ჭურჭელი, რომელშიაც ინახება ძველი ნაკურთხი მირონი და უმატებენ მას თითოეული ჭურჭლიდან ახალ ნაკურთხ მირონის და დგამენ სამსხვერპლოზე.



დვთაებრივ ლიტერგიაზე დიდ ხუთშაბათს დიდი შესვლის დროს ჭურჭლები მირონით გადაიტანება ტრაპეზზე. ისინი მიაქვთ მღვდელმსახურებს ჩრდილოეთის კარით პატიოსან ძღვენებზე წინ.

პატრიარქი იღებს ალაბასტრს იმ მღვდლის ხელიდან, რომელიც პირველობს (მოთავეობს) პროცესიას და დგამს ტრაპეზზე. დანარჩენი ჭურჭლები იდგმება ტრაპეზის გარშემო.

ლიტერგიის ასამაღლებელზე „იყავნ წყალობა უფლისა“ პატრიარქი აკურთხებს მირონს.

მირონის პურისების წარის სმება

პატრიარქი სამგზის დალოცავს ჭურჭლებს, რომელშიაც ასხია მირონი და ამბობს: „სახელითა მამისათა და ძისათა, და სულისა წმინდისათა, ამინ“.

დიაკვანი: „უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

მღვდელმსახური საკურთხეველში: „უფალო შეგვიწყალენ“.

ლოცვა განწმენდისა, რომელსაც კითხულობს წინამდგრმი: „მშვიდობა ყოველთა“.

მგალობელი: „და სულისაცა შენისათა“.

დიაკვანი: „თავნი ჩვენნი უფალსა მოუდრიკეთ“.

ლოცვა, რომელიც საიდუმლოდ იკითხება წინამდგრმის მიერ.

სამგზის დალოცვა პატრიარქის მიერ კველა ჭურჭლისა, რომელშიაც ასხია ახლადნაკურთხი მირონი.

ყოველ ჭურჭელში ალაბასტრიდან ასხამენ ძველ წმინდა მირონს და ალაბასტრს ავსებენ ახლადნაკურთხი მირონით.

წმინდა საყდრის მიერ ლოცვითა და წმინდა მოქმედებებით მონათვლის საიდუმლოს აღსრულებისას ხდება ადამიანის გამოყვანა „სულიერი სიბნელიდან საკვირველ... ქრისტეს ნათელში“. უფალი

ამით ავსებს იმ „ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მოხვდნენ ხვედრში დვთის ძის გადარჩენის სახლმშენებლობაში. ახლადმონათლული ეკლესიის წევრები ხდებიან ამ „ხვედრში“ სულიწმინდის გადმოსვლისას – მირონცხებით.

წმინდა მეერგასეს დროიდან სულიწმინდის დვთაებრივი ძღვენი მიეცემა ყველას, ვინც გამოვიდა მოსახათლავ ემბაზიდან. და ყველაფერი, რომელსაც შეეხება სული წმინდა, იღებს ბეჭედს ძვირფასი საგანძუროსა, ანარეკლს მუდმივი სინათლისა, გულში ამოხეთქავს ახალი, წმინდა ცხოვრების წყარო, რომელიც არის დვთის ხების გამოსახვა. ადამიანის გონებას ის აწვდის სიბრძნის სულს. მისი საშუალებით ადამიანი ეუფლება სიმშვიდეს და დვთაებრივ ძალას. ამით ის იღებს ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრის ლირსებას, როგორც დვთის მეგობარს, რომელიც უყვარს დმერთს. ყოველივე ეს ერთობლიობაში არის სული წმინდის მადლი, რომელიც მის გულში ხსნის „საღვთო სჯულს“.

ეს მადლი არ დააყოვნებს გაამჟღავნოს თავი ადამიანის მისწრაფებისა, იაროს თავგანწირვის ვიწრო გზაზე, „დათრგუნოს სხეული თავისი ვნებებით და მისწრაფებებით და კეთილი საქმეებით ამგენცოს არსი რწმენისა, როგორც „აღსრულება მოსალოდნელისა და რწმენა უხილავისა“.

მირონცხების საიდუმლოს აღსრულება მოსახათლავს ხდის თანაზიარს სიწმინდისა და სინათლისა და საღვთო ცხოვრებისა, ხდება „წმინდა სულის მადლის კეთილსურნელების გამცემი“. როგორც დვთისმეტყველი პავლე ფლორენსკი წერს: „სული წმინდა არის უმაღლესი ზომა პიროვნების სულიერად შემოსვისა, სილამაზე და სილამაზის წყარო, რომელიც ყველაფერს ამშვენიერებს“.

ამიტომ ეკლესიის ახალია წევრი მირონცხებით სულს იღებს არა შინაგანად, არამედ სულით შეიმოხება და ამ დროიდან როგორც სულიერი ტანსაცმლით შეიმოხება, თითქოსდა შედის „მოძრავ საცხოვრისში“, რომელიც ადამიანს



იფარავს, იცავს და ყარაულობს. ეს სამოსი არის მისი განსაკუთრებული ღირსება და ეს სხვა არაფერია ოუ არა „გარსი დიდებისა“, არის სანთლით გარემოცვა განათლებული სულიწმინდით. ღირსი მამა სიმონ ახალი ღვთისმეტყველი ამბობს, რომ სული წმინდა მიმკვდარებულ კეთილ საქმეებს სულიერი ძალით, ძარღვებით აკავშირებს და აერთებს სიყვარულით ღმერთოა... მაშინ ჩვენ გვხდის მორჩილს მივაპყროთ მზერა სული წმინდის მადლს, რომელიც ზევიდან აღგაფრთოვანებს და გვავსებს მართლმორწმუნებს, და მივაპყროთ მზერა ღვთის მარჯვენას, რომელიც შეეხება ჩვენი გონების სიმებს და აღგაგზნებს, ჩვენ ვისაუბროთ როგორც მუსიკალურმა ინსტრუმენტმა.

ასეთი დიდი მადლი სული წმინდისა, რომელსაც იღებს მირონცხებისას ქრისტიანი, ავალდებულებს მას ახსოვდეს მოციქულის სიტყვები: „განა თქვენ არ უწყით, რომ თქვენ ხართ ღვთის ტაძარი და ღვთის სული ცხოვრობს თქვენში?“

როგორც განმანათლებელი კირილე იერუსალიმელი ბრძანებს: „წმინდა მირონი არის ძლვენი ქრისტესი და სული წმინდისა... და ხილული სახით სხეულს ეცხება მირონი, მაშინ წმინდა და მაცოცხლებელი სულით სული განიწმინდება“.

ახლადმონათლულის წმინდა მირონის ცხება

ახლადმონათლულზე მირონცხებისას მასზე გადმოდის სული წმინდა. ის მიეცემა ადამიანს როგორც ქრისტეს საბოძვარი, როგორც სიცოცხლის საბოძვარი. „სული – ამბობს ქრისტე, რომელიც პირდება მის მოსვლას – ჩემგან აიღებს და გაცნობებთ თქვენ“.

მადლი სული წმინდისა უბრუნებს ადამიანებს სულიერ ნიჭიერებებს, რომლებიც მათ დაკარგეს ჯერ კიდევ სამოთხეში, მოუწოდებს ადამიანებს განიმსჭვალონ პასუხისმგებლობის გრძნობით სამყაროს მიმართ და მზრუნველი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, მათში

იყოს მგრძნობელობა, როგორიც იყო იქსო ქრისტეში. მიღებული განძი მაშინ იქცევა შემოქმედებით ძალად ქრისტიანულ ცხოვრებაში, როცა იგი ერწყმის ღვთის ნების მორჩილებას. ოუ ქრისტე არის ცხებული, მაშინ მოსანათლიც ხდება ცხებული. ძე ღვთისა ქრისტე და მოსანათლავი მიიღება როგორც ძე, რომელიც სული წმინდის მეოხებით იღებს მონაწილეობას ზეციურ ცხოვრებაში. ახალ სულიერ თვითშეგნებაზე ადამიანში, რომელიც აღიძრება ადამიანში ამ დროს სულიწმინდის მეოხებით, ლოცულობს მღვდელი.

ბეჭედი – ეს არის ანაბეჭდი ადამიანზე მისი, ვინც მას ფლობს, ვინც შეინარჩუნებს და დაიცავს მის მთლიანობას. ბეჭედი ერთდროულად არის ნიშანი ადამიანის მაღალი ღირსებისა, რადგან ქრისტეში ის ხდება სული წმინდის გაძარი. „აჩუქე მას ღვთაებრივი განწმენდა სიცოცხლის მიმნიჭებული ცხება... შეინახე იგი შენს კურთხევაში, გააძლიერე მართლმადიდებლურ რწმენაში, დაიცავი ეშმაკისაგან – იღოცება მღვდელი, დაიცავი იგი მისი მოქმედებისაგან ისე, რომ ყოველ საქმეში და სიტყვაში კეთილად გემორჩილებოდეს შენ ღმერთო, რათა გახდეს ძე და მემკვიდრედ ზეციური სამეფოსი“. მღვდელი მირონს ცხებს ახლადმონათლულს სიტყვებით: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა წმინდისა მიერ, ამინ“.

იერუსალიმის არქიეპისკოპოსი წმინდა კირილე ასე ამბობს მირონცხების შესახებ: „შუბლი ცხებული გაქვთ, რომ „დია სახით“ უყურო უფლის დიდებას და გარდაიქმნას იმავე სახით დიდებიდან დიდებამდე, უფალი სულისაგან“. ყურების ცხების შედეგად თქვენ იღებთ ყურს რათა მოისმინოთ ღვთაებრივი საიდუმლო, რომელზედაც სოქვა წინასწარმეტყველმა ისაიამ: „ის აფხიზებს ჩემს ყურს, რათა მე ვისმინო...“, ნებტოების მირონცხებას შეჰვავს ადამიანი ღვთაებრივ სურნელებაში მირონისა, რათა მან მართლმორწმუნებებს უთხრას: „ჩვენ ვართ „ქრისტეს სურნელება“ რომლებსაც დმერთი გადაარჩენს“. და ბოლოს მკერდის ცხება შემოსავს საიდუმლოს მონაწილეს „სი-



მართლის ჯავშნით...“ რათა ის „ლოცუ-ლობდეს ყოველ დროს და ცდილობდეს ამაზე... მუდმივად“.

ამრიგად ბეჭდის მსგავსად წმინდა მიროცხების საიდუმლო ამტკიცებს ახლადმონათლულს, როგორც ღვთის ცხე-ბულს და ხდის მას „ცნობილად წმინდა ძალებისაგან, მთავარანგელოზისაგან და მთელი ზეციური ძალებისათვის, საშიშ ყველა ეშმაკეულის და უწმინდური დემონებისათვის“ (ლოცვა მირონის პურობევისას).

ემპაზის გარშემო სიარული და ფარილის პითხვის მოსმენა

მონათლული ქრისტეში, ქრისტეთი იმოსება – ამბობს ეკლესია, შემოატარებს რა მიროცხებულს წმინდა ემბაზის გარშემო, წრე ნიშნავს სისავსეს, სრულმნილებას, მუდმივობას. ხდება რა ქრისტეს მსგავსი – სული წმინდის ცხებულად – ქრისტიანი შედის წრეში, ამით აღინიშნება მისი მუდმივი კავშირი ქრისტესთან.

ემბაზის გარშემო სამგზის შემოვლა ეკლესიის ახალი წევრისათვის მთავრდება წმინდა წერილის კითხვის მოსმენით.

„უფალო – ჩემო განმწენდო და ჩემო მსხველო – ვისი შემებინდება? – კითხულობს ეკლესია მოსანათლავის სახელით – ...ვინ შემაძრწუნებს?“ მოციქულთა კითხვით ამტკიცებს თავის მჭიდრო ერთობას ქრისტესთან, რომელიც მიიღწევა ცოდვებისათვის, როდესაც შთაიფლება წყალში და მის მსგავსად აღდგომა – სიცოცხლით, რათა შეასრულოს მისი წმინდა ნება, განზრახვით „იყოს ცოცხალი ღმერთი“ ადამიანს განეშორება ყველგვარი შიში და მტკიცება სურვილი ბოლომდე იყოს ერთგული ღვთისა.

სახარებაში, ქრისტეს ახალ მოწაფებს უფლისა და მასწავლებლის ბრძანებას შეახსენებს: „ამიტომ წადიოთ და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ

ისინი მამისა და ძისა და სულიწმინდის სახელით.

ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. აპა, თქვენთანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე, ამინ“.

ლოცვა მოინდა მირონის ჩამოგანვისა

ოდესდაც მონათვლა შედიოდა საადგომო ღვთისმსახურებაში, რომელიც გრძელდებოდა მთელი კვირა და ქრისტიანული თემის წევრს აძლევდა გამოცდილებას „სიმართლისა და სიმშიდისა, სიხარულისა სული წმინდაში“. ადგომის წმინდა მსგავსი იყო დრო შეხებისა წმინდა ეკლესიის სულიერ არსოან: მონაწილეობდნენ რა ღვთისმსახურებაში და ისმენდნენ საიდუმლო შეგონებებს, მონათლულები განიწმინდებოდნენ სულითა და გულით, ეგემათ ქრისტეს სხეული და სისხლი, ეჩვეოდნენ „ეხილათ“ საიდუმლო იმ ცხოვრებისა, რომელსაც „თვალი ვერ ხედავდა, ყურს არ ესმოდა, მაგრამ რომელიც ღმერთმა „განუცხადა მათ ვისაც უყვარდა იგი“. ამ დღეებში განცდილის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მონათვლით განახლებული ადამიანის ბუნებაში მტკიცდებოდა საიდუმლო და სულიერება, რათა გამხდარიყო ნამდვილ საწყისად ბრძოლისა, რომ გაემარჯვა სიცოცხლის „ახალ“ შინაარსს „ძველზე“ პიროვნებაში, სამყაროში და გარემომცველ ცხოვრებაში.

სახარებიდან ეკლესიამ იცის, რომ ჩვენი გადარჩენის მტერი, რომელიც დაამარცხა მაცხოვარმა ჩვენმა ქრისტემ, არ აკლებს მცდელობას თუ შესაძლებელია შეაცდინოს რჩეულებიც. ეკლესიის ახალი წევრი უბრუნდება რა ყოველდიურ ცხოვრებას, იგი გრძნობს მცდელობას ბოროტისაგან, რომ იგი აცდუნოს. ამიტომ ის რომ დარჩეს ქრისტეს მოწმე, მართლადიდებელი ღვთის მეუფებით, ახალი ქრისტიანი მიდის ტაძარში, სადაც განიბანება და მღვდლის ლოცვით იღებს



მტკიცებულებას, რომ იგი რჩება დვთის მეუფებაში.

მღვდელი ლოცვაში სთხოვს დმერთს „დვთაებრივ დახმარებას, რათა ახლადმონათლულის გული გაცისკროვნდეს წმინდა დვთის ხატებით, რათა მას ურყევად ეცყრას რწმენის ფარი, უხრწენელების სამოსი და სულიერი ბეჭედი მირონცხებისა“.

„მეუფეო უფალო დმერთო...“ – აგრძელებს მღვდელი და შემდეგ კითხულობს მესამე ლოცვასაც, ამის შემდეგ მონათლული შეიმოსებოდა ყოველდღიური სამოსით, ხოლო მღვდელი წყლით გაუდენილი დრუბლით მობანდა ნაცხებ წმინდა მირონს.

ლოცვა თმის აღპვეცისა

ლოცვა თმის აღპვეცისა, ეს არის საზეიმო პიმნი დვთის სიბრძნისა, რომელმაც შექმნა ადამიანი – გვირგვინი ყოველივე შექმნილისა.

ჯვრისებრი აღკვეცა თმისა ნიშნავს ბოროტი ნებისაგან განკვეთას და ახლადმონათლულის მზადყოფნას დაემორჩილოს ყოვლადწმინდა დვთის ნებას, რომელიც უფალმა აუწეს წმინდა ეკლესიას.

კვერექსით მთავრდება მონათვლის საიდუმლო დვთისმსახურებისა და მირონცხებისა. ხდება მიმრექმელთა მოხსენება.

ჰაძრად მიზვანება

ტაძარში შესვლა ჩვენ მოვიპოვეთ იქსო ქრისტეს მიერ ჩვენს მაგივრად ჯვარზე წამებისათვის.

ქრისტეს ეკლესიის ახალი წევრი მოიკვანება ტაძარში ჯვრის სახით, რომელიც ადიბეჭდება ჩვილის მიერ ტაძრად მიყვანების სიტყვებში.

ნათელდებული ადამიანი სულიერად იბადება ქრისტეს სხეულში – ეკლესიაში. ტაძრად მიყვანების წესით ხილულად მიეკუთვნება უფლის საყდარს, ადგილს ლოცვისა და მოწიწებულ ურთიერთობას უფალთან ეკლესიის საიდუმლოებებში.

რატომ ინარჩუნებს დღესაც აძლევანდას იოანე ზოსიმე-შებაი და დიდებაი შართულისა მნისაი

იღუმენი დუქა ფალავანდიშვილი

იოანე ზოსიმე მე-10 საუკუნის ქართველი სასულიერო მწერალია, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ მწირე ისტორიული ცნობების შემორჩენილიო, მისი ნაშრომი თუ გადაწერილი „ქბაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ აქტუალობას დღესაც არ კარგავს. უამრავი მკვლევარი შეხებია ამ ნაწარმოების სხვადასხვაგვარად წარმოჩინებას, გაშიფრვას, მისტიური დატვირთვის მიცემას თუ სამომავლო გზაგნილად აღქმას. საქართველოს ისტორიული მოცემულობიდან გამომდინარე იოანე ზოსიმესეულ ამ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, რადგან საქართველოს ახლაც აქვს ეგზისტენციალური პრობლემები მოსაგვარებელი, შესაბამისად, ქართული ენის დიდება ერთგვარ ნუგეშადაც ევლინება ჩვენ საზოგადოებას. გარდა ამისა, იოანე ზოსიმე სასულიერო პირი გახლდათ და მისი ე.წ. კონცეფცია ქარტული ენის სიდიადის შესახებ გაზიარებული აღმოჩნდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც, რომელმაც ქართული ენის სენინების დღეც კი დააწესა „ლაზარეს შაბათს“, სწორედ, იმ მიზანმიმართულებით, როგორც იოანე ზოსიმეს აქვს პარალელი მოყვანილი ლაზარეს აღდგინებასა და ქართული ენის აღმოჩნდების შესახებ. აქედან გამომდინარე, ტანამედროვე საქართველოს ეკლესიის ეორტოლოგიური დღის წესრიგი ებმიანება მე-10 საუკუნის მოღვაწის მსოფლმხედველობას, რაც საკითხის აქტუალობას დღესაც დღის წესრიგში ტოვებს. ზემოქმედიდან გამომდინარე ჩვენ მიზნად ვისახავთ:

1. შევისწავლოთ იოანე ზოსიმეს „ქბაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ს ტექსტოლოგია ოეოლოგიურ კონტექსტში



2. მოვახდინოთ იდენტიფიცირება და სისტემატიზირება იოანე ზოსიმეს მიერ მოყვანილი თეოლოგიური მოსაზრებები

3. განვიხილოთ და გავაანალიზოთ იოანე ზოსიმეს მიერ გამოთქმული დებულებები-კაცობრიობის ისტორიის დასასრულის, გამოხსნის, ეროვნულობის შესახებ ქრისტიანული მოძღვრების დისკურსში.

4. ახლებურად გავაანალიზოთ და შევაჯეროთ იოანე ზოსიმეს ქართული ენის დიდების შესახებ სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები

5. დავადგინოთ იოანე ზოსიმეს მიერ ეწ. სახოწარკვეთილ-საწინასწარმეტყველო თხზულების დაწერის რეალური მიზეზები

მიუხედავად იმისა, რომ იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქარტულისა ენისაი“ მრავალმა მკვლევარმა შეისწავლა და საკუთარი, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის გამომრიცხავი, მოსაზრებები შემოიტანა სამეცნიერო სივრცეში, არასდროს მომხდარა აღნიშნული ნაშრომის ქრისტიანული დვთისმეტყველების ჭრილში განხილვა. მით უფრო, რომ ავტორი სასულიერო პირია, რომელიც სახელგანთქმულ ეკატერინეს მონასტერში, სინას მთაზე მოღვაწეობდა და ნაწარმოებიც ქრისტიანული თემატიკით და სიმბოლიკით არის გაჯერებული. ჩვენ მიერ პირველად მოხდა იოანე ზოსიმეს მიერ გამოთქმული მოსაზრებების საღვთისმეტყველო ანალიზი და თავსებადობის თუ არათავსებადობის დადგენა ქრისტიანულ მოძღვრებასთან. ასევე მრავალ მკვლევართა ნააზრევიდან გავიზიარეთ პროფესორ, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოსაზრებები ენის შესახებ, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და რეალურად წარმოაჩენენ სახოწარკვეთილ-საწინასწარმეტყველო ლაიტ-მოტივს იოანე ზოსიმეს შემოქმედებაში, შესაბამისად, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაპერება.

1. იოანე ზოსიმეს მიკუთვნებული ტაქტის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ თეოლოგიური მოსაზრებების ქრისტიანული მოძღვრების დისკურსში გაანალიზების შედეგად, რომელიც ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორიცაა კაცობრიობის ისტორიის დასასრული ანუ ესქატოლოგია, სოტეოროლოგია, ეროვნულობა, არათავსებადია და დიამეტრალურად განსხვავებულია ორიათასწლოვან ქრისტიანულ საღვთისმეტყველო გამოცდილებასთან

2. ენა თუ იდენტურია ერთან (ზ. გამსახურდია), მაშინ ბუნებრივად დგება საკითხი, თუკი იოანე ზოსიმე მე-10 საუკუნის მოღვაწეა, შესაბამისად, დამცორებული ენა, ანუ ერი აღნიშნული საუკუნის ქართველი ერის და ენის ისტორიულ ანარეკლს წარმოადგენს. პროფესორ, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოსაზრება სავსებით ლოგიკურია, როცა განიხილავს მე 10-საუკუნის საქართველოს ისტორიულ ვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფო ამ პერიოდში დაშლილია, წარმოქმნილი სამეფო-სამთავროებში ქართველი ერი დაუბრკოლებლივ საუბრობს ქარტულ ენაზე და ამავე ენაზე ადასრულებს წირვა-ლოცვას. ამგვარი მდგომარეობა აფხაზთა სამეფოში, თუ კახეთ-პერეთში თუ ბაგრატოვანთა „ქართველთა სამეფოში“, უფრო მეტიც, თბილისის საამიროშიც კი ქართველები დაუბრკოლებლივ ადასრულებენ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას, ამირები აგებენ ეპლუსიებს და იყო შემთხვევაც, როცა ქართველმა ბერებმა ბაგრატ მეოთხეს თბილისის გასაღებიც კი გადასცეს. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე არც ქართველი ერი და არც ქართული ენა არ იდევნება, არც დაკინებულია და არც დამცორილი. მისი მაღალყოვლადუსამდგელოებებია ანანია (ჯაფარიძე) სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქართული ენის დამცორება არა აღნიშნულ ქართულ ტერიტორიებზე უნდა ვეძებოთ, არამედ ისტორიულ ქართულ მიწებზე, რომელთა არმენიზაცია მოხდა, რომლის დაწყება,



როგორც სტრაბონი აღწერს ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე მე-2 საუკუნეში მოხდა მცირე არმენის მხრიდან ქართული მიწების ანექსიის შედეგად (გოგარენა, ტაო-კლარჯეთი და სხვ.). ქრისტიანობის მიღების შემდეგ უკვე ამ ტერიტორიებზე სომხეური ეკლესია მძლავრობს, რომლის შედეგად ქართველები სომხეური ეკლესიის წევრები აღმოჩნდნენ და იძულებული იყვნენ წირვა-ლოცვა სომხეურ ენაზე აღეჭლინათ. იოანე ზოსიმეს ტექსტის სასოწარ კვეთილ-წინასწარმეტყველური ოსრობა ზუსტად შეესაბამება არმენიზებული ქართველების მძიმე ხვედრს, რომელთაც საკუთარი ენა დამცრობილი და დაკნინებული პქონდათ, ასევე არა გამორიცხული, რომ თავად იოანე ზოსიმეც სწორედ ამ რეგიონიდან ყოფილიყო წარმოშობილი.

შრისტიანული პოზიცია პრობრძნის მიმართ

ელპიდე (ია) ლათინური შეილი

ადამიანის ცხოვრება, კაცობრიობის ისტორია ღრმა აზრითაა განმსჭვალული. ეს მტკიცება ბუნებრივად გამომდინარეობს ქრისტიანული შეხედულებიდან სამყაროზე, როგორც ყოვლადბრძენი და ყოვლადსახიერი უფლის ქმნილებაზე.

ქრისტიანული სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ნაწილია დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანისთვის საკუთარი ცხოვრების სულიერი და ხორციელი სისავსის მისაღწევად აუცილებელია, გამოცდილებით დარწმუნდეს თავის არასრულყოფილებაში, მიხვდეს, რომ არ შეუძლია ადამიანობის იმ იდეალისა და ზნეობრივ-სულიერი ცხოვრების ისეთი სისპეჩაკის მიღწევა, რომელიც ასე ნათლადაა მოცემული ქრისტესა და მის სახარებაში (ამას შეიგრძნობს და განიცდის ადამიანი საკუთარი სულის სიღრმეში). ამ განცდას იგი მიჰყავს საკუთარი სულიერი მდგომარეობის დამდუპველობის შეგნებამდე და ჩადენილი ცოდვების გამო სინაულამდე. ყოველივე ამის გააზრება ადამიანს ქრისტეს მირების უნარს ანიჭებს, მხსნელი დმერთის, ქრისტე დმერთის აუცილებლობას დაანახებს. ადამიანურ ცხოვრებას ქრისტესთან ზიარებით ეძლევა აზრი, რითაც თვით ისტორიის საზრისიც ხორციელდება.

შემეცნების ასეთ გზას ორი განზომილება აქვს: პირადი და საზოგადო.

პირველი ადამიანის შინაგან ცხოვრებას ეხება: როცა ის მთელ ძალის-ხმევას მოახმარს სინდისის კარნახითა და სახარების მცნებათა მიხედვით ცხოვრებას და რწმუნდება, ერთი მხრივ, იმაში, თუ რამდენად არასრულყოფილი, სუსტი, სულიერად დასწეულებულია საიმისოდ, რომ ქრისტესავით სპეტაკი, წრფელი და მოსიყვარულე იყოს, მეორე მხრივ კი – იმაში, თუ როგორ იცვლება სინაულითა და ლოცვით მისი შინაგანი და, მასთან ერთად, გარეგნული ცხოვრებაც დამოისკენ შემობრუნების შემდეგ. თუ ყოველი



ადამიანი საქუთარ ცხოვრებას უურადღებით გაანალიზებს, დარწმუნდება, რომ მისი სიკეთე და ბედნიერება მხოლოდ ღმერთის ერთობაშია შესაძლებელი, ეს უკანასკნელი კი სწორი და მართალი ქრისტიანული ცხოვრებით მიიღწევა.

მეორე, სოციალური განზომილება ცხოვრების გარეგნულ მხარეს ეხება. მასზე დაკვირვება ააშკარავებს შედეგებს კაცობრიობის პროგრესისა, რომელიც არ საჭიროებს ღმერთს. კაცობრიობის განვითარების ისტორიული პროცესი ცხადად მეტყველებს მისი მოღვაწეობის ნაყოფზე, რომელიც უკვე ცალკეულ ადამიანთა სულების საიდუმლო კი არა, ობიექტური ფაქტებია. ისინი ძალაუნებურად გვაიძულებენ, ჩავუფიქრდეთ მათი წარმოშობის პირველმიზეზებს.

ამგვარად, ქრისტიანული შეხედულებით, ისტორიის საზრისი არის ის, რომ ყოველი ცალკეული პიროვნება და მთლიანად კაცობრიობა საქუთარი ნამოღვაწარის შეცნობით დარწმუნდეს ეგრეთ წოდებული „თავისუფალი“, დვთისაგან დამოუკიდებელი ცხოვრების დამდუპველობაში და მიხვდეს ქრისტე მაცხოვრის აუცილებლობას. ამის გაგება ადამიანური ცხოვრების უმთავრესი შენაძენი და მისი ჭეშმარიტი აზრია, რამდენადაც იგია ადამიანის ცხონების საწინდარი.

ქრისტეშობიდან მეორე საუკუნემ განსაკუთრებულად ბევრი რამ მოგვცა ამ აზრის და, მასთან ერთად, ღმერთის იდეისა და ქრისტესაგან მომწყდარი პროგრესის უაზრობის შესაცნობად. ამ საუკუნის მიწურულს ისე, როგორც არასდროს, ადამიანური მზერის წინაშე მკაფიოდ გამოჩნდა ის უფსკრული, რომლისკენაც მიგვაქანებს და მისი გარეშე „განაწილების“ დაუოკებელი ჟინი. ახლა ცხადი ხდება, რომ ადამიანური აზრისა და მოღვაწეობის მთელი ის გიგანტური ძალისხმევა, რომელიც დედამიწაზე „უღმერთო სამოთხის“ შესაქმნელად იყო მიმართული, ამაო გამოდგა და კაცობრიობა სრულიად საპირისპირო შედეგებამდეც კი მიიყვანა. მესამე ათასწლეულის მიჯნაზე კაცობრიობა ისეთი

კრიზისის წინაშე დგას, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ადამიანის კეთილდღეობას, არამედ თვით სიცოცხლის არსებობასაც დედამიწაზე.

ჩვეულებრივ, ვარაუდობენ, რომ ყველა ეს კრიზისი გამოწვეულია სოციალურ-პოლიტიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათის შეცდომებით და ცოდნის პროგრესთან ერთად თანდაობა აღმოიფხორდება. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ისტორია სულ სხვა რამეზე მეტყველებს, იმაზე, რასაც ქრისტიანობა უკვე ორი ათასი წელია, ამტკიცებს. სულ უფრო და უფრო მოახლოებული კატასტროფის მიზეზებს ფესვები იმ ცრუიდებში აქვთ გადგმული, რომლითაც კაცობრიობა დასაბამიდანვე ცხოვრობს.

მაგალითისათვის დავსვათ მარტივი შეკითხვა: რას ექცევა უურადღება ადამიანის აღზრდა-განათლებაში? უეჭველია, მხოლოდ იმას რომ პიროვნებას მიეცეს რაც შეიძლება მეტი ცოდნა, პროფესია, ინტელექტუალური განვითარების საშუალება, ეზიაროს კულტურას, მიიღოს მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის მაქსიმუმი და მოახერხოს, სამუდამოდ მოეწყოს აქ, დედამიწაზე. სიკადილი კი, როგორც მარადიული ცხოვრების შესაძლებლობა, არავის ახსოვს. იშვიათად, ძალიან იშვიათად, აღზრდას მიზანს წარმოადგენს სპეციალისტება, რომლის სიცოცხლის აზრიც ამქვეწიური ცხოვრებისთვის აუცილებელი მიწიერი კეთილდღეობა კი არ იქნება, არამედ წარუგალი, მარადიული ზნეობრივი და სულიერი ლირებულებები. ამქვეწიური საზრუნავით გატაცებულმა კაცობრიობამ სრულიად განდევნა საუკუნო ცხოვრების ადეა, არადა, სხვას რას შეიძლება ჰქონდეს აზრი? აზრი ხომ სიცოცხლეშია და არა სიკადილში. „აქ“ – აი, ის კოდი, რომელიც განსაზღვრავს კაცობრიობის ცხოვრებას მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე: მის ფიქრებს, შემოქმედებას, იმედებს. მართლმადიდებლური თვალსაზრისით, სწორედ ძალების ამგვარ მიმართვას მიზნისკენ – „აქ“, მიჰყავს



კაცობრიობა არა სავარაუდო საყოველთაო სამოთხემდე, არამედ საბოლოო, პლანეტარულ ტრაგედიამდე. ასეთია ადამიანის გულის და გონების ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური ცოორილება. ამასთან დაკავშირებით, ინტერესს მოკლებული არ იქნება შემდეგი ფაქტის მოხმობა: ყოფიერებაში გარკვეული იერარქიული, წეობა არსებობს. უძღაბლესია ფიზიკური დონე. შემდეგ მოდის ბიოლოგიური. ამ გადასახედიდან ფიზიკური სამყარო ელემენტარულად მოგვეჩვნება. ბიოლოგიურ დონეს, თავის მხრივ, ადგმატება ფსიქოლოგიური. იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად აჭარბებს იგი ბიოლოგიის მოთხოვნებს და ვერ ერგება მის კანონებს, გავისხენოთ ის საოცარი ძალა, რომელიც უძლევა ფიზიკურად უძლეურ ადამიანს გააფორმების ქამს, ან რა საშინელ დატვირთვას უძლებს ჯარისკაცი საბრძოლო მოქმედებების დროს. კიდევ უფრო მაღალი საფეხური, რომელსაც ექვემდებარება ადამიანში როგორც ბიოლოგიური, ისე ფსიქოლოგიური მხარეები, არის ზნეობრივი დონე. ადამიანი მზადაა, სამართლისა და სინდისის გამო უარი თქვას მთელ თავის კეთილდღეობაზე და მეტიც, – თვით სიცოცხლეზეც. ასეთ შემთხვევებში მოვალეობასთან, სინდისთან და ჭეშმარიტებასთან შედარებით, ადამიანის თვალში სიცოცხლეც კი უფასურდება.

მაგრამ ყოფიერების მწვერვალსა და ცენტრს წარმოადგენს სულიერი დონე, რომელთან მიმართებაშიც თვით ზნეობაც კი მეორადი და დაქვემდებარებულია. ამიტომაა, რომ ადამიანის სულიერი მდგომარეობა განსაზღვრავს მის მთელ ცხოვრებას, თუმცა თვით იმ ურთიერთკავშირების კანონზომიერებანი, რომელიც ადამიანის სულსა და მისი ძალისხმევის დანარჩენ მხარეებს შორის არსებობენ, საიდუმლოდ რჩება.

რა არის სულიერება და რითი განსხვავდება იგი ზნეობისაგან? პავლე მოციქული გვმოძღვრავს: „ნაყოფი სულისა არს: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, მარხვაი, მოთმინებაი... ხოლო ქრისტესთა მათ ჭორცი თვხნი

ჯუარს აცუნეს ვნებითურთ და გულის თქმით. უკეთუ სულითა ცხოველ ვართ, სულითაცა ვეგნეთ. ნუმცა ვართ მზუაობარ, ურთიერთარს მაბრალობელ, ურთიერთარს მოშურნე“ (გალ. 5,22-26). ესე იგი, სულიერება – ეს არის სულის მდგომარეობა, რომელსაც გარკვეული, ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი თვისებები გააჩნია. ეს თვისებები მეტყველებენ სულის განწმენდაზე შინაგანი ჭუჭისაგან. უპირველეს ყოვლისა – ამარტივნების, „დიდებისმოყვარეობის, ვერცხლისმოყვარეობის და გემოთმოყვარეობასაგან“ (აბბა დოროთე), რომლებიც, თავის მხრივ, უამრავ სხვა ვნებას წარმოშობენ. რამდენადაც ადამიანის სული გარეშე თვალისოვის დაფარულია, თითქმის შეუძლებელია, დავადგინოთ მისი სულიერების ხარისხი. რაც შეეხება ზნეობას, ეს არის ადამიანის ურთიერთობის ხასიათი გარე სამყაროსთან, უპირველესად – მოყვასთან, საზოგადოებასთან. იგი ადამიანის საქციელით ფასდება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საქციელის შინაგანი მოტივები სხვებისთვის, უმეტესწილად, დაფარული რჩება. ამიტომაც, ადამიანის ყველა ზნეობრივი ქმედება შეუძლებელია იყოს იმავდროულად სულიერი, ესე იგი, სიკეთის უანგარო წადილით, ანუ სიკეთის გამო ჩადენილი. ასეთ შემთხვევაში, ზნეობა არასულიერი აღმოჩნდება, მადალზნეობრივი ადამიანი კი – „წმინდანი – სატანა.“

ადამიანის სულიერების ხასიათსა და ხარისხს, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს ის მიზანი, რომელსაც იგი ისახავს ცხოვრებაში. ზოგი თქსლი კეთილმარცვალს შეიცავს, ზოგიც – ბოროტს. მათგან ნაყოფებიც შესაბამისი აღმოცენდება, ასევეა ადამიანის ცხოვრებაც. იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს ადამიანი, მისი ცხოვრება ან ჯანსაღი და სწორია, ან – არანორმალური და გონიერებას მოკლებული. ამიტომაც, საბოლოო მიზნის წინაშე ყველაფერი დანარჩენი, უკეთეს შემთხვევაში, საშუალება ხდება, უარეს შემთხვევაში კი – უფასურდება და იქელება. აქედან გამომდინარე, თუ ადამიანის უმაღლესი მიზანი არის



ტქბობა, დიდება და სიმდიდრე, მაშინ ყველაფერი დანარჩენი – ჭეშმარიტება, სიმართლე, სინდისი, მოყვასი, სამშობლო, ბუნება და თვით უფალიც, ზედმეტი ხდება. თუ ამ მიზნისკენ უკვე ცალკეული ადამიანები კი არა, მთელი ხალხები და მთლიანად კაცობრიობა ისწრაფვის, განაცხადი არაა, რა მთელის მთელ ამ „დასახლებულ კოსმოსს?“ თანამედროვეობის მისწრაფებებზე დაკირვებით ამის ამოკნობა ძნელი არაა. პიროვნებისა და საზოგადოების სულიერი მდგომარეობა არის თავისებური „საშვილოსნო ხსნარი“, რომელიც ადამიანური ყოფიერების ყველა უძდაბლესი დონის „პრისტალებს“ ბადებს, რამეთუ განსაზღვრავს ადამიანის მთლიანი ძალისხმევის მიზანმიმართულობასა და შინაარსს. სული თვითონ ქმნის ფორმებს: როგორიცაა სულიერება, ისეთივეა ადამიანური შემოქმედების ნაყოფიც. აი, რითი შეიძლება აიხსნას ჩვენი ცივილიზაციის კრიზისი. ეს არის ადამიანის ცხოვრების ძირითადი კანონიც. ქრისტემიგი ნათლად ჩამოგვიყალიბა შემდეგ სიტყვებში: „ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა დმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მთ. 6,33). ეს შეგონება შეიძლება წავიკითხოთ სხვაგვარადაც: თუ უპირველესად დვთის სასუფეველსა და მის სიმართლეს არ ეძიებთ, ვერაფერს მიაღწევთ. ასეთია ქრისტიანული, უფრო ზუსტად – მართლმადიდებლური პასუხი თანამედროვეობის უმთავრეს კითხვაზე: რატომ ხდება, რომ კაცობრიობა სრული ამქვეუნიური ნეტარების ტრიუმფს კი არ უახლოვდება, არამედ საშინელი სისწრაფით მიექანება საბოლოო და შეუქცევადი ტრაგედიისკენ? პროგრესი, რომელიც უარყოფს ღმერთსა და ქრისტეს, ბოლოს და ბოლოს, რეგრესად იქცევა, ცივილიზაცია მთავრდება გაველურებით, თავისუფლება – დესპოტიზმითა და მონობით. დვთის ხატამოცილებული ადამიანი აუცილებლად ჩამოიცილებს – და უკვე იცილებს კიდეც – ადამიანის ხატებასაც და მხეცის ხატის შემოსვას მოიწადინებს.

ქრისტიანობა მოგვიწოდებს, სანამ გვიან არ არის, გადავსინჯოთ და გამოვასწოროთ ცივილიზაციის განვითარების ის საბედისწერო გზა, რომელსაც დასაბამი დაედო მაშინ, როცა ადამიანმა პირველად შესცოდა, პირველად შეიძყრო ცოუნებამ, მოეწყვიტა სრულყოფილი ცოდნის („კეთილისა და ბოროტის“ ცნობის) ხის ნაყოფი და ამქვეყნად თვით გამხდარიყო ღმერთი ღმერთის გარეშე – რაც განსაკუთრებული ძალითა და სულ უფრო მეტი დაუინებით ხორციელდება ჩვენს დროში. მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ხელს ავიდებთ მაგერიალიზმები, როგორც პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპზე, ყოველი ჩვენგანი შევუდგებით ჭეშმარიტ სინანულს და უფალს წრფელი სინდისით ცხოვრებას ადვუტქამთ. შესძლებს კი კაცობრიობა გაიცნობიეროს თავისი, უპირველეს ყოვლისა, სულიერი მდგომარეობის დამღუპველობა და მისი წარმოშობის მიზეზი? თუ ამას შევიცნობთ, ადამიანის ცხოვრებისა და კაცობრიობის ისტორიის საზრისსაც გავიგებთ და მესამე ათასწლეულში ჩვენს სამყაროში დადგებითი ცვლილებების განხორციელების იმედიც გაჩნდება.



ონის სინაზობა

ი. გორგიძე, მ. იაშვილი, ნ. იაშვილი,
ქ. მახაშვილი

ისტორიკოსების უმრავლესობა თვლის, რომ სინაგოგები დაახლოებით ოცდახუთი საუკუნის წინ გაჩნდა, როდესაც ბაბილონში განდევნილი ებრაელები იკრიბებოდნენ ერთმანეთის სახლებში. შემდეგში კი ცხადია წარმოიქმნა აუცილებლობა აგებულიყო სპეციალური შენობა ლოცვისათვის და ებრაელთა წმინდა წიგნის – თორას შესწავლისათვის.

სინაგოგა ბერძნული სიტყვაა და საკრებულო სახლს ნიშნავს. სინაგოგა ებრაელთა ტაძარია, სამლოცველო სახლია: ივრითზე მას „ბეით ქნესეტი“ ანუ შეკრების ადგილი (სახლი), ხოლო ებრაელთა მეორე ენაზე იდიშზე – „შულ“, სკოლა ეწოდება.

საქართველოში მეოცე საუკუნის ბოლოსათვის ოცი სინაგოგა ფუნქციონირებდა. ჩვენს დედაქალაქში დღეისათვის ორი სამლოცველო სახლი მოქმედებს. სინაგოგებია აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებში: ქუთაისი და ახალციხეში, ბათუმსა და სენაკში, საჩხერეში, ფოთში, გორში, ცხინვალში და სურამში.

დღეს ბევრი მათგანი უმოქმედოა, რადგან მკვეთრად შემცირდა ებრაელთა რაოდენობა.

ჩვენს ქვეყანაში მდებარე სინაგოგებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული და ლამაზი ონის სინაგოგაა, რომელიც ვარ-შავის სინაგოგის პროექტით 1895 წელს აიგო. ონის სინაგოგა ე.წ. მავრიტანული არქიტექტურული სტილის თვალსაჩინო ნიმუშია. სინაგოგის აშენებამდე ონელ ქართველ ებრაელებს ჰქონდათ ძველი სამლოცველო, მაგრამ იგი მეტად პატარა იყო და მსურველებს ვერ იტევდა. ამიტომ ონის ებრაელობამ გადაწყვიტა აეგო დიდი ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა მთელ საქართველოში.

ახალგაზრდა ელია ამშიკიშვილი ონელ ებრაელობას საერთო ხარჯით განათლების მისაღებად ჯერ ქ. მოსკოვში გაუგზავნია, შემდეგ კი იგი კრაკოვსა და ვარშავაში სწავლობდა. ამ ქალაქებში იმ

დროისათვის ებრაელთა ცნობილი სასულიერო ცენტრები არსებობდა. სწავლის დასრულების შემდეგ ელია ამშიკიშვილი რაბინად აცურთხეს და მათთან დარჩენა შესთავაზეს. მაგრამ მან უარი განაცხადა და ვარშავის რელიგიურ წრეებს ონში სინაგოგის ასაგებად დახმარება სთხოვა, იქვე შეუკეთა სინაგოგის პროექტიც.

ევროპაში მყოფი ელია ამშიკიშვილი დაუკავშირდა ცნობილ ებრაელთა ბანკირებსა და ფინანსისტებს ნათანიელ როტმილდეს, ხოლო შემდეგ კი ცნობილ გამომგონებელს ალფრედ ნობელს.

ბანკირი როტმილდი მოუხიბდლავს განსწავლულ და უცხო ენებზე მოსაუბრე ახალგაზრდა ქართველ ებრაელს. საერთოდ როტმილდების ოჯახი ღრმად მორწმუნებ იყო და ამიტომ როტმილდმა ქართველი ებრაელი ბაქოსი თავის ბიძაშვილებთან დააკავშირდა. ამავე დროს მან დაავალა ფირმის წარმომადგენელს ქ. ბათუმში, წარმომობით ებრაელს სტრადლაგსის დახმარება აღმოენინა ე. ამშიკაშვილისათვის.

ონის ტაძრის აგებას სათავეში ჩაუდგა ონელი ხახამი ელია ამშიკიშვილი, რომელმაც მოახერხა და პოლონეთიდან ჩამოიტანა სინაგოგის პროექტი. ფეხზე დადგა პატარა ქალაქის ებრაელობა: ზოგი ფულით, ზოგი ფიზიკური შრომით ეხმარებოდა სინაგოგის მშენებლობას. დაქირავებული იყვნენ ბერძენი ქვის მთლელი ოსტატები. სამშენებლო მასალა მეზობელი, ამბოლდაურის რაიონებიდან ამოპქონდათ და ქვებს უკვე ონის ცენტრში, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას თლიოდნენ. მალე, რამდენიმე წელიწადში სინაგოგა აშენებული იქნა და მის გუმბათზე დაგითის გარსკვლავი დაიდგა.

აუცილებელია აღინიშნოს ონელი ქართველების წვლილი სინაგოგის მშენებლობაში. ხოფელ მოეტნის ხის ოსტატებმა იშვიათი მასალისაგან დაამზადეს სინაგოგისათვის საგარმლები, ხოლო სალოცავის შიდა კედელი რაჭველმა მხატვარმა შოთა გომაძემ მოხატა. სინაგოგაში დგას 400-მდე ადამიანისათვის სკამები, ხოლო დიდი დღესასწაულების დროს



სინაგოგა ფეხზე მდგომთა და საქალებოს ჩათვლით 700-მდე მლოცველს იტევს.

ონის სინაგოგის მშენებლობა ხუთი წელი მიმდინარეობდა და როგორც ითქვა 1895 წელს დასრულდა.


თბილისისა და ქუთაისის სინაგოგების შემდეგ იგი სიდიდით მესამეა. სამშენებლო მასალად გამოყენებული იქნა თეთრი კირქვი. შენობას ოთხეუთხედის ფორმა აქვს და იგი მიმართულია აღმოსავლეთისაკენ. ტაძარს ოთხივე კუთხეს ქვის ლამაზი სტელა ამშვენებს. გუმბათი სკეტებზე და დავითის ვარსკვლავით სრულდება. სინაგოგის მეორე სართულზე მოწყობილია ადგილი ქალებისათვის – საქალებო. მლოცველი რაბინის ხმა სინაგოგის ყველა კუთხეში თანაბრად კარგად ისმის. სინაგოგაში სრულდებოდა ყველა ის რიტუალი, რაც ებრაელებს უწერიათ რჯულის მიხედვით: ბარ-მიცვა, ხათნის კურთხევა, ნათლობა და სხვა.

1895 წელს სინაგოგა საზეიმოდ გაიხსნა. ასეთი ხალხმრავლობა არ ახსოვს პატარა ქალაქს. შეკრებაზე სიტყვები წარმოუთქვამო თვიციალურ პირებს მოწვეულ სტუმრებს და ქართველი ინგელიგენციის წარმომადგენლებს.

მშენებლობის მოკლე დროში დამთავრებას ხელი შეუწყო რაჭველთა უაღრესად კარგმა და მეგობრულმა დამოკიდებულებამ, რომლის გარეშეც ებრაელთა სალოცავს ქალაქის ცენტრში ვერ ააგებდნენ.

ონის ებრაელობა რომელიც იმ დროს ქალაქის უმრავლესობას წარმოადგენდა, ახალი სინაგოგასა და ელია ამშიკაშვილის საქმიანობას სულიერი აღმავლობის გზაზე დაუყენებია და ებრაელთა რელიგიისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო ქალაქ ონს, როგორც „მცირე იერუსალიმს“ მოიხსენიებდნენ.

თვით რაბინს ე. ამშიკაშვილს სხვა ებრაულ თემებშიც იწვევდნენ. ერთ-ერთი ასეთი მიწვევისას იგი ზამთარში ქ. ნალიუში წასულა, სადაც გაცივდა და გარდაიცვალა. ე. ამშიკაშვილი ქ. ალაგირში დაუსაფლავებიათ. შემდეგ ონელ ებრაელებს მოუსურვებიათ მისი გადმოსვენება ონში, მაგრამ რაბინებმა ოჯახს მიცვალებული არ გადმოასვენებინეს. ოჯახს განუცხადეს, რომ სადაც იგი დვოის ნებით აღესრულა, იქვე უნდა განისვენოს. ე. ამშიკაშვილის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ საჩხერელთა ებრაულმა თემმა იგი 1941 წელს საჩხერის სინაგოგის გახსნაზე მიიწვია. ყველასათვის ცნობილია საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიისადმი. როდესაც ბოლშევიკურმა რეჟიმმა მოინდომა ყველა ეკლესის გაუქმება, დაკუტვა და დანგრევა, 1927 წელს ეს ებრაელთა სალოცავებსაც შეეხო.



ონის სინაგოგა



ონელმა ებრაელებმა თბილისში, კომუნისტურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად შეარჩიეს მჭერმეტყველი ავტორიტეტიანი კაცი და მლოცველთა სახელით სთხოვეს ონის სინაგოგის შენარჩუნება. ამ დროს ელია ამშიკაშვილი ცოცხალი ადარ იყო. მისმა მძახალმა მოსე ბუზუკაშვილმა მეტად სარისკო ნაბიჯი გადადგა მან ჯერ თავისი ოჯახის ქალები ჩვილ ბავშვებიანად სინაგოგაში გამოკეტა. ამ მაგალითს ონელ ებრაული თემის სხვა ოჯახებმაც მიპააქეს. ამავე დროს მოსე ბუზუკაშვილი მოელაპარაკა ონთან ახლოს მდებარე სოფელ დარის ქართველ ქალებს, რომლებიც ჩვილებიანად მივიღნენ ტაძართან და სინაგოგას წრე შემოარტყეს. ქართველები ტაძარში მყოფ ქალებს ჩუმად რძეს აწვდიდნენ.

სინაგოგაში გამოკეტილი ქალებისა და ბავშვების ტირილმა და მოთქმამ სინაგოგის დასანგრევად მისული კომკავშირელ-ბოლშევიკური ხელისუფლებაც კი გააოცა. ამასობაში თბილისში მალულად წასულებმა უმაღლეს ხელისუფლებაში საქმე მოაგვარეს და მთავრობისაგან სინაგოგის შენარჩუნების საბუთი ჩამოიტანეს. ასე გადარჩა ეს ლამაზი სინაგოგა.


შემდეგში სინაგოგა მცირეოდენი შეცერხებით განაგრძობდა საქმიანობას.

1991 წლის 29 აპრილს მომხდარმა საშინელმა მიწისძვრამ დაანგრია ებრაელთა ძველი სალოცავი, ხოლო დიდი სინაგოგა სასწაულებრივად გადარჩა, მაგრამ საგრძნობლად დაზიანდა.

ახლოვდებოდა სინაგოგის აშენების საიუბილეო თარიღი – ასი წლისთვის.

ყოველივე ამას დაემთხვა საბჭოთ იმპერიის დაშლა და თითქოსდა აღარავის ეცალა სალოცავისათვის, მაგრა, ონში დარჩენილმა მცირერიცხოვანმა ებრაელობამ შექმნა საიუბილეო კომიტეტი, რომელმაც ისრაელში და სხვაგან წასულ ონელ ებრაელობას და ებრაელთა საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჯოინთს“ სთხოვეს დახმარება.

ჩატარდა სინაგოგის აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები და 1995 წლის 17 სექტემბერს დიდი აღმავლობით ჩატარდა სინაგოგის ასი წლის იუბილე. ათი წლის შემდეგ გაიმართა 110 წლის იუბილეც. ეს იყო საერთო ზეიმი, როგორც ებრაელების ასევე ქართველებისათვის.





იმის გამო, რომ დღეს ქალაქ ონში ათი ებრაელიც პი აღარ ცხოვრობს, ლოცვა სინაგოგაში აღარ ტარდება და სინაგოგაც დაკეტილი ია. ლოცვა სინა-გოგაში მხოლოდ ზაფხულის თვეებში ისრაელიდან ჩამოსული ტურისტების სტუმრობისას იმართება.

სინაგოგის ეზოში განთავსებული იყო მაცას საცხობი ოთახი, სადაც ნა-ხავთ საცხობ ღუმელს და ცომის მო-საზელ მოწყობილობას. აქაურ მაცას თურმე განსაკუთრებული გემო ჰქონდა. სინაგოგის ეზოშია აბანო და ფრინ-ველებისა და ცხოველების რიტუალური შეწირვის ადგილი-შეხიტა.

ონის სინაგოგა დღეს პირვანდელი სახით არის აღდგენილი. იგი დღესაც ამაყად დგას რაჭის ლამაზი ქალაქის ონის ცენტრში, კავკასიონის მთების ძირას, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე.

ლიტერატურა

1. ზ. ჭიჭინაძე. ებრაელები საქართვე-ლოში. თბილისი, 1990 წ.
2. რელიგიები საქართველოში (ზ. კიკნაძის რედაქციით) სახალხო დამცველის ბიბ-ლიოთეკა. თბილისი, 2008 წ.
3. რ. მეტრეველი. ებრაელები საქართვე-ლოში. თბილისი, 2002 წ.

რეზიუმე

ონის სინაგოგა

ი. გორგიძე, გ. იაშვილი, ნ. იაშვილი,

ქ. მახაშვილი

განხილულია რაჭაში, ქალაქ ონში მდებარე ქართველ ებრაელთა სალოცავი სახლის – სინაგოგის აშენების ისტორია. ონის სინაგოგა ერთ-ერთი ლამაზი ნაგებობაა საქართველოში არსებულ ოცამდე სალოცავ სახლებს შორის. მისი მშენებლობა 1895 წელს დასრულდა.